საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა (ფაკულტეტი)

საბა სალუაშვილი

ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული საისტორიო ძიებათა საკითხები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მეტრეველი
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
ვიცე პრეზიდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი,
სრული პროფესორი

თბილისი

2016 წელი

ანოტაცია

სადოქტორო - სადისერტაციო ნაშრომი: **„ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული საისტორიო ძიებათა საკითხები“,** წარმოადგენს - ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნულ კვლევას, რომელიც სრულდება **„ქართული ნივერსიტეტის“** ისტორიის მიმართულების (ხელმძღვანელი აკად. **როინ მეტრეველი**) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის **„საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე)“** ფარგლებში.

ჩვენი კვლევა ეძღვნება, ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რასაც - ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ჰქვია.

ნაშრომში ქართლის სამეფოს მოქცევასთან დაკავშირებული საისტორიო საკითხების ფართო სპექტრის გამოკვლევა იწყება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებული თემატიკის განხილვით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბერძნულ-რომაულ და ქართულ წყაროებში დაფიქსირებული ტერმინი: „ტყვე ქალი“, ერთის მხრივ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარს, ანუ - ქრისტეს ტყვეს გულისხმობს; მეორეს მხრივ კი - უცხო, უთვისტომოს, ანუ მისი, როგორც ქრისტიანის, წარმართთა შორის ყოფნას აღნიშნავს.

ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ჩვენის აზრით, გამოწვეულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ განსხვავებულ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევით. წინამდებარე ნაშრომი „წმ. ნინოს ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებში დაცული ყველა ძირითადი არგუმენტის გააზრებას ისახავს მიზნად, რომელთა მთლიანობაში გაანალიზების შედეგადაც, ქართლის მოქცევის კონკრეტული თარიღის დადგენა გახდა შესაძლებელი.

განსახილველი თემის კვლევაში ერთერთი მთავარი ადგილი აქვს დათმობილი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის გამომწვევი მიზეზისა და თავად ლტოლვილობის დაწყების დროსთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ საძიებელი საკითხის მთლიანი სურათის აღდგენა, მხოლოდ - „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთანალიზის წყალობით ხდება შესაძლებელი.

დადგინდა, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი წყაროები ერთდროულად ითვალისწინებენ - ბიბლიურ და იულიუსის კალენდარულ სისტემებს.

ლტოლვილობის დაწყების დროის დასადგენად დეტალურად იქნა გამოკვლეული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები როგორიცაა - წმ. ნინოს შობის სავარაუდო დრო; წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე გასული დრო; წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღი; ალექსანდრე ბიზანტიელის, ევსტათი ანტიოქიელის, გრიგორის, თრდატ III-ის, ელენე დედოფლის ზეობისა და კონსტანტინეპოლთან დაკავშირებული მინიშნებანი და სხვა.

შესაბამისად, საძიებელ დროში მომხდარის - მთლიანი სურათი ასეთია: ლტოლვილობის დაწყების წელია - ახ. წ. 322 წელი; ქ. ეფესოდან მათი გამოქცევა მომხდარა - 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს; ლტოლვილები სომხითში მისულან - ამავე წლის 25 მარტს, კვირა დღეს; ხოლო სომხითში ჩასული ლტოლვილები, თრდატ მეფეს - იმავე წლის 30 მარტის პარასკევ დღეს უწამებია.

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მის შემდგომად განვითარებული მოვლენების დროითი და არსისმიერი ასპექტების კვლევას.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა - წმ. ნინოს ლტოლვილობის სამი პირობითი ეტაპი, და მასთან დაკავშირებული - კონკრეტული დროითი მიჯნები. კერძოდ:

ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი: 322 წლის 15-30 მარტამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს; ლტოლვილობის ე.წ. მეორე პერიოდი: 322 წლის მარტის თვიდან, ვიდრე ამავე წლის მაისის მიწურულამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს; ლტოლვილობის ე. წ. მესამე პერიოდი იწყება: 322 წლის მაისის თვიდან, და - მთავრდება ერთი წლის თავზე ანუ - 323 წლის მაისის თვეში.

მაშასადამე, წმ. ნინოს ლტოლვილობა დაწყებულა ქ. ეფესოდან გამოქცევის, ანუ - 322 წლის 15 მარტიდან, და დამთავრებულა - 323 წლის მაისის თვეში, რომლის შემდეგაც წმ.

ნინო - „...თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით მითითებული - „თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი“, წარმოებული კვლევის შედეგად კიდევ უფრო დაზუსტდა და დადგინდა, რომ წმ. ნინო საქართველოში შემოსულა - 323 წლის 28 ივნისს, პარასკევ დღეს, საიდანაც ათვლით, კერპების მსხვრევის თარიღი - 6 აგვისტო, არის ზუსტად მე-40 დღე.

ნაშრომში განხილულია სომხეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული რამოდენიმე საკითხი. ქართული წყაროებისეული ინფორმაციისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად - სომხითის მეფის თრდატის მიერ ქრისტიანობის აღიარება, სავარაუდოდ - 323 წლის ივნისის ბოლოდან, ვიდრე - 323 წლის 6 აგვისტომდე დროში უნდა იყოს მომხდარა.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად, რომელიც ქართულ წყაროებში დაცულ სხვადასხვა ინფორმაციათა ურთიერთშეჯერებით იქნა ჩატარებული, დადგინდა, რომ - მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევის, ანდა, მეორეს მხრივ, ქართლის სამეფოში - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღია - 328 წლის 20 ივლისის შაბათი დღე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი და განხილულ იქნა ს. ბელოკუროვის მიერ გამოცემულ შრომაში - „Сношения Рассии с Кавказом“ (I გამოშვება, მოსკ., 1889 წ., „1578-1613 წ.წ.“), დაცული ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი, მე-16 საუკუნის - სამი უნიკალური დოკუმენტი, რომელიც ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღად მიღებული **328 წლის** მართებულებას ადასტურებს.

ნაშრომში, ახლებურადაა გამოკვლეული დღემდე უცნობი ისეთი საკითხები როგორიცაა - მირიან მეფისა და ნანა დედოფლის შვილებთან დაკავშირებული ინფორმაციები; მირიანის ნადირობისას მითითებული მზის დაბნელების საკითხი; „ეკლესიასა ზემოსას” აშენების თარიღი; ჯვრის აღმართვისა და წმ. ნინოს მთიელთა გასანათლავად წასვლის თარიღი; წმ. ნინოს დასნეულების, ბოდბეში ჩასვლისა და გარდაცვალების თარიღები; რევის, მირიანისა და ნანა დედოფლის გარდაცვალების თარიღები და სხვა.

Annotation

PhD - thesis: "**Search specific historical issues about conversion of Kartli" -** is a History Doctoral degree targeted research, that executes within the "Georgian history" (from ancient times to the beginning of the XXI century)" study program frames by the "Georgian University" Historical doctoral study program (head of the program Acad. Roin Metereveli).

Our research is devoted to the most important issues of the History of Georgian government and the Georgian Orthodox Church, that is followed by - Christianity as a state religion Revelation.

In the thesis the research about Conversion of the kingdom of Kartli begins with the discussion of the St. Nino`s subject.

In the Greco - Roman and Georgian sources, there is mentioned the word: "Captive woman," that means follower of the Christian religion, or – "prisoner of Christ;" on the other hand, it means stranger, or her, as a Christian - among the Gentiles.

Conversion of Kartli - related issues - one of the most important is the date of the announcement of the acceptance of Christianity in the Kingdom of Kartli.

The difference of opinion on this issue in historiography, in our opinion, is due to the different arguments that scientists are based on.

The study will analyze different arguments that are protected in various redactions, in overall analysis, the specific date of the Conversion of Kartli will became available.

One of the main importance issue in the thesis is about the cause of refugees of ST. Nino and her followers and the analyses of the question of the date of refugees.

It should be noted that our reference to the recovery of the whole picture, is possible only if merging all notes about "life of St. Nino," that are kept in different redactions and analyze them.

It was found that "St. Nino`s Life" describing sources simultaneously take into account - the Bible and the Julian calendar systems.

Detailed research was made for determination of the dates from her birth to her refugees; her death; Alexander Byzantines, Eustachius of Antioch, Gregory, Trdat III, Queen Elizabeth reign and Hints of Constantinople and etc.

Consequently, the overall picture is as follows: Starting year of refugees is- c. Sec. 322 years; From Ephesus, they try to refuge in - 322 on March 15, Thursdays; Refugees did reach to Armenia in march 25 of that year, Sundays; and the date of refugees torture by Trdat King, is March 30 of that year.

In this paper, special attention is paid to the St. Nino`s entry in Georgia and the events that developed after.

Three main stage of St. Nino`s refugees was identified: Optional refugees First Period is: 322 years until March 15-30, second: from March to the end of May of 322, third: From May 322 to the May of 323. Detailed information about the whole tree period is described in thesis.

The article deals with the Armenian Ananias ramode - simultaneously with various items. The article also deals with the concrete dates and information about the Christianization of King Mirian and announcement of the date for the acceptance of Christianity in Georgia - Day 328: Saturday July 20.

As a result of our study we identified and discussed work published by Belokurovi - "Russia's relations with the Caucasus" (I Edition, pug., 1889., "1578-1613 years"), 16th century three unique document that proves that the truly date of acceptance Christianity was year 328.

In this paper, a new survey is conducted on such issues as the information about the Children of King Mirian and Queen Nana; the issue of solar eclipse while King Mirian`s hunting; “Church zemosas" Build Date; The date of erection of the Cross and St. Nino`s departure for mountaineers baptism; St. Nino's disease, and the date of traveling to Bodbe and her death; Rev, Mirian and Queen Nana`s death dates and end etc.

შინაარსი

ანოტაცია 2

Annotation 5

შესავალი 11

თავი I. ქართლის სამეფოს გამაქრისტიანებელი პირი და მისი სახელი.....17

1) ბერძნულ-რომაულ წყაროებში ნახსენები - „ტყვე ქალი”..... 17

2) არაბულ-კოპტურ წყაროებში ნახსენები - „თეოგნოსტა” 18

3) სომხურ წყაროებში დაცული სახელი - „ნუნე” 19

4) ქართული წყაროებისეული - „ნინო”, და „ტყუე ქალი” 22

5) დასკვნა 23

თავი II. ეფესოდან - სომხითამდე, ანუ - ლტოლვილობის დაწყების წელი 26

1) წმ. ნინოს ლტოლვილობისწინა ადგილ-სამყოფელი 27

2) „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კალენდარული ათვლის ზოგიერთი საკითხი-სათვის, ანუ ლტოლვილობის დაწყების თვე და რიცხვი 30

ა) ახალი წლის ათვლის საკითხისათვის..... 31

1) ებრაული კალენდრის ზოგიერთი თავისებურებანი 34

2) დასკვნა 37

ბ) ქართული წყაროსეული მინიშნებანი 38

გ) „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კალენდარული ათვლის საკითხისათვის 42

1) ბიბლიური და რომაული კალენდარული ათვლის სისტემის საკითხები ... 47

2) დასკვნა 49

დ) ლტოლვილობის დაწყების რიცხვის თაობაზე 49

3) ლტოლვილობის დაწყების წლის თაობაზე 51

ა) „პირველი” ზედა მიჯნა - წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღი 51

ბ) „მეორე” ზედა მიჯნა - ალექსანდრე ბიზანტიელი, ევსტათი ანტიოქიელი, გრიგორი, თრდატ III და კონსტანტინეპოლი 53

1) ზოგადად საძიებელი ჯგუფების თაობაზე 60

2) დროითი მინიშნების თაობაზე 63
გ) „მესამე” ზედა მიჯნა - ელენე დედოფალი და ჯვარი, რომელზეც
მაცხოვარი გააკრეს 77
დ) „მეოთხე” ზედა მიჯნა - ლტოლვილობის არსთან
დაკავშირებული საკითხები..... 83
1. წმ. ნინოს შობასთან დაკავშირებული დროითი მინიშნებანი 83
ა) წმ. ნინოს მშობლები 83
ბ) წმ. ნინოს შობის სავარაუდო დრო 86
გ) წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე გასული დრო 92
2. „მოქცევაჲ ქართლისაჲში” დაცული რამდენიმე
დროითი მინიშნების თაობაზე 95
ა) „სამას მეათე” და „სამას მეათერთმეტე” წლებთან დაკავშირებული საკითხები 96
ბ) „მეათე წელი”, ანუ - ელენე დედოფლის იერუსალიმში წასვლა 97
გ) „მეშვიდე წლისა” და „მერვე წლის” დროით მინიშნებათა საკითხისათვის 98
ე) ლტოლვილობის გამომწვევი მიზეზობრივი საკითხები 108
1. „ქართლის ცხოვრებისეული” მინიშნებანი 110
2. XIII ს-ით დათარიღებული „ცხოვრების”,
მეტაფრასული რედაქციის მინიშნებანი ….....114
3) დასკვნა 118
ვ) სომხითში მისვლის თარიღი, ანუ ლტოლვილობის კონკრეტული წელი 120
1) ლტოლვილთა „საბოლოო” ადგილსამყოფელი 120
2) „მისვლიდან“ – „წამებამდე“ 121
3) ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყებისა და სომხითში
„რიფსიმიანთა წამების” კონკრეტული - რიცხვი, თვე და წელი 123
4) „საწნეხელის” არსი, ანუ ლტოლვილთა სომხითში ჩასვლის
თარიღის თაობაზე 124
5) დასკვნა 127

თავი III. წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მის შემდგომად განვითარებული მოვლენების დროითი და არსისმიერი ასპექტები 129

1) წმ. ნინოს შობიდან - ლტოლვილობამდე გასული დროითი მონაკვეთები 129

2) „რიფსიმიანეთა" წამებიდან - წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლამდე 132

ა) დროითი ნიშანი - „ვარდის ყვავილობა" 133

ბ) „პირველი" თვიდან - „მეოთხე" თვემდე 136

გ) დასკვნა 138

3) კოდი - „ზაფხული", ანუ - წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული საკითხები 139

ა) წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლა 140

ბ) ფარავნის ტბასთან გატარებული - ორი დღე 143

გ) ურბნისში გატარებული ერთი თვე 145

დ) საძიებელი დროის მონაკვეთის ზედა მიჯნა - 6 აგვისტო 146

ე) „მზე და მთვარე", ანუ კოდი - „ზაფხული" 148

3) „ფერისცვალებიდან" – „მარიამობამდე", ანუ - დასკვნა 150

თავი IV. სომხეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული რამოდენიმე საკითხი 154

1) მირიანისა და თრდატის დამოყვრება 154

2) კერპთაყვანისმცემლობიდან - გაქრისტიანებამდე 156

ა) სომხურ წყაროთა მინიშნებანი 160

ბ) ქართულ წყაროთა მინიშნებანი 164

თავი V. წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გასული დროითი მიჯნები 167

1) „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ე. წ. „ქრონიკებისეული" მინიშნება 167

2) „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ე.წ. მეორე ნაწილისეული მინიშნებანი 169

3) „მეექუსესა წელსა" და „ექუსი წლის" ურთიერთკავშირი 171

ა) წმ. ნინოს „ანდერძი" 173

ბ) ნანა დედოფლის ქრისტიანად მოქცევის მიზეზები 175

გ) მირიან მეფისა და ნანა დედოფლის შვილებთან
დაკავშირებული ინფორმაციები 177

დ) ნანა დედოფლის გაქრისტიანების ქვედა მიჯნა 180

4) „მეშვიდესა წელსა”, ანუ - მირიან მეფის მოქცევის თარიღი 182
5) „პირველ ათისას წლისას” საკითხის გარკვევისათვის 183
6) ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი მე-16 საუკუნის სამი უნიკალური დოკუმენტი 186
6.1 დასკვნა 195
7) ირიბ მინიშნებათა რამოდენიმე საკითხისათვის 196
8) მზის დაბნელების საკითხის თაობაზე 200
9) დასკვნა 207
თავი VI. წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებული საკითხები 209
1) „რომელსა ეწოდების ბოდისი” 209
2) წმ. ნინოს მიერ გაგზავნილი წერილი და „დედოფალი სუჯი” 211
3) წმ. ნინოს დასნეულების წლის თაობაზე 212
4) მცხეთიდან ბოდბეში ჩასულთა თაობაზე 214
5) წმ. ნინოს გარდაცვალების წლის თაობაზე 215
ა) „მეთოთხმეტესა წელსა” 217
ბ) „მეათხუთმეტესა წელსა” 218
გ) „ოც და მეათხუთმეტესა წელს” 219
6) წმ. ნინოს გარდაცვალების კონკრეტული თარიღის თაობაზე 220
7) დასკვნა 223
თავი VII. ზოგიერთი ისტორიული მოვლენის დათარიღების საკითხები 225
1) რევისა და მირიანის გარდაცვალების თარიღის თაობაზე 225
2) „ეკლესიასა ზემოსას” აშენების თარიღი 226
3) ჯვრის აღმართვისა და წმ. ნინოს მთიელთა გასანათლავად წასვლის თარიღი 228
4) ნანა დედოფლის გარდაცვალების წელი 234
5) დასკვნა 235

დასკვნა 236
გამოყენებული ლიტერატურა 243
დანართი 249

შესავალი

ქრისტიანობამ წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. ის გახდა საფუძველი მრავალი ისტორიული მოვლენისა და ფაქტისა. ამ რელიგიამ და მისგან წამოსულმა იდეოლოგიამ ბევრი ქვეყნისა თუ ხალხის მომავალი და პოლიტიკური ცხოვრების წესი განსაზღვრა; მათ შორის არის - საქართველო და ქართველი ხალხი.

ახ. წ. IV საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დროითი მონაკვეთია. განკაცებული ღმერთის ჯვარცმა-აღდგომის შემდეგ, სულთმოფენობის დღეს ფუძეჩაყრილმა ქრისტიანულმა რელიგიამ, თავისი ისტორიის სამ საუკუნოვან პერიოდში, მრავალი ტანჯვა-წამება, დევნა და დამცირება გადაიტანა. ახ. წ. IV საუკუნიდან, კაცობრიობის ისტორიაში ის ახალი ეტაპი იწყება, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ჰქვია.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც IV ს-ის 20-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა. წინამდებარე კვლევაში ჩვენს მიზანს, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებული მეტ-ნაკლებად რეალური სურათის აღდგენა წარმოადგენს.

პრობლემის აქტუალობა:

დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ჩვენი წინაპრები, თავიდანვე გაანალიზებდნენ რა ქრისტიანობის მნიშვნელობას, იმთავითვე შექმნიდნენ კიდეც ისეთი ისტორიული სახის თხზულებებს, რომლებშიც სათანადოდ იქნებოდა აღწერილი - საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ზუსტი დრო-ჟამის ამსახველი მოვლენები.

დროთა ცვლის შედეგად, სამწუხაროდ, წყაროთა უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ წყაროთა დიდი ნაწილი, ან - გადამწერთა მიერაა სახეცვლილი, ან - სხვადასხვა მიზეზთა გამო ნაკლულოვანია, რაც მკვლევართა შორის ამა თუ იმ წყაროს არაერთგვაროვან აღქმას განაპირობებს. ყოველივე ზემოთქმული თავის მხრივ გახდა კიდეც საფუძველი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული დასკვნების გამოტანისა. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ზუსტი თარიღის განუსაზღვრელობა და მეცნიერთა არაერთი თაობის მხრიდან აღნიშნული მოვლენის განუწყვეტელი კვლევა-ძიება, ამტკიცებს კიდეც ამ საკითხის დიდ აქტუალობასა და მნიშვნელობას;

სადისერტაციო თემის შესწავლის მდგომარეობა.

ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენა. არსებულ წერილობით წყაროებში დაცული, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები, თავისთავად განაპირობებს ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გამოცხადების თარიღთან მიმართებაში ერთიანი პოზიციის არქონას.

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა დღეისათვის არსებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, აგრეთვე აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული ქართველ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები. მათი მოკლე მიმოხილვა ასეთი სახით გვინდა წარმოვადგინოთ:

ა) წყაროების მიმოხლივა. სადოქტორო სადისერტაციო თემის დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა **„წმ. ნინოს ცხოვრების“** გადმომცემი შემდეგი **ქართული წყაროები:**

- **„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური ხელნაწერი: SIN – 50.** 1990-1994 წლებში სინას მთაზე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში აღმოჩენილი ხელნაწერი, შესრულებულია ნუსხურით; სათაურები - ასომთავრულითა და სინგურით - „...ხელნაწერი თავბოლო ნაკლულია, უყდო, დაკარგულია „ქრონიკის“ დიდი ნაწილი - დასაწყისიდან ქართლში ფარსმან მეცამეტის (ფარნავაზიდან მე-13 მეფე ფარსმანის - ს.ს.) მეფობამდე. „მოქცევაჲ“-ს დანარჩენი ნაწილი „წმ. ნინოს ცხოვრების“ ჩათვლით სრულიად არის შემონახული. პალეოგრაფიის მიხედვით ხელნაწერი IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს...“ **(ალექსიძე 2007: 8);**

- **„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური ხელნაწერი: SIN-48.** 1990-1994 წლებში სინას მთაზე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში აღმოჩენილი ხელნაწერი, შესრულებულია - „...ძირითადად ნუსხურით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პირველი და მეორე სტრიქონიც ყოველ გვერდზე შესრულებულია კალიგრაფიული ასომთავრულით. იშვიათ შემთხვევაში ასომთავრულით არის შესრულებული ხუთამდე სტრიქონიც. პალეოგრაფიის მიხედვით... ხელნაწერი ადრეული მეათე საუკუნით უნდა დათარიღდეს... ტექსტი თავშიც და ბოლოშიც ნაკლულია. ილ. აბულაძის გამოცემით თუ ვიმსჯელებთ, შემორჩენილია IV-XXII პარაგრაფები...“ **(ალექსიძე 2007: 7);**

- **„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული ხელნაწერი.**

„...შატბერდული კრებული, რომელიც აღმოაჩინა (1888 წ.) და გამოაქვეყნა (1890 წ.) ე. თაყაიშვილმა, გადაწერილია X ს-ის 70-იან წლებში შატბერდის მონასტერში...“ **(ალექსიძე 1984: 149).** ხელნაწერის შიდა ტექსტი ადგილ-ადგილ ნაკლულია **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 10-131; აბულაძე 1963: 81-163;);**

- ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრება“ [„მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“], **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 72-130).** XI ს-ის ძეგლი;

- „წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ რედაქცია: SIN-4. მოთავსებულია XI ს-ის ხელნაწერში, სათაურით - „...ამასვე დღესა მიცვალებაჲ წმიდისა ნინო მოციქულისაჲ და ქართველთა განმანათლებელისაჲ“ **(იხ. აბულაძე 1968: 351);**

- არსენ ბერი, „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოისა“ (იხ. არსენ ბერი 1902: 3-52). თავად არსენ ბერი - „...XI ს. II ნახ. და XII ს. I ნახ. საქართველოს საეკლ. მოღვაწე, მწერალი(ა). დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი... მასვე მიეწერება... ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია... ზოგიერთი მკვლევარი (თ. ჟორდანია, ზ. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, ი. ლოლაშვილი) არსენ ბერს არსენ იყალთოელად მიიჩნევს...“ **(გრიგოლია 1975: 585);**

- ნიკოლოზ I კათალიკოზი (გულაბერისძე), „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“ **(იხ. ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 36-127).** ნიკოლოზ I – „...საქართველოს კათალიკოსი(ა) XII ს. II ნახევარში, გიორგი III-ის დროს... დაახლოებით 1178 წელს იგი კათალიკოსობიდან გადამდგარა... 1184 წელს ნიკოლოზ I თამარ მეფემ იერუსალიმიდან მოიწვია საქართველოში...“ **(იხ. მეტრეველი 1984: 433);**

- **XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია** („ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი“), ავტორი უცნობია **(იხ. ყუბანეიშვილი 1946: 216-231).** აღნიშნული „წმ. ნინოს ცხოვრება“ წარმოადგენს არსენ ბერის თხზულების პერიფრაზულ რედაქციას;

- „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ხელნაწერი. „...ჭელიშური კრებული (მიაკვლიეს 1903 წელს ჭელიშის მონასტერში) შედგება ორი ნაწილისაგან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოთავსებულია კრებულის იმ ნაწილში, რომელიც XIV-XV ს.ს.-ში უნდა

იყოს გადაწერილი...“ **(ალექსიძე 1984: 149).** ხელნაწერს დასაწყისში აკლია რამოდენიმე ფურცელი **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 10-131; აბულაძე 1963: 81-163;);**

- **„წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ რედაქცია: H-600.** როგორც ვიცით, ზემოთმითითებული XI ს-ის **SIN-4** ხელნაწერი - „...საფუძვლად დასდებია მეორე, XIV საუკ. ხელნაწერით ცნობილ, შედარებით ვრცელ რედაქციას. H-600 ხელნაწერში, რომელიც ნინოს ვრცელი, ჭელიშური რედაქციის სახელით ცნობილ ცხოვრებას შეიცავს, ვრცელი ცხოვრების ბოლოს მოთავსებულია ნინოს სვინაქსარული ცხოვრება...“ **(აბულაძე 1968: 129-130);**

- **„წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ რედაქცია: A-1582**. ეს რედაქცია - „...XVII-XVIII ს.ს. ერთადერთი ნუსხით არის ცნობილი. ის შეტანილია A-1582 გულანის სვინაქსარულ ნაწილში...“ **(თორაძე ... 2007: 181);**

- **„წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ რედაქცია : A-425; და A-200.** „...ნინოს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციებიდან ყველაზე ვრცელი, მაგრამ გვიანდელი, არის ის რედაქცია, რომელიც: A-425 სადღესასწაულოში შეუტანიათ... ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია სპეციალურად ამ კრებულისათვის უნდა იყოს შედგენილი. აქედან ის გადაუტანიათ: A-200 სვინაქსარულ კრებულშიც. ამ სვინაქსარული ცხოვრების მხოლოდ დასახელებული ორი ნუსხა არის ცნობილი...“ **(აბულაძე 1968: 182).** ხელნაწერი A-425 თარიღდება: 1718, A-200 კი - 1726 წლებით. **(იხ. ჩხარტიშვილი 1982: 184-188; ჩხარტიშვილი 1996: 12-83);**

ჩატარებული კვლევისას გამოყენებულ იქნა ქართველთა განმანათლებლის შესახებ ინფორმაციების შემცველი **უცხოელ ავტორთა თხზულებები.** კერძოდ:

- **აგათანგელოსი**: V ს-ში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი - „..თავის „ისტორიაში“ აღწერს სომხეთის გაქრისტიანებას...“ **(ჯანაშია 1975: 51).** თავის მხრივ - „...სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობილი გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების რედაქცია ქართველთა გაქრისტიანებაზე არაფერს შეიცავს. მაგრამ სომეხთა ისტორიკოსს მოსე ხორენელს თავისი ისტორიის II წიგნის 86-ე თავში ქართველთა მოქცევის ამბავიც მოთხრობილი აქვს და წყაროდაც აგათანგელოსის ნაწარმოები აქვს დასახელებული...“ **(ჯავახიშვილი 1979**: **გვ.223);**

- **გელასი კესარიელი:** IV ს-ში მოღვაწე ისტორიკოსი - „... გელასი იყო დისწული იერუსალიმის მთავარეპისკოპოზის კირილესი (350-386 წ.წ.), რომელსაც ის კესარიის

მიტროპოლიტად უკურთხებია 367 წელს, თუმცა, არიანოზთა ინტრიგების გამო, კათედრის დაკავება მას მხოლოდ 381 წელს მოუხერხებია. გელასის, რომელიც 395 წელს გარდაცვლილა, თავისი ბიძის, კირილე იერუსალიმელის, შეკვეთით, მისსავე სიცოცხლეში, დაუწერია ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ გაგრძელება...“ **(კეკელიძე 1926: 22). (იხ. ყაუხჩიშვილი ... 1969: 179-183).** ამასთანავე - „...სამწუხაროდ თვით გელასი კესარიელის თხზულების ტექსტი დაკარგულია. მისი ნაშრომი დაცულია მხოლოდ V ს. მეოთხე მეოთხედის კომპილატორის გელასი კვიზიკელის ნაშრომში...“ **(ჯავახიშვილი 1979: 221);**

- **ევსები კესარიელი** (260-339/40 წ.წ.) ბერძენი ისტორიკოსი. „ეკლესიის ისტორიის მამად“ წოდებული ევსები კესარიელის ნაშრომი „საეკლესიო ისტორია“ **(იხ. კესარიელი 2007),** აღწერს ქრისტიანობის ისტორიას დასაწყისიდან - 323 წლამდე;

- **გელასი კვიზიკელი:** V ს-ის ისტორიკოსი. მის კომპილაციურ თხზულებაში დაცულია გელასი კესარიელის მიერ ქართველთა გაქრისტიანების აღმწერი ტექსტის ფრაგმენტები **(იხ. ყაუხჩიშვილი 1926: 55-63);**

- **თეოდორიტე კვირელი** (დაიბადა 393 წელს). მის „საეკლესიო ისტორიაში“ აღწერილია 320-428 წლებში მომხდარი მოვლენები. 22-ე თავში „იბერიელთა კეთილმსახურებისაკენ წარმართვის შესახებ“ **(იხ. კვირელი 2008: 69-71),** აღწერილია ქართველთა გაქრისტიანების მოკლე ისტორია;

- **რუფინუსი:** IV-V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი - „... გარდაიცვალა რუფინუსი 410 წელს სიცილიაში...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 200);**

- **სოზომენე ერმია:** „...დაბადების წელი უცნობია - გარდაიცვალა დაახლოებით 450 წელს), ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი... დაწერა „ეკლესიის ისტორია“ (ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს, რომლებიც მოიცავენ პერიოდს 324 წლიდან 439 წლამდე...“ **(ქ.ს.ე. ტ. 9: 450). (იხ. ყაუხჩიშვილი ... 1969: 235);**

- **სოკრატე სქოლასტიკოსი:** IV-V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი - „... დაიბადა კონსტანტინეპოლში 380 წელს...თავისი „ისტორია“ დაიწყო 305 წლიდან და მიატანა 439 წლამდე...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 229);**

- **მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი):** „...სომეხი ისტორიკოსი; ტრადიციის მიხედვით, V ს. მოღვაწე, მკვლევართა ერთი ნაწილი VI-VII ს.ს. ავტორად მიიჩნევს, ზოგიერთი VII ს, სხვები კი VIII-IX ს.ს. ისტორიკოსად ასახელებენ. აღსანიშნავია მისი

„სომხეთის ისტორია“...“ **(მაისურაძე 1984: 64),** სადაც მეორე ნაწილის 86-ე ქვეთავში „სანატრელი ნუნესა და იმის შესახებ, თუ როგორ გახდა იგი ქართველთა ხსნის მიზეზი“ **(იხ. ხორენაცი 1984: 170-172),** მოთხრობილია ქართველთა გაქრისტიანების მოკლე ისტორია **(იხ. ჩხარტიშვილი 1982: 184-188; ჩხარტიშვილი 1996: 12-83);**

ბ) ლიტერატურის მიმოხლილვა. სადოქტორო სადისერტაციო თემის დამუშავებისას გამოყენებული გვაქვს არაერთი ქართველი მკვლევარის მიერ შესრულებული ნაშრომი. მათ შორისაა: მიტოპოლიტ **ანანია ჯაფარიძის:** „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ.I, თბ. 1996 წ.; **ზაზა ალექსიძის** „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თბ. 2007 წ; „გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, **ალ. გამყრელიძე, ს. ყაუხჩიშვილი,** ტ.I, თბ., 1969 წ.; **ვახტანგ გოილაძის** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი „ქართლის სამეფო III ს. 50-იანი წლებიდან VI ს. 30-იანი წლების დასასრულამდე (ურთიერთობა სასანიანთა ირანთან და რომ-ბიზანტიასთან)“, თბ. 1998 წ.; **კორნელი კეკელიძის** „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონიკების საკითხები“, იხ. „მიმომხილველი“, ტ. I, თბ. 1926 წ.; **ნოდარ ლომოურის** „ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან“, თბ. 1975 წ.; **მარიამ ლორთქიფანიძისა** და **როინ მეტრეველის** „საქართველოს მეფეები“, თბ. 2000 წ.; **ლეონ მელიქსეთ-ბეგის** „ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ“, იხ. „ქართული ძეგლები, I, საეკლესიო მწერლობ“”, 12, ტფ. 1920 წ.; **როინ მეტრეველის** „ნიკოლოზ I“, ქ.ს.ე. ტ. 7, თბ. 1984 წ.; **ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის** „ზაბილონიდან მირიანამდე“, „კლიო 17“, საისტორიო ალმანახი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ. 2003 წ.; „მირიან მეფის ზეობა“, ხელთნაწერი; **მარიამ ჩხარტიშვილის** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII ს.ს. ისტორიის ამსახველი ძეგლები)“, თბ. 1996 წ.; **ივანე ჯავახიშვილის** თხზულებანი, ტ.I, თბ. 1979 წ.; ტ. XI , თბ. 1998 წ...

ხსენებულ ავტორთა [და არა მარტო მათი] შრომები ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევდა სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგების საბოლოო სახის დადგენაში.

თავი I. ქართლის სამეფოს გამაქრისტიანებელი პირი და მისი სახელი

ქრისტიანული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობა პირველივე საუკუნეში უქადაგიათ მაცხოვრის მოციქულებს - **ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს** და **მატათას.** რის გამოც, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ - „... ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის საქართველოშიც უნდა არსებულიყო (რა თქმა უნდა, უპირატესად ქალაქებში, მაგ. მცხეთაში) ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი...“ **(ჯაფარიძე 1996: 131)**, სახელმწიფო რელიგიად კი, ქრისტიანობა მხოლოდ IV ს-შია დამკვიდრებული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-დამკვიდრებაში არაერთ პიროვნებას მიუძღვის ღვაწლი, მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება - წმ. ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობის შედეგია.

ზემოთქმულზე უნდა მიგვანიშნებდეს ქართულ წყაროებში ქართველთა განმანათლებლის მიმართ ნათქვამი სიტყვები - „...რამეთუ აჰა ესერა გჳსწავიეს ჩუენ შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირველნი ქრისტეს ძისა ღმრთისა და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და სხუანი სამეოც და ათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 45-46; აბულაძე 1963: 105),** რომელიც - წმ. ნინოს იმ უდიდეს ღვაწლზე უსვამს ხაზს, რომლის შედეგადაც, ღმერთის შეწევნით, საქართველოში ქრისტიანობა - სახელმწიფოებრივ დონეზე იქნა დამკვიდრებული.

ქართველთა განმანათლებლის სახელის თაობაზე ქართული და უცხოური წყაროები სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიან. მოდით მივყვეთ მათ თანამიმდევრულ განხილვას.

1) ბერძნულ-რომაულ წყაროებში ნახსენები - „ტყვე ქალი“

ქართველთა მოქცევის თაობაზე არსებულ ცნობათა შორის ერთ-ერთი უძველესია ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაცული ინფორმაციები.

ბერძნულ-რომაულ წყაროთა შორის, პირველი ვინც ქართველთა გაქრისტიანებას შეეხო და შესაბამისად, გამაქრისტიანებლის სახელთან დაკავშირებული ცნობები მოგვცა არის - **გელასი კესარიელი** და მის მიერ დაწერილი - **„ეკლესიის ისტორია“.**

როგორც ვიცით - „...სამწუხაროდ, თვით გელასი კესარიელის თხზულების ტექსტი დაკარგულია. მისი ნაშრომი დაცულია მხოლოდ V ს. მეოთხე მეოთხედის კომპილატორის გელასი კვიზიკელის ნაშრომში...“ **(ჯავახიშვილი 1979: 221).**

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ - „1914 წლამდე ამ წყაროთაგან უძველესად რუფინუსის საეკლესიო ისტორია იყო მიჩნეული. მაგრამ ანტონ გლასმა თავის 1914 წ. დაწერილსა და გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში - „გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორია“ დაამტკიცა, რომ რუფინუსს, სხვათა შორის, ქართველთა მოქცევის ამბავი 395 წელს გარდაცვლილი ბერძენთა ისტორიკოსის გელასი კესარიელის მიერ დაწერილი საეკლესიო ისტორიიდან აქვს ამოღებული და გადათარგმნილი...“ **(ჯავახიშვილი 1979: 220).**

გელასი კესარიელის პირველწყაროდან (სადაც, ტერმინი - **„ტყვე ქალი“,** ცხრამეტჯერაა გამოყენებული **(იხ. ყაუხჩიშვილი 1926: 55-63)**, გელასი კვიზიკელისა და რუფინუსის გარდა, თავის დროზე, არაერთ ისტორიკოსს უსარგებლია. მათ შორის - სოზომენეს, სოკრატეს, თეოდორიტე კვირელს... კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ შედგენილ - „საეკლესიო ისტორიაში“, ვკითხულობთ - „...იბერიელებს კი ამ დროს **ტყვე ქალი** მიუძღვოდა ჭეშმარიტებისაკენ...“ **(კვირელი 2008: 69).**

რუფინუსი თავის თხზულებაში - „იბერთა ტომის მოქცევა **ტყვე-ქალის** მეშვეობით“ ტერმინს: **„ტყვე-ქალი“** 14-ჯერ ახსენებს **(ყაუხჩიშვილი... 1969: 229-232); სოკრატე სქოლასტიკოსის** „ისტორიის“ მეოცე თავში: „როგორ მიიღეს იბერებმა ქრისტიანობა“, ტერმინი **„ტყვე-ქალი“** ასევე 14-ჯერაა მოყვანილი **(ყაუხჩიშვილი... 1969: 201-207); ერმია სოზომენე** კი თავის „საეკლესიო ისტორიის“ მეშვიდე თავში: „როგორ მიიღეს იბერებმა ქრისტეს სარწმუნოება“, ტერმინს „**ტყვე-ქალი“** რვაჯერ მოიხსენიებს **(ყაუხჩიშვილი... 1969: 236-241).**

ამდენად, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართველთა განმანათლებლის სახელი არ გვიკონკრეტდება, და იგი მოხსენიებულია ტერმინით - **„ტყვე ქალი“.**

2) არაბულ-კოპტურ წყაროებში ნახსენები - „თეოგნოსტა“

ბერძნულ-რომაულ წყაროთა გარდა, ქართველთა გაქრისტიანებასა და გამაქრისტიანებლის თაობაზე, ცნობები დაცულია აგრეთვე: არაბულ-კოპტურ წყაროებში.

როგორც ცნობილია - „...1898 წ. **ოსკარ ფონ-ლემ**-მა გამოაქვეყნა თავისი პატარა მონოგრაფია „ქართველთა გაქრისტიანების ისტორიისათვის“, რომელშიც იგი არაბული, ეთიოპიური და კოპტური სვინაქსარებიდან ამოღებული ცნობების შედარებითი შესწავლით არკვევს, რომ იქ აღწერილი - ჰინდთა მეფეთა დესპანებისაგან ტყვედ წაყვანილი წმიდა ნეტარი ქალწული - **თეოგნოსტას** მოღვაწეობა, არაბულსა და ეთიოპურში ჰონორიუსისა და არკადი კეისრების თანამედროვედ აღნიშნული, რუფინუსის საეკლესიო ისტორიაში ქართველთა მოქცევის ამბავს უდგება. კოპტურ ცნობაში **თეოგნოსტა** ტყვედ არ იწოდება და მისი თანამედროვე ბიზანტიის მეფეებიც დასახელებული არ არიან...“ **(ჯავახიშვილი 1979: 225).**

მაშასადამე, ბერძნულ-რომაული: „ტყვე ქალის“ ნაცვლად, არაბულ-კოპტურ წყაროებში გამოყენებულია ტერმინი - **„თეოგნოსტა“.**

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დასახელებული - **„თეოგნოსტა“,** არა - სახელს, არამედ, ზოგადად, განმანათლებლის არსს უნდა გადმოსცემდეს. მოდით გავიაზროთ, თუ რას უნდა გულისხმობდეს ეს ტერმინი: „**თეო-გნოსტ-ა**“.

როგორც ცნობილია, ბერძნულში: **„თეო“** (tehos) - ღმერთს ნიშნავს **(იხ. ჭაბაშვილი 1989: 183), „გნოსტ“** (gnostis) კი - ცოდნას, ხოლო gnostikos - შემეცნებას **(იხ. ჭაბაშვილი 1989: 108).** მაშასადამე, საქმე გვაქვს - **„ღმერთის ცოდნის შემეცნების“** არსის მატარებელ ტერმინთან.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კ. კეკელიძის აზრით - **„თეოგნოსტა** ბერძნული სიტყვაა და - **„ღვთის მიერ ცნობილს“, „ღვთისაგან მოძიებულს“** ნიშნავს, ის გამომხატველია ამ ქალის დამოკიდებულებისა ღვთისადმი“ **(იხ. კეკელიძე 1926: 44).**

3) სომხურ წყაროებში დაცული სახელი - „ნუნე“

მოდით ეხლა განვიხილოთ, თუ როგორაა მოხსენიებული ქართველთა განმანათლებელი სომხურ წყაროებში.

სომეხი ისტორიკოსი **მოსე ხორენელი,** რომელიც, მისივე წყაროს მიხედვით, აგათანგელოსის ნაშრომს ეყრდნობა, ქართველთა გამაქრისტიანებლის სახელად **ნუნეს** ასახელებს - „...ერთი ქალი სახელად **ნუნე**... მოციქული ქალი გახდა: მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ...“ **(ხორენაცი 1984: 170-172).**

აღნიშნული ცნობა გვხვდება თითქმის ყველა სომხურ წყაროში, თუმცა - „...ფრანგმა მეცნიერმა პროფ. **კარრერმა** 1893 წ. გამოაქვეყნა თავისი კრიტიკული შრომა მოსე ხორენელის შესახებ... ამ თავის გამოკვლევაში კარრერი ქართველთა მოქცევის ამბავსაც შეეხო და გამოთქვა აზრი, რომ მოსე ხორენელს თავისი მოთხრობა ბერძენთა ისტორიკოსის სოკრატეს საეკლესიო ისტორიის სომხური თარგმანიდან აქვს ამოღებული... სოკრატეს ბერძნულ ტექსტში, ისევე როგორც რუფინუსის ისტორიაში, ქართველთა მქადაგებელი მარტო: **ტყვე-ქალად** იხსენიება, მისი სახელი კი მოხსენიებული არ არის, სომხურ თარგმანში იგი **„ნუნე“**-დ არის წოდებული ისევე, როგორც მოსე ხორენელს აქვს მოხსენიებული...“ **(ჯავახიშვილი 1979: 224-225)**.

კ. კეკელიძე აღნიშნავს - „...სომეხ ისტორიკოსთა ცნობით (აღათანგელოსი), სომხები თაყვანსა სცემდნენ ერთს ქალ-ღმერთს, რომელსაც ისინი **ნანე**-ს უწოდებდნენ და რომელსაც **„არმაზის ასულადა“** სთვლიდნენ. უეჭველია, ამ **ნანე**-ს იბერებიც იცნობდნენ, და ამიტომ მათ შეეძლოთ მისი სახელი დაეკავშირებიათ ტყვე-ქალის სახელთან; ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ, ჰაგიოგრაფის გადმოცემით, მირიანი პირდაპირ ეკითხება ამ ქალს: „ანუ ხარ შენ ასული არმაზისი?“ **(იხ. სალუაშვილი 2010ა: 85-86; აბულაძე 1963: 131; ყაუხჩიშვილი 1955: 106; არსენ ბერი 1902: 25; ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 58; ყუბანეიშვილი 1946: 224; 7, ალექსიძე 2007: 44 - ს.ს)...“ (კეკელიძე 1926: 45).**

აღნიშნულთან მიმართებაში პროფ. **ეკა ავალიანი** ბრძანებს - „... დაუბრუნდები, იმ ადგილს, სადაც სომხური ქალღმერთი **ნანე** არმაზის ასულად არის მოხსენიებული და მირიანი **ნინოს** აგრეთვე არმაზის ასულად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, აქაც სიფრთხილეა გამოსაჩენი; სომხური ქალღმერთი - **ნანე,** ალბათ, უფრო წინააზიურ, ან უფრო კონკრეტულად, მცირე აზიურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს, სადაც ხშირად ჩნდება - **ნან/ნუნ** ფუძიანი საკუთარი და ღვთაებების სახელები. ის ფაქტი, რომ **ნანე** შეიძლება იყოს არმაზის ასული, ლოგიკურია, მაგრამ მირიანის კითხვა, რომელიც დაესვა მოკვდავ ქალს ანუ - „ხარ შენ ასული არმაზისა?” სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მირიანი ისეთი გულუბრყვილო ფანატიკოსი იყო, რომ უცხოელი ქალი ღმერთის ასულად მიეღო. ალბათ, ამ კითხვის უკან უფრო ფარული აზრი იგულისხმება, მირიანი ეკითხებოდა ქალს მისი რელიგიური ორიენტაციის შესახებ - **ხარ თუ არა მიმდევარი და „ასული“ არმაზისო?** ალბათ, მეფეს იმხანად უკვე ეცნობა, რომ ქალი უცხო ღმერთის სადი-

დებლად ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას მის სახელმწიფოში და არმაზის სამწ-ყსოში...“ **(სალუაშვილი 2010ბ: 8-9).**

თავად ტერმინ: **„ნუნ“**-ეს განმარტებისას შეიძლება ითქვას შემდეგი: იგი - „...შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველ ეგვიპტურს, სადაც „**ნუნ“** მთავარი წარმართული ღვთაების სახელია. ის იყო ყველა სხვა ღვთაების სათავე, მარადიული წყლის ქაოსი...“ **(ჭუმბურიძე 1992: 175).**

ცნობილი რვა ღმერთიდან - „უძველესი ღვთაება, მზის ღმერთის მამა, ღმერთების მამა, ცეცხლის ღმერთი **ფთა,** მსგავსი ბერძენთა ჰეფესტოსისა, სამყაროს დასაბამი, სიცოცხლის წყარო და სხვა - ღმერთთა მამამთავარია. მისი ძირითადი სამკვიდრო იყო მემფოსი, სიმბოლო - ხოჭო. მეორე მთავარი ღმერთი იყო ვერძის სახის **ამონი, ამუნი,** ნაყოფიერების განსახიერება; მესამე - **ნეიფი** (იგივე - ნეიტი - ს.ს.), ცეცხლოვანი სივრცის ქალღმერთი, მზის დედა, სიმბოლურად ძერა (საისელი ქალღმერთი); მეოთხე - „ეგვიპ-ტელთა ზევსის“ ამუნის მეუღლე **სატისა**, რომელსაც ბერძნები ჰერას ადარებდნენ; მეხუთე - პირველი წყვდიადის და მასში დაფარული შუქის ქალღმერთი **აფორა**, ძროხის სახისა; მეექვსე - ამუნივით წყალთან დაკავშირებული **ბუტო** (ამავე სახელწოდების ნახევრად მითიური სატახტო დღემდე შემორჩა); მეშვიდე და მერვე ღვთაებათა სახელები დაკარგულია“ **(გელოვანი 1983: 151).**

აქვე უნდა ითქვას, რომ ეგვიპტეში რთული თეოლოგიური სისტემა არსებობდა. ზოგადად - „პირველყოფილი ქაოსიდან იბადება შემომქმედი ღვთაება, რომელიც ქმნის დანარჩენ ღმერთებს (სამყაროს). სხვადასხვა კოსმოგონიურ სისტემებში, ამგვარი პრინციპით სხვადასხვა ღმერთებია განლაგებული. მაგალითად, უძველესი, ჰელიო-პოლისის კოსმოგონიიის მიხედვით **პირველყოფილი ქაოსიდან** (ეგვ. **ნუნი**) წარმოიშვა შემოქმედი - **ატუმი**, რომელმაც შექმნა **შუ** (ჰაერი) და **ტეფნუტი** (სისველე); მათ თავის მხრივ, შექმნეს **გები** (მიწა) და **ნუტი** (ზეცა), ხოლო ამ ღმერთების წყვილმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცა შემდეგი თაობის ღმერთებს - **ოსირისსა** და **ისიდას, სეტხსა** და **ნეფტიდას** - ეგვიპტური პანთეონის უმნიშვნელოვანეს ღვთაებებს, რომლებთანაც რთული მითოლოგიური ციკლებია დაკავშირებული...“ **(ჯავახიშვილი 1979: 142).**

ამჟამად, ჩვენ, გვერდი გვინდა ავუაროთ რთულ მითოლოგიურ ციკლებთან დაკავ-შირებული საკითხების განხილვას, და, ჩვენი საკვლევი თემატიკის შინაარსიდან გამომ-დინარე, გვსურს გამოვთქვათ ვარაუდი, და ეგვიპტური - **„ნუნ“,** რომელიც - **„...იყო**

ყველა სხვა ღვთაების სათავე, მარადიული წყლის ქაოსი“ (ჭუმბურიძე 1992: 175), ეტიმოლოგიურად დავუკავშიროთ სომხურ წყაროებში **„ნუნე“**-ს სახელით **ცნობილ წმ. ნინოს** სახელს. ამასთანავე, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავუშვათ, რომ **ნინო/ნუნე/ნუნ** ერთმანეთთან, ჟღერადობის თანხვედრის გარდა, ერთგვარი ფუნქციონალური კავშირითაც უნდა იყვნენ დაკავშირებულნი.

მაშასადამე, არაბულ-კოპტური წყაროების მსგავსად, სომხურ ტერმინ: **„ნუნე“**-საც სიმბოლური დატვირთვა უნდა ქონდეს. ის, როგორც ვნახეთ, ეგვიპტური სამყაროს მთავარი ღვთაების სახელის მატარებელია, რაც მასზე დაკისრებული ღვთაებრივი მისიის შესრულებაზე უნდა მიგვითითებდეს.

4) ქართული წყაროებისეული - „ნინო“, და „ტყუე ქალი“

ქართულ წყაროთა მიხედვით, საქართველოს გამაქრისტიანებლად დასახელებული - **ნინო, „ტყვე ქალადაც“** მოიხსენიება - „...მაშინ მოვიდა სეფე ქალი ერთი, სახელით შროშანა და იხილა იგი ხესა მას ქუეშე; განკჯრდა და მოიყვანა ბერძნულად მეტყველი დედაკაცი, და ჰკითხა გზა მისი. ხოლო წმიდამან **ნინო** აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თჳნიერ ხოლო დედა-ძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ **ტყუედ** უთხრა თავი თჳსი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 93).** ტერმინი - **„ტყვე ქალი“,** ქართულ წყაროებში გამოყენებულია - „...როგორც უცხო, უთვისტომო ადამიანის...“ **(ლომინაძე 1984: 438)** აღმნიშვნელი **(იხ. ჩხარტიშვილი 1982**: **184-188; ჩხარტიშვილი 1996**: **12-83).**

ტერმინ - „**ტყვე**“-ს არსის გასაგებად, უდავოდ საყურადღებოა წმიდა წერილებში დაფიქსირებული გააზრებაც. **პავლე მოციქული** ბრძანებს - „... მე, პავლე, იესო ქრისტეს **ტყვე** გავხდი...“ **(ეფეს. 3,1);** ანდა - „ამრიგად, მე **ტყვე** უფლის მიერ...“ **(ეფეს. 4,1)**; ან თუნდაც - „... ჩემი **ტყვეობა** ქრისტეში...“ **(ფილ. 1,13).** ამდენად, არ უნდა გამოირიცხოს ის მოსაზრებაც, რომ **წმ. ნინო, თავის თავს, პავლე მოციქულის მსგავსად - ქრისტეს ტყვეს უწოდებდეს,** რითაც თავის რელიგიურ მიმდინარეობას უსვამს ხაზს.

თავად ტერმინ **„ნინო“**-სთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას შემდეგი - „...ამ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია. ზოგიერთის აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ასირიულ ნაყოფიერების ღვთაების სახელს **ნინ**-ს...“ **(ჭუმბურიძე 1992: 174).** ამ სახელის განსხვავებულ განმარტებას იძლევა კ. კეკელიძე. მისი აზრით - **„ნინო“,** ქართველთა წარმართული პანთეონის **- აინინას** და **დანინას** სახელიდან მომდინარეობს

- „...იბერებს ეჩვენებოდა, რომ ტყვე ქალი გასაოცარ სასწაულებს ახდენდა მათ შორის, ამის გამო შეეძლოთ მათ ის, დასახელებულ ქალ-ღმერთთა განხორციელებად მიეღოთ და მიეთვისებინათ მისთვის მათი სახელი, ქართული გამოთქმით **ნინად, ნინოდ** ქცეული...“ **(კეკელიძე 1926: 45-46).**

ეფრემ-მცირე თავის თხზულებაში „ქართველთა მოქცევის შესახებ“ აღნიშნავს - „...ხოლო სხუათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელით ტყჳსა მის ჩუენ ტყუეთა მჴსნელისაჲ. რამეთუ ბერძნულად **„ნონნა“** უწოდიან წმიდასა მას, რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალებითრე **„ნინოდ“** სახელ-ვსდევთ...“ **(ყაუხჩიშვილი... 1969: 217).**

5) დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული ერთგვარად შეგვიძლია შევაჯეროთ და ვთქვათ, რომ:

- ბერძნულ-რომაული წყაროებისთვის ქართველთა განმანათლებლის ზუსტი სახელი უცნობია, და მას - **„ტყვე-ქალად“** მოიხსენიებს;

- არაბულ-კოპტური წყაროები ქართველთა განმანათლებლად ასახელებენ - **„თეო-გნოსტას“,** რომელიც განმანათლებლის არსთანაა დაკავშირებული, და ნიშნავს - „ღვთიური ცოდნის შემცნობელს“, ან - “ღვთის მიერ ცნობილს“;

- სომხური წყაროების მიხედვით ქართველთა განმანათლებლის სახელია - **ნუნე,** რომელიც თავისი ეტიმოლოგიით ეგვიპტის მთავარი ღვთაების „ნუნ“ სახელს უნდა აღნიშნავდეს - და მასზე დაკისრებული ღვთაებრივი მისიის შესრულებაზე უნდა მიგვა-ნიშნებდეს;

- და ბოლოს, ქართული წყაროების მიხედვით ქართველთა გამაქრისტიანებლად იხსენიება - **ნინო,** რომელსაც მემატიანე მეორენაირად ტერმინ - **„ტყვე ქალს“** უწოდებს, რაც:

ა) ერთის მხრივ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარს, ანუ - **ქრისტეს ტყვეს** გულისხმობს;

ბ) მეორეს მხრივ კი - უცხო, უთვისტომოს, ანუ მისი, როგორც **ქრისტიანის, წარმართთა შორის ყოფნას** აღნიშნავს.

თავად სახელი **- ნინო**, ერთის მხრივ ასირიული ნაყოფიერების ღვთაების - „ნინ“, და მეორეს მხრივ ქართულ წარმართულ პანთეონთა ქალღმერთების - „აინინა“-სა და „დანანა“-ს სახელებს შეიძლება უკავშირდებოდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული, რომაული და სომხური წყაროები წმ. ნინოს ერთგვარ დახასიათებასაც გადმოგვცემენ და ჩვენი წინამდებარე საუბარიც ამ დახასიათების წარმოჩინებით გვინდა დავასრულოთ:

შატბერდულ კრებულში ვკითხულობთ - „...და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო..“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83).** მოდით ვნახოთ როგორაა აღწერილი იგივე თხრობა **ჭელიშურ რედაქციაში** - „...და მის თანა იყო ტყუწ ერთი დედაკაცი, მოშიში ღმრთისაჲ, შუწნიერი ქმნულ-კეთილი, ჰგავს შვილსა მთავართასა და სახელი მისი ნინო...“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83).**

აღნიშნული ცნობების გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭელიშური რედაქციის უცნობი ავტორის მიერ წმ. ნინოს შესახებ ნათქვამი - ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცული წმ. ნინოს მხატვრული დახასიათების პირველი ნიმუშია, სადაც ლაკონურადაა შერწყმული წმ. ნინოს ღმერთისადმი დამოკიდებულებისა - „მოშიში ღმრთისაჲ“, და მისი გარეგნული მშვენიერების აღმწერი პოეტური შტრიხები - „შუწნიერი ქმნულ-კეთილი, ჰგავს შვილსა მთავართასა” **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83);** და კიდევ - „... ხედვიდეს პირსა ნინოისსა ვითარცა პირსა ანგელოზისასა, დასცუეთდეს სასამოსლესა მისსა მცირე-მცირესა მოსამთხუეველად სარწმუნოებით და იძულებით...“ **(აბულაძე 1968**: **104; ალექსიძე 2007: 27);**

თეოდორიტე კვირელი ქართველთა გამაქრისტიანებელს ასე ახასიათებს - „...იგი ხანგრძლივად ლოცულობდა, ხოლო მისთვის რბილი სარეცელი და ზეწარი იყო ტომარა მიწაზე გაშლილი, ფუფუნების მწვერვალად კი მარხვას მიიჩნევდა...“-ო **(კვირელი 2008: 69);**

მოსე ხორენელი კი წერს - „...იგი დადიოდა სამკაულების, ყოველივე ზედმეტის გარეშე, მას არ იზიდავდა ეს ქვეყანა და არც არაფერი ამქვეყნიური, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ის ჯვარს ეცვა, სიცოცხლე საიქიოს მოთხოვნებს დაუქვემდებარა, საქმით დაადასტურა ღვთის სიტყვა და თავისი გულმოდგინებით სისხლის გვირგვინი მოიპოვა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა...“ **(ხორენაცი 1984: 172).**

გელასი კესარიელი ასე საუბრობს იბერთა განმანათლებელ „ტყვე ქალზე“ – „...ამ დიდი სათნოების (ანუ გაქრისტიანების - ს.ს.) მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ. მან სათნო ცხოვრებას მიაღწია და თავისი კრძალულებითა და სხვა კეთილი საქმეებით აღტაცებაში მოჰყავდა ყველა ისინი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 55).**

რუფინუსი გვაუწყებს - „... ის ეწეოდა სათნო და საკმაოდ ფხიზელ და უმანკო ცხოვრებას, მთელი დღეები და ღამეები დაუცხრომლად ლოცულობდა ღმრთის მიმართ... ოქროს არად აგდებს, ვერცხლს უკუაგდებს, მარხვით ისე იკვებება, თითქოს საჭმელი იყოს...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 201; 203);**

სოკრატე სქოლასტიკოსი ბრძანებს - „...თავისი ცხოვრებით სათნო და უმანკო ქალი... სიბრძნისმოყვარულ ცხოვრებას ეწეოდა: უმანკოების დაცვასთან ერთად იგი მარხვასაც ზედმიწევნით ინახავდა და გულმოდგინე ლოცვებსაც ეძლეოდა...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 229-230);**

ერმია სოზომენე ასე გვაუწყებს მასზე - „... ის უაღრესად მორწმუნე იყო და ღვთისმოსავი... ძალიან უყვარდა მას მარხვა. ღამით და დღისით ლოცვა და ღმერთის დიდება...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 236).**

თავი II. ეფესოდან - სომხითამდე,
ანუ - ლტოლვილობის დაწყების წელი

ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა - „...ზოგი თარიღი აშკარად მცდარია. თარიღების მრავალრიცხოვნობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი ეყრდნობა სხვადასხვა საფუძველს - რეალურ ფაქტებს ანდა არარეალურს - ლეგენდებს. ამიტომ, ქართულ ისტორიოგრაფიასა თუ სპეციალურ ლიტერატურაში ქართველთა გაქრისტიანების ერთმანეთისგან განსხვავებულ თარიღებს ვხვდებით. მაგალითად: ვახუშტი ბატონიშვილი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე - **317 წელს;** თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ს. გორგაძე, მ. ბროსე - **323 წელს;** პ. იოსელიანი - **318 წელს;** ა. ნატროშვილი - **326-333 წლებს;** კ. ცინცაძე - **335 წელს;** კელენჯერიძე - **324 წელს;** თეიმურაზ ბაგრატიონი - **331 წელს;** ვ. საბინინი, ნ. დურნოვო, რ. ცამციევი - **318 წელს;** ცეზარ ბარონიუსი - **327 წელს;** დიუბა დე მონპერნე - **276 წელს.** ივ. ჯავახიშვილი - **337 წელს;** საქართველოს ეკლესია და ქართული ისტორიოგრაფია - **325-326 წლებს** (ასახელებს - ს.ს.);

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამ გამოიწვია თარიღების მრავალრიცხოვნობა? რომელი თარიღია ჭეშმარიტი? პასუხი ამ კითხვებზე თითქმის შეუძლებელია, თუ არ მოვიშველიეთ დამატებითი მასალები...“ **(თორაძე ... 2007: 14).**

გარდა ამისა ცნობილია, რომ - ს. კაკაბაძეს ქართლის მოქცევის თარიღად ჯერ **311 წელი,** შემდეგ კი **338 წელი** მიაჩნდა. კ. კეკელიძე კი **355 წელს** ასახელებს **(იხ. აროშვილი ... 1991: 73; გოილაძე 1998: 34-35).**

ჩვენი თხრობის გაგრძელებამდე ერთსაც დავამატებთ - „...ქართველთა გაქრისტიანების თარიღით ჯერ კიდევ იტალიელი საეკლესიო ისტორიკოსი ცეზარ ბარონიუსი (1538-1607 წ.) დაინტერესდა. მან ქართლის მოქცევის თარიღად **327 წელი** მიუთითა. შემდგომში, ვახუშტი ბაგრატიონიდან მოკიდებული არ დარჩენილა არც ქართველი და არც უცხოელი მკვლევარი, რომელიც საქართველოს ძველ ისტორიას შეხებოდეს და ქართლის მოქცევის თარიღზე თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას. ასე მაგალითად...

დავით ბაგრატიონის თანახმად, მეფე მირიანი და ხალხი ნინოს მიერ **312 წ.** მოინათლა, ვახტანგ ბაგრატიონმა ქართლის მოქცევა **320 წლით** განსაზღვრა... გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ი.მარკვარტმა **350-356 წ.წ.** ა. ბარამიძემ ქართლის მოქცევის თარიღად კ. კეკელიძის მიერ მიღებული **355-356 წ.წ. 357 წლით** შეცვალა... ნ. ლომოურმა 1975 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში (ნარკვევები ქართლის სამეფოს ისტორიიდან) კ. კეკელიძის დებულებათა დამაჯერებელი კრიტიკა მოგვცა. იქვე სათანადო არგუმენტების მოყვანით, კონსტანტინე დიდის მიერ ქართლში სასულიერო პირთა გამოგზავნა, რაშიც იგი ქართლში ქრისტიანობის აღიარების ფაქტს ხედავს, **325-330 წლებს** შორის მომხდარ ფაქტად მიიჩნია.

(თავად ვახტანგ გოილაძის აზრით - ს.ს.)... ქართლისა (ასევე ეგრისის) და სომხეთის მოქცევა **318 წლით** უნდა დათარიღდეს... ქართლის ეკლესიის მეთაურის ხელდასხმა 324 (უკიდურეს შემთხვევაში 325 წლის ივლისამდე) წელს უნდა მომხდარიყო...“ **(გოილაძე 1986: 150-151; 162).** საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთა ზოგადი ქრონოლოგიური სურათი ასეთია: **276-311-312-317-318-320-323-324-325-326-327-328-331-332-333-335-336-337-350-355-357 წ.წ.**

წარმოდგენილ თარიღთა სიმრავლე, როგორც ითქვა, გამოწვეულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ განსხვავებულ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევით. ჩვენი წინამდებარე თხრობა - „წმ. ნინოს ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებში დაცული ყველა ძირითადი არგუმენტის გააზრებას ისახავს მიზნად, რომელთა მთლიანობაში გაანალიზების შედეგადაც, ქართლის მოქცევის კონკრეტული თარიღის დადგენა გახდება შესაძლებელი.

1) წმ. ნინოს ლტოლვილობისწინა ადგილ-სამყოფელი

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია (ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა) უთითებს იმ კონკრეტულ ადგილს, სადაც წმ. ნინო ლტოლვილობამდე იმყოფებოდა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ირკვევა, რომ - იერუსალიმში სარა ნიაფორთან მყოფი ნინო, შეესწრება სარა ნიაფორისა და იერუსალიმში ჩამოსული ეფესოელი დედაკაცის საუბარს - „...მათ დღეთა შინა მო-ვინმე-ვიდა დედაკაცი ეფესელი თაყუანისცემად წმიდასა აღდგომასა, და ჰკითხვიდა მიაფორი დედაკაცსა მას...“. შემდგომაც, ნინო მოისურვებს ეფესოელ დედაკაცთან ერთად წასვლას - „წარმავლინე და წარვიდე წინაშე

ჰელენე დედოფლისა, ნუ უკუე მიმიახლოს სიტყვის გებად მის წინაშე ქრისტესთვის...“; მოგვიანებით ნინო - კურთხევას იღებს მისი ბიძისაგან - იერუსალიმის პატრიარქისაგან - „...ხოლო მან მიწოდა, წმიდამან მამამან ჩემმან პატრეაქმან, ძმამან დედისა ჩემისამან და დამადგინა აღსავალისა საკურთხეველისასა და დამასხნა ჴელნი მისნი...“;

ეფესოში ჩამოსული ნინო შეხვდება რიფსიმეს - „...და წარვემართე დედაკაცისა მის თანა. და ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ვპოვეთ დედუფალი ვინმე მეფეთა ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალჷმით ნათლის-ღებასა და ქრისტეს აღსაარებისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე ჴელთა მისთა დედაკაცმან მან, და მივეც მას ნათელი ჴელსა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა ათსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა. და წარვედით სახიდ მისა და ვიყვენით მუნ ორ წელ...“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 59-60; აბულაძე 1963: 114).**

ანალოგიური თხრობაა გადმოცემული „წმ. ნინოს ცხოვრების“ სხვა რედაქციებშიც **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 79-80; არსენ ბერი 1902: 14-15; ყუბანეიშვილი 1946: 218-219; ალექსიძე 2007: 33).**

მაშასადამე, წარმოდგენილი წყაროების მიხედვით: წმ. ნინო იერუსალიმიდან მიდის - ქალაქ ეფესოში, სადაც რიფსიმესთან ერთად 2 წელს გაატარებს. ამჯერად, წინამდებარე თავში, ჩვენ არ შევეხებით იმ მიზეზების განხილვას, რამაც - წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობა გამოიწვია (ამ საკითხს ცოტა მოგვიანებით დეტალურად დავუბრუნდებით).

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი წყაროებიდან გვეუწყება, რომ ქ. ეფესოდან წმ. ნინოსა და მასთან ერთად მყოფების წამოსვლა, რიფსიმეს უკავშირდება. მოდით გავეცნოთ ქართულ წყაროებში დაცულ ინფორმაციებს. როგორც ვიცით - „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორ - შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებს შორის ხშირად მცირეოდენი განსხვავებანი იჩენენ თავს. ასეთი „განსხვავებაა“ წმ. ნინოს ლტოლვილობის საკითხთან დაკავშირებითაც.

შატბერდული რედაქციის თანახმად, გამოქცეული წმ. ნინო და მასთან მყოფნი, ზღვით მოდიან და შემდგომ ხმელეთის გავლით ხვდებიან სომხითის სამეფოში - „...ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღუადაჲ, გაჲანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელისა თრდატ მეფისასა, და იგინი იმარტჳლნეს მუნ...“.

აღნიშნულისაგან განსხვავებულ ცნობას გვაწვდის - **ჭელიშური რედაქცია.** აქ ნახსენები არაა - „ზღვა“, და პირდაპირ გვეუწყება, რომ - „...ვითარცა წარმოივლტოდა თანა რიფსიმესა გაიანე და ნინო და სხუანი იგი მათ თანა, და გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელთა თრდატ მეფისათა, და იგინი იმარტჳლნეს მუნ...“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 84).**

„ქრონიკებისაგან“ განსხვავებით „წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდული და ჭელიშური რედაქციები ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან, ლტოლვილობის ქვეყანასთან მიმართებაში - „...იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით...“ **(აბულაძე 1963: 114). (იხ. ალექსიძე 2007: 33).** მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან ვგებულობთ, რომ - ქ. ეფესოში მყოფი წმ. ნინო და მისი თანმხლებნი, **საბერძნეთიდან - ზღვის გავლით მოდიან სომხითის სამეფოში.**

ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ - **„ეფესო** ძვ. ბერძნული ქალაქი(ა) მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. მითიური გადმოცემით, ამორძალებს დაუარსებიათ, შემდეგ ეფესოში კარიელები და ლელეგები ცხოვრობდნენ. ძვ. წ. XII ს. დასასრულისათვის იონიელები დასახლდნენ. ეფესო დიდი სავაჭრო - ხელოსნური ცენტრი იყო... ელინისტურ ხანაში ეფესო აშენდა და გაძლიერდა როგორც მნიშვნელოვანი ქალაქი-ნავსადგური, რომის პერიოდში მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქი გახდა. ეფესოში იყო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული თემი...“ **(ქ. ს. ე. ტ. 4: 245).**

მოდით ეხლა ვნახოთ, თუ როგორაა წმ. ნინოს ლტოლვილობა აღწერილი **„ქართლის ცხოვრებაში“** – „...წარემართა წმიდა ნინო დედაკაცისა მის თანა, ეფესოთ მოსრულისა... პოვეს მუნ დედოფალი ვინმე მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძუძე მისი გაიანე... და იყო მათ თანა წმიდა ნინო ორ წელ...“, - მიზეზთა გამო ისინი დააპირებენ დატოვონ ქალაქი ეფესო - „... და ერთობით განზრახვითა ურთიერთას ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად ორმოცდაცამეტმან სულმან და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა...“ **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 80-82).**

აღნიშნული ცნობა დაცულია **არსენ ბერისეულ** „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციაშიც - „...წარმოვიდა დედაკაცისა მისთანა ეფესელისა... და წარიყვანა მისთანა ღირსი ნინოჲ და იყოფებოდა ორ წელიწად სახლსა შინა მისსა მისთანა და კეთილად ჰმოძღურიდა და ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუჳნისა იესოჳ ქრისტესთა, რომლისა სახელისათჳს იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და გაჲანე აღმზრდელი მისი და სხუანი

იგი ერგასისნი სულნი... მისთანა და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სომხითსა...“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

წმ. ნინოს ლტოლვილობის შესახებ **XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია,** ასეთ ინფორმაციას გვაწვდის - „...და ესე რაჲ განიზრახეს, მას ღამესა მეოტ იქმნნეს და მათ თანა იყვნეს სხუანიცა სახლეულნი დედანი, რომელთა რიფსიმესვე თანა ნათელ ეღო, და ღირსიცა ესე წმიდაჲ ნინო მათ თანავე მეოტ იქმნა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220).**

წინამდებარე საუბრის დასასრულამდე მოდით გავიხსენოთ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობები და ვნახოთ - რომის იმპერიის რომელ სტრუქტურულ ნაწილში იყო გაერთიანებული ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიული პუნქტები:

„...იმ დროისათვის რომის იმპერია იყოფოდა 4 პრეფექტურად, 12 დიოცეზად და 100 (შემდგომში მეტ) პროვინციად. I - პრეფექტურა - აღმოსავლეთის პრეფექტურა იყო. იგი 4 დიოცეზს მოიცავდა: **1. აღმოსავლეთის დიოცეზი,** მთავარი ქალაქი - ანტიოქია. მასში შედიოდა: არაბეთი, სირია, პალესტინა, ფინიკია, კილიკია, ისავრია, კვიპროსი და ეგვიპტე. **2. პონტოს დიოცეზი,** მთავარი ქალაქი კაბადოკიის კესარია, მოიცავდა ჩრდილო, შუა და აღმოსავლეთ მცირე აზიას, სომხეთის ჩათვლით. **3. აზიის დიოცეზი,** მთავარი ქალაქი - ეფესო, მასში შედიოდა დასავლეთი მცირე აზია და მიმდებარე ეგეოსის ზღვის კუნძულები. **4. თრაკიის დიოცეზი,** მთავარი ქალაქი - ჰერაკლეა, მოიცავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილს...“ **(ეკალაძე 2001: 11).**

ყოველივე ზემოთაღნიშნული შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ წმ. ნინო - ქ. იერუსალიმიდან, რომელიც აღმოსავლეთის დიოცეზიაშია, ჩადის - ქ. ეფესოში, რომელიც თავის მხრივ აზიის დიოცეზიის მთავარი ქალაქია და იქ რჩება - 2 წელი. ამის შემდეგ, გარკვეულ მიზეზთა გამო, წმ. ნინო და მასთან მყოფნი გაიქცევიან - ზღვის გავლით, და შემდეგ უკვე სახმელეთო გზით ჩადიან, პონტოს დიოცეზიაში შემავალ - სომხითში.

2) „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კალენდარული ათვლის ზოგიერთი საკითხისათვის, ანუ ლტოლვილობის დაწყების თვე და რიცხვი

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან მხოლოდ - „მოქცევაჲ ქართლისაჲა“, რომელიც წმ. ნინოს და მასთან მყოფების ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყების კონკრეტულ დროს გვითითებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძჱ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით **თთუესა პირველსა ათხუთმეტსა** და გამოვედით არეთა სომხითისათა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115)**. მაშასადამე, წმ. ნინო ქ. ეფესოდან - პირველი თვის მე-15 დღეს წამოსულა. საუბრის გაგრძელებამდე მოდით გავერკვეთ, თუ რომელ თვეზე უნდა მიანიშნებდეს აღნიშნული ციტატა. თუმცა, აქვე, ერთიც უნდა გავიხსენოთ.

ვახტანგ გოილაძე თავის კვლევაში - „წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დათარიღება“, აღნიშნავს - „...ნინოს ქართლში შემოსვლის დასათრიღებლად უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია მითითება იმპერიიდან ლტოლვილთა „თთუესა პირველსა ათხუთმეტსა“ წამოსვლისა და „თთუესა პირველსა ოცდაათსა“ სომხეთში მათი სიკვდილით დასჯის თაობაზე, ვფიქრობ, სწორედ ეს ცნობაა „ცხოვრებაში“ ქართლის ცხოვრების თანადროული. ეს უნიკალური მითითება, ნინოს ქართლში მოსვლისა და ქართლის მოქცევის დასათარიღებლად დღემდე არ ყოფილა გამოყენებული...“ **(გოილაძე 1986: 152).** ჩვენი წინამდებარე თხრობაც, სწორედ ზემოთქმულზე დაყრდნობით, თუმცა ვახტანგ გოილაძის მსჯელობისაგან განსხვავებულ ხედვის კუთხეზე იქნება აგებული.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, სხვა მრავალ საკითხთა შორის, ამა თუ იმ თარიღზე მიმანიშნებელ ინფორმაციებსაც გვაწვდიან. აქვე უნდა ითქვას, რომ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ - გარკვეული კალენდარული ათვლის სისტემაა დაცული, რომლის არსში გარკვევაც, თავის მხრივ, საჭირო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

უშუალოდ ჩვენი თემის საკითხის განხილვამდე, მოდით ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნებში - პირველ თვესთან, ანუ ახალი წლის დაწყებასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

ა) ახალი წლის ათვლის საკითხისათვის

კაცობრიობის ისტორიას წელთაღრიცხვის უამრავი სისტემა ახსოვს, რომელიც ამა თუ იმ ერის მიერ, სხვადასხვა დროსა და გარემოშია შექმნილი.

საუკუნეების მანძილზე, მთვარისა და მზის ფაზებზე დაყრდნობით შექმნილი კალენდრების უნიკალურობას - დღეების, კვირეებისა და თვეების რაოდენობა და

ურთიერთგანლაგება, აგრეთვე კალენდარული სისტემის - ათვლის წერტილის სხვადასხვაობაც განაპირობებდა.

ჩვენი საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, მოდით ვნახოთ, თუ რომელი თვიდან იწყებოდა სხვადასხვა ერის მიერ შედგენილ კალენდარში ახალი წელი.

ამ კუთხით თავისებურია **შუამდინარეთში** მცხოვრებ ხალხთა ჩვეულება, რომელიც სხვა კალენდართან შედარებით წელიწადის ყველაზე უცნაურ გაგებას ეყრდნობოდა - „...შორეულ წარსულში, „წარღვნამდე“, შუამდინარეთში ჯერ კიდევ ხმარებაში არ იყო არც მთვარისა და არც მზის 12-თვიანი კალენდარული წელიწადი. წელიწადად ითვლებოდა - მთვარის ერთი ახალმთვარობიდან მეორე ახალმთვარობამდე გასული დროის მონაკვეთი, რაც დაახლოებით 30 დღე-ღამეს უდრის. დღე-ღამის ათვლას კი ბაბილონელები იწყებდნენ არა - შუაღამიდან, როგორც ჩვენში, არამედ - საღამოდან, ამიტომ თვეც იწყებოდა იმ დღის საღამოდან, როცა მზის ჩასვლის შემდეგ პირველად გამოჩნდებოდა ნამგალა მთვარის ვიწრო ზოლი...“ **(კოპალეიშვილი 1991: 16).**

ამის პარალელურად - „**...შუმერულ-აქადური** მთვარის კალენდრით ყოველი წელიწადი იწყებოდა ნისანუს თვით. ეს ის თვე იყო, როცა თვის პირველი რიცხვიდან მდ. ტიგროსის წყლით ავსება უნდა დაწყებულიყო...“ **(კოპალეიშვილი 1991: 17);** „...მხოლოდ ძვ.წ. VI საუკუნეში **ქალდეველმა** ქურუმ-ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მთვარის კალენდარი 11,25 დღე-ღამით ნაკლები იყო, ვიდრე მზის ჭეშმარიტი წელიწადი... დაახლოებით ძვ. წ. 380 წელს **ბაბილონეთში** შემოღებულ იქნა ე.წ. მეტონის 19 წლიანი ციკლი... ამჯერად მზე-მთვარის წელიწადი იწყებოდა გაზაფხულის დღეღამტოლობის პირველი ახალმთვარობიდან, ე.ი. 22 მარტიდან 20 აპრილამდე გრიგოლის კალენდრის მიხედვით...“ **(კოპალეიშვილი 1991: 21).**

მაშასადამე, ბაბილონური კალენდრის მიხედვით, თავდაპირველად, ახალი წელი იწყებოდა - ნისანუს თვიდან, რომელიც დღევანდელ მარტი-აპრილის თვეებს შეესაბამება. ძვ. წ. IV ს-დან წელიწადი იწყებოდა 22 მარტიდან - 20 აპრილილამდე არსებულ გაზაფხულის დღეღამტოლობის პირველი ახალმთვარეობიდან.

აღნიშნულისაგან განსხვავებით **ეგვიპტეში** წელთაღრიცხვის ათვლა სხვაგვარად ხდებოდა, რაც ამ ქვეყნის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარეობდა. ეგვიპტეში ახალი წელი 19 ივლისიდან იწყებოდა, ანუ როცა მდ. ნილოსი ადიდდებოდა - „...კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე ეგვიპტეში მზის კალენდრის პირველად

შემოღება განაპირობა ქურუმ-ასტრონომების მიერ ეგვიპტის მარჩენალი მდინარე ნილოსისა და ვარსკვლავ სოტისის, ანუ სირიუსის (დიდი ქოფაკის თანავარსკლავედში), ქცევათა შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენამ...“ **(კოპალეიშვილი 1991: 23).**

თავისებურობით გამოირჩეოდა **რომაული კალენდარიც.** თავიდან რომაული კალენ-დრით - „...წელიწადი იწყებოდა დაახლოებით გაზაფხულის, დღეღამტოლობამდე...“ **(კოპალეიშვილი 1991: 31).** ძვ. წ. I ს-იდან კი წელიწადის პირველ თვედ დასახელდა - „...არა მარტი, არამედ იანვარი, რადგან ჯერ კიდევ ძვ. წ. 153 წლიდან რომში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ახლად არჩეული კონსულები მოვალეობის შესრულებას 1 იანვრი-დან შედგომოდნენ...“ **(კოპალეიშვილი 1991: 34).** ამდენად, **რომაელები წელიწადის ათვლას ჯერ - მარტიდან, ხოლო მოგვიანებით კი - 1 იანვრიდან იწყებდნენ.**

კალენდარული ათვლის სისტემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა **საბერძნეთი** - „...საბერძნეთის თითოეულ პოლისს 12 თვიანი კალენდარი ჰქონდა, მაგრამ კალენდა-რული წელიწადის ათვლა სხვადასხვა დროიდან ხდებოდა. მაგალითად, ათენსა და დელფოსში წელიწადი იწყებოდა ზამთრის მზებუდობის პირველი ახალმთვარეობიდან; თებეში - ზამთრის მზებუდობიდან; ქ. იოსში - გაზაფხულის დღეღამტოლობიდან; სპარტაში, მილეტში, როდოსისა და კრეტის კუნძულებზე - შემოდგომის დღეღამტო-ლობიდან და ა.შ. ახალი წლის დაწყების სხვადასხვაობა კი, ალბათ, გამოწვეული იყო ადგილობრივი და ბუნებრივი ფაქტორებით.

მაშასადამე, საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში ახალი წელი სხვადასხვა დროს, კერძოდ - ზამთრის მზებუდობის პირველი ახალმთვარიდან, უშუალოდ ზამთრის მზებუდობიდან, გაზაფხულის დღეღამტოლობიდან და შემოდგომის დღეღამტო-ლობიდან იწყებოდა.

თავიანთი კალენდარი ჰქონდათ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქნელ **ჩინელებსაც** - „...შორეულ წარსულში ჩინელმა ასტრონომებმა შეადგინეს კალენდარი „მთვარის განრიგის მიხედვით“. კალენდარული წელიწადი იწყებოდა ახალმთვარეობით, რომელიც წინ უსწრებდა მზის შესვლას მერწყულის თანა-ვარსკვლავედში, ეს კი ემთხვეოდა იანვარ-თებერვალს...“ **(კოპალეიშვილი 1991: 47).** ამდენად, **ჩინელები ახალი წლის ათვლას იანვარ-თებერვლის თვიდან იწყებდნენ.**

თავისებური კალენდარული ათვლის სისტემა ჰქონდათ **მაიას ტომის** წარმომად-გენლებსაც - „...ლანდას წიგნის მიხედვით წელიწადი იწყებოდა 16 ივლისიდან და ამ

დღეს ესადაგებოდა წელიწადის პირველი თვის - პოპის პირველი დღე - იმიში...“ **(კოპალეიშვილი 1991: 64).** მაშასადამე, **მაიას სახელმწიფოში ახალი წელი - 16 ივლისიდან იწყებოდა.**

კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეპოქის შემქმნელები **არაბები,** უძველესი დროიდან ფლობდნენ კალენდარულ ათვლის სისტემას - „...შორეულ წარსულში წარმართ არაბებს ჰქონდათ მთვარის კალენდარი. ამ კალენდრით წელიწადი იწყებოდა ადრეულ გაზაფხულზე. შემდგომ ხმარებაში შემოღებულ იქნა ბაბილონის კალენდრის მსგავსი მზე-მთვარის კალენდარი. მაგრამ VII ს-ში არაბებს შორის გავრცელდა ახალი რელიგია - ისლამი (მუსლიმანობა). მისი მამამთავარი იყო მუჰამედი (მაჰომეტი). მან ალაჰი გამოაცხადა ერთადერთ ღმერთად, ხოლო თავისი თავი მის მოციქულად და წინასწარმეტყველად. ცხადია მუჰამედს თავისი მიმდევრები ეყოლე-ბოდა, მაგრამ მტრებიც ბევრი ჰყვადა. მან შეიტყო, რომ თავდასხმას უპირებდნენ და 622 წ. 16 ივლისს სავაჭრო ქალაქ მექადან მედინაში გაიქცა. გაქცევის - ჰიჯრის დღე გახდა მუსლიმანებისათვის ახალი ერის დასაწყისი და არაბები ამ თარიღიდან აწარმოებენ წელთაღრიცხვას...“ **(კოპალეიშვილი 1991: 74-75)** ამდენად, **არაბები ახალი წელიწადის ათვლას 16 ივლისიდან იწყებენ.**

1) ებრაული კალენდრის ზოგიერთი თავისებურებანი

ჩვენი თემატიკიდან გამომდინარე, მოდით შედარებით უფრო ვრცლად შევეხოთ ებრაულ კალენდართან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს.

ებრაელთა კალენდარი ერთ-ერთი ყველაზე უძველესი კალენდარია კაცობრიობის ისტორიაში. მათი საცხოვრისი - „...ქანაანი მდებარეობდა აღმოსავლეთისა და დასავ-ლეთის საზღვაო და საქარავნო გზების შესაყარზე, ამიტომ მისი დაპყრობით დაინტე-რესებულნი იყვნენ ეგვიპტელები და ბაბილონელები, სპარსელები და ასირიელები, ბერძნები და რომაელები...“ **(კოპალეიშვილი 1991: 69).**

როგორც ისტორიოგრაფიიდანაა ცნობილი ებრაელები ხშირად ყოფილან გადა-სახლების მსხვერპლნი. ამას კი, არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინა მათ კულტურაზე. ასეთი გავლენა აისახა ებრაულ კალენდარზეც - „...უძველესი ებრაული კალენდარი ტიპიური მთვარის კალენდარი გახლდათ. წელიწადი შეიცავდა 354 დღეს, იგი დაყოფილი იყო 12 თვედ, კენტ ადგილზე მყოფი თვე 30, ხოლო ლუწ ადგილზე

მყოფი - 29 დღეს შეიცავდა...“ **(კოპალეიშვილი 1991: 68).** თუმცა აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ - „...მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უძველესი ებრაელები იყენებდნენ ეგვიპტურ კალენდარსაც, სადაც ყოველ თვეში, 30 დღე იყო...“ **(კოპალეიშვილი 1991: 68).** თავის მხრივ ეს ვარაუდი დამყარებულია ბიბლიურ ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ებრაელები ქანანიდან გადასახლდნენ ეგვიპტეში, სადაც ისინი ეგვიპტელმა ფარაონებმა დაიმონეს და მხოლოდ ძვ. წ. XXIII ს-ში შეძლეს, მოსე წინასწარმეტყველის ხელმძღვანელობით ეგვიპტელთა ტყვეობიდან თავის დაღწევა.

ებრაულმა კალენდარმა, სხვა კალენდრების მსგავსად, მრავალჯერ განიცადა ცვლილება. თავდაპირველად ებრაელთა ახალი წელი ბიბლიისეულ ათვლას ემყარებოდა, რომლის თანახმადაც - **„...ებრაელთა ახალი წლის ათვლა იწყება მარტიდან** - „...დღეს გამოდიხართ - გაზაფხულის თვეში“ (გამ.13,4), ანუ ესაა ებრაელი ერის ეგვიპტის ქვეყნიდან გამოსვლის თვე - „უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: თვეთა დასაბამი იყო თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში“-ო (გამ.12,1-2)...“ **(სალუაშვილი 2005: 7).**

მიუხედავად ბიბლიური მინიშნებისა, მიზეზთა გამო, ებრაულმა კალენდარმა მოგვიანებით ცვლილება განიცადა და - „...ძვ წ.-ის II ს-ის დასაწყისში ახალი წელიწადი გადატანილი იქნა წელიწადის თიშრის თვის პირველი რიცხვის 5 სთ-სა და 204 ჰეკელზე, რომელიც ახლო იყო შემოდგომის დღეღამტოლობასთან (5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე იერუსალიმის მერიდიანის მიხედვით), რაც ფაქტობრივად ესადაგება იულიუსის კალენდრის 6 ოქტომბრის ღამის 11 საათსა და 11 წთ-ს. ამრიგად, **წელიწადის პირველი თვე გახდა - თიშრი,** ხოლო მე-12-ე კი ელული...“ **(კოპალეიშვილი 1991: 70).**

ბიბლიისეული მინიშნების თანახმად წელიწადის პირველ თვედ - მარტის, ანუ - ნისანის აღების შემთხვევაში, მე-12 თვე ადარი იყო - „პირველ თვეს, ანუ ნისანის თვეში, მეფე ახაშვერონის მეთორმეტე წელს, დაიწყეს ფურის, ანუ წილის ყრა ჰამანის თვალწინ და ყრიდნენ წილს დღიდან დღემდე და თვიდან თვემდე, თორმეტ თვეს, ანუ ადარის თვემდე“ **(ესთ. 3,7).**

ბიბლიაში მინიშნებული კალენდარული ათვლის მორიგ სახეცვლილებას, საფუძველი დაუდო, რომაელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, ებრაელთა სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტვის ფაქტმა - „...სხვადასხვა ქვეყნებში გახიზნულმა ებრაელებმა შექმნეს საკუთარი კულტურული ცენტრები - სინაგოგები, რომლებიც

დიასპორებად მყოფი ებრაელების თავშეყრის ადგილად გადაიქცა. სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ებრაელებს ცხადია ვერ დააკმაყოფილებდა ის კალენდარი, რომელიც მთლიანად ცის თაღზე მთვარის ხილულ მდებარეობაზე იყო დამყარებული, რადგან იგი ბევრადაა დამოკიდებული, როგორც გეოგრაფიულ კოორდინატებზე, ისე - წელიწადის დროზე, ამიტომ საჭირო გახდა შექმნილიყო ისეთი კალენდარი, რომელიც ცის თაღზე მთვარის ადგილმდებარეობაზე კი არ იქნებოდა დამოკიდებული, არამედ - მხოლოდ მეცნიერულ გაანგარიშებას დაემყარებოდა. ასეთი კალენდრის შემუშავებას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა და იგი დამთავრდა V საუკუნის ბოლოს - 499 წელს...“ **(კოპალეიშვილი 1991: 71).**

ბიბლიისეული მინიშნების საპირისპიროდ ე. წ. მეცნიერული გაანგარიშების შემოღების შედეგად - „...შექმნილი იქნა კალენდარული წელიწადის ექვსი სხვადასხვა ვარიანტი... ებრაული მზე-მთვარის კალენდარული სისტემის ექვსივე ვარიანტი, გრიგოლის კალენდრის პარალელურად, ისრაელის სახელმწიფოში დღესაც აღიარებულია სახელმწიფოს ოფიციალურ კალენდრად... ეს გამოწვეულია იმ რელიგიური მოტივებით, რომლებსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი ებრაელთა შორის.

მათი აზრით, **ახალი წლის დასაწყისად არ შეიძლება იყოს კვირა, ოთხშაბათი და პარასკევი,** იმ შემთხვევაში, თუ ახალი კალენდარული წელიწადის პირველი დღე ემთხვევა ზემოთაღნიშნულ სამ დღეს, მაშინ ახალი წლის საწყისი დღე გადააქვთ მომდევნო დღეს ან ორი დღით წინ. გარდა ამისა, თუ თიშრის თვეში ახალმთვარეობა დადგება 18 სთ-ის შემდეგ, მაშინ ახალი წელი გადაიტანება მომდევნო დღეზე, მაგრამ თუ ეს მომდევნო დღე აღმოჩნდება კვირა, ოთხშაბათი ან პარასკევი, მაშინ ახალი წელი გადაიტანება კიდევ ერთი დღე-ღამით...“ **(კოპალეიშვილი 1991: 71-72).**

ებრაელი კალენდრის ღირსება-ნაკლოვანებებზე საუბარი ჩვენი თემატიკის ფარგლებს სცილდება, ზემოთთქმული კი მხოლოდ იმისათვის გავიხსენეთ, რათა აღგვნიშნა, თუ როგორ - „...დაარღვიეს ებრაელებმა, ღმერთის მიერ მათთვის დადგენილი - ახალი წლის მარტის თვიდან ათვლა და გადავიდნენ ახალი წლის სექტემბრიდან ათვლაზე...“ **(სალუაშვილი 2005: 7).** მიუხედავად ამისა - „...თვეების ათვლა ძველებურად ნისანიდან (მარტი/აპრილი) იწყებოდა...“ **(ალექსანდერი 1998: 120).**

2) დასკვნა

კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვრის კალენდარულ ათვლის სიტემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ჩვენ მოკლედ შევეხეთ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ახალი წლის დაწყების თარიღებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ზემოთქმულს თუ შევაჯერეთ, ასეთი ზოგადი სურათი იხატება:

- ბაბილონური კალენდრის მიხედვით თავდაპირველად ახალი წელი ნისანუს თვიდან იწყებოდა, რომელიც დღევანდელი: მარტი-აპრილის თვეს შეესაბამება. ძვ. წ. IVს-დან წელიწადი იწყებოდა 22 მარტიდან - 20 აპრილამდე არსებული გაზაფხულის დღეღამტოლობის პირველი ახალმთვარეობიდან;

- 19 ივლისიდან იღებდა სათავეს ეგვიპტური ახალი წელი, რაც თავის მხრივ მდ. ნილოსის ადიდებასთან იყო დაკავშირებული;

- რომაული კალენდრის მიხედვით, თავდაპირველად ახალი წელი მარტის თვიდან იღებდა სათავეს. ძვ. წ. I ს-ში ჩატარებული რეფორმის შემდეგ კი ახალი წლის აღნიშვნა 1 იანვრიდან დაიწყო, რადგანაც მანამდე არსებული ტრადიციის მიხედვით, კონსულები თავისი მოღვაწეობის შესრულებას - 1 იანვრიდან იწყებდნენ;

- სხვადასხვა კალენდარული ათვლის სისტემა მუშაობდა საბერძნეთის პოლისებში. წელიწადის ათვლა, ზოგან - ზამთრის მზებუდობის პირველი ახალმთვარეობიდან, ზოგან - ზამთრის მზებუდობის, ზოგან - გაზაფხულის დღეღამტოლობიდან, და ზოგან კი - შემოდგომის დღეღამტოლობიდან იწყებოდა;

- ჩინელების მიერ შედგენილი კალენდრის მიხედვით, ახალი წლის დაწყება - „მთვარის განრიგის“ მიხედვით განისაზღვრებოდა. რომელიც: იანვარ-თებერვალზე მოდიოდა;

- მაიას სახელმწიფოს შექმნელი ტომებისათვის ახალი წელი 16 ივლისიდან იწყებოდა და მათთვის ეს იყო პირველი დღე - „იმიში“;

- არაბებისათვის ახალი წელი 16 ივლისიდან იღებდა სათავეს, რაც დაკავშირებული იყო 622 წელს მუჰამედის ქ. მექადან მედინაში გაქცევასთან;

- და ბოლოს, ებრაელებისათვის თავდაპირველად ბიბლიური შესაბამისობიდან გამომდინარე კალენდრის ათვლა - მარტის თვიდან იწყებოდა; ხოლო ძვ. წ. II ს-ში ჩატარებული რეფორმის შემდეგ კი ახალი წელი სექტემბრის თვიდან იღებდა სათავეს.

ებრაული კალენდრის მიხედვით, თავდაპირველად ახალი წლის პირველ თვეს - ნისანი ერქვა. მოგვიანებით ჩატარებული კალენდარული რეფორმის შემდეგ კი ახალი წლის პირველ თვედ - თიშრი დასახელდა (19 სექტემბრიდან - 18 ოქტომბრამდე) **(იხ. კოპალეიშვილი 1991: 68-72).** თუმცა, ამის მიუხედავად - „...თვეების ათვლა ძველებურად ნისანიდან (მარტი/აპრილი) იწყებოდა...“ **(ალექსანდერი 1998: 120).**

ბ) ქართული წყაროსეული მინიშნებანი

ქართული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „...წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან მხოლოდ - „მოქცევაჲ ქართლისაჲა“ რომელიც წმ. ნინოს და მასთან მყოფების ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყების კონკრეტულ დროს გვითითებს...“ **(სალუაშვილი 2010ბ: 13).**

ქართული ისტორიოგრაფიის უძველეს ძეგლად მიჩნეული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დღესდღეობით აღმოჩენილი ხელნაწერებიდან - „...ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ოთხი რედაქცია: შატბერდული (X ს-ის 70-იანი წ.), ჭელიშური (XIV-XV ს.ს.), სინური (SIN-48 - X ს., SIN -50 - X ს-ის I ნახევარი) რედაქციები...“ **(ალექსიძე 2007: 5).**

საუბრის გაგრძელებამდე უნდა აღინიშნოს, რომ **SIN-48** რედაქციის ტექსტის ნაკლულოვანებისა გამო, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია მხოლოდ: **SIN-50, შატ-ბერდულ** და **ჭელიშურ** ხელნაწერებშია დაცული. თავად ამ წყაროებისეულ ინფორ-მაციებს შორის შეიმჩნევა განსხვავებანიც, კერძოდ:

შატბერდული რედაქცია თითქმის იდენტურად იმეორებს **SIN-50**-ისეულ ინფორმაციას - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძე და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით **თთუესა პირველსა ათხუთმეტსა** და გამოვედით არეთა სომხი-თისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლინეს მუნ **თთუესსა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115);**

აღნიშნულისაგან განსხვავებით კი **ჭელიშური რედაქცია** არაფერს ამბობს ქ. ეფესოდან ლტოლვილთა წამოსვლის რიცხვზე და მხოლოდ რიფსიმიანთა წამების კონკრეტული თვისა და დღის მითითებით შემოიფარგლება - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძე მისი, ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით და გამოვედით არეთა სომხითისა, სამოთხესა მას შინა თრდატ მეფისასა. იგინი იმარტვილნეს მასვე **თვესა პირველსა, დღესა პარასკევსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

ზემოთგანხილული ტექსტიდან, როგორც ვხედავთ, არ გვიკონკრეტდება თუ წელიწადის რომელ თვეს შეესაბამება აქ დასახელებული პირველი თვე. ამაში გასარკვევად მოდით კვლავ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არსებულ ცნობებს ჩავეძიოთ.

მომდევნო მინიშნება, რომელიც ჩვენს მიერ განსახილველი საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება, შეეხება წმ. ნინოს - ქართლის სამეფოში, კერძოდ კი ჯავახეთში, შემოსვლასთან დაკავშირებულ ცნობას. აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სამივე რედაქცია ერთნაირ ცნობებს გვაწვდის, კერძოდ - „...და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა. და **თთუესა მეოთხესა** წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61-62; აბულაძე 1963: 115). (იხ. აგრეთვე ალექსიძე 2007: 34).**

როგორც ვხედავთ, აქაც, ღია მინიშნება იმის თაობაზე, თუ წელიწადის რომელ თვეს შეესაბამება აქ მოცემული - მეოთხე თვე, არ არის დაცული.

განსახილველი საკითხის გარკვევისათვის, ჩვენის აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანია წმ. ნინოს მიერ კერპების მსხვრევასთან დკავშირებით დაცული ერთი ასეთი მინიშნება. კერძოდ, **შატბერდულ რედაქციაში** ვკითხულობთ - „...მაშინ მე მუნ ვიყავი, რამეთუ **დღე იყო მეექუსე თთჳისაჲ** მის, ოდეს იგი ევმანუველ თაბორს მამისა ხატი აჩუენა თავთა მათ ცხოველთა და თავთა მათ მიცვალებულთა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122).**

მაშასადამე, აღნიშნულით გვეუწყება, რომ კერპების მსხვრევა მომხდარა - „...ოდეს იგი ევმანუველ თაბორს მამისა ხატი აჩუენა...“, ანუ ფერისცვალება დღეს, თუმცა რიცხვის - „დღე იყო მეექუსე“-ს მითითების გარდა, კონკრეტული თვის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

შატბერდულისაგან განსხვავებით: **SIN-50** და **ჭელიშურ რედაქციებში** კერპების მსხვრევის კონკრეტული თვის მითითებაცაა მოცემული - „...მაშინ მე მანდა ვიყავ, რამეთუ **თუე იყო მეექუსე და დღე იყო მეექუსე თვისა მის** ეგრეთვე, ოდეს - იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი უჩუენა თავთა მათ ცოცხალთა და თავთა მათ მომკუდართა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122).**

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გვიკონკრეტდება ორი რამ: პირველი ის, რომ - წმ. ნინოს ლოცვით კერპების მსხვრევა მომხდარა: **„მეექუსე თვის...მეექუსე დღეს“,** და მეორე - ეს ყველაფერი მაცხოვრის ფერისცვალება დღეს აღსრულებულა.

როგორც ვხედავთ, არც აქ არის დაკონკრეტებული თუ წელიწადის რომელი თვეა აქ მოცემული - „თუე იყო მეექუსე“, სამაგიეროდ ამოსავალი წერტილად გამოდგება - მაცხოვრის ფერისცვალებასთან დაკავშირებული მინიშნება.

როგორც ცნობილია - **„ფერისცვალება**, ქრისტეს სასწაულებრივი ფერისცვალების აღსანიშნავი დღესასწაულია(ა), რომელიც იმართება **6(19) აგვისტოს.** თანახმად სახარებისა (მათე XVII, 1-13; მარკოზი IX, 1-12; ლუკა IX, 28-36), ქრისტემ წაიყვანა თავისი მოწაფეები თაბორის... მთაზე და გამოეცხადა ნათლითმოსილი, ღვთაებრივი სახით. ეს დღესასწაული უკვე არსებობდა IV ს-ში. კონსტანტინე დიდის დედას, წმ. ელენეს, თაბორის მთაზე აუგია ფერისცვალების მონასტერი. ამ თემაზე შუა საუკუნეების ქრისტიანი მწერლები ქმნიდნენ ჰიმნებს. მართლმადიდებლური ეკლესია ფერისცვალებას იმთავითვე დღესასწაულობდა, დასავლეთის ეკლესიაში კი იგი მხოლოდ 1457 წლიდან პაპ კალიქსტუს III-ის ბრძანებით იქცა საყოველთაო დღესასწაულად...“ **(სურგულაძე 1986: 265).**

მაშასადამე, თუ დავეყრდნობით, ფერისცვალების თარიღის **6(19) აგვისტოს,** მაშინ უკვე გასაგები გახდება, თუ - წელიწადის რომელი თვეები უნდა იგულისხმებოდეს ზემოთთქმულ: **„პირველ“, „მეოთხე“** და **„მეექუსე“** თვეებში: მაცხოვრის ფერისცვალების თვე - **აგვისტო,** ქართველი მემატიანის ათვლით, თუ რიგით - **„მეექუსე“** თვეა, მაშინ შესაბამისად: **პირველი თვე - მარტი,** ხოლო **მეოთხე თვე - ივნისი** გამოდის.

ამდენად, ყოვლივე ზემოთქმულის შეჯერებით, ასეთი სურათი იხატება: წმ. ნინოს ლტოლვილობა დაწყებულა - **„პირველ“, ანუ მარტის თვეში;** ქართლის სამეფოში მისი შემოსვლა მომხდარა - **„მეოთხე“, ანუ - ივნისის თვეში;** ხოლო წმ. ნინოს ლოცვითა და ღმრთის განგებულებით მცხეთაში მდგარი კერპები - **„მეექუსე“, ანუ - აგვისტოს თვეში** დამსხვრეულა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ სხვა რედაქციებიდან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული. ოღონდ ერთი განსხვავებით - „ქართლის ცხოვრებაში“ წმ. ნინოს ლტოლვილობის თვესთან დაკავშირებით არანაირი კონკრეტული მინიშნება არაა მოცემული.

ქართლის სამეფოში წმ. ნინოს შემოსვლის თაობაზე ლეონტი მროველი ასე იუწყებს - „...და წარმოვიდა, მუნით წმიდა ნინო და მოვიდა ორბანთად, საზღვართა სომხითისათა,

და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა. და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

ს. ყაუხჩიშვილის მიერ იქვე მინიშნებულია, რომ ზოგიერთ ხელნაწერში, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე იკითხება - **„... მეოთხესა** AC, **მეოთხესა + მარტითგან** cet...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

მაშასადამე, „ქართლის ცხოვრებაში“ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლასთან დაკავშირებით არა მარტო - ივნისის თვეზეა მინიშნება, არამედ ღიადაა მითითება იმის თაობაზეც, რომ ეს **ივნისი მარტიდან ათვლით მეოთხე თვეა - „მეოთხესა + მარტითგან“.**

„ქართლის ცხოვრებაში“, წმ. ნინოს ლოცვითა და ღვთის განგებულებით მცხეთაში კერპების მსხვრევასთან დაკავშირებით, ასეთი ინფორმაციაა - „...ხოლო ოდეს იქმნა ესე, ჟამი იყო მეექუსე, და **დღე მეექუსე და თვსა მის,** ოდეს იგი ევმანოელ თაბორს მამისა ხატი უჩუენა თავთა მათ მოწაფეთა და თავთა მათ წინასწარმეტყველთა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).**

ზოგიერთ ხელნაწერში, აღნიშნული ინფორმაცია კიდევ უფრო გვიკონკრეტდება და გვეუწყება, რომ - „...იყო **თუე მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი (აგჳსიტოსი),** და დღე მეექუსე, რომელსა შინა ფერი იცუალა ქრისტემან წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყველთა და მოწაფეთა თვისთასა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).**

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ - „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეები „წმ. ნინოს ცხოვრებასთან“ დაკავშირებული ინფორმაციების აღწერისას ეყრდნობიან იმ კალენდარულ ათვლის სისტემას, რომლის მიხედვითაც **წელთა აღრიცხვა - მარტის თვიდან ხდება.**

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო მოვლენების ზოგადი ქრონოლოგია ასეთია: წმ. ნინოს ქ. ეფესოდან ლტოლვილობა და სომხითში რიფსიმიანთა წამება - პირველ, ანუ მარტის თვეში მომხდარა; წმ. ნინო ქართლის სამეფოში შემოსულა - მარტის თვიდან ათვლით: „თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85);** ხოლო კერპების მსხვრევისას კი - „იყო თუე მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი (აგჳსტოსი)“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).**

გ) „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კალენდარული ათვლის საკითხისათვის

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მოდით შევეცადოთ გავერკვეთ იმაში, თუ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული მარტის თვის კალენდარული სისტემა, კონკრეტულად რომელი რიცხვიდან უნდა იღებდეს სათავეს. ამისათვის ამოსავალ წერტილად გვესახება ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაცია კერპების მსხვრევასთან დაკავშირებით. თავისთავად ცხადია, რომ **„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ გამოყენებულია მარტის თვის ისეთი კალენდარი, რომლის მიხედვითაც „მეექუსე თვის მეექუსე დღე“, მაცხოვრის ფერისცვალების დღეს - 6 აგვისტოს ემთხვევა.**

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, თავის წელთაღ-რიცხვაში მარტის თვის ათვლას ბაბილონური და ებრაული კალენდარი ეყრდნობოდა.

ბაბილონური კალენდრით წელიწადი შედგებოდა 12 თვისაგან, რომელშიც 6 თვე - 30 დღიანი იყო, ხოლო მომდევნო 6 - 29 დღიანი - „...ქურუმ-ასტრონომებმა ისიც დაად-გინეს, რომ ერთი ახალმთვარეობიდან მეორე ახალმთვარეობამდე გაივლის არა 30, არამედ 29,5 დღე, ამიტომ შემოიღეს მთვარის 12-თვიანი კალენდარული წელიწადი. წელიწადის ლუწ ადგილზე მდგომი 6 თვე იყო 29, ხოლო წელიწადის კენტ ადგილზე მდგომი 6 თვე 30 დღიანი, წელიწადი კი შეიცავდა 354 დღე-ღამეს (29X6 + 30X6=354)...“ **(კოპალეიშვილი 1991: 17).**

თუმცა, აღნიშნული კალენდარი ზუსტად არ ასახავდა მზის ჭეშმარიტი კალენდრის დღეთა რაოდენობას, რის გამოც წელთაღრიცხვაში დაგროვდა ცდომილებანი და „...მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნეში ქალდეველმა ქურუმ-ასტრონომებმა დაადგინეს რომ მთვარის კალენდარი 11,25 დღე-ღამით ნაკლები იყო, ვიდრე მზის ჭეშმარიტი წელი-წადი; მათ გადაწყვიტეს - მთვარის კალენდარი მიესადაგებინათ მზის ჭეშმარიტი კალენდრისათვის და გამოსავალიც იპოვეს. რადგან 8 წლის განმავლობაში მთვარის კალენდარი მზის კალენდარს 90 დღე-ღამით ჩამორჩებოდა (11, 25 X 8 = 90), შემოიღეს 8-წლიანი ციკლი, სადაც II, V და VIII წლებს უმატებდნენ მთვარის მე-13 თვეს.

ამრიგად, მზე-მთვარის 8 კალენდარული წელიწადი შეიცავდა 99 თვეს, ანუ 2922 დღე-ღამეს, ე.ი. იმდენს, რამდენსაც რვა მზის წელიწადში 365,25 დღე-ღამე თითოეულ წელიწადში (2922:8=365,25).

ქალდეურ ბაბილონეთში 8 წლიან ციკლს იყენებდნენ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. დაახლოებით ძვ. წ. 380 წელს ბაბილონეთში შემოღებულ იქნა ე.წ. მეტონის 19 წლიანი ციკლი. აღნიშნული ციკლის თანახმად III, VI, VIII, XI, XIV, XVII, XIX წლებს ე.ი. ციკლის 7 წელიწადს, უმატებდნენ მე-13 თვეს. ამჯერად მზე-მთარის წელიწადი იწყებოდა გაზაფხულის დღეღამტოლობის პირველი ახალმთვარეობიდან ე.ი. 22 მარტიდან 20 აპრილამდე გრიგოლის კალენდრის მიხედვით...“ **(კოპალეიშვილი 1991: 21).**

მოდით ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ **ებრაულ კალენდარსაც,** რომელმაც, როგორც ითქვა, თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე რამდენიმე რეფორმა განიცდა.

ზოგადად - „უძველესი ებრაელი კალენდარი ტიპიური მთვარის კალენდარი გახლდათ. წელიწადი შეიცავდა 354 დღეს, იგი დაყოფილი იყო 12 თვედ, კენტ ადგილზე მყოფი თვე 30, ხოლო ლუწ ადგილზე მყოფი - 29 დღეს შეიცავდა...“ **(კოპალეიშვილი 1991: 68).**

თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ - „...უძველესი ებრაელები იყენებდნენ ეგვიპტურ კალენდარსაც, სადაც ყოველი თვე 30 დღე იყო...“ **(კოპალეიშვილი 1991: 68).** ეს აიხსნება იმით, რომ ებრაელები მანამ სანამ მოსე წინასწარმეტყველის წინამძღოლობით ქანაანის ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ ოთხი საუკუნის მანძილზე ეგვიპტელთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

მოსე წინასწარმეტყველის წინამძღოლობით ეგვიპტის ტყვეობიდან თავდახსნა, ბიბლიური სწავლების მიხედვით - **მარტის თვეში** მომხდარა. ბიბლიაში ვკითხულობთ - „უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: თვეთა დასაბამი იყო თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში“ **(გამ.12,1-2).** აი, სწორედ ასე დაედო საფუძველი ბიბლიისეული მარტის თვის, კალენდრისეულ ათვლას.

როგორც უკვე ითქვა, მიზეზთა გამო, ძვ. წ. VII საუკუნიდან მოყოლებული, ებრაელებმა - „გადაწყვიტეს თავის ქვეყანაში შემოეღოთ ბაბილონში გავრცელებული მზე-მთვარის კალენდარი პერიოდულად მე-13 თვის დამატებით და შვიდდღიანი კვირით“ **(კოპალეიშვილი 1991: 69).**

მოგვიანებით - „ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისში ახალი წელიწადი გადატანილ იქნა წელიწადის თიშრის თვის პირველი რიცხვის 5 სთ-სა და 204 ჰეკელზე, რომელიც ახლოს იყო შემოდგომის დღეღამტოლობასთან (5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე იერუსა-

ლიმის მერიდიანის მიხედვით), რაც ფაქტობრივად ესადაგება იულიუსის კალენდრით 6 ოქტომბრის ღამის 11 საათსა და 11 წთ-ს. ამრიგად, წელიწადის პირველი თვე გახდა თიშრი, მე-12 კი - ელული...“ **(კოპალეიშვილი 1991: 70).** როგორც ვიცით ებრაული კალენდრის რეფორმას საკმაოდ - „ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა და იგი დამთავრდა V ს-ის ბოლოს - 499 წელს...“ **(კოპალეიშვილი 1991: 71).**

ამდენად, ჩვენთვის საძიებელი დროისათვის ებრაელები ახალ წლის ათვლისთვის არა - მარტის, არამედ - სექტემბრის თვიდან დაწყებულ კალენდარულ სისტემას იყენებდნენ. შესაბამისად, მკვლევართა იმ ნაწილის მცდელობა, რომლებიც წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო თარიღის დასადგენად ე.წ. მარტის თვის კალენდარულ სისტემას ეყრდნობიან, თავიდანვე არამართებული დასკვნის გაკეთებისთვისაა განკუთვნილი.

ზემოთქმულის მაგალითად, ბატონი ვახტანგ გოილაძის მიერ ჩატარებული კვლევა გვინდა გავიხსენოთ - „... 303 წელს გაზაფხულის დღეღამსწორობა 21 მარტს მოხდა (კლიმიშინი, გვ.107-108). ამ დღეღამსწორობის შემდეგ, 3 აპრილის საღამოს ახალი მთვარის გამოჩენით ნისანის პირველი დღე დაიწყებოდა.

303 წლის 3 აპრილის საღამოს რომ ახალი მთვარე დადგა, ეს ჩვენ თანამედროვე ასტრონომიული გაანგარიშებიდან ვიცით (ბიკერმანი, გვ.158, ცხრილი). ძველი ქრისტიანები და ებრაელები თუ ასეთივე სიზუსტით განსაზღვრავდნენ მთვარის ახალი ფაზის გამოჩენას (არის ასეთი ვარაუდი: ერმოლაევა, გვ.44, შენ. № 1), მაშინ 303 წლის 3 აპრილის შაბათ საღამოს დაიწყებოდა ნისანის თვე, და იმავე ნისანის 14-ს ახლანდელი კალენდრით 17 აპრილს (იმპერიის აღმ. ნაწილში იმ ხანად მოქმედი ალექსანდრიული ციკლით, 303 წელი იყო დიოკლეტიანეს ერის მე-19 წელი. ამ წელს სავსე მთვარე მართლაც 17 აპრილს იყო, კლიმიშინი, გვ.128, ცხრ. გვ.105), გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდეგ დამდგარ პირველ სავსე მთვარეს ებრაელები პასექს, ხოლო ქრისტიანები აღდგომას იდღესასწაულებდნენ. და ლტოლვილი ქრისტიანები, როგორც ეს „ნინოს ცხოვრებაშია“ მითითებული, აღდგომის მეორე დღეს 15-ში (ახლანდელი კალენდრით 18 აპრილს) იმპერიიდან წამოსულან. იმავე პირველი თვის 30-ში, ახლანდელი კალენდრით 3 მაისს, ისინი უკვე ვაღარშაპატში მოსულან, სადაც თრდატ III სომეხი ლტოლვილები სიკვდილით დასაჯა...“ **(გოილაძე 1986: 156). (იხ. გოილაძე 1998: 37-40).**

იქვე დაცულ შენიშვნაში ბატონი ვახტანგ გოილაძე ბრძანებს - „... თუ 303 წლისათვის ჯერ კიდევ არ იცოდნენ ახალი მთვარის გამოჩენის ზუსტი ათვლა, მაშინ, როგორც ცნობილია, ახალმთვარობის დროს მთვარე ჩვენსკენ გაუნათებელი ნახევარითაა მოქცეული და უხილავია, მისი ხილული რკალი მხოლოდ 1, 2 დღის შემდეგ ჩნდება ცაზე (სტ. მთვარე ქ.ს.ე. ტ. 8) და იგი, თუ 5 აპრილის - ორშაბათ საღამოს დაინახეს, მაშინ ლტოლვილთა დასჯის დღე 303 წლის 5 მაისს - ოთხშაბათ დღეზე მოვა...“ **(გოილაძე 1986: 156). (იხ. გოილაძე 1998: 37-40).**

და მართლაც, ვ. კალანდაძის მიერ შედგენილი „მუდმივი და უნივერსალური კალენდრის“ მიხედვით, ზემოთ მითითებული 303 წლის 3 და 5 მაისი შესაბამისად - ორშაბათ და ოთხშაბათ დღეზე მოდის **(იხ. კალანდაძე 1973: 2-3).** მაშასადამე, ბატონი ვახტანგ გოილაძისეული მსჯელობიდან გამომდინარე, რიფსიმიანეთა წამება მომხდარა - 303 წლის 3, ან 5 მაისს.

აღნიშნულ თარიღთან მომართებაში, ქართულ წყაროებში ასეთი ინფორმაციაა დაცული - „...იგინი მოიკლნეს მუნ **თთუესა მასვე ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ (ალექსიძე 2007: 33). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია რის საფუძველზე გვთავაზობს ბატონი ვახტანგ გოილაძე რიფსიმიანეთა წამების დღედ - 3 მაისის ორშაბათ, ან - 5 მაისის ოთხშაბათ დღეს, როდესაც ქართული წყაროები მათი წამების დღედ - **პარასკევს** ასახელებენ...

ამდენად, ბატონი ვახტანგ გოილაძისეული მსჯელობა - არა მარტო ქართულ წყაროებისეულ მონაცემებთან მოდის წინააღმდეგობაში, არამედ, ბატონი ვახტანგი, არც იმ ფაქტს ითვალისწინებს, რომ განსახილველი დროის მონაკვეთისათვის ებრაელები თავის წელთაღრიცხვის ათვლას არა - მარტიდან, არამედ - სექტემბრის თვიდან იწყებდნენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა - „... მზე-მთვარის წელიწადი იწყებოდა გაზაფხულის დღეღამტოლობის პირველი ახალმთვარობიდან, ე.ი. 22 მარტიდან 20 აპრილამდე გრიგოლის კალენდრის მიხედვით...“ **(კოპალეიშვილი 1991: 21).**

ქართული წყაროებისეული მინიშნებით, მცხეთაში, წმ. ნინოს ლოცვითა და ღვთის განგებულებით, კერპების მსხვრევა - **6 აგვისტოს,** მაცხოვრის ფერისცვალება დღესაა მომხდარი. აქედან გამომდინარე, თუ დავუშვებთ, რომ იმ დროისათვის, მემატიანე - „22

მარტიდან 20 აპრილამდე“ არსებულ კალენდარული ათვლის სისტემას დაეყრდნობოდა, მაშინ ვნახოთ, ამ ათვლით, წელიწადის რომელ მონაკვეთში ჩაჯდება 6 აგვისტოს ფერისცვალების დღე.

ამისათვის მოდით ზემოთ უკვე ნახსენები 303 წლის მონაცემები გამოვიყენოთ. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ებრაულ კალენდარში - „... კენტ ადგილზე მყოფი თვე 30, ხოლო ლუწ ადგილზე მყოფი 29 დღეს შეიცავდა...“ **(კოპალეიშვილი 1991: 68).**

უკვე მითითებულ - „... 303 წელს გაზაფხულის დღეღამსწორობა 21 მარტს მოხდა (კლიმიშინი, გვ.107-108). ამ დღეღამსწორობის შემდეგ, 3 აპრილის საღამოს ახალი მთვარის გამოჩენით ნისანის პირველი დღე დაიწყებოდა...“ **(გოილაძე 1986: 156).** და მართლაც, ახალი წელთაღრიცხვის 303 წლისათვის ახალი მთვარე - 4 იანვრის, 3 თებერვლის, 4 მარტისა და 3 აპრილის დღეებზე მოდიოდა **(იხ. სალუაშვილი 2005: 26-30).**

მაშასადამე, მარტის ათვლის კალენდარული სისტემის მიხედვით 303 წლის ნისანის, ანუ მარტის თვე: 3 აპრილიდან (დამატებული 30 დღე) - 3 მაისამდე დროის მონაკვეთშია.

მომდევნო თვეების განრიგი კი ასეთი სახისაა: მეორე თვე „იარი“, ანუ აპრილი: 4 მაისიდან (+29 დღე) - 1 ივნისამდე გრძელდება; მესამე თვე - „სივანი“, ანუ მაისი: 2 ივნისიდან (+30 დღე) - 1 ივლისამდეა; მეოთხე თვე - „თამუზი“, ანუ ივნისი: 2 ივლისიდან (+29 დღე) - 30 ივლისამდე მოდის; მეხუთე თვე - „აბ“, ანუ ივლისი: 31 ივლისიდან (+30 დღე) - 29 აგვისტომდე გრძელდება; და ბოლოს **მეექვსე თვე - „ელული“, ანუ აგვისტო: 30 აგვისტოდან (+29 დღე) - 27 სექტემბრამდე** დროის მონაკვეთს მოიცავს.

ამდენად, ჩვენთვის საძიებელი მეექვსე თვე, როგორც ვნახეთ 30 აგვისტოდან - 27 სექტემბრამდეა, რაც არ მოიცავს ფერისცვალების თარიღს - 6 აგვისტოს. აქვე უნდა ითქვას რომ ასევე იქნება - I თვედ მიჩნეული ნისანის სავარაუდო დაწყების (22 მარტი - 20 აპრილი) ნებისმიერი რიცხვიდან ათვლის შემთხთვევაში - ფერისცვალების დღე: 6 აგვისტო, მეექვსე „ელულის“ თვის ნაცვლად ყოველთვის მეხუთე - „აბ“ თვეში მოხვდება, რაც ქართული წყაროებისეული მინიშნებით - დაუშვებელია.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ქართულ წყაროებში დაცული მონაცემები - არ ეყრდნობა გაზაფხულის დღეღამტოლობიდან ათვლით დაწყებულ კალენდარულ ათვლის სისტემას.**

1) ბიბლიური და რომაული
კალენდარული ათვლის სისტემის საკითხები

ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ეგვიპტელთა ტყვეობაში მყოფ და აღთქმულ ქვეყნისაკენ სავალ გზაზე დამდგარ ებრაელებსა და მათ წინამძღოლებს ასე მიმართავს უფალი - „უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: თვეთა დასაბამი იყოს თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში“ **(გამ.1,2).** იქვე გვიკონკრეტდება ისიც, თუ როდის ხდება ეს ყოველივე - „უთხრა მოსემ ხალხს: გახსოვდეთ ეს დღე, რა დღესაც გამოხვედით ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან, რადგან მაგარი ხელით გამოგიყვანათ იქიდან უფალმა; საფუარიანი არაფერი ჭამოთ. დღეს გამოდიხართ - გაზაფხულის თვეში“ **(გამ.13,3-4).**

ბიბლიური ათვლის პირველ და მეთორმეტე თვეების სახელდებათა თაობაზე, წმინდა წერილში ვკითხულობთ - „პირველ თვეს, ანუ ნისანსი თვეში, მეფე ახაშვეროშის მეთორმეტე წელს, დაიწყეს ფურის, ანუ წილის ყრა ჰამანის თვალწინ და ყრიდნენ წლის დღიდან დღემდე და თვიდან თვემდე თორმეტ თვეს, ანუ ადარის თვემდე“ **(ესთ. 3,7).**

ბიბლიაში პირველ, ანუ ნისანის თვეზე მრავალი მინიშნებაა დაცული. კერძოდ, მის შესახებ ვკითხულობთ: გამ. 40,17; ეზეკ. 26,1; I ეზრა 7,9; II ნეშტთა 35,1; რიცხ. 28,16-17 და ა.შ. **(იხ. სალუაშვილი 2005: 9-12).**

ამდენად ბიბლიური კალენდარული ათვლის მიხედვით, ახალი წლის პირველ თვედ, ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის თვე - ნისანია აღებული. **ჩვენის აზრით, წმ. ნინოს ცხოვრებაში დაცული ათვლის სისტემა სწორედ - ბიბლიისეულ კალენდარულ ათვლას ემყარება** და არავითარ კავშირში არ არის გაზაფხულის დღეღამტოლობასთან დაკავში-რებულ კალენდარულ ათვლის სისტემასთან.

როგორც ცნობილია ძვ. წ. 45 წლიდან, რომის იმპერიაში გატარებული კალენდარული რეფორმის შედეგად, სათავე დაედო ე.წ. „იულიუსისეულ კალენდარს“, რომლის საბოლოო რეფორმაც ავგუსტუსის მმართველობის ხანაში დასრულდა - „... ძვ. წ 8 წელს რეფორმის შედეგად დაკანონებული იულიუსის კალენდარი მრავალი საუკუნის მანძილზე ერთადერთი კალენდარი იყო რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე...“ **(კოპალეიშვილი 1991: 36).**

თხრობის გაგრძელებამდე იმასაც დავძენთ, რომ აღნიშნული „იულიუსის კალენდარი“ მართლმადიდებლური ეკლესიის დიდ ნაწილში დღესაც გამოიყენება და მას, მეორენაირად - „ძველი სტილის“ კალენდარსაც უწოდებენ.

ჩვენის აზრით, საძიებელ დროის მონაკვეთში მომხდარი ამბების აღწერისას „წმ. ნინოს ცხოვრების“ შემდგენელი ერთდროულად ითვალისწინებს, როგორც **ბიბლიისეულ კალენდარს** (რომლის მიხედვითაც წმ. ნინოს ლტოლვილობაში წასვლის თარიღი ბიბლიისეულ პირველ თვეში ნისანის, ანუ **მარტის თვეზე** მოდის), ასევე, მემატიანე, ეყრდნობა რა რომის მთელ იმპერიაში მოქმედ იულიუსის კალენდარს, ქ. ეფესოდან ლტოლვილების წამოსვლისა, თუ, გარკვეული დროის შემდეგ, ქართლის სამეფოში კერპების მსხვრევის თარიღების განსაზღვრის დროს, უსადაგებს - იულიუსის კალენდარში არსებული თვისა და დღეების მონაცემებს.

6 აგვისტოს ფერისცვალების დღეზე მითითებით, ანუ „რამეთუ თუე იყო მეექუსე, და დღე იყო მეექუსე თვისა მის ეგრეთვე ოდეს - იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი აჩუენა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122) (იხ. აგრეთვე ალექსიძე 2007: 38),** შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ათვლაში მარტის თვიდან ათვლილი მეექვსე თვე, ანუ აგვისტო, ამ თვის პირველი რიცხვიდან იწყება. შესაბამისად, ქართულ წყაროში მითითებული - „წარმოვემართენით თუესა პირველსა ათხუთმეტსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115)** ეყრდნობა რა იულიუსის კალენდრის ათვლას, ჩვენის აზრით, **ბიბლიური კალენდარული სისტემის პირველ თვეზე ანუ მარტის 15 რიცხვზე უთითებს.** რომელსაც, არანაირი კავშირი არა აქვს გაზაფხულის დღეღამტოლობასა და მის შემდეგ დამდგარი ახალი მთვარის ურთიერთშეჯერებასთან.

ანალოგიურია, ქართულ წყაროებში დაცული, რიფსიმიანთა წამების დროითი მინიშნებაც - „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115). (იხ. ალექსიძე 2007: 33).**

აღნიშნულში, ჩვენის აზრით, მითითებულია იულიუსის კალენდრის მიხედვით აღებული, ბიბლიური ათვლით პირველი თვის, ანუ მარტის - 30 რიცხვი, რომელიც თურმე პარასკევი დღე ყოფილა.

2) დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის დასასრულს, მოდით მოკლედ შევაჯეროთ ზემოთქმული: ჩვენის აზრით, **„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი წყაროები ერთდროულად ითვალისწინებენ - ბიბლიურ და იულიუსის კალენდარულ სისტემებს.** კერძოდ:

ქ. ეფესოდან წმ. ნინოს ლტოლვილობა - მარტის თვეში დაწყებულა, რომელიც ბიბლიურის მიხედვით - პირველი, ხოლო იულიუსის კალენდრის მიხედვით - მესამე თვეა. ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ - ქართველი მემატიანე ლტოლვილობის დაწყების თვეს, ბიბლიური კალენდარული ათვლის თანახმად, პირველ თვედ მიიჩნევს; ხოლო ლტოლვილობის დაწყებისა და რიფსიმიანთა წამების კონკრეტულ თარიღებს იულიუსის კალენდარში თვეების დღეთა რაოდენობაზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს.

ამდენად, ქართული წყაროებისეული მინიშნება - „... წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115)**, **მარტის 15 რიცხვს** გულისხმობს, ხოლო - „... იგინი მოიკლნეს მუნ თუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115), მარტის 30 რიცხვზე** გვითითებს.

ანალოგიურად, ქართულ წყაროებში დაცული კერპების მსხვრევის თვე - აგვისტო, ბიბლიური ათვლის თანახმად - მეექვსე, ხოლო იულიუსის კალენდრის ათვლით მერვე თვეა. ქართველი მემატიანე ეყრდნობა რა ამ ორივე კალენდარული სისტემის ათვლას, ბრძანებს - „...თუე იყო მეექუსე, და დღე იყო მეექუსე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122),** ანუ კერპების მსხვრევა (ბიბლიური და იულიუსისეული კალენდარული სისტემის ურთიერთ შეჯერების შედეგად) - **6 აგვისტოს** მომხდარი ფაქტია.

დ) ლტოლვილობის დაწყების რიცხვის თაობაზე

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან, მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უთითებს წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების დროს - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძჱ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

თავისთავად - „... „ცხოვრებაში“, იმპერიიდან ლტოლვილთა წამოსვლის დღედ რომ პირველი თვის 15 არის დასახელებული, შემთხვევითი არაა. ბიბლიური თქმულებით, ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან ნისანის 15-ში მოხდა... სწორედ იმ დღის აღსანიშნავად ზეიმობდნენ ებრაელები პასექს ნისანის 14-ში“ **(გოილაძე 1986: 155).**

აღნიშნულ რიცხვთან - პირველი თვის თხუთმეტთან დაკავშირებით ბიბლიაში არაერთი მინიშნებაა მოცემული **(იხ. სალუაშვილი 2005: 11).**

ჩვენთვის საძიებელ რიცხვთან მიმართებაში ბიბლიაში ვკითხულობთ - „უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: **თვეთა დასაბამი იყოს თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში.** ასე უთხარით ისრაელის მთელს საზოგადოებას: ამ თვის მეათე დღეს მამისსახლზე თითოეულმა თითო კრავი ან თიკანი დაიგულოს. ერთი კრავი ან თიკანი სახლზე... ამ თვის მეთოთხმეტე დღემდე შეინახონ; მერე დაკლას ისრაელის მთელმა საზოგადოებამ საღამოხანს. აიღონ მისი სისხლი და სცხონ იმ სახლის ორთავე წირთხლისა და კარისთავს, სადაც შეუდგებიან ჭამას... აიღეთ უსუპის კონა, ამოავლეთ სისხლიან თასში და სცხეთ სისხლი კარისთავსა და ორთავე წირთხლს სისხლიანი თასიდან. დილამდე არავინ გახვიდეთ კარში. ჩამოივლის უფალი ეგვიპტის შესამუსრავად, დაინახავს სისხლს კარისთავზე და ორთავე წირთხლზე და გვერდს აუვლის უფალი თქვენს კარს... შუაღამისას მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში...

იხმო ფარაონმა მოსე და აარონი ღამითვე და უთხრა: ადექით და გაეცალეთ ჩემს ხალხს შენც და ისრაელიანებიც. წადით, ემსახურეთ უფალს, როგორც ამბობდით... აიძულეს ეგვიპტელებმა ხალხი, სწრაფად გასულიყვნენ ქვეყნიდან, რადგან ფიქრობ-დნენ, ამოვწყდებითო ყველანი... ოთხას ოცდაათი წელი ცხოვრობდნენ ისრაელიანები ეგვიპტეში. გასრულდა ოთხას ოცდაათი წელი და სწორედ ამ დღეს გამოვიდა უფლის მთელი მხედრობა ეგვიპტიდან“ **(გამ. 12,1-3; 6-7; 22-23; 29, 31, 33, 40-41).**

მაშასადამე, ებრაელებმა პირველი თვის მე-14 დღის საღამოს გადაიხადეს რა „საუფლო პასექი“ **(გამ.12,11),** უფალმა, ისინი, მომდევნო, ანუ მე-15 დღეს გამოიყვანა კიდეც ეგვიპტიდან. შესაბამისად, პირველი თვის 14 რიცხვში, ებრაელებისთვის სრულდება ეგვიპტეში 430 წლიანი მონობა, და მეორე დღიდან, ანუ პირველი თვის მე-15 დღიდან იწყება მათი სვლა, უფლის მიერ შეპირებული - აღთქმული მიწისკენ.

ამდენად, ეგვიპტეში მყოფი ებრაელები, ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, დაადგნენ - აღთქმული მიწისკენ სავალ გზას, რომელიც მათთვის, უდაბნოში 40 წლიანი ხეტიალის შემდეგ დასრულდა. ასეთივე რამ ხდება ქართველებთან მიმართებაშიც.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ქართველები წარმართობის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, ხოლო წმ. ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქადაგების დაწყების შემდეგ ქართველები დაადგნენ - ჭეშმარიტ ღმერთთან მისაახლოვებელ გზას, რომელიც, ებრაელების აღთქმულ მიწაზე დამკვიდრების მსგავსად, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით დასრულდა.

სავარაუდოდ, სწორედ ამის ხაზგასმა უნდა სურდეს „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ უცნობ მემატიანეს, როცა იგი, წმ. ნინოსა და მასთან თანხმლები პირების ლტოლ-ვილობის დაწყების დროდ - **პირველი თვის მე-15 დღეს** ასახელებს.

და აი, სულიერად „წარმართობის ტყვეობაში“ მყოფი ქართველი ერი, სულისმიერ „აღთქმულ მიწას“, ანუ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მადლს, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან ექვი-შვიდი წლის შემდეგ ეზიარა.

3) ლტოლვილობის დაწყების წლის თაობაზე

ქართველი ერისთვის „აღთქმული მიწისკენ“ სავალი გზა, როგორც ზემოთ ვთქვით, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების დროიდან იწყება. შესაბამისად, ლტოლვილობის დაწყების წელი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ელემენტია, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კონკრეტული თარიღის დადგენის საქმეში.

წმ. ნინოს ქ. ეფესოდან წამოსვლის კონკრეტული თვისა და დღის „დადგენის“ შემდეგ, მოდით უკვე ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წლის განსაზღვრას შევეცადოთ. თავის მხრივ, წმ. ნინოს ლტოლვილობის წლის განსაზღვრისთვის საჭიროა არაერთი ფაქტორის გათვალისწინება, რომელთა განხილვასაც, მოდით, პირობითი თანამიმდევ-რობის დაცვით შევუდგეთ.

ა) „პირველი“ ზედა მიჯნა - წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღი

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ხელნაწერებიდან წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღს, ნიკოლოზ I კათალიკოზისეულის გარდა, ყველა რედაქცია აფიქსირებს. თუმცა, სამწუხაროდ, მათ შორის არსებული „განსხვავებანი“ წმ. ნინოს გარდაცვალების

კონკრეტული თარიღის დადგენის საშუალებას თითქოსდა არ იძლევა. მოდით შევეცადოთ მათ თანამიმდევრულ განხილვას.

წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ თითქმის ერთნაირ ცნობებს გვაწვდიან. ორივე წყარო წმ. ნინოს გარდაცვალებას „მაცხოვრის ამაღლებიდან“ - 338 წელს, ხოლო „დასაბამითგან“ - 5838 წელს მომხდარად მიიჩნევს - „...და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან **მეათხუთმეტესა წელსა** და ქრისტეს აღმაღლებითგან ტლჱ (300 + 30 + 8 = 338-ს.ს.) წელსა, დასაბამითგან ჭყლჱ (5000 + 800 + 30 + 8 = 5838-ს.ს) წელსა...“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90, შატბერდული რედაქცია);**

- „...და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა უფლისათა და მიიძინა ძილი იგი სანატრელი... ქართლის მოსვლითგან მისით **ოც და მეათხუთმეტესა წელსა** და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოც და ათურამეტსა წელსა, დასაბამისგან ხუთი ათას რვაას ოცდა მეათურამეტესა წელსა...“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90, ჭელიშური რედაქცია). (იხ. ალექსიძე 2007: 18);**

- „...და შევედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით **მეთოთხმეტესა წელსა,** ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ოცდათურამეტსა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 127).**

როგორც ვხედავთ, **მათ შორის განსხვავება მხოლოდ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან მის გარდაცვალებამდე გასული დროის თაობაზე ფიქსირდ**ება, ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქცია - 15 წელს, ჭელიშური [იგივეა - SIN-48-ში] - 35, ხოლო „ქართლის ცხოვრება“ - 14 წელს ასახელებს.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი - არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები ზემოთაღნიშნულისაგან ოდნავ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან. კერძოდ, არსენ ბერისეულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...სუფევად საუკუნოდ აღვიდა **ოც-და-მეათხუთმეტესა** წელსა ქართლსა შემოსლვისა მისისასა, ხოლო დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას რვაას ორმოც-და-მეათხუთმეტესა **(5855)**...“ **(არსენ ბერი 1902: 45).** ასეთივე ცნობაა დაცული XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშიც **(იხ. ყუბანეიშვილი 1946: 231).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აშკარა ხდება, რომ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან მის გარდაცვალებამდე გასულ დროსთან მიმართებაში, ქართული

წყაროები - სამ სხვადასხვა თარიღს გვაძლევენ. მათგან „ქართლის ცხოვრება“ - 14 წელზე, შატბერდული რედაქცია - 15-ზე, ხოლო ჭელიშური, სინური, არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები კი - 35 წელზე უთითებენ. აღნიშნულ თარიღებთან მიმართებაში ჩვენ, უფრო დეტალურად, ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. ამჟამად კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ წმ. ნინოს გარდაცვალების ერთსადაიმავე თარიღზე გვითითებენ. კერძოდ კი, ეს მომხდარა - „ქრისტეს ამაღლებითგან **სამას ოც და ათურამეტსა წელსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90).**

თხრობის გაგრძელებამდე მოდით თავად ტერმინ: **„ქრისტეს ამაღლებითგან“**-ზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა - „...ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა და კ. ცინცაძემ გასული საუკუნის (აქ: XIX ს. - ს.ს) ბოლოს აღნიშნეს, რომ აქ... ყველგან, სადაც წელთაღრიცხვას „ქრისტეს ამაღლებიდან“ იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ „ქრისტეს დაბადებიდან“...“ **(ლომოური 1975: 71).**

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საძიებელი თარიღის დადგენისათვის ზედა მიჯნად - ქრისტეს შობიდან ათვლით, ანუ ახ. წ.-ით 338 წელი უნდა ავიღოთ.

და თუ ამ ცნობას მივუმატებთ იმასაც, რომ წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან ქართლში შემოსვლამდე, როგორც მინიმუმ - ერთ წელზე მეტია გასული, ხოლო წმ. ნინო - ქართლში შემოსვლიდან 14-15 წლის შემდეგაა გარდაცვლილი, მაშინ გამოდის, რომ - **წმ. ნინოს ლტოლვილობა, ახ. წ.-ით 338 წლიდან უკუათვლით, IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.**

ბ) „მეორე“ ზედა მიჯნა - ალექსანდრე ბიზანტიელი, ევსტათი ანტიოქიელი, გრიგორი, თრდატ III და კონსტანტინეპოლი

წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების წლის დასადგენად საჭირო ცნობები დაცულია - ბერძნულ, სომხურ და ქართულ წყაროებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. მოდით მივყვეთ მათ თანამიმდევრულ განხილვას:

1) ყველაზე უძველესი ცნობა ქართველთა მოქცევასთან დაკავშირებით შემონახულია IV ს-ის ბერძენი ისტორიკოსის - **გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“.**

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ - „...თანახმად ა. გლასის გამოკვლევისა „რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის“ X-XI წიგნები, რომელიც დღემდე ორიგინალ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს ბერძნულის თარგმანს“ და თვით ბერძნული ორიგინალი ნაწარმოები ეკუთვნის 395 წელს გარდაცვლილ გელასი კესარიელს...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 54),** თუმცა - „...თვით გელასი კესარიელის თხზულების ტექსტი დაკარგულია. მისი ნაშრომი დაცულია მხოლოდ V ს-ის მეოთხე მეოთხედის კომპილატორის გელასი კვიზიკიელის ნაშრომში..“ **(ჯავახიშვილი 1979: 221).** ამდენად, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებისათვის შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ იმ ნაწერით, რომელიც - „...ეკუთვნის არა უშუალოდ გელასი კესარიელს, არამედ გელასი კვიზიკიელს, რომელსაც 475 წლის მახლობლად ნიკეას პირველი კრების ისტორიისათვის საჭირო მასალები შეუკრებია და როგორც ეს ა. გლასს საკმაოდ აქვს დასაბუთებული, გელასი კესარიელის შრომით უსარგებლია...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 63).**

მოდით ეხლა გავეცნოთ თავად გელასი კესარიელის ზემოთაღნიშნულ ცნობას (გელასი კვიზიკიელის მიხედვით) – „...შემდგომად ეკლესიის დასრულებისა ტყვექალი წინადადებას აძლევს მეფესა და დედოფალს, რათა მათ გაგზავნონ ერთმორწმუნე მეგობართან და ღვთისმოყვარე კონსტანტინესთან (მოციქულები და სთხოვონ), რათა მათ, მისგან მთხოვნელთ, გამოუგზავნოს (ვინმე) ამ ეკლესიის საკურთხევლად. მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინე-პოლში და აუწყებენ რა მეფე კონსტანტინეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას, თხოვენ მიეცეთ მათ მისგან ეპისკოპოზი მათთან არსებული ეკლესიების კურთ-ხევისათვის და აგრეთვე (საეკლესიო წესების) ჩამოყალიბებისათვის. სათნო და ქრის-ტესმოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, უხაროდა რა უფლისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს ალექსანდრეს ხელთ დაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი; ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უქვემდებარებს მას...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 62-63).**

ზემოთქმული ციტატიდან ჩვენთვის საინტერესო სამი მომენტი გვინდა გამოვყოთ:

1) მოციქული იგზავნება, იბერიის სამეფოდან ეკლესიის დამთავრების შემდეგ;

2) იბერიის მეფე მოციქულებს გზავნის რომის იმპერიაში, რათა იქიდან გამოითხოვოს მღვდლები და დიაკვნები; და

3) რომის იმპერატორის კონსტანტინეს მოთხოვნით, ეპისკოპოსი ალექსანდრე კონსტანტინეპოლელი აკურთხებს იბერიის ეპისკოპოსად განკუთვნილ პირს;

2) განსახილველ მონაკვეთში, მოდით შევეხოთ V ს-ის ისტორიკოსის **თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორიას“,** სადაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ჩვენთვის საინტერესო ცნობებია დაცული - „...მას შემდეგ, რაც დასრულდა მშენებლობა და კიდევაც გადახურეს, მხოლოდ მღვდლები აკლდა და აქედან გამოსავალიც იპოვა საკვირველმა ქალმა. ერის მმართველი დაარწმუნა, რომის იმპერატორისათვის გაეგზავნა ელჩები და ეთხოვა, მათთვის გამოეგზავნა კეთილმსახურების მოძღვრები. მეფემ მიიღო რჩევა და გაგზავნა ელჩები, როდესაც იმპერატორმა (ხოლო იგი იყო კონსტანტინე, კეთილმსახურების უმხურვალესი მოყვარე) შეიტყო თხოვნის მიზეზი, ელჩები სრული კეთილგანწყობით ღირსყო. მან რწმენით, გონებითა და ცხოვრებით შემკული კაცები, და მღვდელმთავრობითაც ღირსქმნილი, უამრავ საჩუქართან ერთად გაგზავნა ერისათვის ღვთისმცოდნეობის საქადაგებლად...“ **(კვირელი 2008: 71).**

ზემოთქმულის მსგავსად აქაც სამ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. აქედან პირველი ორი იდენტურია გელასი კესარიელის მიერ გადმოცემული ინფორმაციისა - იბერთა მეფე, ეკლესიის დამთავრების შემდეგ, მოციქულებს აგზავნის რომის იმპერიაში. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო მესამე საკითხს, გელასი კესარიელისგან განსხვავებით, თეოდორიტე კვირელი არცერთ კონკრეტულ სახელს არ ასახელებს და ზოგადად ეხება მღვდელმსახურთა იბერიაში გამოგზავნის ფაქტს;

3) მოდით ეხლა განვიხილოთ, თუ როგორი სახითაა დაცული ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია V ს-ის სომეხ ისტორიკოსთან - **მოსე ხორენელთან,** რომლის მიხედვითაც - წმ. ნინოს მიერ მოციქულების, სომხეთში - წმ. გრიგოლთან გაგზავნა, მირიან მეფის ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ ხდება.

მოსე ხორენელის მიერ შედგენილ „სომეხთა ისტორიაში“ ვკითხულობთ - „...სანატრელმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცები და გაგზავნა ისინი წმიდა გრიგოლთან იმის გასაგებად, თუ რის გაკეთებას უბრძანებდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. ნუნემ მიიღო ბრძანება, რომ მოესპო კერპები, როგორც ეს თავად გრიგოლმა ქნა და აღემართა ჯვარი პატიოსანი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უფალი უწყალობებდა მათ მწყემსს წინამძღვრად...“ **(ხორენაცი 1984: 171).**

ამდენად, ჩვენთვის საინტერესო კუთხით ვგებულობთ, რომ თითქოსდა:

1) მოციქულები იგზავნებიან სომხეთში წმ. გრიგოლთან, და

2) წმ. გრიგოლიც რჩევას შემოუთვლის მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი მანამ სანამ მათ წინამძღვარი, ანუ - ეპისკოპოსი ეყოლებათ; თუმცა, კონკრეტული პიროვნება აქ დასახელებული არ არის.

4) ზემოთგანხილული წყაროების შემდეგ მოდით ეხლა თავად **ქართულ წყაროებში** დაცულ ცნობებს გავეცნოთ. მივყვეთ მათ თანამიმდევრულ განხილვას.

ა) როგორც ვიცით, **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“** ორი ნაწილისაგან შედგება: 1) ე. წ. „ქრონიკებისა“ და 2) „წმ. ნინოს ცხოვრებისაგან“. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია ორივე ნაწილშია დაცული, მაგრამ მათ შორის არის, როგორც მსგავსება, ისე განსხვავებანიც.

- ე. წ. „ქრონიკებში“ ვკითხულობთ - „...და აღაშენეს ეკლესიაჲ და წარავლინნა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, მეფისა კოსტანტინესსა, თხოვად მღდელთა. ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ მიიწივნეს წინაშე მეფისა... მაშინ მეფემან კონსტანტინე თჳსითა ჴელითა აღწერნა ებისტოლენი, ფრიადითა შესხმითა... და მკჳდრად, სასუფევლისა თანაზიარად, ძმად მისსა სახელსდვა. ეგრეთვე ელენე აღწერნა ებისტოლენი ორნი: ერთნი ნანა დედოფლისთჳს და ერთნი ნინოჲსთვის... და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე დედოფლისაი, და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოჲსთჳს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13-15; აბულაძე 1963: 85-86).**

აღნიშნულ მონაკვეთში ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ინფორმაციაა დაცული:

1) მოციქულები ტაძრის აშენების შემდეგ იგზავნებიან,

2) მოციქულები იგზავნებიან საბერძნეთში იმპერატორ კონსტანტინესთან, და

3) კონსტანტინე საბერძნეთიდან აგზავნის - იოანე ეპისკოპოსს, ორ მღვდელსა და ერთ დიაკონს;

- ყოველივე ზემოთქმული ოდნავ განსხვავებულადაა აღწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილში, რომელშიც ვკითხულობთ - „...მაშინ ჰრქუა წმიდამან მეფესა: „მეფე, ისმინე ჩემი, რამეთუ ღმერთმან მოხედნა ქუეყანასა ამას დღეთა მეფობისა შენისათა, და მე დედაკაცი ვარ ცოდვილი და არა ჯერ-არს ჩემგან ნათლის ცემაჲ, არამედ მსწრაფლ წარგზავნენ მოციქულნი საბერძნეთად კონსტანტინე და ელენე მეფეთა წინაშე და წიგნიცა ჩემი, რათა მოგივლინოს ეპისკოპოსი და მღდელნი და მათ მიერ აღიბეჭდ-

ნეთ სახელსა ზედა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა". და ხვალისა დღესა წარავ-ლინნა მოციქულნი საბერძნეთად...

მას ჟამსა შინა წარემართა მეფე და ყოველი ერი ქართლისა მოსწრაფებით ქრისტეა-ნობასა ზედა, ვიდრე მღვდელთა მოსვლამდის. მაშინ ეტყოდა ნინოს მირიან მეფე: „ბრძანე, ნეტარო, თუ სადა აღუშენო ღმერთსა სახლი..." **(სალუაშვილი 2010ა: 94-95; აბულაძე 1963: 137, ჭელიშური რედაქცია).**

ჭელიშურისაგან განსხვავებით, შატბერდულ რედაქციაში დაცული ინფორმაცია გაცილებით მოკლეა - „...და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა. ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღე და ღამე ყოველსა კაცსა ჭეშმარიტსა მას გზასა სარწმუნოებისასა. ხოლო მეფჱ ეტყოდა ნინოს აღშენებისათჳს ეკლესიისა, ოდეს-იგი წარემართა მეფჱ და ყოველი ერი მოწრაფებით ქრისტიანობასა, ვიდრე მღდელთა მათ მოსლვადმდე საბერძნეთით. ჰრქუა მეფემან მორწმუნემან წმიდისა ნინოს: „სადა უშენო სახლი ღმერთსა?"..." **(სალუაშვილი 2010ა: 94-95; აბულაძე 1963: 137, შატბერდული რედაქცია).**

შატბერდული და ჭელიშური რედაქციები ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილ მღვდელმსახურთა თაობაზე - „..მაშინ მოვიდეს საბერძნეთით მღვდელთ-მოძღუარი და მღდელნი და დიაკონნი. და იწყეს ნათლისღებად მეფემან და ყოველმან ერმან, ვითარცა ზემოწერილ არს..." **(სალუაშვილი 2010ა: 104; აბულაძე 1963: 144). (იხ. ალექსიძე 2007: 51).**

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, მირიან მეფე კონსტანტინე იმპერატორს წმ. ნინოს თხოვნის შემდეგ უკავშირდება (იხ. ჭელიშური რედაქცია). აღნიშნულ ინფორმაციაში კი, ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ცნობაა დაცული. კერძოდ:

1) მოციქულები იგზავნებიან ტაძრის აშენებამდე,

2) მირიან მეფე მოციქულებს კონსტანტინე მეფესთან აგზავნის, და

3) კონსტანტინე აგზავნის მღვდელთ-მოძღვარს, ორ მღვდელსა და ერთ დიაკვანს, თუმცა მათი სახელები აქ დაკონკრეტებული არ არის;

ბ) განსახილველ საკითხთან მიმართებაში **„ქართლის ცხოვრებაში"** ასეთი ინფორ-მაციაა დაცული - „...და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა

წინაშე. და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს - მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღდელნი ნათლისღებისათჳს...

ოდეს წარემართა მეფე და ყოველნი ერი ქრისტიანობასა მოსწრაფებით ვიდრე მღდელთა მოსლვადმდე, რქუა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად... სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსლვადმდე მღდელთა საბერძნეთით“... და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე, და მიუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი... და ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა. და წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 111; 115).**

მაშასადამე, ზემოთმოყვანილი წყაროდან ვგებულობთ:

1) მოციქულები ტაძრის აშენებამდე იგზავნებიან,

2) მეფე მირიანი მოციქულებს გზავნის იმპერატორ კონსტანტინესთან, და

3) იმპერატორი კონსტანტინე ქართლში აგზავნის იოვანე ეპისკოპოსს, ორ მღვდელსა და სამ დიაკვანს;

გ) ჩვენთვის საინტერესო ცნობათა თაობაზე, ინფორმაციას გვაწვდის **არსენ ბერისეული „წმ. ნინოს ცხოვრებაც“,** სადაც ვკითხულობთ - „...ხოლო ვინაჲთგან განსრულდა შენება წმიდათა მათ ეკლესიათა და არღარა იყო ნაკლულევანებაჲ გარნა მღდელნი ხოლო, წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად სწავლითა და მოძღურებითა ნეტარისა ნინოსითა მეფისა მიმართ და ითხოვნა მოძღუარნი და მასწავლელნი ღუთის-მსახურებისანი. ხოლო მჴურვალემან მან ტრფიალმან ღუთის-მსახურებისამან კოსტან-ტინე, ისწავა რა მიზეზი სათხოველისა, მოციქულნი იგი მრავალსა პატივსა სიყუარუ-ლისასა ღირსყუნა და მიუვლინა მათ ევსტათი ანტიოქელ პატრიაქი ფრიადითა პატი-ვითა, კაცი სარწმუნო და სიბრძნითა და ცხორებითა განშვენებული, რომელი ნათლითა მართლმადიდებლობისათა ყოველსა სოფელსა ნათობდა. რამეთუ იყო მას ჟამსა ნიკეას წმიდასა მას და დიდებულსა კრებასა სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათასა...“ **(არსენ ბერი 1902: 34-35).**

მაშასადამე, ზემოთქმულიდან ჩანს, რომ:

1) მოციქულები იგზავნებიან ეკლესიის აშენების შემდეგ,

2) მირიან მეფე მოციქულებს გზავნის იმპერატორ კონსტანტინესთან, და

3) იმპერატორი მირიან მეფესთან აგზავნის ნიკეის კრების მონაწილე - ევსტათი ანტიოქიელს;

დ) მომდევნო წყარო, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არის **ნიკოლოზ I კათალიკოზისეული „წმ. ნინოს ცხოვრება“.**

წყაროში ვკითხულობთ - „... ხუალისა დღე მყის წარავლინნა მოციქულნი მირიან მეფემან საბერძნეთად დიდისა კონსტანტინესსა... ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა მეფესა: მესწრაფების მე, ჰოი მეფეო აღშენებისათჳს ტაძრისა ღუთისა: ჰრქუა მას მეფემან ესე ჭეშმარიტად უწყი სანატრელო დედაო, რომელ რაჲცა ოდენ შენ სათნო გიჩნს უეჭუßლად ნებაჲ არს ღუთისაჲ...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 68-70).**

მაშასადამე, ზემოთქმულიდან იკვეთება ორი მომენტი:

1) მოციქულები იგზავნებიან ტაძრის აშენებამდე, და

2) მირიან მეფე მოციქულებს გზავნის იმპერატორ კონსტანტინესთან.

რაც შეეხება ჩვენთვის საძიებელ მესამე საკითხს, ნიკოლოზ I კათალიკოზი მის შესახებ, კონსტანტინესაგან გამოგზავნილი წერილის შინაარსის გადმოცემისას, ასეთ ინფორმაციას გვაწვდის - „..რათა განძლიერებულმან განაძლიერნე ახალ ნერგნი ერნი უკუდავებისა საწადელად განმზადებულნი: ხოლო აწ შენ მიერ ნაჰანჯნი წარმო-გჳლენიან უსაზღვროთაჲ მხიარულებითაჲ გონებისათაჲ: ებისკოპოსი იოანე: ორთა თანა მღუდელთა და სამთა დიაკონთა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 86).**

მაშასადამე, კონსტანტინე იმპერატორი საქართველოში - იოანე ეპისკოპოსს, ორ მღვდელსა და 3 დიაკონს აგზავნის;

ე) „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი **XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია** აღნიშნულთან დაკავშირებით ასეთ ცნობას შეიცავს - „...მაშინ, ვითარცა განსრულდა შენებაჲ ეკლე-სიათაჲ და არღარაჲ იყო ნაკლულოვანებაჲ, გარნა ხოლო მღდელნი, წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთისა მეფისა მიმართ, და ითხოვა სჯულის-მდებელნი. ხოლო ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი იგი, განიხარა კონსტანტინე მეფემან და მრავლითა პატივითა პატივსცა და წარაყოლა მათ თანა ევსტათი ანტიოქელი პატრიაქი, კაცი ყოვლითა სიბრძნითა სავსე, რომელმან ნიკიისა კრებასა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 228).**

მაშასადამე, აღნიშნული ცნობებიდან გვეუწყება, რომ: 1) მოციქულები იგზავნებიან ტაძრის აშენების შემდეგ; 2) მირიან მეფე მოციქულებს გზავნის საბერძნეთში, კონსტან-

ტინე იმპერატორთან, და 3) კონსტანტინე იმპერატორი აგზავნის ნიკეის კრების მონაწილე ევსტათი ანტიოქიელს.

1) ზოგადად - საძიებელი ჯგუფების თაობაზე

ჩვენთვის საძიებელი, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის დასადგენად, წყაროებში დაცული და ზემოთწარმოდგენილი სამი პირობითი ჯგუფი დაგვეხმარება. კერძოდ ესაა ის, თუ - როდის იგზავნებიან მოციქულები, ვისთან იგზავნებიან ისინი და ვის აგზავნიან იქიდან საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული ეს საკითხი მხოლოდ მთლიანობაში, ანუ ერთმანეთთან კავშირის შემთხვევაში, მეტ-ნაკლები სიზუსტით, იძლევა ჩვენთვის საძიებელ კითხვაზე პასუხს.

ქართლის მოქცევის აღმწერი წყაროებიდან ცნობილია, რომ ნადირობიდან დაბრუნებული მირიან მეფე - აღიარებს ქრისტეს სჯულს და წმ. ნინოსთან საუბრის შემდეგ გადაწყვეტს ააშენოს ეკლესია. როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში წყაროებში დაცული ინფორმაციები ორ ჯგუფად იყოფა:

წყაროთა ერთი ნაწილი, რომელშიც შედის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 94-95; აბულაძე 1963: 137)**, „ქართლის ცხოვრება“ **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 111)** და ნიკოლოზ I კათალიკოზისეული **(იხ. ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 68-70)** „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, ამბობენ, რომ მოციქულების გაგზავნა მომხდარა - ეკლესიის აშენებამდე;

წყაროთა მეორე ნაწილი კი - გელასი კესარიელი, თეოდორიტე კვირელი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, XII ს-ის არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები აღნიშნავენ, რომ მოციქულების გაგზავნა მომხდარა - ტაძრის აშენების შემდეგ (იგივეზე მიგვანიშნებენ: რუფინუსი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერმია სოზომენე **(იხ. ყაუხჩიშვილი 1969: 206; 234; 240)**;

ზემოთგანხილულ მეორე პირობით ჯგუფთან დაკავშირებითაც, წყაროებში აზრთა სხვადასხვაობაა, რაც ძირითადად გამოიხატება იმაში, თუ როგორი ტერმინით იხსენიებს ესა თუ ის წყარო იმ ადგილს, სადაც მოციქულები იგზავნებიან.

საუბრის გაგრძელებამდე, მოდით გავიხსენოთ, თუ როგორაა მოხსენებული ის ქვეყანა, სადაც მირიან მეფის მოციქულები იგზავნებიან:

ა) გელასი კესარიელი და ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქცია იყენებს ტერმინს: **„კონსტანტინეპოლს“** – „...გაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინეპოლში...“ **(ალექსიძე 1977: 62);** მირიან მეფის მიერ გაგზავნილ წერილში აღნიშნულია - „...სახედ მზისა განმანათლებელსა ღუთივ-ბრწყინუალისა სამეფოჲსა კოსტანტინოპოლისა თჳთმპყრობელსა მეფესა დიდსა კოსტანტინეს: აღმოსავალისა უკუჵ კერძოჲთაჲთ: საქართუჵლოჲსა ყოველისა მეფე მირიან..“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 69);**

ბ) თეოდორიტე კვირელი აღნიშნავს - „...საკვირველმა ქალმა ერის მმართველი დაარწმუნა, რომის იმპერატორისათვის გაეგზავნა ელჩები...“ **(კვირელი 2008: 71).** მაშასადამე აქ გამოყენებულია ტერმინი - **„რომის იმპერატორი“;**

გ) წყაროთა ერთი ნაწილი ამ ქვეყანას ტერმინ - **„საბერძნეთი“**-ით მოიხსენიებს. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად...“ **(აბულაძე 1968: 137).** ამავე ტერმინოლოგიას იყენებს არსენ ბერიც **(იხ. არსენ ბერი 1902: 34).** XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია იგივეს ოდნავ განსხვავებულად გადმოგვცემს - „...წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთის(ა) მეფის მიმართ...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 228);** ნიკოლოზ I კათალიკოსი კი აღნიშნავს - „...ვიდრე მოსლვამდე მღუდელთა საბერძნეთით...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 70);**

დ) **„მოქცევაჲ ქართლისაჲში“** ვკითხულობთ - „...წარავლინნა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, კონსტანტინესსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 85).**

იგივეს აღნიშნავს ნიკოლოზ I კათალიკოსი - „...წარავლინნა მოციქულნი მირიან მეფემან საბერძნეთად დიდისა კოსტანტინესსა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 68).** ამდენად აქ დაზუსტებულია - ქვეყანაც, და - მისი მმართველიც;

ე) **„ქართლის ცხოვრება“** ზემოთქმულს ოდნავ განსხვავებული ტერმინით გადმოგვცემს - „...წარავლინნა მოციქულნნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთ მეფისა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 111).** და იქვე ამატებს - „... და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისა კონსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 115).** ამდენად, აქ კონსტანტინე - ბერძენთა მეფედაა მოხსენებული;

ვ) სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი **მოსე ხორენეცი** - „..სანატრელმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცები და გაგზავნა ისინი წმ.

გრიგორთან...“ **(არსენ ბერი 1902: 171).** ამდენად, აქ ჩვენთვის საძიებელ ქვეყნად - სომხეთია გამოყვანილი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, წმ. ნინოს პირით, გვაუწყებს მეფე კონსტანტინესთან მოციქულების გაგზავნის მთავარ მიზეზს - „...მე დედაკაცი ვარ ცოდვილი და არა ჯერ-არს ჩემგან ნათლის ცემაჲ, არამედ მსწრაფლ წარგზავნენ მოციქულნი საბერძნეთად კოსტანტინე და ელენე მეფეთა წინაშე და წიგნიცა ჩემი, რათა მოგვივლინოს ეპისკოპოსი და მღდელნი და მათ მიერ აღიბეჭდნეთ სახელსა ზედა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 94; აბულაძე 1963: 137).**

ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო ჩასული მოციქულების მიერ წამოღებული პასუხისა და გამოყოლებულ სასულიერო პირთა თაობაზე ჩვენ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ. ამიტომ, ამჟამად მხოლოდ მათი ვინაობის აღმნიშვნელი ინფორმაციები გავიხსენოთ:

- გელასი კესარიელი აღნიშნავს, რომ ქართლში გამოსაგზავნ ეპისკოპოსისათვის ხელი დაუსხამს კონსტანტინეპოლის პატრიარქს ალექსანდრეს, თუმცა თავად ამ ეპისკოპოსის სახელს არ გადმოგვცემს - „...კონსტანტინე მეფემ... შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს ალექსანდრეს ხელდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 62);**

კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ მღვდელმთავართა შესახებ ცნობებს გვაწვდის თეოდორიტე კვირელი, თუმცა იგი მღვდელმთავართა სახელებს არ გვიკონკრეტებს - „...მან რწმენით, გონებითა და ცხოვრებით შემკული კაცები, და მღვდელმთავრობითაც ღირსქმნილი, უამრავ საჩუქართან ერთად გააგზავნა ერისათვის ღვთისმცოდნეობის საქადაგებლად...“ **(კვირელი 2008: 71).**

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე. წ. მეორე ნაწილი, ასევე არ გვიკონკრეტებს გამოგზავნილ მღვდელმთავართა სახელებს - „...მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღდელთ მოძღუარი, მღდელნი და დიაკონნი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 104; აბულაძე 1963: 144);**

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილისაგან განსხვავებით, ე.წ. „ქრონიკებში“ მღვდელმთავართა სახელი უკვე დაკონკრეტებულია - „...და მისცა მეფემან **იოვანე ეპისკოპოსი** და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 15; აბულაძე 1963: 86).**

ანალოგიური ინფორმაციებია დაცული - „ქართლის ცხოვრებასა“ და ნიკოლოზ I კათალიკოზისეულ რედაქციაში - „...და წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი **იოვანე ეპის-**

კოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 115). (იხ. და ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 86);**

ზემოთგანხილულისაგან სრულიად განსხვავებულ, თუმცა ერთიდაიგივე ინფორმაციას გვაწვდიან „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი - არსენ ბერისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები - „...წარაყოლა მათ თანა **ევსტათი ანტიოქელი** პატრიაქი, კაცი ყოველთა სიბრძნითა სავსე, რომელმან ნიკიისა კრებასა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 228). (იხ. არსენ ბერი 1902: 35).**

2) დროითი მინიშნების თაობაზე

ჩვენს მიერ საინტერესო დროითი მიჯნების დასადგენად საჭიროა ზემოთგანხილულ ინფორმაციათა - ერთობლივი ანალიზი. მოდით მივყვეთ მათ თანამიმდევრულ განხილვას.

თავდაპირველად შევეხოთ ბერძნულ წყაროებში **ალექსანდრე კონსტანტინეპოლელის** მოხსენიების საკითხს. როგორც ითქვა - „გელასი კვიზიკელი (V ს.) ქართველთა ეპისკოპოსის ხელდამსხმელად ალექსანდრე კონსტანტინეპოლელს ასახელებს (გეორგიკა, I, გვ.103-104), მაგრამ ეს ცნობა მკვლევართა მიერ თვით გელასის ინტერპოლაციადაა მიჩნეული (გეორგიკა, I, გვ.106)...“ **(გოილაძე 1986: 161).**

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სიმონ ყაუხჩიშვილი ბრძანებს - „...შეგვიძლია თუ არა ჩვენი ტექსტის ცნობა ეჭვმიუტანლად მივიღოთ, ესე იგი ვთქვათ, რომ გელასი კვიზიკელის ინტერპოლაციას კი არ წარმოადგენს აქ - კონსტანტინეპოლის მოხსენიება, არამედ ის გელასი კესარიელსაც მოეპოვებოდაო. ჩვენ ვფიქრობთ, ამ საკითხში გელასი კვიზიკელს ვერ დავემყარებით.

გელასი კვიზიკელის მეორე ცნობის, სახელდობრ ალექსანდრე ეპისკოპოზის შესახებ ჯერ კიდევ - ა. გლასმა აღნიშნა, და - კ. კეკელიძემაც გაიზიარა, რომ ის გელასი კესარიელის ტექსტში არ უნდა ყოფილიყო. ის არ ჰყავს მოხსენიებული არც ერთ სხვა ავტორს და საფიქრებელია რომ ეს ცნობა ჩაემატებინოს თვით გელასი კვიზიკელს.

იყო თუ არა კონსტანტინეპოლი მოხსენიებული გელასი კესარიელის დედანში? მარტო ის გარემოება, რომ რუფინუსს ის მოხსენიებული არ აქვს, ჩვენ არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს ის არც გელასი კესარიელს ჰქონოდეს, რადგან არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც რუფინუსს ჩვენს ტექსტთან შედარებით მოთხრობის

შეკვეცილობა ახასიათებს. არც ის გამოგვადგება ჩვენ ამ საკითხის გადაჭრისათვის, რომ მერმინდელი ისტორიკოსები სოკრატე და სოზომენი კონსტანტინეპოლს არ იხსენიებენ, რადგან არც ერთსა და არც მეორეს გელასი კესარიელით არ უსარგებლია... სოკრატეს წყაროს რუფინუსი წარმოადგენდა, ხოლო სოზომენესას - რუფინუსი და სოკრატე. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კონსტანტინეპოლს არც თეოდორიტე იხსენიებს, რომლის ტექსტუალური შედარება არკვევს, რომ ის ზემოდასახელებულ ავტორთა დამოუკიდებლივ პირველწყაროებს ემყარება... და რომ მას, სხვათა შორის, ხელთ ჰქონდა აგრეთვე - გელასი კესარიელის „ისტორია“...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 64-65).**

თეოდორიტე კვირელი აღწერს რა ნიკეის კრებამდე მომხდარ მოვლენებს, მათ შორის გვამცნობს ალექსანდრიის ეპისკოპოსის მიერ მიწერილ ერთ წერილს, რომლის ადრესატსაც იგი ასე მოიხსენიებს - „...ალექსანდრიის ეკლესიის მღვდელმთავარი ალექსანდრე მის თანამოსახელეს სწერს შემდეგს - ალექსანდრიის ეპისკოპოს ალექსანდრეს ეპისტოლე კონსტანტინეპოლის ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ - ყველაზე პატივცემულ ძმასა და თანამოაზრეს, ალექსანდრეს ალექსანდრესგან მოკითხვა უფალში...“ **(კვირელი 2008: 12).**

როგორც ცნობილია - „325 წ. იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, საეკლესიო შუღლით შეფიქრიანებულმა, ქ. ნიკეაში მოიწვია იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი ეპისკოპოსი, სულ 318 მამა... კრება გაიხსნა... ლიკინიუსზე კონსტანტინეს გამარჯვების წლისთავზე...“ **(ароШвили ... 1991: 84-85).**

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ლიკინიუსის დამარცხების შემდეგ, კონსტანტინე იწყებს - იმპერიის ახალი დედაქალაქის მშენებლობას. ამ დროისათვის რომს - სატახტო ქალაქის ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა - „...რადგან დასავლეთის იმპერატორები საცხოვრებლად მილანს ამჯობინებდნენ, ხოლო აღმოსავლეთის - ნიკომედიას. ამ უსიამოვნო მოვლენათა და დედაქალაქის პატივის შელახვის მიზეზად რომაელები ახალ რელიგიას მიიჩნევდნენ და აქედან გამომდინარე, ცხადია, არც კონსტანტინე უყვარდათ. იმპერატორმა ეს იცოდა და რომს იშვიათად სტუმრობდა. ამანაც შეუწყო ხელი იმას, რომ იმპერატორს ახალი დედაქალაქის დაარსებაზე ეფიქრა... ახალი დედაქალაქისათვის ადგილი მან ბოსფორის ნაპირას, ბორცვებიან ნახევარკუნძულზე შეარჩია, სადაც ადრე მეგარის კოლონიის პატარა დაბა - ბიზანტიონი მდებარეობდა. 324-330 წლებში აქ აშენდა ქალაქი, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელი -

კონსტანტინეპოლისი ეწოდა... კონსტანტინეპოლისი, რომელიც ღვთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი, 330 წლის 11 მაისს საზეიმოდ ეკურთხა. მას სამეფო ქალაქსა და ახალ რომსაც უწოდებდნენ...“ **(კოპლატაძე 2007: 212-213).**

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ - 330 წლამდე, ანუ ქალაქისთვის კონსტანტინეს სახელის მინიჭებამდე, ბიზანტიის ეპისკოპოსი ალექსანდრე - კონსტანტინეპოლელის ტიტულის მატარებელი არ შეიძლება ყოფილიყო.

სომეხი ისტორიკოსი - მოსე ხორენელი, ჩამოთვლის რა 325 წელს ნიკეაში გამართული მსოფლიო კრების მონაწილეებს, აღნიშნავს - „...შემოკრბნენ ხუცესნი ბიტონი და ბიკენტი ქალაქ რომიდან, წმიდა სილიბისტროს ხელრთვებით, ეპისკოპოსები - ალექსანდრე ალექსანდრიელი, ევსტათიოს ანტიოქიელი, მაკარიოს იერუსალიმელი და ალექსანდრე კონსტანტინოპოლელი...“ **(ხორენაცი 1984: 175).**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარ განმარტებას იძლევა თეოდორიტე კვირელი, რომლის მიერ შედგენილ „საეკლესიო ისტორიაში“ ვკითხულობთ - „...ეს საღვთო ალექსანდრე, რომელმაც ლოცვით დასცა არიოზი, ვგულისხმობ ბიზანტიელს (რადგან კონსტანტინოპოლი იმ დროს არ ერქვა) უკეთეს ცხოვრებაში გადავიდა...“ **(კვირელი 2008: 62).**

ამდენად, ერთის მხრივ - ნიკეის კრებამდე, და მეორეს მხრივ - ნიკეის კრების მონაწილეთა შორის, ალექსანდრე ბიზანტიელის - კონსტანტინეპოლელის ტიტულით მოხსენიებას, რამოდენიმე ახსნა შეიძლება ჰქონდეს: 324 წელს ბიზანტიონის ადგილას ახალი სატახტო ქალაქის მშენებლობის დაწყების პირველსავე დღიდან, ეს ქალაქი ბუნებრივად დაუკავშირდა იმპერატორ - კონსტანტინეს სახელს; და შესაბამისად, გარკვეული დროის შემდეგ მცხოვრებ ისტორიკოსთა გადმოსახედიდან, ბიზანტიონის ეპისკოპოს ალექსანდრეს - კონსტანტინეპოლელად მოხსენიება სულაც არ ქმნიდა ისტორიული ფაქტების შეუსაბამობის სურათს.

ქრისტიანული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ალექსანდრე (ბიზანტიელი) კონსტანტინეპოლელი გარდაიცვალა - 336 წელს **(იხ. კვირელი 2008: 319).** მის შემდგომ - „...კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი იყო პავლე... პავლე წარმოშობით იყო თესალონიკიიდან, იგი იყო წინამორბედის ალექსანდრეს მდივანი...“ **(კვირელი 2008: 90; 318).** მცირე დროის შემდეგ, მიზეზთა გამო, პავლე ეპისკოპოსი - „..საიმპერატორო ქალაქიდან გააძევეს და კუკუზაში გადაასახლეს...“ **(კვირელი 2008: 89).**

კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის სატახტო ადგილი - 338 წელს უკანონოდ მიუტაცებია არიოზის ერთ-ერთ უერთგულეს მიმდევარს - ევსები ნიკომედიელს **(იხ. კვირელი 2008: 628 და Тальберг 1991: 142).**

ამდენად, ჩვენთვის საძიებელი წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის გამოსათვლელად შემდეგი ორი მიჯნა გამოიკვეთა:

1) წმ. ნინოს ლტოლვილობა უნდა დაწყებულიყო - ქ. კონსტანტინეპოლის დაარსებამდე. უფრო ზუსტად ვიდრე 324-330 წლამდე. თავის მხრივ - „...ამას ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ ქართლის მოქცევა მოხდა მანამ, სანამ კონსტანტინეპოლი აშენდებოდა, - „არამედ კონსტანტინე ჯერეთ რომსავე იყო“ (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, წ. I, გვ.67, შენიშვნა I). მართლაც, თუკი ეს მოვლენა შემთხვევითი არაა (ხოლო ყველა წყაროსთვის საეჭვოა ის შემთხვევითი იყოს), ეს ფაქტი შეიძლება იმის საბუთად გამოდგეს, რომ ქართლის მოქცევა 330 წელზე ადრე მოხდა...“ **(ლომოური 1975: 81-82);**

2) აღნიშნული საძიებელი წლის, ერთგვარ ზედა მიჯნად შეიძლება დასახელდეს ალექსანდრე ბიზანტიელი, ანუ კონსტანტინეპოლელის - საეპისკოპოსო ტახტზე ყოფნის პერიოდი. კერძოდ: მინიმუმ 324 წლიდან - ვიდრე 336 წლამდე.

ზემოთგანხილულ ქართულ წყაროებში, როგორც ვნახეთ, სხვა სახელდებათა პარალელურად გამოიყენება ტერმინი - საბერძნეთი. კერძოდ - „საბერძნეთად“ **(სალუაშვილი 2010ა: 94-95; აბულაძე 163: 137)**, „საბერძნეთად მეფისა კონსტანტინესსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 85).**

ჩვენთვის საძიებელი კუთხით ქართულ წყაროებში ნახსენები ტერმინი - **„საბერძნეთი“,** არცთუ მნიშვნელოვან, მაგრამ გარკვეულ დროით მინიშნებებს მაინც შეიცავს.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „ძვ.წ. 197 წელს, კინოსკეფალექსთან რომაელებთან მაკედონელთა დამარცხების შემდეგ, რომი სულ უფრო და უფრო ერეოდა საბერძნეთის საშინაო საქმეებში. ძვ. წ. 146 წელს რომმა აქაველთა კავშირი გაანადგურა და საბერძნეთი რომის პროვინცია აქაიად გამოაცხადა (ათენის გამოკლებით, რომელიც ნომინალურად თავისუფალ ქალაქად ითვლებოდა). ახ.წ. IV ს-იდან საბერძნეთი აღმოსავლეთ რომის იმპერიის - ბიზანტიის ბირთვს წარმოადგენდა...“ **(ლორთქიფანიძე 1984: 549).**

თავის მხრივ ბიზანტიის იმპერიის თაობაზე, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია ასეთია - „ბიზანტიის იმპერია, სახელმწიფო რომის იმპერიის აღმ. ნაწილში; შეიქმნა IV ს-ში რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად და არსებობდა XV ს. შუა წლებამდე. ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი დააარსა იმპერატორ კონსტანტინე I-მა 324-330 წლებში ბიზანტიონის ადგილას (აქედან მოდის სახელმწიფოს სახელწოდებაც, რომელიც შემოიღეს რენესანსის მოღვაწეებმა იმპერიის დაცემის შემდეგ). ბიზანტიის ისტორიას, ჩვეულებრივ, კონსტანტინოპოლის დაარსებიდან იწყებენ. ერთიანი რომის იმპერიის უკანასკნელი იმპ. თეოდოსიუს I-ის (მართავდა 379-395 წ.წ.) სიკვდილის შემდეგ რომის იმპერია საბოლოოდ გაიყო აღმ. რომის (ბიზანტიის) და დას. რომის იმპერიებად. აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორი გახდა არკადიუსი (395-408 წ.წ.). თვითონ ბიზანტიელები თავს რომაელებს (ბერძ. „რომეები“) უწოდებდნენ. თავიანთ სახელმწიფოს კი „რომეების იმპერიას“. დასავლეთ ქვეყნები მათ სახელმწიფოს რომანიას უწოდებდნენ, აღმ. ქვეყნები კი - რუმს. საქართველოში ბიზანტიას საბერძნეთს ეძახდნენ, ბიზანტიელებს - ბერძნებს, იონებს და ჰრომებს.

ბიზანტიის იმპერიის მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელი იყო (ბერძნები, სირიელები, კოპტები, სომხები, ებრაელები, მცირე აზიის ელინიზებული ტომები, თრაკიელები, ილირიელები, დაკები, გეთები, სლავები, არაბები, პაჭანიკები და სხვა), რაც გავლენას ახდენდა ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზე. წამყვან როლს იმპერიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ბერძენი მოსახლეობა ასრულებდა. სახელმწიფო ენა IV-VI ს.ს.-ში ლათინური იყო, VII ს-დან ბერძნული...“ **(კვირელი 2008: 363).**

ჩვენთვის საინტერესო თარიღის დასადგენად ძალზედ მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართულ წყაროებში **ევსტათი ანტიოქიელთან** დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ - „...წარაყოლა მათ თანა ევსტათი ანტიოქელი პატრიაქი, კაცი ყოვლითა სიბრძნითა სავსე, რომელმან ნიკიისა კრებასა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 228).**

ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გასაგებად, საჭიროა დავადგინოთ, თუ - როდის ჩამოსულა ევსტათი ანტიოქიელი საქართველოში. აღნიშნულ ცნობაში მოცემულია საძიებელი დროის, როგორც ქვედა, ასევე ზედა მიჯნა.

როგორც წყაროდან ჩანს, ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში ჩამოსვლა - ნიკეის კრების შემდეგ მომხდარა. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „...325 წლის ზაფ-ხულის დასაწყისში ქალაქ ნიკეაში მოწვეული იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება...“ **(ეკალაძე 2001: 6).** მაშასადამე, ზემოთაღნიშნულ ქვედა მიჯნად სწორედაც, რომ ნიკეის მსოფლიო კრების გამართვის თარიღი - 325 წელი უნდა ავიღოთ.

ევსტათი ანტიოქიელი IV ს-ში მოღვაწე ერთ-ერთი უდიდესი წმინდა მამაა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ნიკეაში გამართული I მსოფლიო საეკლესიო კრებაც მისი თავჯდომარეობით იმართება - „...კრება ანტიოქიის პატრიარქის - ევსტათის თავჯდო-მარეობით 19 ივნისს გაიხსნა და 25 აგვისტომდე გასტანა...“ **(ეკალაძე 2001: 7).** (ზოგი წყაროს მიხედვით კრებას თავჯდომარეობს - ოსიოს კორდუბელი: **იხ. არეშვილი ... 1991: 84; ან კოპლატაძე 2007: 200).**

თეოდორიტე კვირელი აღნიშნული კრების თაობაზე საუბრის დასაწყისშივე გვაუწყებს - „...ყოვლადბრძენმა იმპერატორმა... ნიკეაში გამართა ეს სახელგანთქმული კრება... შეიკრიბა 318 მღვდელმთავარი... როდესაც ყველა შეიკრიბა... ერთად დაჯდა ეს საღვთო დასიც. მაშინათვე პირველი (წამოდგა) დიდი ევსტათი, ანტიოქიის ეკლესიის თავმჯდომარეობის მიმღები... და მან შესხმათა ყვავილების გვირგვინით შეამკო იმპერატორის თავი, ღვთის მიმართ მოშურნეობისათვის კურთხევებით მიუზღვა...“ **(კვირელი 2008: 31-32).**

ევსტათის მიერ ანტიოქიის ეკლესიის წინამძღოლობის დაწყების თარიღად სხვადა-სხვა წყაროებში 323-324 წ.წ. სახელდება **(იხ. ეკალაძე 2001: 7 და კვირელი 2008: 306).**

არიოზის მიმდევართა ძალისხმევით ევსტათი ანტიოქელი შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა, რის გამოც იგი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა ანტიოქია. სავარაუდოდ ეს მომხდარა 330-331 წლებში **(იხ. ეკალაძე 2001: 7 და Тальберг 1991: 141)** – „...იგი თრაკიის გავლით ილირიკიის ქალაქში იქნა წაყვანილი...“ **(კვირელი 2008: 67).** მოგვიანებით - „...ევსტათი გარდაიცვალა ფილიპეში დაახლოებით 337 წელს...“ **(კვირელი 2008: 114).**

მაშასადამე - ევსტათი ანტიოქელი საეპისკოპოსო ტახტზე 323/24 – 330/31 წლებში იმყოფებოდა. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო თარიღის ზედა მიჯნაც სწორედაც, რომ 330/31 წლით უნდა განისაზღვროს. ყოველი ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ - ევსტათი ანტიოქიელი საქართველოში შეიძლება ჩამოსულიყო

ანტიოქიაში პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გამართვიდან, ვიდრე მის მიერ ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტზე ყოფნის დროის მონაკვეთში, ანუ 325 – 330/31 წლებში.

და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ მომენტამდე სავარაუდო ექვსი-შვიდი წელი უნდა იყოს გასული, მაშინ წმ. ნინოსა და მასთან თანხმლები პირების ეფესოდან წამოსვლის თარიღი IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.

როგორც ვნახეთ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ სხვადასხვა წყაროებში ევსტათი ანტიოქიელის პარალელურად დასახელებულია **იოანე ეპისკოპოსიც**. ამ ურთიერთ-გამომრიცხავი ინფორმაციის თაობაზე ნიკოლოზ I (1149-1160 წ.წ.) ქართლის კათო-ლიკოზ-პატრიარქი ასეთ განმარტებას იძლევა - „...თეოდორიტე: მეფისაჲ კონსტანტი-ნესაგან წარმოვლენასა ეპისკოპოსისა: თჳთ ევსტათი ანტიოქიელ პატრიარქისასა იტყვის ქართლის გამართვისათჳს საღმრთოთა ჰსჯულთა და საქმეთა განკაზმისათჳს: ხოლო აქა იოანეს იტყუის და თუ ვითარ: წინა აღმდგომად არს სიტყუა სიტყუისა ფრიად საძიებელ არს: ესე უკუეჲ უეჭველად არს რამეთუ თჳთ თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს: თეოდორიტე ჭეშმარიტი უწყოდა: ვინაიდგან იგიცაჲ ანტიოქიელი იყო გარნა ევსტათის გუერდით მაშინ უეჭველად იოანეც ყოფილ არს: ევსტათი ამისთჳს რათა მეფე და ყოველი ერი გზასა ვიდრემე ჭეშმარიტებისა დააყენოს და ასწაოს და განმართნეს ჰსჯულნი საღმრთონი და რაჟამს დაამტკიცნეს: თჳთ თავადი უკუე კუალადა იქცეს თვისსა მას საყდარსა; ხოლო იოანე რათა დადგრეს და არა დაუტევნეს ვითარცა ახალი ნერგნი და უსწავლელნი და საზრდელსა მტკიცეჲსაგან ჯერეთ უცხონი და ჯერეთცა სძის მოქენენი...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 87).**

წმიდა წერილში - ანტიოქია უდიდესი სულიერი დატვირთვის მატარებელია, უპირველეს ყოვლისა იმიტომაც, რომ სახარებაში ტერმინი - „ქრისტიანები“ პირველად სწორედ მასთან მიმართებაში ფიქსირდება. მოციქულთა საქმეში ვკითხულობთ - „... ანტიოქიაში მოწაფეები პირველად იწოდნენ ქრისტიანებად“-ო **(საქ. 11,26).** აქედან გამომდინარე, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადე-ბასთან დაკავშირებით ანტიოქიის ცნების შემოტანა თავისებური მისტერიული არსის მატარებელი უნდა იყოს.

ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ქართულ წყაროებში ასეთი ინფორმაციაა დაცული - „...ხოლო ევსტათი პატრეაქმან დაამტკიცა მართლმადიდებლობაჲ და ასწავა წესი ეკლესიათაჲ და იჯმნა მეფისაგან და წარემართა ქუეყანად თჳსად...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 228).**

თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართლის გაქრისტიანებისას საეკლესიო საკითხების ორგანიზებას IV ს-ის ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო მოღვაწე ევსტათი ანტიოქელი ანხორციელებს, სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო კრების შემდეგ - საქართველო გახლდათ ის პირველი ქვეყანა, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული, რომ - „...ქართული ეკლესიის საქმის გადაჭრა აღმოსავლეთში მჯდომ მთავარი ქალაქის ეპისკოპოსს დაეკისრა, IV ს. დასაწყისში. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, იმპერატორის საგანგებო დავალებით ანტიოქიის ეპისკოპოსი საქარ-თველოში ჩამოსულიყო IV ს. დასაწყისში, მაგრამ ეს სრულებით არ იძლევა უფლებას გაკეთდეს დასკვნა, რომ ამის შემდეგ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ეკლესიის დაფუძნების დროს იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი რომ ყოფილიყო, ქართული ეკლესიის ორგანიზაციის საქმეში დახმარების გაწევა დაევალებოდა არა - ანტიოქიის ეპისკოპოსს, არამედ - დედაქალაქისას (საუბარია არა იერარქიულ დაქვემდებარებაზე, არამედ ეკლესიის ორგანიზაციაში დახმარების გაწევაზე)...“ **(აბულაძე 1963: 180).**

წინამდებარე თხრობის დასასრულს უნდა შევეხოთ - **სომხურ წყაროებში** დაცულ ინფორმაციებს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოსე ხორენელის მიხედვით - „...სანატრელმან ნუნემ მოითხოვა სანდო კაცები და გაგზავნა ისინი წმიდა გრიგოლთან [იმის გასაგებად], თუ რის გაკეთებას უბრძანებდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება, როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს...“ **(ხორენაცი 1984: 171-172).**

მაშასადამე, აღნიშნულის მიხედვით გვეუწყება, რომ ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით, სომხურ წყაროებში უძველესი ცნობები, თითქოსდა, დაცულია - აგათანგელოსთან, რომლის შესახებაც ისტორიოგრაფიაში ვიცით შემდეგი - „აგათანგელოსი V ს. სომეხი ისტორიკოსი. თავის „ისტორიაში“ აღწერს სომხეთის გაქრისტიანებას (IV ს-ის დასაწყისი)... თავს აღწერილი ამბების თანამედროვედ

აცხადებს, ნამდვილად კი V ს-ის მეორე ნახევარში წერდა. მისი წიგნი ძველადვე ითარგმნა ბერძნულად, ქართულად და არაბულად. „ისტორიის“ ძველი სომხური ტექსტის გამოცემათაგან საუკეთესოდ ითვლება 1909 წლის თბილისის გამოცემა“ **(ჯანაშია 1975: 51).**

როგორც ითქვა მოსე ხორენელი სარგებლობს ზემოთდასახელებული ავტორის წყაროებით. ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს - „...აგათანგელოსის ის რედაქცია, რომელსაც თავის წყაროდ მოსე ხორენელი ასახელებს, თუმცა ჯერ ნაპოვნი არ არის, მაგრამ სომეხთა ზემოთდასახელებული ისტორიკოსის მიერ დაცული ამ ძეგლის შინაარსი ცხადყოფს, რომ იგი გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების კესარია-კაბადოკიურ რედაქციას წარმოადგენდა და VII ს-ის დამლევის, ან VIII ს-ის პირველი ნახევრის ფსევდოეპიგრაფიული, ანუ, ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, სახელნატყუარი ძეგლი უნდა ყოფილიყო ყველა თავისი დამახასიათებელი ტენდენციით...“ **(ჯავახიშ-ვილი 1979: 260).**

წინამდებარე თემაში ზემოთქმული - „სახელნატყუარობის“ მაგალითების მოძებნა-განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ყურადღებას მაინც შევაჩერებთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ - გრიგორ განმანათლებლისა, და სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის - თრდატ III-ის ზეობის წლებთან დაკავშირებული ინფორმაციები.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „გრიგოლ განმანათლებელი, პართელი (დაახლ. 239-326 წ.წ.), სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი(ა). ტრადიცია გრიგოლ განმანათლებელს მიაწერს ქრისტიანობის გავრცელებას სომხეთში. მისი ცხოვრების ამსახველი წყაროა აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“, რომელმაც ჩვენამდე, რამდენიმე ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ვერსიით მოაღწია. აგათანგელოსის მიხედვით, გრიგოლ განმანათლებელი იყო ძე ანაკ პართელისა, რომელმაც ღალატით მოკლა სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის თრდატ III-ის მამა ხოსრო. შურისძიების შიშით მცირეწლოვანი გრიგოლი კაპადოკიაში გახიზნეს, სადაც ქრისტიანულ წესზე აღზარდეს. სომხეთში დაბრუნებულმა ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო, მაგრამ მისი ვინაობა მალე გამომჟღავნდა. თრდატ III-ის ბრძანებით გრიგოლ განმანათლებელი ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ ხაროში

ჩააგდეს. იგი „ღვთაებრივი სასწაულით“ გადაურჩა სიკვდილს და სამეფო კარს ქრისტიანობა მიაღებინა... გრიგოლ განმანათლებელი პირველ ეპისკოპოსად აკურთხეს კესარიაში...“ **(ალექსიძე 1978: 267).**

და კიდევ - „თრდატ (ტირდატე) III, სომხეთის მეფე(ა) 298-330 წ.წ. გამეფდა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დახმარებით, თრდატ III-მ სასანიანთა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში რომის დახმარებით ფაქტობრივად მიაღწია დამოუკიდებლობას, რასაც მოჰყვა სამეფო ხელისუფლების გაძლიერება...“ **(მაისურაძე 1979: 699).**

თრდატის გამეფებასთან დაკავშირებით მოსე ხორენელი ასეთ განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა - „...თრდატი დიოკლეტიანეს (მბრძანებლობის) მესამე წელს გამეფებულა...“-ო (99, გვ.166). როგორც ცნობილია - „დიოკლეტიანე გაიუს ავრელიუს ვალერიუს (243, დიოკლეა, - 313 და 316 წლებს შორის, სალონა, დალმაცია), რომის იმპერატორი(ა) 284-305 წ.წ....” **(ლომოური 1978: 559).** მაშასადამე, ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, თრდატი თითქოსდა სომხეთის სამეფო ტახტზე ასულა: 284 + 3, ანუ - 287 წელს.

თავად გრიგორთან დაკავშირებით მოსე ხორენელი გვაუწყებს - „...ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ მამა ჩვენი და სულიერი მშობელი გრიგორიოსი წმიდა მოციქულის თადეოსის ტახტზე თრდატის მეფობის მეჩვიდმეტე წელს ავიდა... როცა მისი ვაჟი არისტაკესი ნიკეის კრებიდან დაბრუნდა, ამის შემდეგ წმ. გრიგორიოსი აღარავის დანახვებია. მისი მღვდლად კურთხევიდან, თრდატის მეფობის მეჩვიდმეტე წლიდან, იმ დრომდე, რა დღიდანაც (გრიგორი) არავისთან გამოჩენილა, თრდატის (მბრძანებლობის) ორმოცდამეექვსე წლამდე, ოცდაათი წელიწადი გავიდა..“ **(ხორენაცი 1984: 177).**

როგორც ვხედავთ აქ რამოდენიმე აშკარა შეუსაბამობაა. მოვყვეთ თანამიმდევრობით:

- თრდატის სომხეთის სამეფო ტახტზე ასვლის ზემოთაღნიშნული - ორივე თარიღიდან ათვლით, გრიგოლთან დაკავშირებული „მეჩვიდმეტე“ წელი გვაძლევს შესაბამისად: 287+17=304 წელს და: 298+17=315 წელს.

ისტორიოგრაფიიდან ისიც ვიცით, რომ - „...აგათანგელოსის თანახმად, სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი, სომეხთა ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა კაბადოკიაში ლეონტი კესარიელის მიერ... ლეონტი კესარიელი საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა 314-325 წლებში (ნიკეის კრებაზე ლეონტი, როგორც არიოზის მოძღვრების

მხარდამჭერი, თანამდებობიდან გადააყენეს - ს.ს.), გრიგოლის ხელდასხმა კი მომხდარა 324-325 წლებში...“ **(თორაძე ... 2007: 19-20). (იხ. აგრეთვე: Тальберг 1991: 119).**

და კიდევ - „...როდის დაიკავა კესარიის საეპისკოპოსო კათედრა ლეონტიმ, ზუსტად არ ვიცით, მაგრამ 314 წ. ანკირში (ახლანდ. ანკარა) გამართულ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა შორის კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის - აგრიკოლას ხელმოწერაა... ანკირის კრების შემდეგ აგრიკოლა ან გადაყენებულ იქნა, ან გარდაიცვალა და 314 წლის შემდგომ კათედრა ლეონტის უნდა დაეკავებინა. პ. გიდულიანოვი ლეონტის ეპისკოპოსობას 315/316-325 წლებით განსაზღვრავს... ნიკეის კრებაზე ლეონტი სხვა არიანელ ეპისკოპოსთა მხარდამხარ გამოდიოდა. რის გამოც იგი გადაყენებულ იქნა...“ **(გოილაძე 1986: 160-161).**

მაშასადამე, აქ აშკარა - „სახელატყუარობასთან“ გვაქვს საქმე - გრიგორი, სომხეთში, ეპისკოპოსის ტახტს ზემოთგამოთვლილ 304 ან 315 წლებში, ვერ დაიკავებდა, რამეთუ თავად მისი ეპისკოპოსად ხელდამსხმელი - „...ლეონტი კესარიელი 315/16 - 325 წლებში ზეობდა...” **(თორაძე ... 2007: 19);**

- როგორც ისტორიოგრაფიიდან ვიცით, გრიგოლი გარდაცვლილა ნიკეის კრების მეორე წელს - 326 წელს. მოსე ხორენელის „სახელნატყუარობის“ მიხედვით კი - „თრდატის მეფობის მეჩვიდმეტე წლიდან (ანუ 287 ან 298 წ.წ. - ს.ს.), იმ დრომდე რა დღიდანაც (გრიგორი) (ანუ - ნიკეის კრების გამართვის 325 წლიდან - ს.ს.) არავისთან გამოჩენილა თრდატის (მბრძანებლობის) ორმოცდამეექვსე წლამდე, ოცდაათი წელი-წადი გავიდა...“ **(ხორენაცი 1984: 177).**

თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული „მეჩვიდმეტე“ წელი - 304 ან 315 წლებია, აქედან ათვლით „ოცდაათი“ წელი, უწევს - 333, ან - 344 წ.წ. რაც წინააღმდეგობაში მოდის თრდატის გარდაცვალების თარიღთან - 330 წელთან **(იხ. მაისურაძე 1979: 639).**

როგორც აღვნიშნეთ „სახელნატყუარობათა“ სხვა მაგალითების განხილვა არ შედის ჩვენი თემატიკის სფეროში. ჩვენთვის საინტერესო წლებთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას შემდეგი. როგორც ვიცით ნიკეის I მსოფლიო კრება 325 წელს გამართულა. მოსე ხორონელის მიხედვით - „...ჩვენს მეფე თრდატსაც მოუვიდა ბრძანება თვითმპყრობელ კონსტანტინესაგან, რომ წმიდა გრიგორთან ერთად წასულიყო კრებაზე დასასწრებად. თრდატი ვერ წავიდა... წმიდა გრიგორმაც უარი თქვა წასვლაზე... თრდატმა და გრიგორმა თავიანთ ნაცვლად გაგზავნეს არისტაკესი... არისტაკესი

გამობრუნდა უკან... როცა მისი ვაჟი, არისტაკესი ნიკეის კრებიდან დაბრუნდა, ამის შემდეგ წმ. გრიგორიოსი აღარავის დანახვებია... (ბოლოს კი) გარდაიცვალა და ანგელოსთა დასს შეუერთდა...“ **(კეკელიძე 1926: 175-178).**

როგორც ცნობილია, თავად ნიკეის პირველი მსოფლიო - „...კრება ანტიოქიის პატრიარქის - ევსტათის (323-331 წ.წ.) თავმჯდომარეობით: 19 ივნისს გაიხსნა და 25 აგვისტომდე გასტანა...“ **(ეკალაძე 2001: 7).**

ქართულ წყაროებში - მირიანის ნადირობისა და მის მიერ ქრისტეს რჯულის აღიარების თარიღად 20 ივლისის შაბათი დღეა მითითებული. მაშასადამე, ეს მოვლენა, როგორც მინიმუმ - 325 წლის შემდეგ მომხდარი ფაქტია, რამეთუ ახლადმოქცეული მირიანის თხოვნის თანახმად საქართველოში თავად ნიკეის კრების თავმჯდომარე - ევსტათი ანტიოქელი ჩამოდის **(იხ. არსენ ბერი 1902: 35).**

მაშასადამე, ნიკეის პირველი მსოფლიო კრების შემდეგ მოქცეული - მირიანისა და წმ. ნინოს მიერ გრიგორთან „სანდო კაცების“ გაგზავნა, და მისგან პასუხის მიღება - შეუძლებელი მოვლენაა, რამეთუ ნიკეის კრების შემდეგ გრიგორი - „...დაბრუნდა იმავე მთებში და ამის შემდეგ სიკვდილამდე არავის დანახვებია...“ **(ხორენაცი 1984: 176).** ამას თუ დავუმატებთ, იმასაც, რომ სხვადასხვა წყაროების თანახმად წმ. გრიგოლი - 326 წელს გარდაიცვალა, მაშინ აშკარაა, რომ მოსე ხორენელის მიერ მითითებული - წმ. ნინოს მიერ მოციქულების წმ. გრიგორთან გაგზავნის ფაქტი - მორიგი „სახელნატყუარობაა“, რომ - გრიგორ განმანათლებელს ქართლის მოქცევასთან არანაირი კავშირი არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით კარგად ბრძანებს ლ. ჯანაშია - „...იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის გაქრისტიანებას აღწერენ, უძველესია ბერძნულ-რომაული. ისინი თითქმის მხოლოდ ნახევარი საუკუნით არიან დაცილებულნი თვით ქართლის მოქცევას. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ უძველეს წყაროებში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ქართლის გაქრისტიანება რაიმეთი ყოფილიყოს დაკავშირებული სომხეთის გაქრისტიანებასთან... ამიტომ, აშკარაა, რომ ნინოს დაკავშირება... გრიგორ განმანათლებელთან გვიანდელი მოვლენაა...“ **(ჯანაშია 1973: 76).**

ჩვენთვის საძიებელი - წმ. ნინოს ლტოლვილობის სავარაუდო წლის დასადგენად, ერთგვარ დროით ორიენტირად შეიძლება გამოდგეს - თრდატ მეფის გაქრისტია-

ნებასთან დაკავშირებული ინფორმაციები (აღნიშნულზე, მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებთ).

როგორც ვიცით წმ. ნინო, რიფსიმეს, გაიანესა და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, გარკვეულ მიზეზთა გამო გამოიქცევა საბერძნეთიდან და სომხითის სამეფოში ჩამოვა - „...იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და გაჲანე აღმზრდელი მისი და სხვანი... მის თანა და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დადგრეს მუნ... ხოლო წმიდაჲ რიფსიმე და მის თანანი იგი იწამნეს სახელისათჳს ქრისტესისა თრდატის მიერ...“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

აღნიშნული, ჩვენთვის საძიებელ პირველ დროით მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, რომ - „...სომხეთში მათი დასჯისას თრდატ III ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ქრისტიანი, ხოლო სომხეთში ქრისტანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული...“ **(გოილაძე 1986: 153).**

როგორც წყაროებიდან ჩანს, სომხითში, წმ. ნინოს თრდატ მეფის რისხვისაგან თავის დაუღწევია - „...განგებულებითა ზეგარდამოჲთა დაიფარა ნეტარი ნინო უხილავად და ყოვლად მიუახლობელად მდევართაგან... მაშინ აღდგა და წარვიდა ნეტარი ნინო და ვითარცა მოვიდა ოლოპოროთა, დაიზამთრა მუნ და, მორაჲწია ზაფხული აღმოვიდა მთათა ჯავახეთისათა...“ **(არსენ ბერი 1902: 15).** მაშასადამე, წმ. ნინო ქართლში, ლტოლვილობის დაწყებიდან, და რიფსიმესა და მასთან ერთად მყოფების სომხითში წამებიდან მეორე წელს შემოსულა.

ქართული წყაროების თანახმად ქართლში შემოსული წმ. ნინო პირველად ქალაქ ურბნისში მკვიდრდება - „...მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი... და დაყო მუნ თთუე ერთი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 87-88).**

ერთი თვის გასვლის შემდეგ წმ. ნინო ჩამოდის ქალაქ მცხეთაში და კერპებისადმი გამართული ზეიმის მომსწრე ხდება. ნანახით შეძრული წმ. ნინოს ლოცვის შემდეგ, ღვთის შეწევნით - კერპები შეიმუსრება. კერპების შემუსრვის მეორე დღეს მომხდარის აღწერისას „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოვებდეს. რომლისათჳს-იგი დაეცა მათ შიში და ძრწოლა... ხოლო რომელნიმე იტყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ

არს ესევითარისა ქმნად“. ესევითარსა ამას იტყოდეს, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილ იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულ იყო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 91-92).**

ზემოთაღნიშნული, ჩვენთვის საძიებელ - მეორე დროით მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე, ლტოლვილობის დაწყებიდან, წმ. ნინოს - ქართლში შემოსვ-ლის მეორე წლისათვის თრდატ მეფე ქრისტიანად მოქცეულა.

ამდენად, ამ ორი დროითი ნიშნის შეჯერების შედეგად შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებისა და რიფსიმესა და მის თანმხლებ პირთა წამების წელს, თრდატ მეფე - ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანი, ხოლო წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის ერთი თვის თავზე მომხდარი მოვლენების აღწერისას ჩანს, რომ - თრდატი უკვე გაქრისტიანებულია. მაშასადამე, თრდატ სომეხთა მეფე წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების მეორე წელს გაქრისტიანებულა.

საეკლესიო ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ წმ. გრიგოლი ლეონტი კესარიე-ლისგან ხელდასხმას - თრდატ მეფის ქრისტიანად მოქცევის შემდეგ ღებულობს **(იხ. მელიქსეთ-ბეგი 1920: 40-41; სურგულაძე 1987: 119).** თავის მხრივ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წმ. გრიგოლის ხელდასხმა - ნიკეის კრების გამართვამდე, ანუ 324-325 წლებში მომხდარა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ თრდატი მოქცეულა წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების მეორე წელს, ანუ 324-325 წლებამდე, მაშინ გამოდის, რომ - წმ. ნინოს ლტოლვილობა IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.

წინამდებარე თავის დასასრულს, მოდით, ერთგვარად შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული და ვთქვათ:

თუ გავითვალისწინებთ, რომ - ბიზანტიონის ადგილას კონსტანტინე იმპერატორის (306-337 წ.წ.) მიერ, ახალი სატახტო ქალაქის მშენებლობა - 324 წლიდან დაიწყო, ხოლო თავად კონსტანტინეს სახელის მატარებელი ქალაქის კურთხევა - 330 წლის 11 მაისს მოხდა;

თუ გავითვალისწინებთ, რომ - 325 წლის ნიკეის I მსოფლიო კრების მონაწილე ბიზანტიონის ეპისკოპოსი - ალექსანდრე ბიზანტიელი (გარდაიცვალა 336 წელს), ისტო-რიულ წყაროებში - ალექსანდრე კონსტანტინეპოლელის სახელითაა მოხსენიებელი;

თუ გავითვალისწინებთ, რომ - მირიან მეფის თხოვნის საპასუხოდ კონსტანტინე იმპერატორი საქართველოში გზავნის აღმოსავლეთ იმპერიის ერთ-ერთი უდიდესი

ქრისტიანული ცენტრის - ანტიოქიის ეპისკოპოსს, ნიკეის I მსოფლიო კრების თავჯდომარე - ევსტათი ანტიოქიელს (323/324-330/31 წ.წ.);

თუ გავითვალისწინებთ, რომ - სომხეთის მეფე თრდატ III, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების წლისათვის ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანული სარწმუნოების მაღიარებელი, და მხოლოდ - მეორე წელს, ანუ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის დროს მომხდარ მოვლენების აღწერაში, თრდატ III უკვე გაქრისტიანებული ჩანს, და რომ ეს მოვლენა - ნიკეის I მსოფლიო კრების გამართვამდე, გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის ეპის-კოპოსად ხელდასხმამდე, ანუ: 324-325 წლების წინაა მომხდარი,

მაშინ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ - ჩვენთვის საძიებელი წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წელი IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.

გ) „მესამე“ ზედა მიჯნა - ელენე დედოფალი და ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს

წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის დადგენისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ის ინფორმაციები, რომლებიც ეხება ელენე დედოფალსა და მის მიერ ნაპოვნ იმ ჯვარს, რომელზედაც მაცხოვარი გააკრეს. ამიტომ, მოდით, ჩვენი საუბარიც ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში ელენე დედოფალზე არსებული ცნობების განხილვით დავიწყოთ.

თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორიის“ კომენტარებში ვკითხულობთ - „...ფლავია იულია ჰელენა, კონსტანტიუს ქლორუსის პირველი ცოლი. ცნობები მისი მშობლების შესახებ არ მოგვეპოვება...“ **(კვირელი 2008: 312).**

ელენე დედოფალთან დაკავშირებულ ინფორმაციებს თავის მხრივ ავსებს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ – „...იმავე ხანებში მაქსიმინა, დიოკლეტიანეს ასული, ნიკომედიაში დაქორწინდა კონსტანტინე კეისარზე, რომაელთა მეფის, კონსტანტის შვილზე; იგი (კონსტანტის) გაუჩინა არა მაქსიმიანოსის ასულმა, არამედ ხარჭამ, ელენემ...“ **(ხორენაცი 1984: 167).**

ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში - ელენე დედოფალი მოიხსენიება, როგორც კონ-სტანტინე იმპერატორის ერთგული თანაშემწე **(იხ. სურგულაძე 1987: 109).** მას, კონსტანტინე იმპერატორთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებაში.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა ქართული რედაქცია, ელენე დედოფალთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებით, გარკვეულ ინფორმაციებს გვაწვდის. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები ეხება ელენე დედოფლისადმი წმ. ნინოს მიერ გაგზავნილ წერილსა და ელენეს მიერ იერუსალიმში მაცხოვრის ჯვრის მოძიების საკითხებს. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ქართულ წყაროებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინფორმაციებია დაცული.

ქრისტიანულ რჯულზე მოქცეული მირიან მეფის მიერ მოციქულების - საბერძნეთში, კონსტანტინე იმპერატორთან გაგზავნის თაობაზე იუწყება - „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, როგორც - „ქრონიკები“, ასევე - „წმ. ნინოს ცხოვრებაც“. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ შორის არსებული განსხვავებანი მოციქულების გაგზავნის დროს ეხება. ე. წ. „ქრონიკების“ თანახმად მოციქულები საბერძნეთში - ტაძრის აშენების შემდეგ იგზავნებიან, ხოლო „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციიდან კი ვგებულობთ, რომ მათი გაგზავნა ტაძრის აშენებამდე მომხდარა **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 13 და 94-95; აბულაძე 1963: 85 და 137).**

ე. წ. „ქრონიკები“ იუწყება, როგორც - წმ. ნინოს მიერ ელენე დედოფლისადმი გაგზავნილ წერილზე, ასევე ელენე დედოფლის მიერ წმ. ნინოსთვის მოწერილი წერილის თაობაზე - „...და წარავლინნა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, მეფისა კოსტანტინესსა, თხოვად მღდელთა. ხოლო მოციქულნნი იგი მსწრაფლ მიიწივნეს წინაშე მეფისა. და ვითარცა იხილნნა იგინი მეფემან... ცნეს მიზეზი მისლვისა მათისაჲ, განიხარეს სიხარულითა დიდითა და აღდგეს მსწრაფლ საყდ-რისაგან მათისა მეფე კოსტანტინე და ელენე დედოფალი... მაშინ მეფემან კოსტანტინე თაჳსითა ჴელითა აღწერნა ებისტოლენი... ეგრეთვე ელენე აღწერნა ებისტოლენი ორნი: ერთნი ნანა დედოფლისათჳს და ერთნი ნინოჲსთჳს... ხოლო მეფემან წარავლინნა ებისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და ... წიგნები ელენე დედოფლისაჲ ნინოჲსთჳს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13-15; აბულაძე 1963: 85-86).**

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილში მხოლოდ წმ. ნინოს მიერ ელენე დედოფ-ლისადმი გაგზავნილ წერილზეა მინიშნება. წმ. ნინო მირიან მეფეს ეუბნება - „...მსწრაფლ წარგზავნენ მოციქულნი საბერძნეთად კოსტანტინე და ელენე მეფეთა წინაშე და წიგნიცა ჩემი... და ხვალისა დღესა წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 94; აბულაძე 1963: 137).**

გარდა ამისა იქვე ვკითხულობთ - „...მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღდელთ მოძღუარი, მღდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლისცემად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 104; აბულაძე 1963: 144).** როგორც ვხედავთ აქ არაფერია ნათქვამი - ელენეს მიერ გამოგზავნილი წერილის თაობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან ამჟამად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ - მირიან მეფის მოქცევა ელენე დედოფლის სიცოცხლეშივეა მომხდარი.

ანალოგიური ინფორმაციაა დაცული „ქართლის ცხოვრებაშიც“. კერძოდ - „...წარავ-ლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კოსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე... მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი... და მოუწერა მირიანს კონსტანტინე მეფემან წიგნი. და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 111; 115-116).**

არსენ ბერისეული - „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ გვეუწყება, რომ ელენე დედოფლის მიერ გამოგზავნილი წიგნი წმ. ნინოსთვის გადაუცია: ნიკეის I მსოფლიო კრების თავმჯდომარეს ევსტათი ანტიოქიელს - „...ხოლო მჴურვალემან მან ტრფიალმან ღუთის - მსახურებისამან კოსტანტინე... მიუვლინა მათ ევსტათი ანტიოქელ პატრიაქი ფრიადი-თა პატივითა... და ვითარცა შემოვიდა წმიდა იგი პატრიაქი სანახებსა ქართლისასა... მოეგება მეფე და მთავარნი მისნი... მოვიდა ღირსი ნინოჲცა და მიიღო კურთხევაი პატრიაქისაგან, და მანცა ითხოვა ლოცვაჲ ჯეროვანი სიმდაბლით და ქადაგად და მოციქულად და სანატრელად უწოდა, მისცა წიგნი ელენე დედოფლისაჲ, მოწერილი ნეტარისა ნინოსთანა...“ **(არსენ ბერი 1902: 35).** ანალოგიური ინფორმაციაა - XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშიც **(იხ. ყუბანეიშვილი 1946: 228).**

ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქცია, მართალია იუწყება წმ. ნინოს მიერ ელენე დედოფლისადმი გაგზავნილი წერილის თაობაზე, მაგრამ არაფერს ამბობს საპასუხო წერილის შესახებ - „...წარავლინნა მოციქულნი მირიან მეფემან საბერძნეთად დიდისა კოსტანტინესსა: რამეთუ მას ჟამსა იგი იყო ნეტარებით მოხსენებული და მიწერა წიგნი წმიდამან ნინო ელენე დედოფლისა მიმართ... აღივსო მეფე კოსტანტინე და დედაჲ მისი ელენე სიხარულითა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 68, 85).**

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ - მირიან მეფის მოქცევის დროისათვის, კონსტანტინე იმპერატორის დედა - ელენე დედოფალი ჯერ კიდევ ცოცხალია.

საეკლესიო ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ იერუსალიმში ჯვრის მოსაძიებლად წასული ელენე დედოფალი, ჯვრის პოვნის შემდეგ მალევე გარდაცვლილა.

თეოდორიტე კვირელი აღნიშნავს - „...მან თავს იდო მოგზაურობის სიმძიმე და მოხუცებულობის სიძაბუნეზე არ იფიქრა, რადგან საზღვარგარეთ ეს გამგზავრება (მის) გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე აღასრულა და ოთხმოცი წლისამ მიიღო ცხოვრების აღსასრული...“ **(კვირელი 2008: 60).**

ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში წასვლისა და მის მიერ ჯვრის მოძიების თაობაზე არსებული ინფორმაცია - „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა ქართულ რედაქციაშია დაცული. ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...წარვიდა ჰელენე იერუსალემად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83).**

არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები ერთნაირ ინფორმაციას გადმოგვცემენ - „...და წარავლინა დედა თჳსი ელენე იჴრუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯვარისა, რომელიცა ჰპოვა მან ჯერჩინებითა ღუთისათა. და აღაშენნა ტაძარნი საუფლონი და შეამკუნა და ადიდნა წმიდანი იგი ადგილნი და კუალად აღმოვიდა სამეუფოდ თჳსსა...“ **(არსენ ბერი 1902: 348; იხ. ყუბანეიშვილი 1946: 227).**

აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციები დაცულია მოსე ხორენელთანაც - „...წმინდა კონსტანტინე დაეთანხმა მას და ამის შემდეგ დედამისი, ელენე გაგზავნა იერუსალიმში პატიოსანი ჯვრის მოსაძებნად. მან იპოვა ცხოველმყოფელი ძელი ხუთი ლურსმნით, ერთი ებრაელის, იუდას მეშვეობით, რომელიც შემდგომში იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა..“ **(ხორენაცი 1984: 173).**

თეოდორიტე კვირელი შეძლებისდაგვარად დეტალურად გადმოგვცემს მაცხოვრის საფლავზე აგებული წარმართული ტაძრის დანგრევისა და იქვე ნაპოვნი იმ ჯვრის თაობაზე, რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული. იგი ყვება იქვე აღმოჩენილი სიწმინდეების თაობაზეც - „...მიხვდა იმპერატორის დედა, რომ აღსრულდა საწადელი და ლურსმნებიდან ზოგი სამეფო მუზარადში მოათავსა, შვილის თავზე ზრუნავდა, რათა მტრის ისარი აესხლიტა, ზოგი კი ცხენის ლაგამზე მიაბა და იმპერატორისათვის მოიგონა (ასეთი) უსაფრთხოება, და აღასრულა ძველი წინასწარმეტყველება, რადგან დიდი ხნით ადრე განაცხადა წინასწარმეტყველმა ზაქარიამ: „და ექნება ცხენის ლაგამზე წმინდა ყოვლისმპყრობელი უფლისათვის“ **(ზაქ.14,20).**

ჯვრის რაღაც ნაწილი სასახლეში წაიღო, ხოლო დანარჩენისათვის დაამზადა ვერცხლის საჭურჭლე, ამ ქალაქის ეპისკოპოსს უბოძა და დააბარა, რომ მომავალი თაობებისათვის დაეცვა მხსნელის ხსოვნა. ყველა მხრიდან ყველა სახის მასალა და ხელოსნები შემოკრიბა და ეს უდიდესი და უბრწყინვალესი ტაძარი ააგო...“ **(კვირელი 2008: 61).** საეკლესიო ისტორიოგრაფიაში, ცალსახად არ არის გამოკვეთილი, თუ რომელ წელს მოხდა ელენე დედოფლის მიერ მაცხოვრისეული ჯვარის პოვნა. წყაროთა ერთი ნაწილი ამ ფაქტს - 326 წელს მომხდარად მიიჩნევს **(იხ. კალანდაძე 1973: გვ.206).** თუმცა არსებობს განსხვავებული თარიღებიც - „...ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვრის საპოვნელად იერუსალიმს იმოგზაურა დაახლოებით: 322-329 წლებში; მოგზაურობიდან დაბრუნდა - 328, თუ - 329 წლებში; ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით - 330 წ...“ **(ლომოური 1975: 82).**

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ - „...ელენე დედოფლის გარდაცვალების ტრადიციულ თარიღად მიღებულია 327 წელი, რადგან ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ იგი გარდაიცვალა პალესტინაში მისი ცნობილი მოგზაურობიდან მოკლე ხანებში. ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს კონსტანტინეს მიერ საკუთარი დედის საპატივცემულოდ, 327 წლის 7 იანვარს ქალაქ დრეპანუმის ელენოპოლისად გადარქმევის ფაქტიც. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დედოფალი ან 328 წელს, ან 329 წლის დასაწყისში უნდა გარდაცვლილიყო, რასაც მის სახელზე მოჭრილი მონეტები ადასტურებენ.

ასე, რომ იმავე მეთოდიკის მიხედვით, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი მიმართავდა, ქართლის მოქცევის ზედა ზღვრად 327 თუ არა, 328 წლის ბოლო, ან 329 წლის დასაწყისი უნდა ვაღიაროთ და უარი უნდა ვთქვათ ჯავახიშვილისეულ 337 და, მითუმეტეს კეკელიძისეულ 355 წელზე...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 10-11).**

ჩვენთვის საძიებელი წლის თაობაზე საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე, მოდით ქართულ წყაროებში დაცული ის ინფორმაციები გავიხსენოთ, რომლებიც ცხოველისმყოფელი ჯვრის ნაწილების საქართველოში ჩამობრძანებას ეხება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით - სამ პირობით ჯგუფთან გვაქვს საქმე: წყაროთა ერთი ნაწილის თანახმად - წმ. ჯვრის ნაწილები საქართველოში, კონსტანტინესაგან გამოგზავნილ მღვდელმსახურებს თავიდანვე ჩამოუტანიათ; ხოლო წყაროთა მეორე ნაწილი კი, ამ ფაქტს ოდნავ მოგვიანებით მომხდარად წარმოგვიჩენს.

არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციების თანახმად, ქართლში ჩამოსულ ევსტათი ანტიოქელს, თან მოაქვს - „..ნაწილი ძელისა ცხორებისაჲ და ხატი ქრისტეს ღუთისა ჩუჷნისა, და ყოვლად წმიდისა დედისა მისისა, რომელნიცა წარმოეგზავნნეს დედოფალსა ელენეს ღირსისა ნინოსსა...“ **(არსენ ბერი 1902: 35, იხ. ყუბანეიშვილი 1946: 228).**

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად კონსტანტინემ გამოგზავნილ მღვდელმსახურთ - „...წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისა..“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 116);** და მხოლოდ ამის შემდეგ იუწყება მირიანის მიერ კონსტანტინესთან ახალი სათხოვარით გაგზავნის თაობაზე - „... მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა... ვითარ მიიწივნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი რომელთა ზედა ფერჯნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ჴელთანი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 117).**

ანალოგიური ინფორმაციაა დაცული ნიკოლოზ I კათალიკოზისეულ რედაქციაშიც **(იხ. ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 85; 88).**

ზემოთაღნიშნული ორი ჯგუფისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის თანახმადაც კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ მღვდელმსახურებს თავიდან - მხოლოდ ძელი ცხოველის წმინდათა ნაწილი ჩამოაქვთ - „...და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოისთვის...“ **(სალუაშვილი 2010ა: 15; აბულაძე 1963: 86).**

იქვე გვეუწყება მირიანის მიერ კონსტანტინესთან გაგზავნილი მეორე თხოვნის თაობაზეც - „...და წარავლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადვეს საძირკუელი ეკლესიისაჲ და დაუტევეს ფერჯთა ფიცარნი მაცხოვრისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და წარმოვიდეს მანგლისს და დადვეს საძირკუელი ეკლესიისა და დაუტევნეს სამსჭუალნი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 16; აბულაძე 1963: 86-87).**

მაშასადამე - „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად ელენე დედოფლის მიერ ნაპოვნი ჯვრის სიწმინდეთა ნაწილი სხვადახვა დროს ჩამოდის ქართლის სამეფოში - თავდა-

პირველად შემოაბრძანებენ ძელიცხოველის ნაწილს, ხოლო მოგვიანებით მაცხოვრის ფერხთა ფიცარსა და სამსჭუალებს. ყოველივე ზემოთქმულში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომლის თანახმადაც: მირიან მეფისა, და შესაბამისად - ქართლის გაქრისტიანებაც ელენე დედოფლის სიკვდილის სავარაუდო: 329-330 წ.წ. წლებიდან უკუათვლით: IV ს-ის 20-იან წლებზე მოდის.

დ) „მეოთხე“ ზედა მიჯნა - ლტოლვილობის არსთან დაკავშირებული საკითხები

დღეს-დღეობით „წმ. ნინოს ცხოვრების“ ხუთი რედაქციიდან, ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქციის გარდა, ყველა დანარჩენი, თავის თხრობას - წმ. ნინოს, რომის იმპერიიდან, იძულებით წამოსვლით იწყებს. და მართლაც, თუ გავაანალიზებთ წყაროებში დაცულ ცნობებს მივალთ იმ დასკვნამდე, რომ - „...ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თავიანთი ნებით კი არ წამოვიდნენ, გამოიქცნენ. სომხეთში მოსული ნინოს თანამგზავრები თრდატმა სიკვდილით დასაჯა...“ **(გოილაძე 1986: 151).** წმ. ნინოს ლტოლვილობის მიზეზისა და ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის დროითი ნიშნის დადგენამდე, საჭიროა რამდენიმე ძირეული საკითხის განხილვა, რომელთა გარეშეც, ჩვენის აზრით, შეუძლებელია მართებული დასკვნის გაკეთება.

1. წმ. ნინოს შობასთან დაკავშირებული დროითი მინიშნებანი

ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა სხვა რედაქცია გვაწვდის ცნობებს - წმ. ნინოს მშობლებთან დაკავშირებით. არსებული ინფორმაციების თავისებურებათა გათვალისწინებით, აღნიშნულ საკითხზე დასკვნის გამოტანა, მხოლოდ - ყველა ამ წყაროს ურთიერთშეჯერების გზითაა შესაძლებელი. მოდით მივყვეთ თანმიმდევრობით.

ა) წმ. ნინოს მშობლები

წმ. ნინოს მშობლებთან დაკავშირებული მსჯელობა არსენ ბერისეული თხზულებით დავიწყოთ, რომელიც, აღნიშნულ საკითხზე საუბარს, წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს

ხსენებით იწყებს - „...გამოჩნდა ყოვლად ბრწყინვალე იგი და საჩინო მნათობი, უძლეველი მხედარი... დიდებული მოწამე ქრისტესი გიორგი, რომელმან იღვაწა დეოკლიტიანესზე, რომელი აღმოეცენა ყოვლად საქებელით და უფროჲსღა ესე ვითართა ნერგთა მიერ ქუეყანით კაბპადუკით...“ **(არსენ ბერი 1902: 7).**

აღნიშნულისაგან განსხვავებით სხვა რედაქციები, მხოლოდ - წმ. გიორგის ხსენებით შემოიფარგლებიან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ იდენტურ ცნობებს შეიცავენ - „... იყო მათ ჟამთა ოდენ გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტჱსთჳს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 47; აბულაძე 1963: 106). (იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 72).** იგივეს, ოდნავ განსხვავებულად, გვაუწყებს XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია - „... მათ ჟამთა შინა, ოდეს იწამა ყოვლისად ქებული და დიდებული მთავარ-მოწამე გიორგი კაბადუ-კიელი...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 216).**

მაშასადამე, ზემოთქმულიდან იკვეთება ორი დროითი ნიშანი - წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს მოღვაწეობის წლები.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „დიოკლეტიანე გაიუს ავრელიუს ვალერიუს (243, დიოკლეა - 313 და 316 წლებს შორის, სალონა, დალმაცია), რომის იმპერატორი 284-305 წ.წ. წარმოშობით დალმატიელი... 286 წ. მან თავის თანამმართველად აირჩია მაქსიმიანე. ორივენი ავგუსტუსის ტიტულს ატარებდნენ. 303-304 წ.წ. ედიქტებით სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს. 305 წელს დიოკლეტიანემ და მაქსიმიანემ უარი თქვეს იმპერატორობაზე..“ **(ლომოური 1978: 559).**

საეკლესიო ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ დიოკლეტიანეს დროს ქრისტიანთა დევნა მისი იმპერატორობის ბოლო წლებში დაიწყო, რაც გამოწვეული იყო სამეფო კარზე ქრისტიანების წინააღმდეგ განწყობილი, იმპერატორის თანაშემწის, თავისი ქალიშვილის ქმრის - კესაროს გალერიუსის ზეგავლენით - „... მთელი წელი (302) და 303 წლის ზამთარში, ნიკომედიაში, სადაც დიოკლეტიანე ცხოვრობდა, თათბირები და შეკრებები მიმდინარეობდა. დიოკლეტიანეს სურდა კანონს რამდენადმე შეზღუდული ხასიათი ჰქონოდა და ქრისტეს რწმენა მხოლოდ იმათთვის აეკრძალა, ვინც სამეფო კარზე ან ლაშქარში მსახურობდა. გალერიუსი უფრო ფართო ხასიათის ბრძანებას მოითხოვდა. ბოლოს და ბოლოს დიოკლეტიანემ წარმართულ პარტიას დაუთმო...“ **(კოპლატაძე 2007: 173).**

ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ კომენტარებში ვკითხულობთ - „...303 წ. 28 თებერვალს საძირკვლამდე იქნა დანგრეული ნიკომიდიის ეკლესია. მომდევნო დღეს გამოქვეყნდა ედიქტი დიოკლეტიანესა და გალერიუსის ხელმოწერით, რომლითაც გამოცხადდა ქრისტიანთა დევნა...“ **(კესარიელი 2007: 516).**

ქრისტიანთა დევნის დაწყებიდან, წამებულთაგან ერთ-ერთი პირველი დეოკლეტიანეს საყვარელი მხედართმთავარი - კაბადოკიელი გიორგი იყო, რომელიც 302-303 წლებში სასტიკი წამების შემდეგ აღესრულა. „...წმ. გიორგის ცხოვრებათა მიხედვით, წმ. გიორგი დიოკლეტიანეს წინაშე წარსდგა დიდ პარასკევს, ხოლო 8 დღიანი წამების შემდეგ, ანუ 23 აპრილს, პარასკევ დღეს თავი მოეკვეთა... (მუდმივი კალენდრის **(იხ. კალანდაძე 1973: 2-3)** მიხედვით - ს.ს.) 303 წელს, 16 აპრილი (წარდგომის დღე) სწორედ დიდი პარასკევი იყო (რადგან ამ წელს აღდგომა მოდიოდა 18 აპრილს), რის შემდეგაც მერვე დღეს, ანუ 23 აპრილს, პარასკევს, მოწამეობრივად აღესრულა წმ. გიორგი...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 48).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გამოიკვეთა: პირველი ზოგადი დროითი მიჯნა - დიოკლეტიანეს მმართველობის დაწყებიდან წმ. გიორგის მოწამეობ-რივ სიკვდილამდე, რაც 284-302/303 წლებზე მიდის.

დიოკლეტიანესა და წმ. გიორგის ხსენების შემდეგ, ქართულ წყაროებში იწყება: მათი თანამედროვეების - წმ. ნინოს მომავალ მშობლებთან ზაბილონსა და სუსანასთან დაკავშირებული თხრობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ წმ. ნინოს მომავალ მშობლებს ახსენებს, ხოლო არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები კი, მათთან ერთად დიოკლეტიანეს თანამმართველს, დასავლეთ რომის იმპერიის გამგებელს - მაქსმიანესაც გვამცნობს - „... იყო კაბადუკიად ქალაქით კაცი ვინმე, კოლასტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასული: და სახელი ძისა მისისა იობენალი, ხოლო ასულისა სოსანა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 72). (იხ. სალუაშვილი 2010ა: 48; აბულაძე 1963: 106).**

არსენ ბერისეულ რედაქციაში ვკითხულობთ - „რომლისა ღვაწლის და წამებისა ჟამთა და ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანა მოქალაქე მისი... რომლისა სახელი ზაბილონ. ესე წარვიდა ჰრომად წინაშე მეფისა მაქსიმიანესა...“ **(არსენ ბერი 1902: 7). (იხ. ყუბა-ნეიშვილი 1946: 216).**

როგორც ზემოთაც ითქვა - მაქსიმიანე, დიოკლეტიანესთან ერთად, იმპერატორობი-დან - 305 წელს გადამდგარა. მაშასადამე, ზაბილონი არის დიოკლეტიანეს, მაქსიმიანესა და წმ. გიორგის თანამედროვე პირი, ხოლო ზემოთქმულით: 284-305 წლების ზოგადი დროითი მიჯნა დაგვიკონკრეტდა.

ბ) წმ. ნინოს შობის სავარაუდო დრო

წმ. ნინოს შობის სავარაუდო თარიღის დასადგენად, ბუნებრივია, მის მშობლებთან დაკავშირებული დროითი ნიშნების განსაზღვრაა საჭირო. ამასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვაწვდის ცნობებს, რომლებიც ურთიერთშემავსებელი ხასიათისაა, და საერთო სურათის დადგენა მხოლოდ მათი ურთიერთშეჯერების გზით ხდება შესაძლებელი.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ჩვენთვის საძიებელი მოვლენები, რომის იმპერიის თანამმართველების დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს დროს ვითარდება. წმ. ნინოს მშობლები კაბადოკიის მკვიდრნი არიან. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „... იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წმიდა გიორგი კაბადუკელი იწამა ქრისტესთვის, იყო კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე, მთავართა შესაბამი მონა ღმრთისა, სახელით **ზაბილონ** და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან. და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლასტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასული: და სახელი ძისა მისისა იობენალი, ხოლო ასულისა **სოსანა...**“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 72). (იხ. აგრეთვე სალუაშვილი 2010ა: 47-48; აბულაძე 1963: 106).**

წყაროთა მეორე ნაწილიდან კი ვგებულობთ, რომ წმ. ნინოს მშობლები არა მარტო კაბადოკიის მკვიდრნი, არამედ ერთმანეთის ნაცნობებიც არიან. მეტაფრასულ რედაქციაში ვკითხულობთ - „ხოლო იყო ვინმე კაცი (აქ - წმ. ნინოს დედის მამა - ს.ს.) მისვე ქალაქისაჲ კაბადოკიელი, მეცნიერი და მოყვარე ზაბილონისი...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 217).** არსენ ბერისეული რედაქცია იგივეს ოდნავ განსხვავებით ამბობს - „...იყო ვინმე მეგობარი მის თანა მოქალაქე, კაცი ღუთის მოყვარე...“ **(არსენ ბერი 1902: 7).**

როგორც ვნახეთ, გარკვეული მიზეზების გამო, წმ. ნინოს მამა ზაბილონი რომში მიემგზავრება და სამხედრო სამსახურს იწყებს. წმ. ნინოს დედა და ბიძა სოსანა და იობენალი, მშობლების სიკვდილის შემდეგ იერუსალიმში მიდიან, სადაც სოსანა სარა ბეთლემელთან მსახურობს, ხოლო მისი ძმა სასულიერო სამსახურს იწყებს, და

შემდგომში, იერუსალიმის პატრიარქი ხდება - „...ხოლო აღესრულა რაჲ იგი და მეუღლე მისი დაშთეს ობოლნი იგი, განყიდეს ყოველი მონაგები მშობელთა მათთა და აღდგეს და წარვიდეს იერუსალიმად... ამისა შემდგომად მირაჲწია ყრმა იგი ჰასაკად, კეთილად ქცევისა და წადიერებისა მისისათჳს, პატივითა პატივად აღყვანებული მიემთხვა პატრიარქობასა, ხოლო დაჲ მისი ჰმსახურებდა წმიდასა აღდგომასა და ჰმორჩილებდა დედაკაცსა ღირსსა და წარჩინებულსა სარრას ბეთლემელსა...“ **(არსენ ბერი 1902: 7).**

ამის შემდეგ, ქართული წყაროები, ზაბილონთან დაკავშირებით დეტალურ ცნობებს გვაწვდიან. არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციების მიხედვით, რომში წასული ზაბილონი მხედართმთავარი ხდება - „...ზაბილონ, ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად... ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და შემდგომად პატივითა და ნიჭითა განაწესა იგი მხედართ-მთავრად...“ **(არსენ ბერი 1902: 7-8).** თუმცა ქართულ წყაროებში არსად ფიქსირდება, თუ რა დროა გასული, ზაბილონის მიერ სამხედრო სამსახურის დაწყებიდან, იმ დრომდე, როდესაც მაქსიმიანემ - „...შემდგომად პატივითა და ნიჭითა განაწესა იგი მხედართ-მთავრად“.

აღნიშნულის შემდეგ გვეუწყება, რომ ზაბილონი ებრძვის განდგომილ ფრანგებს - „...მას ჟამსა შინა იქნა განდგომილებაჲ ფრანგთა (სხვადასხვა წყაროებში მოხსენებულია: „ბრანჯნი“- ს.ს.)... ხოლო ჭაბუკი იგი კაპპადუკიელი აღენთო მისთანა მჴედრობითურთ, განვიდა შემთხვევად მათთა და შეწევნითა ქრისტესითა ფრიადი სიმჴნე მოეცა...“ **(არსენ ბერი 1902: 8).** მაშასადამე, აღნიშნულიდან ვგებულობთ, რომ, როგორც მინიმუმ, ამ დროისთვის ზაბილონი უკვე ქრისტიანია.

ზაბილონის ქრისტიანობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ტყვედ მყოფი ფრანგები, სიკვდილის წინ ზაბილონს სთხოვენ მის რჯულზე, ანუ ქრისტიანობაზე მონათვლას „...მაშინ იწყეს მათ ტირილად და ევედრებოდეს ზაბილოსს და ეტყოდეს: შეგჳყვანე ტაძარსა შინა უფლისა ღუთისა შენისასა და ნათელ-გუჳც სახელითა მისითა, რომელსა შენ ჰმსახურებ, რომელმან ესე ვითარი სიმჴნე მოგცა შენ...“ **(არსენ ბერი 1902: 8).**

აქვე გვეუწყება ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. ქრისტეს სჯულის მიმდევარი ზაბილონი, ფრანგთა თხოვნის აღსრულებისთვის, ნებართვას სთხოვს მეფეს, რომელიც თანხმდება კიდეც მას - „...ხოლო ზაბილონს-ღა ესმა, მსწრაფლ აუწყა ესე მეფესა და პატრეაქსა, სიტყუაჲ მათი, და მოსცეს მათ ნათელი ჴელსა ქუეშე ზაბილოვნისსა და შეიყვანნეს ტაძარსა ღმრთისასა, წმიდასა ეკლესიასა, და აზიარნეს საიდუმლოთა

ქრისტესთა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 49; აბულაძე 1963: 107).** მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დროისათვის ქრისტეს სჯულის მიმდევრები ჯერ კიდევ არ განიცდიან დევნას.

ზემოთქმულის დამადასტურებელ კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენს იქვე დაცული ასეთი თხრობაც: ზაბილონი მეფისაგან გამოითხოვს ტყვედ მყოფი ფრანგთა მეფისა და დიდებულების სიცოცხლეს, მიჰყვება მათს ქვეყანაში და იწყებს იქ ადგილობრივი მოსახლეობისა და დიდებულების ქრისტეს რჯულზე მონათვლას - „...ხოლო ზაბილონ გამოითხ(ო)ვნა მეფისაგან, და შეკაზმულნი განუტევნა. ხოლო იგ(ი)ნი ევედრებ(ო)დეს ზაბილონს, რათა წარჰყვეს ქუეყანასა მათსა და მისცეს სჯული ქრისტიანობისაჲ და ნათლისღებაჲ წყლითა ყოველსა ერსა მათსა. ხოლო მან ისმინა სიტყჳსა მათისა და მოითხოვა მღდელი პატრიარქის(ა)გან. და ბრძანებაჲ მოიღო მეფისაგან და წარვიდეს... დასდებდა ჴელსა ზაბილონ ყოველთა ზედა ათ დღე. და აღმართნა კარავნი და შეწირეს ჟამი, და აზიარნა საიდუმლოთა ქრისტესთა და დაუტევნა მღდელნი და განუწესა ყოველივე წესი საეკლესიოჲ, და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომადვე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 50-51; აბულაძე 1963: 108-109).**

ქრისტეს სჯულის თავისუფლად აღიარების დასტურად გამოდგება ის ფაქტიც, რომ იმ დროისათვის თვით - „...იმპერატორ დიოკლეტიანეს მეუღლე პრისკა და მათი ქალიშვილი ვალერია ქრისტიანები იყვნენ...“ **(კესარიელი 2007: 516).**

საუბრის გაგრძელებამდე, მოდით, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ, თუ ვინ არიან ქართულ წყაროებში ნახსენები - „ფრანგნი“, იგივე - „ბრანჯნი“. როგორც ვიცით - „ამ საკითხზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ქართულ მეცნიერებაში (იქვე შენიშვნაში ვკითხულობთ - „ეს მოსაზრება დაწვრილებითაა განხილული ვ. გოილაძის წიგნში „ქართული ეკლესიის სათავეებთან“, გვ.96-99 - ს.ს.). სხვადასხვა დროს გამოთქმულ ამ მოსაზრებათა მიხედვით „ბრანჯებად“ განიხილებიან ფრანგებიც, ესპანეთის ტერიტო-რიაზე მცხოვრები „ბარღუზებიც“, ფრიგულებიც და გალებიც...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 16).**

ჩვენის მხრივ, გვინდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც - „...ნახსენებ ეთნონიმში - „ბრანჯები“, იგულისხმებიან არა - ფრანგები, ბარდუზები, ფრიგიელები, ან გალები, არამედ - **ფრანკები,** მდინარე რეინის აუზში მცხოვრები გერმანული ტომების ერთობა და ფრანკებთან ერთად მათი მეზობელი ის გერმანული

ტომები, რომლებზედაც შეიძლებოდა III-IV საუკუნეებში გავრცელებულიყო სახელი „ფრანკი“.

ძალიან მოკლედ რომ გადავხედოთ ფრანკთა ისტორიას, ვნახავთ, რომ IV საუკუნის შუა წლებამდე ისინი არბევდნენ რომის იმპერიას, ძირითადად კი გალიის პროვინციას... ევროპაში გოთების გამოჩენის შემდეგ ხდება ფრანკების შევიწროება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და უკვე 451 წელს ცნობილ კატალაუნის ველზე, დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, ისინი რომაელებთან ერთად ებრძვიან გოთებს...

თუ ჩვენ სარწმუნოდ და ავთენტურად მიგვაჩნია წმიდა ნინოს მონათხრობი, მაშინ ზაბილონის ამბავში ნახსენებ „ბრანჯებში“ მხოლოდ გოთებამდელი პერიოდის რეინის აუზში მცხოვრები, პატარ-პატარა ტომებად გაერთიანებული ფრანკები უნდა ვიგულის-ხმოთ. ამ ტომებს ყავდათ თავიანთი ბელადები (царьки), რომელთაც რომაელები მეფეებადაც მოიხსენიებდნენ... სიტყვა „ბრანჯი“, ჯერ კიდევ 1906 წელს, ნ. მარმა მიიჩნია „ფრანკ“-ის არაბიზირებულ ფორმად...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 17-19).**

როგორც ცნობილია, რომის - „...იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცებისათვის დიოკლეტიანემ სცადა ხელისუფლება თანამიმდევრულად და დაკანონებულად გაენაწილებინა ჯერ ორ, ხოლო შემდეგ ოთხ თანამმართველს შორის. 286 წ. მან თავის თანამმართველად აირჩია მაქსიმიანე. ორივენი ავგუსტუსის ტიტულს ატარებდნენ. დიოკლეტიანემ იმპერია 4 ნაწილად (ტეტრარქიად) გაყო. 293 წ. ორივე ავგუსტუსმა თავისი უმცროსი თანამმართველი კეისარი დაინიშნა: დიოკლეტიანემ - გაიუს გალერი-უსი, ხოლო მაქსიმიანემ - კონსტანციუს ქლორუსი. დიოკლეტიანე და გალერიუსი მარ-თავდნენ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, მაქსიმიანე და კონსტანციუსი - დასავლეთს...“ **(ლომოური 1978: 559).**

თავის მხრივ - „...ის ფაქტი, რომ ზაბილონის ბრანჯებთან (ბრანგებთან) ბრძოლა რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის ჩრდილოეთში, გალიის საზღვრებთან უნდა მომხდარიყო, ეჭვს არ იწვევს... იმპერიის ამ ნაწილს კონსტანტინე დიდის მამა კონსტანციუსი მართავდა...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 20).**

ისტორიოგრაფიაში ცნობილია ისიც, რომ - „...რაც შეეხება კონსტანციუსის ბრძოლებს ფრანკებთან (ასევე ალემანებთან და ფრიზებთან), მათ ადგილი ჰქონდათ 294-299 წლებში...“ **(ნიკოლოზიშვილი 2003: 22).**

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის შეჯერებით შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ზაბილონი რომის იმპერიის სამხედრო სამსახურში შედის - მაქსიმიანეს იმპერატორობის, ანუ 286 წლის შემდეგ - „...ზაბილონ, ესე წარვიდა რომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად...“ **(არსენ ბერი 1902: 7-8).** შვიდიოდე წლის მსახურების შემდეგ მაქსიმიანემ - „...შეიწყნარა და შემდგომად პატივითა და ნიჭითა განაწესა იგი მხედართ-მთავრად“ **(არსენ ბერი 1902: 8),** ანუ მაქსიმიანესა და მისი უმცროსი თანამმართველის კონსტანციუსის მიერ 294-299 წლებში ფრანკებთან (იგივე „ფრანგნი“, „ბრანჯნი“) წარმოებულ ბრძოლაში, ზაბილონი, უკვე მათი ერთ-ერთი მხედართმთავრის რანგში მონაწილეობს. მაშასადამე, ქართულ წყაროებში დაცული ზაბილონის მიერ ფრანკთა („ფრანგების“, „ბრანჯების“) მოქცევის აღმწერი ინფორმაციები, მესამე საუკუნის მიწურულს (294 - 299 წ.წ.) მომხდარ მოვლენებზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ქართულ წყაროებში არ ჩანს, თუ ფრანგთა მოქცევის შემდეგ რამდენ ხანს რჩება ქრისტეს რჯულის აღმსარებელი ზაბილონი რომში. თუმცა, ქრისტიანების „უსაფრთხოდ“ ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ცნობილია IV ს-ის დასაწყისში, კერძოდ - 303 წლის მარტიდან რომის იმპერიაში ქრისტიანების სასტიკი დევნა-წამება იწყება.

აღნიშნულის შესახებ ევსები კესარიელი ასე იუწყება - „...დიოკლიტიანეს მმართველობის მეცხრამეტე წელი იყო (284 + 19 = 303 წ. - ს.ს.), დისტროსის თვე, რომაელთა მიხედვით მას ეწოდება მარტი, როდესაც ახლოვდებოდა მაცხოვრის ვნების დღესასწაული, ყველგან გავრცელდა საიმპერიო წერილი, რომელიც ბრძანებდა ეკლესიების საძირკვლამდე დანგრევას...“ **(კესარიელი 2007: 345).**

საეკლესიო ისტორიის მამად მიჩნეული ევსები კესარიელი იქვე, ჩვენთვის საინტერესო, ასეთ ცნობას გვაუწყებს - „...ერთბაშად არ აღჭურვილა ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ ჯერ მხოლოდ ჯარში მყოფებზე სცადა (შეტევა) (რადგან ამით ფიქრობდა, რომ დანარჩენების შეპყრობა იოლი იქნებოდა, თუ მათთან ბრძოლაში გაიმარჯვებდა) (იქვე, შენიშვნაში ვკითხულობთ: „ქრისტიანთა დევნის შემთხვევები ჯარში უკვე ცნობილი იყო 302 წ.“ (გვ.517) - ს.ს.): ჩანდა, რომ მრავალი ჯარში მყოფი დიდი სიხარულით მიესალმებოდა სამოქალაქო ცხოვრებას, რათა არ გამხდარიყვნენ ყოვლიერების შემოქმედის ღვთისმოსაობის უარმყოფელნი... ქრისტეს სამეფოს უამრავ-

მა ჯარისკაცმა უყოყმანოდ და უცილებლად ამჯობინა მისი აღსარება იმ მოჩვენებით დიდებას და კეთიდღეობას რაც ჰქონდა...“ **(კესარიელი 2007: 347).**

სწორედ ზემოთქმულის ანარეკლი უნდა იყოს ქართულ წყაროებში ზაბილონთან დაკავშირებით დაცული ასეთი მინიშნება - „...ამისა შემდგომად განიზრახა გულსა თვისსა და თქუა: წარვიდე იერუსალიმად და ვაჴმარო სიმდიდრე ესე ჩემი წმიდათა მათ ადგილთა იჷრუსალიმისათა, და შერავიდა იჷრუსალიმად, თაყუანისცა განმაცხოვე-ბელსა ცხორებისა საფლავსა და წმიდათა მათ ადგილთა, და ფრიადი სიმდიდრე განუყო გლახაკთა...“ **(არსენ ბერი 1902: 9).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ - ზაბილონის მიერ სამხედრო სამსახურის დატოვება და იერუსალიმში წასვლა 302-303 წლებიდან დაწყებულ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს.

თუმცა, მეორეს მხრივ ზაბილონის რომიდან წამოსვლის მიზეზი შეიძლება ქვემოთ აღწერილი მოვლენაც გამხდარიყო. მოდით ისევ, ევსები კესარიელს მოვუსმინოთ - „...რაც შეეხება რომაელთა ხელისუფლებას, ჩვენ წინააღმდეგ ომის წინ ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მმართველებს ჩვენს მიმართ ჰქონდათ კეთილი განწყობა და მშვიდობა...(სავარაუდოთ სწორედ ამის გამოც ინარჩუნებდა თავის მდგომარეობას ჯარში მომსახურე ქრისტეს რჯულის მაღიარებელი ზაბილონი - ს.ს.).

მაგრამ, როდესაც ასე შეუფერხებლად იზრდებოდა და დღითი-დღე უფრო მეტად წინ მიიწევდა მათი ძალაუფლება, ერთბაშად შეცვალეს ჩვენს მიმართ მშვიდობიანი (დამოკიდებულება) და შეურიგებელი ომი გაგვიმართეს (303 წლის მარტი - ს.ს.). მათთვის ამგვარი მოქმედების მეორე წელი (305 წ. - ს.ს.) ჯერ არ იყო მიწურული, რომ მთელ პრინციპათთან დაკავშირებით სიახლე რამ მოხდა და ყველა საქმე აირია (აქ მინიშნებაა ხელისუფლებაში მომხდარ „გადატრიალებაზე“ - ს.ს.). რადგან როდესაც უბედური სნეულება თავს დაატყდა ზემოთხსენებულთა შორის უპირველეს (აქ - დიოკლიტიანეს - ს.ს.), რისგანაც იგი ჭკუიდან გადავიდა, მასთან ერთად მეორე ადგილით პატივდებულმა (აქ - მაქსიმიანემ - ს.ს.), მოქალაქის უბრალო ცხოვრების წესი მიიღო, მაგრამ მას ეს ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული, რომ მთელი ძალაუფლება ორად გაიყო, - საქმე, რაც არ შემონახულა ხსოვნაში, რომ ძველად ოდესმე მომხდარიყო...“ **(კესარიელი 2007: 362-363).**

ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ - „...305 წლის 1 მაისს იმპერატორები, დიოკლეტიანე და მაქსიმიანე, გადადგნენ. აუგუსტუსებად გამოცხადებულ იქნენ კონსტანტინციუს ქლორა და გალერიუსი...“ **(კესარიელი 2007: 518).**

ამ ცნობათა მიხედვით ზაბილონის რომიდან წამოსვლის მიზეზი, შეიძლება 305 წელს მომხდარი იმპერატორთა ცვლილებაც გამხდარიყო.

ქართული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ იერუსალიმში ჩასული ზაბილონი - თხოულობს ცოლს სოსანას და ასე ბრუნდებიან მშობლიურ კაბადოკიაში. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წმ. ნინოს პირით გვეუწყება - „...და დევტალარი იგი პატრეაქ ქმნული იყო. და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილოვნ და პატრეაქი. ჰრქუა სარა ნიაფორმან პატრეაქსა: „ესე ზაბილოვნ მამაჲ და ემბაზი ბრანჯთაჲ, კაცი სრული სიბრძნითა და ღმრთისა მოშიშებითა: ამას მიეც დაი შენი სუსანა ცოლად. და სთნდა წმიდასა პატრეაქსა სიტყვაჲ მისი, და მისცეს სუსანა ცოლად მისა. და წარვიდეს თჳსა ქალაქად კოლასედ. და მე ოდენ ვიშევ მათგან. და იგი არიან მშობელნი ჩემნი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 52; აბულაძე 1963: 109).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება წმ. ნინოს შობის - ორი სავარაუდო თარიღი:

- ერთის მხრივ, თუ გავითვალისწინებთ იმ დროს, რომელიც დასჭირდებოდა 302-303 წლების შემდეგ რომიდან წამოსული ზაბილონის - იერუსალიმში ჩასვლას, იქ ცოლის მოყვანას, კაბადოკიაში დაბრუნებასა და შემდეგ წმ. ნინოს შობას, მაშინ გამოდის, რომ - წმ. ნინო მინიმუმ 304 წელს უნდა იყოს დაბადებული;

- მეორეს მხრივ, თუ ზაბილონის რომიდან წამოსვლის ათვლის წერტილად ავიღებთ - 305 წელს საიმპერატორო კარზე მომხდარ ცვლილებებს, მაშინ ყოველივე თქმულის გათვალისწინებით წმ. ნინოს შობის სავარაუდო თარიღი უკვე, დაახლოებით - 306 წელი გამოდის.

წინამდებარე თხრობის დასასრულს, დიდის ალბათობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ - **წმ. ნინო, დაახლოებით, 304-306 წლებში უნდა იყოს დაბადებული.**

გ) წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე გასული დრო

წმ. ნინოს შობის სავარაუდო თარიღების დადგენის შემდეგ, საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ - წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების ასევე სავარაუდო წელი.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია დაწვრილებით გადმოგვცემს - წმ. ნინოს ცხოვრების ძირითად მომენტებსა და მათთან დაკავშირებულ კონკრეტულ თარიღებს.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია, არსენ ბერის მიერ დასახელებული 14 წლიანი დროითი მონაკვეთისაგან განსხვავებით **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 52; აბულაძე 1963: 109),** უთითებს, რომ - წმ. ნინოსა და მის მშობლებს კაბადოკიაში: 12 წელი გაუტარებიათ, - „...და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაჲცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალიმად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 52; აბულაძე 1963: 109).**

თუ ჩავთვლით, რომ წმ. ნინო 304-306 წლებშია დაბადებული, მაშინ გამოდის, რომ წმ. ნინოსა და მისი მშობლების იერუსალიმში ჩასვლის სავარაუდო თარიღია: 304/306 + 12/14 = 316/318, ან - 318/320 წლები.

იერუსალიმში ჩასული ზაბილონი, თავისი ცოლის ძმის იერუსალიმის პატრიარ-ქისაგან მიღებული კურთხევის შემდეგ, ბერად შემდგარა - „...მაშინ მამამან ჩემმან დაი-წერა ჯუარი პატრიარქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა... და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელი რაჲ ყოფაჲ მისი იცის მისმან უფალმან იესუმ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 52-53; აბულაძე 1963: 110),** ხოლო სუსანა, თავის ძმას იობენალს, განუმწესებია - „...მსახურებად გლახაკთა, დედათა უძლურთასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 53; აბულაძე 1963: 110).** რაც შეეხება წმ. ნინოს, იგი მიუბარებიათ იმავე სარა ბეთლემელთან, ვისთანაც, თავის დროზე, დედამისი სუსანა იზრდებოდა - „...ხოლო (ი)გ(ი) მორჩილი ღმრთისა, ნეტარი ნინო, შეჰვედრა ღმრთისმოშიშსა დედაკაცსა სარას, რომელი მსახურებდა წმიდასა აღდგომასა, და მის თანა იყოფოდა ღირსი ესე ნინო...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 218). (იხ. იგივე არსენ ბერი 1902: 10).**

არსენ ბერისეულისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციებისაგან განსხვავებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ წმ. ნინოს მიერ სარა ბეთლემელთან გატარებულ კონკრეტულ დროსაც უთითებენ - „...ხოლო მე ვჰმსახურებდ მიაფორსა სომეხსა, დვინელსა ორ წელ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 53-54; აბულაძე 1963: 110).**

მაშასადამე, თუ წმ. ნინო და მისი მშობლები იერუსალიმში ჩასულან - 316/318, ან - 318/320 წლებში მაშინ გამოდის, რომ წმ. ნინოს მიერ სარა ბეთლემელთან ყოფნის ორი წელიწადი მოდის 318/320, ან - 320/322 წლებზე.

არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციებისაგან განსხვავებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ ერთ ფრიად საყურადღებო ცნობასაც გვაწვდიან. მათი ცნობების თანახმად, იერუსალიმში ჩამოდის ელენე დედოფლის მხევალი, ვინმე ეფესელი ქალი - „...მათ დღეთა შინა მო-ვინმე-ვიდა დედაკაცი ეფესელი თაყუანისცემად წმიდასა აღდგომასა (ე.ი. იგი ქრისტიანია - ს.ს.) და ჰკითხვიდა მიაფორი დედაკაცსა მას, თუ „ელენე დედოფალი (ჭელიშური რედაქცია აქვე ამატებს - „და ძე მისი“ - ს.ს.) ეგეთსავე ბნელსა შინა არსა (მაშასადამე, ჯერ კიდევ არ არიან ქრისტიანობას ნაზიარებიო? - ს.ს.) და მეფობაჲ მათი თჳნიერ ღმრთისა“. ხოლო მან ჰრქუა: „მე ვარ მჴევალი მათი და მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა, და დიდი წადიერებაჲ (ანუ დაინტერესება - ს.ს.) აქუს ჰრომთა ქრისტჱს მიმართ შჯულისათჳს და ნათლისღებისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 58; აბულაძე 1963: 113).**

მაშასადამე, ელენე დედოფლის მხევლის, ქრისტიანი ეფესელი ქალის პირით, გვეუწყება, რომ ზემოთ მიღებული: 318/320 ან 320/322 წლებისათვის, რომის საიმპერატორო კარი ელენე დედოფლისა და მისი ძის კონსტანტინე იმპერატორის სახით ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არიან ქრისტეს სჯულზე შემდგარნი.

ზემოთქმულის დასტურად, ქართულ წყაროებში დაცული, წმ. ნინოს მიერ იქვე ნათქვამი სიტყვები გავიხსენოთ - „...ხოლო მე ვარქუ მიაფორსა: წარმავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დედოფლისა, ნუ უკუე მიმიახლოს სიტყჳს-გებად მის წინაშე ქრისტჱსათჳს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 58; აბულაძე 1963: 113). (იხ. აგრეთვე ყაუხჩიშვილი 1955: 79).**

თავისი ბიძისაგან, იერუსალიმის პატრიარქისაგან მიღებული კურთხევის შემდეგ, წმ. ნინო მიყვება ელენე დედოფლის მხევალს - „...ხოლო მე მიმიწოდა წმიდამან მამამან პატრეარქმან ძმამან დედისა ჩემისამან და დამადგინა აღსავალსა ზედა საკურთხეველისასა და დამსხა წმიდანი ხელნი მისნი... და მიჯმნა დედისა ჩემისაგან (ე.ი. ამ დროისთვის წმ. ნინოს - დედა, ჯერ კიდევ ცოცხალი ყოლია - ს.ს.)... და წარვემართე დედაკაცისა მის თანა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 58-59; აბულაძე 1963: 114).**

დაწყებული თხრობა ასე გრძელდება - „...და წარემართა წმიდა ნინო დედაკაცისა მის თანა, ეფესოთ მოსრულისა, და ვითარ მიიწივნეს სამეფოსა ჰრომს სახიდ დედაკაცისა, რომლისა-იგი თანამოგზაურ იქმნა, პოვეს მუნ დედოფალი ვინმე მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძუძე მისი გაიანე, მონასტერსა შინა ქალწულთასა

რომელთა ქრისტეს აღსარებისათჳს სუროდა და ელოდეს იერუსალიმით ნათლის-ღებასა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 80).**

ქრისტეს სჯულის მაძიებელმა რიფსიმემ (და მასთან ერთად მყოფებმა) – „...შეიწყნარა თესლი იგი ნინოჲს სიტყუათანი და ნათელ იღო მღუდლისა მიერ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა და წარიტყუანა მის თანა ღირსი ნინოჲ და იყოფებოდა ორ წელიწად სახლისა შინა მისსა მისთანა. და კეთილად ჰმოძღურიდა და ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესთა...“ **(არსენ ბერი: 1902: 15).** (აღნიშნული ინფორმაცია ნიკოლოზ I კათალიკოსისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციების გარდა, „ცხოვრების“ ყველა რედაქციაშია დაცული).

თუ აღნიშნულ ცნობას დავუმატებთ იმასაც, რომ რიფსიმესთან გატარებული ორი წლის შემდეგ წმ. ნინო და მასთან მყოფები მიდიან ლტოლვილობაში, მაშინ გამოდის, რომ ზემოთაღნიშნული ორწლიანი დროითი მონაკვეთის გათვალისწინებით, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ საძიებელი ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო თარიღი, რომელიც IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე, კერძოდ - 320/322, ან - 322/324 წლებზე მოდის.

2. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული რამდენიმე დროითი მინიშნების თაობაზე

დღეისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, ქრისტიანული ისტორიოგრაფიის - „...უცხოურ და ქართულ წყაროებში, ქართველთა გაქრისტიანების სხვადასხვა თარიღი დომინირებს. ზოგი თარიღი აშკარად მცდარია. თარიღების მრავალრიცხოვნობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი ეყრდნობა სხვადასხვა საფუძველს... IV ს-ში არ არსებობს ისეთი წელი, როდესაც ერთმანეთს დაემთხვევოდა „ცხოვრებაში“ აღწერილი ყველა ფაქტი... თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსახდენი ცდომილება არ მომხდარა...“ **(თორაძე ... 2007: 14,17).**

ჩვენი წინამდებარე თხრობა, სწორედაც რომ „ცხოვრებაში“ დაცული სხვადასხვა თარიღების შესაძლო ურთიერთშეჯერებას გვინდა დავუთმოთ.

ა) „სამას მეათე“ და „სამას მეათერთმეტე“ წლებთან დაკავშირებული საკითხები

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე ნაწილში დაცული ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად მსგავს ცნობებს შეიცავს - „...და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და მეათესა წელსა..“, და „...ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 11; 60; აბულაძე 1963: 83; 114).**

აქ მითითებული ტერმინების თაობაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ - „...ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა და კ. ცინცაძემ გასული საუკუნის ბოლოს აღნიშნეს, რომ აქ ყველაფერი არეულია. და ყველგან, სადაც წელთაღრიცხვას - „ქრისტეს ამაღლებიდან“ იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ „ქრისტეს დაბადებითგან“...“-ო **(ლომოური 1975: 71).**

ამ ტერმინების გარდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ზემოთმითითებულ თარიღებში მომხდარი მოვლენების აღწერაში, ასევე რამდენიმე, ერთი შეხედვით, შეუსაბამო ცნობებია დაცული. კერძოდ, იქვე - „...მოთხრობილია, რომ კონსტანტინემ მოაყვანინა ეპისკოპოსები იერუსალიმიდან, ანტიოქიიდან, რომიდან და ალექსანდრიიდან; შემდეგ, რომ მან სძლია მტერს ძალითა ჯვრისა... აქ ზოგიერთი უზუსტობით, ასახულია მაქსენ-ციუსთან კონსტანტინეს ბრძოლა და მილანის ედიქტი... თუ შევადარებთ ამ ადგილს ევსევი კესარიელის „კონსტანტინეს ცხოვრება“-ში მოცემულ თხრობას კონსტანტინეს და მაქსენციუსის უკანასკნელი ბრძოლის შესახებ რომის მისადგომებთან, მილვიის ხიდთან, დავინახავთ, რომ ბევრი რამ ნიშანდობლივ ემთხვევა და განსხვავება მხოლოდ დეტალებშია...“ **(ლომოური 1975: 78).**

როგორც ცნობილია, აღნიშნული ბრძოლა 312 წელს გაიმართა **(იხ. კოპლატაძე 2007: 186),** ხოლო ე. წ. მილანის ედიქტი კი 313 წელს იქნა მიღებული. ამდენად, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მითითებულ: **310-311 წლებთან დაკავშირებულ თხრობაში, „ზოგიერთი უზუსტობით“, ზემოთაღნიშნული: 312-313 წლებში მომხდარი მოვლენები უნდა იყოს აღწერილი.**

მეორეს მხრივ, ქართულ წყაროებში დაცული 310/311 წლები, რომის იმპერიაში მომხდარი კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის ანარეკლი შეიძლება იყოს.

ევსები კესარიელის ცნობით - „...ასეთი ვითარება იყო მთელი დევნულების განმავლობაში, რაც მეათე წელს ღვთის მადლით სრულებით შეწყდა, თუმცა, დაცხრომა

დაიწყო მერვე წელს...“ **(კესარიელი 2007: 369).** თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ეხება ქრისტიანთა დევნის დაწყების: 302/303 წლებიდან ათვლით მომხდარს, მაშინ გამოდის, რომ - „...დაცხრომა დაიწყო მერვე, წელს“, სწორედაც რომ 310-311 წლებზე მიუთითებს. მართლაც - „...დევნილობა შეწყდა 310-311 წლებში...“-ო **(კესარიელი 2007: 519).**

აღნიშნულთან მიმართებაში ბ. გიგინეიშვილი ბრძანებს - „... 311 წელს, ცხადია, კონსტანტინეს მონათვლის წელი არაა, მაგრამ ისაა დრო მის სახელთან დაკავშირებული ედიქტისა, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის შემწყნარებლობას უშვებს...“-ო **(იხ. გიგინეიშვილი 1988).**

ბ) „მეათე წელი“, ანუ - ელენე დედოფლის იერუსალიმში წასვლა

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ზემოთ დაწყებული თხრობა ასე გრძელდება - „...მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალჩმად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83).**

მაშასადამე, თუ აღნიშნული ცნობის ათვლის წერტილად ავიღებთ „მოქცევაჲ ქართლისაჲშივე“ მითითებულ „სამას მეათე წელს“, მაშინ ელენე დედოფლის მიერ, იერუსალიმში, მაცხოვრის ჯვრის საძებნად წასვლის თარიღი 320 წელზე მოდის, რაც წინააღმდეგობაშია ისტორიოგრაფიაში მიღებულ იმ ცნობასთან, რომლის თანახმადაც - „...ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვრის საპოვნელად იერუსალიმს იმოგზაურა 322-329 წლებში...“ **(ლომოური 1975: 82).**

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული წყაროს მიერ მითითებული „სამას ათი წლის“ მომხდარი, სინამდვილეში ეხება 312 წელს კონსტანტინესა და მაქსენციუსს შორის გამართულ ომის პერიპეტიებს, მაშინ „მათ ჟამთაგან მეათესა წელსა“, უკვე ზემოთაღნიშნულ 322 წელზე მოდის.

ამდენად, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მითითებული ერთის მხრივ: „სამას და მეათესა წელსა“, და მეორეს მხრივ „მათ ჟამთაგან მეათესა წელსა“-ში, მცირეოდენი უზუსტობით, ასახულია: 322-329 წლებში ელენე დედოფლიოს მიერ იერუსალიმში ჯვრის საძებნად წასვლის, ანუ ამ ისტორიული მოვლენის, კონკრეტული დროითი მიჯნა.

გ) „მეშვიდე წლისა“ და „მერვე წლის“ დროით მინიშნებათა საკითხისათვის

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე რთულ ადგილს წარმოადგენს, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული შემდეგი მონაკვეთი, რომელიც, საძიებელი თემის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, მოდით, რამდენიმე პირობით ჯგუფად დავყოთ. მაშინ, შატბერდულ რედაქციაში ერთ აბზაცად წარმოდგენილი ეს თხრობა, შემდეგ სახეს მიიღებს **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114):**

- „...მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა.

- და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა.

- მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას.

- და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“.

თუ აღნიშნულ აბზაცს მთლიანობაში გააზრების კუთხით შევხედავთ, მაშინ - „...ეს ცნობა შეიცავს მრავალ შეცდომას და შეუსაბამობას. ამ ციტატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ... 311 წელს იმპერატორ კონსტანტინეს, მის დედას, ელენე დედოფალს და მთელ საბერძნეთს მიუღია ქრისტიანობა, 318 წელს ჩატარებულა ნიკეას კრება, ხოლო 319 წელს რიფსიმეს თანამხლები პირები და წმ. ნინო სომხეთში გაქცეულან.

თავისთავად ცხადია ეს ციტატა აღსავსეა წინააღმდეგობებით, რადგანაც: ჯერ ერთი ნიკეას კრება არ ჩატარებულა 318 წელს, კონსტანტინეს ქრისტიანობა არ მიუღია 311 წელს; მესამეც, ამ პერიოდში კონსტანტინე არ იყო მთელი იმპერიის ერთმმართველი. მან მხოლოდ - 324 წლის 18 სექტემბერს დაამარცხა ლიციინიუსი და მთელი იმპერიის ერთმმართველი გახდა.

თუ ამ ციტატას საფუძვლად დავუდებთ ნიკეას კრების თარიღს - 325 წელს და ვიგულისხმებთ, რომ ციტატაში შეცდომაა და ნაცვლად - „სამას ათერთმეტისა“, უნდა იყოს - „სამას ათვრამეტი“, მაშინ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ კვლავ ვაწყდებით წინააღმდეგობას. ასეთი მსჯელობით გამოდის, რომ... 318 წელს მომხდარა

კონსტანტინე იმპერატორისა და მთელი საბერძნეთის განათვლა, რაც ისტორიული ფაქტებით არ დასტურდება...

„ცხოვრებიდან“ აშკარად ჩანს, რომ წმ. ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თავიანთი ნებით კი არ წამოსულან, არამედ გამოქცევიან „უსჯულო“ იმპერატორს. განა შეიძლებოდა 326 წელს კონსტანტინესთვის „უსჯულო“ იმპერატორი ეწოდებინათ?...“ **(თორაძე ... 2007: 15).** დიახ, ეს ასეა. ამიტომ, მოდით წარმოდგენილი მონაკვეთი, არა მთლიანობაში, არამედ რამოდენიმე აბზაცად წარმოდგენილი თხრობის კუთხით გავიაზროთ.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ ციტატაში, რამდენიმე ისტორიული ფაქტის გადმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე. მათზე მსჯელობა, ზემოთ უკვე წარმოდგენილი, პირობითი აბზაცების გადმოცემით გვინდა დავიწყოთ.

1) მოდით კიდევ ერთხელ გავეცნოთ განსახილველი მონაკვეთის პირველ პირობით აბზაცს - „მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმაღლებითგან სამას და ათერთმეტსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

აქ მოცემულ - „სამას და ათერთმეტ“ წელთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ, ზემოთ უკვე თქმულს, ამჟამად აი რა გვინდა დავამატოთ. როგორც უკვე ითქვა დიოკლეტიანესა და გალერიუსის ინიციატივით დაწყებული ქრისტიანთა მორიგი დევნა: 302-303 წლებიდან იღებს სათავეს. ხოლო - „... დევნულება შეწყდა 310-311 წლებში...“ **(კესარიელი 2007: 519).**

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ამ დროისათვის რომის იმპერიაში - „...მთელი ძალაუფლება გაიყო ოთხმა...“ **(კესარიელი 2007: 379),** კერძოდ ესენია: გალერიუსი, კონსტანტინე, მაქსიმინე და ლიკინიუსი. გარდა ამისა, ვიცით ისიც, რომ - „...310 წელს გალერიუსს საშინელი სენი შეეყარა. მისი სხეული წყლულებით დაიფარა, რომლებშიც მატლები გაჩნდნენ. იმპერატორის კვნესა, აუტანელი ტკივილებით გამოწვეული, მთელს სასახლეში ისმოდა...“ **(კოპლატაძე 2007: 184).**

ამ მდგომარეობაში მყოფი გალერიუსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ევსები კესარიელი გვაუწყებს - „... ასეთ უბედურებებთან მებრძოლმა, იგრძნო ღვთისმოსავთა წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებები, მოიკრიბა გონება და მან

პირველმა აღიარა ყოვლიერების ღმერთი, შემდეგ მოუხმო მასთან მყოფთ, და უბრძანა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ქრისტეანთა წინააღმდეგ დევნილება და საიმპერიო კანონით და დეკრეტით უბრძანა, გაემხნევებინათ ისინი, რათა ეკლესიები აეშენებინათ, თავიანთი ჩვეულების მიხედვით ემოქმედათ და იმპერატორის გამო ლოცვები აღევლინათ...“ **(კესარიელი 2007: 370).**

ევსები კესარიელი იქვე გვაუწყებს ამ დეკრეტზე ხელის მომწერთა ვინაობასაც. ესენი არიან - „...იმპერატორი კეისარი გალერიეს ვალერიუს მაქსიმიანე, უძლეველი ავგუსტუსი... იმპერატორი კეისარი ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინე, ღვთისმოსავი, სვიანი, უძლეველი ავგუსტუსი... და იმპერატორი კეისარი ვალერიუს ლიკინიანუს ლიკინუსი, ღვთისმოსავი, სვიანი, უძლეველი ავგუსტუსი...“ **(კესარიელი 2007: 371).**

აღნიშნული „საეკლესიო ისტორიის“ კომენტარებში, იქვე ვკითხულობთ - „... ლაქტანტიუსის (IV საუკუნის საეკლესიო მწერალი) ცნობით ამ ედიქტს ოთხმა იმპერატორმა მოაწერა ხელი. ევსებიმ გამოტოვა მაქსიმინე, ზოგ ხელნაწერში არ გვხვდება ლიკინიუსიც...“ **(კესარიელი 2007: 371).**

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ზემოთაღნიშნული - „...რესკიპტრი გამოკრულ იქნა 311 წლის 30 აპრილს...“, ხოლო იმპერატორი გალურიუსი - „...გარდაიცვალა 311 წლის მაისში...“ **(კესარიელი 2007: 519).**

ზემოთაღნიშნული ოთხეულის კიდევ ერთი წევრი - „...მაქსიმინე 313 წლის ზაფხულში ლიკინიუსთან დამარცხების შემდეგ, იმავე 313 წელს, ბოლომდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“ **(კესარიელი 2007: 519).** ევსები კესარიელი იქვე გვიზუსტებს, რომ მაქსიმინეს ჩამოხრჩობით შეუწყვეტია ცხოვრება **(იხ. კესარიელი 2007: 373).**

რაც შეეხება, ზემოთაღნიშნული ოთხეულის მესამე წევრს ლიკინიუსს, იგი ამ ბრძანების მიღებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ჯერ თავად გახდა ქრისტეანთა წინააღმდეგ განხორციელებული მორიგი დევნის ავტორი, ხოლო შემდეგ, 323-324 წლებში, კონსტანტინესთან დაპირისპირების შედეგად - „...მალევე მოკლა კონსტანტინემ...“ **(კესარიელი 2007: 520)**

ევსები კესარიელის კიდევ ერთ მინიშნებას თუ გავითვალისწინებთ - „...სწორედ ამიტომ კონსტანტინე, რომელიც იმპერატორისგან იმპერატორი და ყველაზე კეთილმსახურისგან და გონიერისგან კეთილმსახური გახდა...“ **(კესარიელი 2007: 389),** მაშინ

აღარ იქნება ძნელი იმაში გარკვევა თუ რატომ მოხდა, ამ ფაქტებიდან, რამოდენიმე წლის შემდეგ მცხოვრები - „მოცქევაჲ ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის მიერ, 311 წელს რომის იმპერიაში მომხდარი ზემოთაღნიშნული ფაქტის მხოლოდ კონსტანტინე იმპერატორთან გაიგივება.

ყოველივე ზემოთქმულის გააზრების შემდეგ, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღნიშნულში - „მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა... სამას და ათერთმეტსა“, უცნობი ისტორიკოსი 311 წელს მომხდარს, ანუ რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის დამთავრების მომენტს აფიქსირებს;

2) „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული, ჩვენს მიერ განსახილველი მონაკვეთის, მეორე პირობითი აბზაცი - „...და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“ **(სალუა-შვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114),** ჩვენის აზრით 311 წლიდან რომის იმპერიაში განვითარებული მოვლენების მოკლე შეფასების გადმომცემი უნდა იყოს. მოდით მივყვეთ თანმიმდევრობას.

როგორც ვიცით, ზემოთხსენებული ოთხი იმპერატორის პარალელურად დასავლეთ რომის იმპერიაში შემავალ იტალიაში, მეფობდა დეოკლეტიანეს თანამმართველის მაქსიმიანეს ვაჟი მაქსენციუსი, რომელიც - „...უკიდურესად მკაცრი და ანგარებისმოყვარე მმართველი აღმოჩნდა“ **(კოპლატაძე 2007: 186)**.

ზემოთაღნიშნული - „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“, ერთ-ერთი კუთხით, სწორედ კონსტანტინესა და მაქსენციუსს შორის 312 წელს შემდგარი ბრძოლის დროს მომხდარს უნდა აფიქსირებდეს - „...312 წელს რომს, სადაც მაქსენ-ციუსი იყო გამაგრებული, ჯარით კონსტანტინე მოადგა... უფალმა იგი გამოარჩია და სასწაული მოუვლინა: როცა მზე დასავლეთისაკენ მიიდრიკა, კონსტანტინემ ზეცაზე ელვარე ჯვარი იხილა, რომელზეც ეწერა - „ამით სძლიე“... ღამით იმპერატორს თავად ქრისტე გამოეცხადა და ჯვრის ფორმის დროშის შექმნა და მეომართა ფარებსა და მუზარადებზე ჯვრის გამოსახვა უბრძანა. კონსტანტინემ მართლაც ბრძანა ამგვარი დროშის შექმნა... ამ დროშით დაამარცხა მან მაქსენციუსის ჯარი (თვითონ მაქსენციუსი, რომელსაც გაქცევა უნდოდა, ტიბრში დაიხრჩო) და რომში ზეიმით შევიდა...“ **(კოპლატაძე 2007: 186-187).**

ევსები კესარიელი ასე აღწერს ამ ბრძოლაში გამარჯვებული კონსტანტინეს ერთ ნამოქმედარს - „...მყისვე ბრძანა მაცხოვრის ვნებათა ძეგლის აღმართვა საკუთარი

ქანდაკების ხელში, და მაცხოვნებელი ნიშნის მარჯვენით მპყრობელი თვით რომში გამორჩეულად საჯარო ადგილას დადგეს. და ბრძანა თვით ამ წარწერის ამოტვიფრა ლათინურ ენაზე: „ამ მაცხოვნებელი ნიშნით, სიმამაცის ჭეშმარიტი მტკიცე ბუნებით, თქვენი ქალაქი ტირანის უღლისაგან გამოვიხსენი და გავანთავისუფლე; უფრო მეტიც, რომაელთა სენატი და ხალხი ძველი დიდებითა და ბრწყინვალებით განვანთავისუფლე და აღვადგინე“...“ **(იხ. კესარიელი 2007: 391).**

და აი, დადგა 313 წელი, როდესაც მიღებულ იქნა ე.წ. „მილანის ედიქტი“. აღნიშნულის თაობაზე ევსები კესარიელი ბრძანებს - „...და ამის შემდეგ თვითონ კონსტანტინე და მასთან ერთად ლიკინიუსი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჭკუიდან გადასული, რაც მოგვიანებით მოხდა, მათთვის ყველა სიკეთის მიზეზისადმი, ღმერთისადმი კეთილად განეწყვნენ, ორივემ ერთი ნებითა და ზრახვით ქრისტიანთა გამო დაწერეს ყველაზე სრული კანონი, და მათ მიმართ ღვთისგან ნაქმნარი საქმეების სასწაულები და ტირანზე გამარჯვების (ამბავი), და თვით კანონიც გაუგზავნეს მაქსიმინეს, რომელიც აღმოსავლეთში ჯერ კიდევ განაგებდა ხალხებს და მათ მიმართ მეგობრობას ანახლებდა...“ **(კესარიელი 2007: 391).**

როგორც ზემოთაც ითქვა მაქსიმინემ, არა თუ უარი განაცხადა „მილანის ედიქტზე“ ხელმოწერაზე, არამედ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველობის მოპოვების სურვილით ბრძოლა გაუმართა ლიკინიუსს - „...გაბედა კადნიერად გამოსულიყო საიმპერიო ძალაუფლების თანაზიართა წინააღმდეგ. დაარღვია შეთანხმება, რაც ლიკინიუსთან დადო, და შეურიგებელი ომი გაუმართა... როდესაც ბრძოლაში, ჩაება, აღმოჩნდა ღვთის ზედამხედველობისაგან მიტოვებული, თვით ყოვლიერების ერთმა და ერთადერთმა ღმერთმა გამარჯვებისთვის განაგო, ვინც იმ დროს მართავდა...“ **(კესარიელი 2007: 394-395).**

313 წელსვე გარდაცვლილი მაქსიმინეს შემდეგ, რომის იმპერიას ორი თანამმართველი შემორჩა: აღმოსავლეთში ლიკინიუსი, დასავლეთში კი ლიკინიუსის ცოლის ძმა კონსტანტინე.

ზემოთაღნიშნული - „...და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა“-ს შემდგომი გამოვლენა, ჩვენის აზრით, მთლიანობაში კრავს უცნობი ქართველი ისტორიკოსის მიერ მოაზრებელ დროის მონაკვეთში მომხდარს, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს:

ქრისტიანულ სამყაროში „დიდი სჯულის კანონით“ ცნობილი კრებული - „...აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მესვეურთა მეცადინეობით, უკვე V-VI ს-ში გაჩნდა რომლებიც იურიდიულ ნორმებს შეიცავდნენ, მაგრამ ნომოკანონების ჩამოყალიბების პროცესი VII საუკუნემდე გაგრძელდა... „დიდი სჯულისკანონი“ შეიცავს მოციქულთა, მსოფლიო საეკლესიო კრებათა და წმ. მამათა კანონებს..“ **(ნადარეიშვილი 1985: 632).**

არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „დიდ სჯულისკანონში“ ვკითხულობთ - „...ამან, საუკუნოთ ხსენებულმან კონსტანტინე მეფემ შეკრიბა პირველი მსოფლიო წმიდა კრება ნიკეას, რომელსაც 318 წმიდა მამა ესწრებოდა, მათ ოცი კანონი დაადგინეს. ამ კრებამდე იყო სხვა ადგილობრივი კრებები: პირველი ანკირიას, რომელმაც 24 კანონი დაადგინა...“ **(დიდი სჯულისკანონი: 302).**

თუ არ ჩავთვლით ზემოთაღნიშნულ ახ.წ. პირველ საუკუნეში შექმნილ მოციქულთა კანონებს, 314 წელს გამართული ანკირიის კრება **(იხ. გოილაძე 1986: 160; აგრეთვე ასავალ-დასავალი 2009: 13),** და მასზე მიღებული კანონები, რომის იმპერიაში მოქმედი ქრისტიანული საეპისკოპოსოების მიერ ერთობლივად მიღებული პირველი ე.წ. „სამართლებრივი აქტებია“.

„დიდ სჯულისკანონში“, აღნიშნულის თაობაზე ვკითხულობთ - „...ანკირიაში შეკრებილი ნეტარი მამების კანონები, რომლებიც ნიკეის კრების კანონებზე უფრო ადრე იქნა დადგენილი, მაგრამ ამ კრებულში შეტანილნი არიან მათ მომდევნოდ, ნიკეის მსოფლიო კრების უპირატესობის გამო...“ **(დიდი სჯულისკანონი: 23).**

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ 314 წელს ანკირიაში (დღევანდელი - ანკარა) გამართული წმიდა მამათა ეს შეკრება,ზემოთ უკვე თქმულის გამო, არა მარტო - პირველია, არამედ ერთგვარად, ის უკანასკნელი პოლიტიკურ-რელიგიური აქტია, რომელიც კონსტანტინესა და ლიკინიუსის მიერ ერთობლივი თანხმობით იქნა განხორციელებული.

ამდენად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს შეგვიძლია შემდეგი სავარაუდო დასკვნა გამოვიტანოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის მიერ დაფიქსირებული - „და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“, მოკლედ გადმოგვცემს უკვე განხილული 311 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 314 წელს ანკირიის კრებამდე, რომის იმპერიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს:

- 312 წელს სასწაულებრივად ზეცაში გამოჩენილ ჯვარსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს;

- 313 წელს მიღებულ ე. წ. „მილანის ედიქტსა“, და ყოველივე აღნიშნულის ერთგვარ გვირგვინს:

- 314 წელს ანკირიაში გამართულ წმ. მამათა უკვე განხილულ შეკრებას;

3) წინამდებარე თხრობა, მოდით, ზემოთწარმოდგენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული მონაკვეთის ბოლო ორი პირობითი ჯგუფის განხილვით განვაგრძოთ - „...მეშჳდე წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

როგორც ცნობილია ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, კონსტანტინე იმპერატორის ინიციატივით 325 წლის ზაფხულში შედგა. ზემოთმოყვანილ ციტატაში დაცული ინფორმაციები, როგორც ადრეც აღვნიშნეთ წინააღმდეგობაში მოდის რეალურ ისტორიულ მოვლენებთან. როგორც უკვე ითქვა, თუ ამ ციტატაში დაცულ ინფორმაციას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ნიკეის I მსოფლიო კრება, იქვე მოცემული „სამას და ათერტმეტსა“ წლის ათვლიდან, თითქოსდა 318 წელს გამართულა.

მეორე შეუსაბამობა უკვე ნიკეის კრების გამართვის მეორე წელს დაწყებულ ლტოლვილობას ეხება. როგორც უკვე ითქვა 323-324 წლებში ლიკინიუსის დამარცხების შემდეგ, რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი კონსტანტინე ხდება. ამდენად, ნიკეის 325 წელს გამართული კრების მეორე, ანუ 326 წელს, წმ. ნინოსა და მასთან თანმხლები პირების იმპერიიდან ლტოვილობის მიზეზი კონსტანტინე იმპერატორი არ შეიძლება ყოფილიყო. მაშ, რაში უნდა იყოს საქმე?

ჩვენის აზრით, აღნიშნული კითხვის პასუხი თავად 325 წელს ნიკეის კრების გამართვის გამომწვევი მიზეზების გამორკვევაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ისტორიოგრაფიიდან ვიცით, ნიკეის კრება არიოზისა და მისი მიმდევრების მიერ დანერგილი ცრუ სწავლების შედეგად ატეხილი საეკლესიო დაპირისპირების მოგვარების მიზნით იქნა მოწვეული.

თეოდორიტე კვირელი გვაუწყებს - „...ალექსანდრია არის დიდი ქალაქი, და მას არა მხოლოდ ეგვიპტელთა, არამედ ეგვიპტის მახლობლად მცხოვრებ თებელთა და ლიბიელთა პირველობა აქვს მიკუთვნებული... ამ ქალაქის ეკლესიას მცირე ხნით აქილასი წინამდგომლობდა (ესაა: 311-312 წ.წ. - ს.ს.) და ეპყრა მისი სადავეები: მის

შემდეგ კი - ალექსანდრეს (ესაა: 312-326 წ.წ. - ს.ს.)... მის დროს ხუცესთა სიაში განწესებულმან არიოზმა, ვისაც მინდობილი ჰქონდა საღვთო წერილის განმარტება, როდესაც დაინახა, რომ ალექსანდრეს გადაეცა მღვდელმთავრობის განგებლობა, ვერ გაუძლო შურის შემოტევას და მისგან კვეთებული აღიძრა დავისა და ბრძოლის საძიებლად..." **(კვირელი 2008: 10).** იქვე დაცული კომენტარიდან გვეუწყება, რომ - „...არიოზმა თავისი მწვალებლობა საჯაროდ პირველად გააცხადა 319 წელს..." **(კვირელი 2008: 308).**

319 წლიდან მოყოლებული, ალექსანდრიის ეპისკოპოსის ალექსანდრეს არაერთმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო - „...არიოზი თავისი მოძღვრების გავრცელებას გულმოდგინედ ცდილობდა. ამაში ხელს ისიც უწყობდა, რომ კარგი მჭერმეტყველი იყო. ასე რომ, მალე მრავალი მომხრე გაიჩინა..." **(კოპლატაძე 2007: 194-195).**

სამწუხაროდ არიანელების მიერ დანერგილი ერესი სწრაფად ვრცელდებოდა. სხვა წმინდა მამათა შორის გამოირჩეოდა წმ. ათანასე დიდი. იგი - „...მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა იყო, ამ ცრუ სწავლების წინააღმდეგ საბრძოლველად აღიძრა. მისი გავლენით და მისივე შემწეობით **მთავარეპისკოპოსმა ალექსანდრემ 321 წელს არიოზის ახალი სწავლების განსასჯელად მოიწვია ადგილობრივი კრება,** რომელშიც მონაწილეობდა ეგვიპტის, ლიბიისა და კირენაიკის ასი ეპისკოპოსი. ამ კრებამ დაგმო არიოზი, აგრეთვე მისი თანამოაზრე ორი ეპისკოპოსი, ხუთი პრესვიტერი და ექვსი დიაკონი..." **(არეშვილი ... 1991: 84).**

თეოდორიტე კვირელი ამ კრების მიერ განკვეთილ მღვდელმსახურთა სახელებსაც გვამცნობს - „...განკვეთილი მწვალებლები არიან: ხუცესთაგან, არიოზი, დიაკონთაგან: აქილასი, ევძოიოსი, აეითალასი, ლუკიოსი, სარმატესი, იულიუსი, მენასი, სხვა არიოზი, ელადიოს..." **(კვირელი 2008: 26).**

განკვეთილმა არიოზმა - „...ალექსანდრია დატოვა და თავისი ცრუ მოძღვრების პალესტინაში, ეგვიპტესა და ლიბიაში გავრცელება დაიწყო..." **(კოპლატაძე 2007: 195).**

ალექსანდრე ალექსანდრიელმა ასზე მეტი ეპისკოპოსის მონაწილეობით გამართულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წერილები დაუგზავნა იმდროინდელი ეკლესიების სხვა წინამძღვრებსაც. მათ შორის - „...წერილი მიწერა ფილოგონიოსსაც, ანტიოქიის ეკლესიის წინამძღვარს, და ევსტათისაც, რომელსაც მაშინ ჩაბარებული ჰქონდა ბეროელთა მმართველობა, და სხვებსაც რომლებიც იყვნენ სამოციქული დოგმატების დამტეველნი..." **(კვირელი 2008: 26).**

საუბრის გაგრძელებამდე, აქ მოცემულ დროით ნიშანსაც გვინდა შევეხოთ. როგორც ცნობილია ნიკეაში გამართული I მსოფლიო კრების თავჯდომარე ევსტათი, მანამდე - „...იყო სირიაში ქალაქ ბეროას ეპისკოპოსი, შემდეგ - ანტიოქიის 324-331 წ.წ...“ **(კვირელი 2008: 306).**

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ, რომ 321 წელს ალექსანდრიაში გამართული კრების გადაწყვეტილება ალექსანდრე ალექსანდრიელს ევსტათისთვისაც გაუგზავნია - „...რომელსაც მაშინ ჩაბარებული, ჰქონდა ბეროელთა მმართველობა...“ **(კვირელი 2008: 26),** მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული წერილი 321-324 წლებშია გაგზავნილი, ანუ იმ დრომდე ვიდრე ევსტათი ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტს დაიკავებდა.

ამ დროის მანძილზე არც არიოზი იყო უმოქმედოდ. „ამ დროისათვის არიოზის სწავლება უკვე გასცდა ეგვიპტის ფარგლებს. იმპერატორის კარის დაახლოებული პირი, ნიკომიდიის ეპისკოპოსი ევსები იზიარებდა არიოზის ცრუ სწავლებას და იმპერატორის გადაბირებასაც ცდილობდა...“ **(არეშვილი ... 1991: 84).**

არიოზის მცდელობამ ერთგვარი შედეგიც გამოიღო - „...აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ეპისკოპოსმა ევსები ნიკომედიელმა არიოზი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და მცირე საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც იგი ეკლესიაში დააბრუნა...“ **(კოპლატაძე 2007: 196).** საეკლესიო წრეებში დაწყებული დაპირისპირება თავის პიკს აღწევდა - „...არიოზის პრობლემა უკვე მსოფლიო კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო. 325 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, საეკლესიო შუღლით შეფიქრიანებულმა, ქალაქ ნიკეაში მოიწვია იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი ეპისკოპოსი... კრება გაიხსნა 325 წლის 5 ივლისს, ლიკინიუსზე კონსტანტინეს გამარჯვების წლისთავზე...“ **(არეშვილი ... 1991: 84-85).**

მაშასადამე, ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მოწვევას, კონკრეტული მიზეზი ჰქონდა, რომელიც სათავეს, 319 წელს არიოზის მიერ დაწყებული ცრუ ქადაგების შედეგად მოწვეული 321 წელს ალექსანდრიაში გამართული კრებიდან იღებდა. ამდენად **321 წლის ალექსანდრიის კრება, რომელსაც 100-ზე მეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა, თავისი მიზნით, 325 წელს 318 მღვდელმსახურის მონაწილეობით გამართული ნიკეის I მსოფლიო კრების - „მცირე ანალოგიას“ წარმოადგენდა.**

დაწყებული თხრობის ერთგვარ შეჯამებამდე ზემოთქმულიც გავიხსენოთ. როგორც აღინიშნა „მოქცევაჲ ქართლისაჲსეული“ მინიშნება - „...და წარემართა ყოველი

საბერძნეთი ქრისტეანობასა“-ს ერთგვარ პიკს 314 წელს ანკირიაში გამართული ის ადგილობრივი საეკლესიო კრება წარმოადგენდა, რომელზეც მოციქულთა მიერ მიღებული კანონებიდან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, პირველად განისაზღვრა იმ ახალ კანონთა ჩამონათვალი, რომლებმაც თავისი ადგილი დაიკავეს „დიდი სჯულისკანონის“ კრებულში.

311 წლიდან დაწყებული „მოვლენების“ ეს ერთგვარი „პიკი“, ანუ 314 წლის ანკირიის ადგილობრივი საეკლესიო კრება, მეორეს მხრივ, ათვლის წერტილს უნდა წარმოადგენდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ უცნობი ქართველი ისტორიკოსის მიერ დაფიქსირებული საძიებელი მინიშნებისა - „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

ჩვენის აზრით, აქ უნდა მოიაზრებოდეს 325 წელს გამართული ნიკეის I მსოფლიო კრების ის „მცირე ანალოგი“, რომელსაც 321 წელს შემდგარი ალექსანდრიის კრება ჰქვია, და რომელიც თავის მხრივ, ანკირიაში 314 წელს გამართული კრებიდან ათვლით, სწორედ მე-7, ანუ (315-316-317-318-319-320 და მე-7) 321 წელს ჩატარდა.

ამდენად, ქართულ წყაროში დაფიქსირებული - „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“ თავის ათვლას 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან უნდა იღებ-დეს, და აქედან ათვლით 321 წელს ალექსანდრიაში ჩატარებულ, 325 წლის ნიკეის I მსოფლიო კრების „მცირე ანალოგიის“ კრებას უნდა გულისხმობდეს.

ყოველივე ზემოთქმული ერთგვარი გასაღებია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაფიქ-სირებული კიდევ ერთი საკვლევი თარიღისა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება განისაზღვროს, თუ დროის რომელი მიჯნა იგულისხმება მემატიანეს სიტყვებში - „და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

მაშასადამე, თუ ჩავთვლით რომ 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან მოყოლებული, 321 წელს ალექსანდრიაში გამართულ კრებაში მოიაზრება მემატია-ნისეული - „მეშვიდე წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას”, მაშინ 314 წლიდანვე ათვლით - „მერვესა წელსა“, უკვე კონკრეტულ დროზე, ანუ 322 წელზე უნდა გვითითებდეს.

წინამდებარე თხრობის დასასრულს, მოდით ერთგვარად შევაჯამოთ ზემოთქმული. როგორც ვნახეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის მიერ გადმოცემული

ზემოთგანხილული აბზაცი, რამოდენიმე მოვლენის ერთობლიობაში გამააზრებელი უნდა იყოს, კერძოდ:

- უკვე განხილული აბზაცის პირველ პირობით ჯგუფში დაფიქსირებული თარიღით: „სამას და ათერთმეტსა“, ქართველი მემატიანე უნდა გადმოგვცემდეს ამ დროს, რომის საიმპერატორო კარზე, მიღებული ედიქტის იმ შედეგს, რასაც ქრისტიანთა წინააღმდეგ 302-303 წლებიდან დაწყებული ერთ-ერთი უდიდესი დევნის დასრულება ჰქვია. როგორც უკვე ითქვა - „...ეს რესკრიპტი გამოკრული იქნა 311 წლის 30 აპრილს...“ **(კესარიელი 2007: 519);**

- განსახილველი პირობითი მონაკვეთი: „...და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა“, როგორც უკვე ითქვა მოიცავს 311 წლიდან დაწყებულ იმ დროის მონაკვეთს, რომელიც 312 წელს ცაზე გამოჩენილი ნიშნის: „ამით სძლიე“-სა და 313 წელს ე.წ. „მილანის ედიქტის“ მიღების დროებზე გავლით, 314 წელს ანკირიაში შემდგარი კრებით დასრულდა;

- მემატიანესეული ცნობა: „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“, სავარაუდოდ უნდა გულისხმობდეს 314 წელს ანკირიაში გამართული კრებიდან ათვლით მე-7, ანუ 321 წელს ალექსანდრიაში შემდგარ ნიკეის კრების „მცირე ანალოგიის“ საეკლესიო თავყრილობას;

- და ბოლოს, ქართულ წყაროში დაფიქსირებული - „და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა გვითითებდეს იმავე 314 წლიდან ათვლით მე-8, ანუ 322 წელზე.

მაშასადამე, ჩვენთვის საძიებელი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების - „საბერძნეთიდან“ (აქ - ქ. ეფესოდან) გამოქცევის თარიღი, IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე, უფრო კონკრეტულად კი 322 წელზე უნდა მოდიოდეს.

ე) ლტოლვილობის გამომწვევი მიზეზობრივი საკითხები

ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქციის გარდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა დანარჩენი წყარო, დაწვრილებით გადმოგცემს რიფსიმესა და წმ. ნინოს ლტოლვილობასთან დაკავშირებულ ცნობებს. თუმცა, ამ საკითხთან მიმართებაში, ქართული წყაროები ორ პირობით ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი, რომლებიც გადმოგვცემენ წმ. ნინოსა და მასთან მყოფების ლტოლვილობის გამომწვევ კონკრეტულ

მიზეზს, და მეორე, სადაც ლტოლვილობის მიზეზის ახსნის გარეშე, მხოლოდ თავად ლტოლვილობის ფაქტია დაფიქსირებული. მოდით შევუდგეთ მათ განხილვას.

უძველეს ქართულ წყაროში „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომელსამე მიზეზისათვის, დედა-მძუძითურთ: და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი სახელით ნინო...“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 83).**

აღნიშნული ციტატიდან, სიტყვებით - „რომელსამე მიზეზისათვის“ აშკარა ხდება, რომ მემატიანესთვის უცნობია ზემოთდასახელებულ პირთა ლტოლვილობის გამომწვევი მიზეზი.

ანალოგიური სიტუაციაა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე.წ. მეორე ნაწილშიც, სადაც მხოლოდ ლტოლვილობის ფაქტია დაფიქსირებული - „...და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მსგავსად, რიფსიმესა და წმ. ნინოს ლტოლვილობის გამომწვევი მიზეზის თაობაზე არაფერს ამბობს არსენ ბერისეული რედაქციაც, რომელიც მხოლოდ ასეთი მინიშნებით შემოიფარგლება. რიფსიმესთან ორი წლის ყოფნის მანძილზეო, აღნიშნავს არსენ ბერი, წმ. ნინო - „... კეთილად ჰმოძღვრიდა და ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, რომლისა სახელისათჳს იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესა საბერძნეთით...“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

ამდენად, აქ მართალია კონკრეტული პირი არ ჩანს, რომლის გამოც ხდება მათი ლტოლვილობა, თუმცა გვეუწყება, რომ თურმე ქრისტეს - „...სახელისათჳს იქმნა სივლტოლაჲ”-ო.

განხილული წყაროებისაგან განსხვავებით „ქართლის ცხოვრებასა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებში, გამოკვეთილია მათი ლტოლვილობის გამომწვევი - კონკრეტული „პირი“ და მიზეზი.

თუმცა, აღნიშნულ წყაროებს შორის შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება-განსხვავებანი. ორივე რედაქცია გვითითებს, რომ მათი ლტოლვილობის მიზეზი რომის უმაღლესი ხელისუფალის მიერ რიფსიმეს ცოლად შერთვის სურვილი ყოფილა.

ჩვენთვის საძიებელი თემის ამოსავალი წერტილი ამ ორ წყაროში დაფიქსირებული ის ე.წ. განსხვავებაა, რომელიც რომის იმპერიის ხელისუფალის ვინაობასა, და მის მიერ

ქრისტიანობისადმი დამოკიდებულებაში შეიმჩნევა. ამიტომ, მოდით შევუდგეთ თითოეული ამ „განსხვავების“ დეტალურ განხილვას.

1. „ქართლის ცხოვრებისეული“ მინიშნებანი

„ქართლის ცხოვრებაში“ რომის იმპერიის ის უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც თურმე, რიფსიმეს ცოლად მოყვანას გადაწყვეტს, ყოველგვარი სახელის გარეშეა მოხსენიებული. ამ მონაკვეთში **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 81-84)** ლეონტი მროველი, რომის ხელისუფალს ორნაირად - **„კეისრისა“** და **„მეფის“** ტიტულებით მოიხსენიებს, რომელთა გამოყენების სიხშირე ასეთია: „კეისარმან ძებნად“, „წინაშე კეისრისა“, „სთნდა კეისარსა“, „ბრძანებასა მეფისასა“, „იპოვა მეფე“, „წინაშე მეფისასა“, „კეისარი აღივსო“, „მოციქულნი კეისრისანი“, „წიგნი კეისრისა“, „თვითმპყრობელი კეისარი“, „მეფისა გული“, „ბრძანება ესე კეისრისა“.

ლეონტი მროველის მიერ ამ მონაკვეთის აღწერაში, მართალია ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის: **„მეფე“-„კეისრის“** სახელი დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, მოცემულია მინიშნება მისი რელიგიური მრწამსის შესახებ რიფსიმეს ცოლად მოყვანის მსურველი „მეფე“-„კეისარი“, როგორც მინიმუმ, ამ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის მოწინააღმდეგეა.

„მეფე“-„კეისრის“ ეს „დამოკიდებულება“ ორი სხვადასხვა კუთხით არის წარმოჩენილი. რიფსიმეს მიერ „მეფე“-„კეისრის“ ცოლობაზე უარის თქმის მოტივაციის გადმოცემისას, ლეონტი მროველის მიერ, გამოკვეთილია ორი მიზეზი: - „...რამეთუ ჭური რისხვისა იპოვა მეფე, ვითარცა გუელი რომელ სამოთხესა შინა მსახველ ექმნა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისსა უსჯულოი ესე, რომელსა აქუნდა შეგინებული თაყუანისცემა ბალინთა და სამაგელთა კერპტთა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 81).** მაშასადამე, აღნიშნული წყაროდან გვეუწყება, რომ „მეფე“-„კეისარი“, ამ დროისთვის, კერპთაყვანისმცემელია;

- „...მაშინ მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომელსა იგი იყვნეს განსწავლული...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 81-82).**

კერპთაყვანისმცემელი „მეფე“-„კეისრის“ ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება ჩანს, მის მიერ, სომეხთა მეფისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსში. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ წერილშივე იკვეთება თავად სომეხთა მეფის იმდროინდელი რელიგიური მრწამსიც.

ლეონტი მროველი გვაუწყებს - „...დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად... და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა. მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი წინაშე თრდატ სომეხთა მეფისა და მოართვეს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილი იყო ესრეთ: „თჳთმპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა თრდატს გიკითხავ. უწყებულ იყავნ ძმობა შენი და თანაშემწეობა, რომლისათჳს იგი ყოვლადვე გუევნების შეცთომილისა მისგან ქრისტეანეთა ნათესავისა. რამეთუ ყოვ-ლადვე შეურაცხ იქმნების ჩუენი უფლება მათისაგან კრებულისა, და საწუნელ არს ჩუენი ჴელმწიფება მათგან. რამეთუ იგინი ჯუარცმულისა ვისმე მომკუდარსა მსახურებენ და ძელსა თაყუანისცემენ...“-ო. **(ყაუხჩიშვილი 1955: 82-83).**

თრდატ მეფისადმი მიმართული - „საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამო-საყდრესა“, აშკარად გვითითებს, რომ „მეფე“-„კეისარსა“ და თრდატს ერთნაირი რელიგიური შეხედულებები აქვთ. „მეფე“-„კეისარმა“ იცის თრდატის „ძმობა“, მისი „თანაშემწეობა“ იმ საქმეში, რასაც „ქრისტეანეთა ნათესავისადმი“ დამოკიდებულება ჰქვია. სწორედ ამიტომ წერს იგი თრდატს, თუ როგორ - „შეურაცხ იქმნების ჩუენი (ანუ „მეფე“-„კეისრისა“ და თრდატის - ს.ს.) უფლება მათისაგან (ანუ ქრისტეანთა - ს.ს.) კრებულისა“-გან.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ წმ. ნინოს ლტოლვი-ლობის წლისათვის რომის იმპერიის უმაღლესი ხელისუფალი „მეფე“-„კეისარი“, არა მარტო კერპთაყვანისცემელი, არამედ ქრისტიანთა მდევნელიცაა.

სომეხთა მეფის თრდატის მხრიდან ქრისტიანული რწმენისადმი იმდროინდელი დამოკიდებულება კარგად ჩანს აგრეთვე არსენ ბერის მიერ შესრულებულ თხზულე-ბაში, სადაც ვკითხულობთ - „...იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესა საბერძნეთით... და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისსა... იწამნეს სახელისათჳს ქრისტესისა თრდატის მიერ...“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

მაშასადამე წმ. ნინოს ლტოლვილობის წლისათვის თრდატ მეფე ჯერ კიდევ არ არის ქრისტეს რჯულის მაღიარებელი.

ლეონტი მროველი განსხვავებულად გადმოგვცემს თრდატ მეფის მიერ რიფსიმეს წამების მიზეზს. თრდატმა - „...იხილა რა რიფსიმე, აღივსო გულისთქმითა და განიხარა სიხარულითა დიდითა და განიზრახა ცოლად მოყვანება მისი, ხოლო არა ერჩდა წმიდა რიფსიმე. მაშინ იწამა იგი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 84).**

თხრობის გაგრძელებამდე აქვე აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური ცნობაა მოცემული XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშიც - „...ვითარცა იხილა რიფსიმე, აღეგზნა ტრფიალებითა თრდატ და ჰლიქვნიდა მას, რათა იქმნეს იგი ცოლად მისა. ხოლო წმიდამან რიფსიმე მიუგო და ჰრქუა: „უწყია უფალო მსაჯულო (უსჯულო), მე ზეცისა სასძლოისა სძალი ვარ, და შენ, ვითარ იკადნიერებ ამას?“ მაშინ თრდატ, ვითარცა ვერა აღასრულა ნებაი თვისი, მისცა ტანჯვად და სიკუდილად წმიდანი იგი დედანი...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220).**

მოდით ახლა გავერკვეთ, თუ ვინ შეიძლება იყოს ლეონტი მროველის მიერ დასახელებული: „მეფე“-„კეისარი“. მისი რელიგიური მრწამსი შემდეგი ტერმინებითაა გადმოცემული: „უსჯულო ესე“, და - „მეფისა უსჯულოსა“ **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 81-82).**

როგორც ვნახეთ წმ. ნინოს ლტოლვილობის სავარაუდო წელი: IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის. ამ დროსათვის რომის იმპერიაში არსებული მდგომარეობა თითქმის ანალოგიურია დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს ორმმართველობის დროისა. ამ დროისათვის დასავლეთ რომს კონსტანტინე, ხოლო რომის იმპერიის აღმოსავლეთს ლიკინიუსი მართავს.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „...იმ დროისათვის რომის იმპერია იყოფოდა 4 პრეფექტურად, 12 დიოცეზად და 100 (შემდგომში მეტ) პროვინციად. პირველი პრეფექტურა აღმოსავლეთის პრეფექტურა იყო. იგი 4 დიოცეზს მოიცავდა: 1) აღმოსავლეთის დიოცეზი, მთავარი ქალაქი ანტიოქია... 2) პონტოს დიოცეზი, მთავარი ქალაქი კაბადოკიის კესარია, მოიცავდა ჩრდილო შუა და აღმოსავლეთ მცირე აზიას, სომხეთის ჩათვლით. 3) აზიის დიოცეზი, მთავარი ქალაქი ეფესო...“ **(ეკალაძე 2001: 11).**

როგორც ითქვა, ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო ორი წელიწადი ცხოვრობს რიფსიმეს სახლში, რომელიც ქ. ეფესოში მდებარეობს, და რომ ისინი, სწორედ ეფესოდან მიდიან ლტოლვილობაში. როგორც ვნახეთ ეფესო, აღმოსავლეთ რომის საზღვრებში მდებარე აზიის დიოცეზის მთავარი ქალაქია, რომელზეც ლიკინიუსის ერთმმართველობა ვრცელდება.

ქრისტიანული ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ - „...313 წლიდან იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის ერთპიროვნული გამგებლის ლიკინიუსის პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ თანმიმდევრული არ იყო. 313 წლის შემდეგ მან არა ერთხელ განაახლა ქრისტიანთა დევნა, უკანასკნელად 320 წელს...“ **(გოილაძე 1986: 160).** ზოგიერთი წყაროს

თანახმად, ლიკინიუსს ქრისტიანთა ბოლო დევნა 319 წელს განუახლებია **(იხ.Тальберг 1991: 110).**

აი, რას წერს კონსტანტინე იმპერატორის დის ქმარზე ევსები კესარიელი - „...არც ლიკინიუსისთვის აღმოჩნდა ჭკუის სასწავლებლად საკმარისი წინათ ზემოთხსენებულ ტირანებზე თავს დამტყდარი ამბები. იგი ღირსი გახდა.... ქორწინებით დაახლოებოდა მას (აქ კონსტანტინეს - ს.ს.) და ყველაზე ამაღლებული ნათესაური კავშირი გაება მასთან. მან მიატოვა კეთილ კაცთა ბაძვა... და მის წინააღმდეგ უწმინდესი და ყველაზე საშინელი ომი წამოიწყო... არ დაიშურა მასთან დანათესავება და უარი არ უთხრა მის დასთან ბრწყინვალე ქორწინებით ტკბობაზე... და ღია ომი წამოიწყო. როდესაც გადაწ-ყვიტა კონსტანტინესთან ომის გაჩაღება (აქ: 323 წელზეა მინიშნება - ს.ს.) მას უკვე აღძრული ჰქონდა ბრძოლა ყოფიერების ღმერთის წინააღმდეგ, რომელსაც, იცოდა რომ იგი (კონსტანტინე - მთარგ.) თაყვანს სცემდა...

ჭკუიდან გადასულმა, გადაწყვიტა, ომი გაემართა თვით ღმერთისათვის, რომელიც კონსტანტინეს მფარველი იყო... პირველ რიგში თავისი სახლიდან განდევნა ყველა ქრისტიანი... შემდეგ კი ბრძანა ქალაქებიდან განედევნათ ჯარისკაცები და ღირსება აეყარათ თუ მსხვერპლს არ შეწირავდნენ დემონებს...“ **(კესარიელი 2007: 434-436).**

ევსები კესარიელი იქვე გვაუწყებს ლიკინიუსის ავხორცული ზნის თაობაზეც - „...კეთილშობილ და ღირსეულ ადამიანებს აპატიმრებდა, მათ განაშორებდა თავიანთ შეუღლებულ ცოლებს და გადასცემდა მის საძაგელ მსახურებს სამარცხვინო შეურაცხ-ყოფის მისაყენებლად; და რამდენს გათხოვილ ქალსა და უქორწინებელ ქალწულს, თვითონ მიხრწნილმა ბერიკაცმა (იგი ცხოვრობდა 250-325 წლებში **(იხ.ქ.ს.ე. ტ. 6: 270** - ს.ს.) სიმთვრალეში პატივი ახადა...“ **(კესარიელი 2007: 437).**

ჩვენის აზრით, სწორედ ლიკინიუსის ავხორცობის ანარეკლი უნდა იყოს იმ ისტორიაში, რასაც რიფსიმესთან დაკავშირებით გვაუწყებენ ქრონიკები.

ლიკინიუსის ავხორცული ბუნების თაობაზე მოსე ხორენელი შემდეგს გვაუწყებს - „...კონსტანტინემ ფრიად განადიდა ლიცინიუსი, რომელსაც სხვა დედისაგან ნაშობი თავისი და შერთო ცოლად... ლიცინიუსი, ჯერ იყო და რწმენას განუდგა... ამ ავხორცმა და საზიზღარმა ჭაღარა კაცმა, რომელიც თმებს იღებავდა, ძალიან გაამწარა თავისი ცოლი, რამეთუ ეტრფოდა სანატრელ გლაფირას; პონტოელთა ამასიის ეპისკოპოსი, წმიდა ბასილი მოკლა კიდეც ამის გამო...“ **(ხორენაცი 1984: 173-174).**

ამდაგვარი მაგალითების ჩამოთვლის აუცილებლობა, ჩვენი წინამდებარე თემის ფარგლებს სცილდება. ყოველივე ზემოთთქმული მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რათა იმ „მეფე“-„კეისრის“ ჭეშმარიტი სახე წარმოგვეჩინა, რომელიც, ქართული (და სომხური) წაყროების თანახმად, გამხდარა კიდეც მიზეზი რიფსიმესა, და მასთან ერთად წმ. ნინოს ლტოლვილობისა.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ კონსტანტინესა და ლიკინიუსს შორის ბრძოლა - „...323 წელს გაიმართა. ამ ომისათვის კონსტანტინე დიდი ლოცვით ემზადებოდა, მის პოლკებს წინ ჯვრის ფორმის დროშა მიუძღვებოდა, ლიკინიუსს კი, გარს ქურუმები და მკითხავები ეხვია... ეს ომი არა მხოლოდ ორ იმპერატორს, არამედ ორ რელიგიას ქრისტეანობასა და წარმართობას შორის გაიმართა...“ **(კოპლატაძე 2007: 191).**

ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ კომენტარებში ვკითხულობთ - „... ლიკინიუსი პირველად დამარცხდა ანდრეაპოლისში, 3 ივლისს და მეორედ, როდესაც გაიქცა ბიზანტიაში და იძულებული გახდა გადაელახა „სეტრაიტი“ ქრიზოპოლისთან, 18 ან 20 სექტემბერს, 324 წელს მალევე მოკლა კონსტანტინემ...“ **(კესარიელი 2007: 520).**

ყოველივე ზემოთქმული ჩვენთვის, დროითი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლიკინიუსის მიერ ქრისტიანთა წინააღმდეგ წამოწ-ყებული ბოლო დევნა: 319-320 წლებიდან იღებს სათავეს, ხოლო თავად ლიკინიუსი 324(325) წლებში აღესრულა, მაშინ ჩვენთვის საძიებელი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის დაწყების წელი, მითითებულ: 319/320 - 324/325 წლებს შორის არსებულ დროით მონაკვეთზე მოდის.

2. XIII ს-ით დათარიღებული „ცხოვრების“, მეტაფრასული რედაქციის მინიშნებანი

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ეს რედაქცია არსენ ბერისეული - „...თხზულების შემოკლებული და გამარტივებული (პერიფრაზირებული) ვარიანტია, ეკუთვნის დაახლოებით XIII ს-ის უცნობ რედაქტორ-გადამწერს...“ **(ლოლაშვილი 1984: 439).**

როგორც ითქვა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი არსენ ბერისეული რედაქცია, თავის თხრობაში არ ახსენებს რიფსიმესა და მისი თანმხლები პირების, ლტოლვილობის გამომწვევი კონკრეტული პირის სახელს. განსხვავებული სურათია XIII ს-ის მეტა-

ფრასულ რედაქციაში. აქ, პირდაპირაა მითითებული რიფსიმესა და წმ. ნინოს ლტოლვილობის არა მარტო მიზეზი, არამედ ამ მიზეზის გამომწვევი კონკრეტული „პირის“ სახელიც, ესაა **დიოკლეტიანე.**

ბუნებრივია გაჩნდება სურვილი გავერკვეთ, თუ რა აუცილებლობამ (მიზეზმა) გამოიწვია, წარმოდგენილ მეტაფრასულ რედაქციაში, დიოკლეტიანეს სახელის ჩამატება?

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გელასი კესარიელის დაკარგული თხზულების ფრაგმენტები, მხოლოდ გელასი კვიზიკელის ნაშრომში, მისი ზოგიერთი ნაწილის დამოწმების გზითაა შემორჩენილი. ამ საკითხზე მსჯელობისას სიმონ ყაუხჩიშვილი ბრძანებს - „...ჩვენი ტექსტი გარკვევით ამბობს, რომ „მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები კონსტანტინეპოლში მიდიან“. შეგვიძლია თუ არა ჩვენი ტექსტის ცნობა ეჭვმიუტანლად მივიღოთ, ე.ი. ვთქვათ, რომ გელასი კვიზიკელის ინტერპოლაციას კი არ წარმოადგენს აქ კონსტანტინეპოლის მოხსენიება, არამედ ის გელასი კესარიელსაც მოეპოვებოდაო. ჩვენ ვფიქრობთ, ამ საკითხში გელასი კვიზიკელს ვერ დავემყარებით. გელასი კვიზიკელის მეორე ცნობის, სახელდობრ ალექსანდრე ეპისკოპოზის შესახებ, ჯერ კიდევ ა. გლასმა აღნიშნა და კ. კეკელიძემაც გაიზიარა, რომ ის გელასი კესარიელის ტექსტში არ უნდა ყოფილიყო; ის არ ჰყავს მოხსენებული არც ერთ სხვა ავტორს და საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ჩაემატებინოს თვით გელასი კვიზიკელს...“-ო **(ყაუხჩიშვილი 1926: გვ.64-65).**

ჩვენის აზრით, აქაც სწორედ ამდაგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე არსენ ბერისეული თხზულების XIII საუკუნისეულ პერიფრასში, სახელი დიოკლეტიანე, უცნობი ავტორის მიერ არის ჩამატებული.

თავის მხრივ, არსენ ბერისეული რედაქცია, სხვა თხზულებისაგან განსხვავებით, ერთადერთია, რომელიც წმ. ნინოს მშობლებზე საუბარს დიოკლეტიანესა და წმ. გიორგის ერთობლივი ხსენებით იწყებს - „...დიდებული მოწამე ქრისტესი გიორგი, რომელმან იღვაწა დეოკლიტიანესზე, რომელი აღმოეცენა ყოვლად საქებელით და უფროჲსღა ესე ვითართა ნერგთა მიერ ქუეყანით კაბპადუკიით, რომლისა ღვაწლისა და წამებისა ჟამთა და ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანა მოქალაქე მისი, კაცი კეთილად მორწმუნე, შვილი მდიდართა და წარჩინებულთაჲ; კუალად იყო იგი ძლიერ და ახოვან და განთქმულ წყობათა შინა, რომელისა სახელი ზაბილონ...“ **(არსენ ბერი 1902: 7).**

თხრობის გაგრძელებაში არსენ ბერისეული რედაქცია პირდაპირ უთითებს, რომ წმ. ნინოს მამა, სამხედრო სამსახურისათვის, დიოკლეტიანეს თანამმართველის მაქსიმიანეს კარზე მიდის. ანალოგიურ თხრობას ვხვდებით XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშიც - „...ესე ზაბილონ წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფესა მაქსიმიანესა მსახურებად...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 216).**

არსენ ბერისეული და მისი XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია, ერთი და იგივე ინფორმაციას გვაწვდიან ზაბილონის მიერ სამხედრო სამსახურის დატოვების თაობაზე - „...ამის შემდგომად განიზრახა გულსა თჳსსა, რათა წარვიდეს იერუსალიმს და თაყვანი სცეს წმიდათა მათ ადგილთა... პატრიაქმან, შეჰრთო და იგი მისი ზაბილონს. ხოლო მან წარიყვანა მამულად თჳსად კაბადუკიად, რომელთაგან იშვა ხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინო... და ვითარცა იქმნა იგი ათორმეტისა წლისა, შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი და წარვიდეს იერუსალიმად...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 217-218).**

როგორც ზემოთაც ითქვა, ქრისტიანი ზაბილონის მიერ, მაქსიმიანესთან, სამხედრო სამსახურზე თავის დანებების მიზეზი შესაძლებელია:

- დიოკლეტიანეს მიერ: 302-303 წლებში წამოწყებული ქრისტიანთა დევნა გამხდარიყო;

- მეორეს მხრივ, ეს მიზეზი შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო: 305 წელს, რომის იმპერიის თანამმართველების, დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს გადადგომასთან.

მათი შემდგომი ბედის თაობაზე ევსები კესარიელი გვაუწყებს - „...დევნულების დაწყებიდან სრული ორი წელი არ იყო გასული, რომ ჩამოშორდნენ იმპერატორობას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ და ცხოვრების დარჩენილი დრო უბრალო, რიგითი მოქალაქის მსგავსად გაატარეს. მათი ცხოვრების აღსასრული ასეთი იყო: ერთი, პატივითა და ასაკით პირველობის ღირსად გამხდარი (დიოკლეტიანე - მთარგ.) ხანგრძლივი და ყველაზე მტკივნეული სხეულის უძლურებით დაიღუპა (313-316 წ.წ. - ს.ს.); მეორემ კი, მისგან მეორე ადგილზე მდგომმა (მაქსიმიანემ - ს.ს.) ჩამოხრჩობით შეწყვიტა ცხოვრება (313 წ. - ს.ს.)...“ **(კესარიელი 2007: 373).**

ამდენად, როგორც უკვე ითქვა, წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს, ან დიოკლეტიანეს მმართველობის ბოლოს, ან მისი იმპერატორობიდან გადადგომის მეორე წელს; რაც სავარაუდოდ: 304-306 წლებზე მოდის. აღნიშნულ მსჯელობას, თუ

გავაგრძელებთ, დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს გარდაცვალების დროისათვის, წმ. ნინო დაახლოებით: 7-9 წლის უნდა იყოს. წმ. ნინო მისი ლტოლვილობის დაწყებისას: 16-18 წლისაა; შესაბამისად, ამ დროისათვის დიოკლეტიანეს გადადგომიდან: 16-18, ხოლო მისი გარდაცვალებიდან: 7-9 წელია გასული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციის უცნობი ავტორის ჩამატება, - „...ხოლო მას ჟამსა შინა ინება **დეოკლეტიანე,** რათა იძიოს ყოვლით კერძო ქალი ქმნული კეთილი, რათა შეირთოს იგი ცოლად... და ვითარცა მიიწივნეს იგინი (ეფესოდ) ეუწყა რიფსიმეს მისვლაჲ მათი... მას ღამესა მეოტ იქმნნეს და მათ თანა იყვნეს სხუანიცა სახლეულნი დედანი, რომელთა რიფსიმესვე თანა ნათელ ეღო, და ღირსიცა ესე წმიდაჲ ნინო მათ თანავე მეოტ იქმნა. და ვითარცა მიიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმალნეს საწნეხელთა შინა. და ვითარცა ცნა ესე დიოკლეტიანე, შეუბნდა ფრიად, და მიწერა თრდატისა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 219-220)** - წინააღმდეგობაში მოდის ისტორიულ რეალობასთან, რამეთუ ამ დროისათვის დიოკლეტიანე, არა თუ იმპერატორი, არამედ ცოცხალიც კი აღარ არის.

მაშ, რაშია საქმე? რაზე უნდა მიგვანიშნებდეს უცნობი ქართველი მემატიანის მიერ დიოკლეტიანეს სახელის ამ კონტექსტში ხსენება (ჩამატება)?

ამ კითხვებზე პასუხის მოსაძიებლად საჭიროა საპასექო (სააღდგომო) კალენდართან დაკავშირებული, ერთი ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობის გახსენება. როგორც ცნობილია - „...ალექსანდრიელი ეპისკოპოსები საპასექო (სააღდგომო) ცხრილებს ადგენ-დნენ დროის 95 წლიანი მონაკვეთისათვის... 284 წლის 29 აგვისტოს რომის იმპერატორი გახდა დიოკლეტიანე (მეფობდა 284-305 წ.წ.) ქრისტიანებმა მისი ტახტზე ასვლის წელი ახალი ერის საწყისად მიიჩნიეს და აქედან დაიწყეს - **„დიოკლეტიანეს ერის“** წელთაღრიცხვა.

„დიოკლეტიანეს ერის“: 153-248 წლების (ე.ი. ჩვენი ერის 532 წლის ჩათვლით) საპასექო ცხრილები შეადგინა ალექსანდრიელმა არქიეპისკოპოსმა კირილემ. კირილე **„დიოკლეტიანეს ერის“** 160-ე წელს (ე.ი. 444 წ.) გარდაიცვალა... როდესაც კირილეს მიერ შედგენილი საპასექო ცხრილის დამთავრებამდე 6 წელი დარჩა **(„დიოკლიტიანეს ერის”** 242 წელს), საპასექო ცხრილის შედგენა დაიწყო რომაელმა ბერმა, პაპის არქივარიუსმა, წარმოშობით სკვითმა, დიონისე მცირემ.... **მართალია, იმპერატორი დიოკლეტიანე ეკლესიამ „ქრისტიანების მწვალებლად“ შერაცხა, მაგრამ ეკლესია მაინც სარგებლობდა**

„დიოკლეტიანეს ერით“. დიონისე მცირეს აზრით, „დიოკლეტიანე ტირანი უფრო იყო, ვიდრე მეფე“, და წინადადება წამოაყენა, კირილეს მიერ შედგენილი საპასექო ცხრილის დამთავრების მომდევნო წელი აღერიცხათ არა - **„დიოკლეტიანეს ერის“** 249-ე წლად, არამედ ქრისტეს დაბადებიდან 533 წლად. ასე დაამკვიდრა ქრისტიანობაში დიონისე მცირემ - **„ახალი ერისა“** და **„ძველი ერის“** მცნება და მიჯნა, თანაც ქრისტიანულ ეკლესიას წარუდგინა 532 წლიანი მოქცევის საპასექო დღესასწაულების ცხრილი, რომელსაც მოგვიანებით - დიდი კვიკლოსი, ანუ „დიდი ინდიქტიონი“ უწოდეს...“ **(კოპალეიშვილი 1991: 106).**

ამდენად, დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციის უცნობი ავტორისეული „დიოკლიტიანე“, თავისი არსით, არა კონკრეტულად, თხრობაში გადმოცემული დროის მომენტისთვის უკვე გარდაცვლილ, რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს გულისხმობს, არამედ, უნდა მოგვანიშნებდეს იმაზე, რომ ეს ამბავი, ანუ წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობა, სწორედ „დიოკლეტიანეს ერის“ რომელიღაც კონკრეტულ წელსაა მომხდარი.

როგორც ითქვა - „... „დიოკლეტიანეს ერა“ ქრისტიანებმაც გადაიღეს და რადგან დიოკლეტიანე ქრისტიანებს დევნიდა, ამ ერას „წმინდა წამებულთა ერა“ ეწოდა (შდრ. სტ. კალენდარი, „დსე“ III). 303 წლისათვის იმპერიაში „დიოკლეტიანეს ერის“ მე-19 წელი იდგა...“ **(იხ. გოილაძე 1986: 156; გოილაძე: 1991).** ამდაგვარი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ.

მაშასადამე, XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციის უცნობმა ავტორმა, არ იცის რა წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წელი, დიოკლეტიანეს სახელის ხსენებით, ერთგვარად ცდილობს ამ ხარვეზის შევსებას. ამიტომ, მის მიერ ნახსენები „დიოკლეტიანე“, მის ცნობიერებაში, ერთის მხრივ იმ დროისათვის, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველთან ასოცირდება (ამ შემთხვევაში ესაა - ლიკინიუსი), ხოლო მეორეს მხრივ კი, ერთგვარ დროით მინიშნებასაც შეიცავს, რამეთუ ეს მოვლენა **„დიოკლეტიანეს ერის“** ერთ-ერთ წელსაა მომხდარი.

3) დასკვნა

ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლ-ვილობის გამომწვევი კონკრეტული პირის, ლტოლვილობის მიზეზისა და თავად

ლტოლვილობის დაწყების დროსთან დაკავშირებით, ამ ქვეთავში განხილული საკითხების ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

- „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით: რიფსიმესა და წმ. ნინოს ლტოლვილობის გამომწვევი პირი და მიზეზი არ გვიკონკრეტდება;

- არსენ ბერისეული რედაქცია არაფერს გვაუწყებს წმ. ნინოსა და მასთან მყოფების ლტოლვილობის გამომწვევი კონკრეტული პირისა და ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული დროის თაობაზე. სამაგიეროდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲსაგან“ განსხვავებით, აქ, დაკონკრეტებულია ლტოლვილობის დაწყების მიზეზი. ესაა, ლტოლვილ პირთა ქრისტიანობა - „...ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, რომლისა სახელისათჳს იქმნა სივლტოლაი...“ **(არსენ ბერი 1902: 15);**

- „ქართლის ცხოვრებისა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაში, შეძლებისდაგვარად, სამივე წამოჭრილ კითხვაზეა პასუხი გაცემული:

აღნიშნულ წყაროებში, ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია. „ქართლის ცხოვრება“ მას: „მეფე“-„კეისრის“ ტიტულით, ხოლო XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია კი დიოკლეტიანეს სახელით მოიხსენიებენ.

რაც შეეხება ტერმინებით: „მეფე“-„კეისარი“ და „დიოკლეტიანე“ გადმოცემულ არსს, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი:

როგორც უკვე ვთქვით, წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის მიწურულს, ან მისი გადადგომის მეორე წელს, რაც 304-306 წლებზე მოდის. და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წმ. ნინოსა და მასთან მყოფების ლტოლვილობა წმ. ნინოს 16-18 წლის ასაკში ხდება, მაშინ მათი ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო თარიღი IV ს-ის 20-იან წლების დასაწყისზე მოდის. ისტორიოგრაფიიდან კი ცნობილია, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველია ლიკინიუსი.

მაშასადამე, ტერმინებით, ერთის მხრივ: „მეფე“-„კეისარი“, და მეორეს მხრივ „დიოკლეტიანე“, გვიკონკრეტდება აღმოსავლეთ რომის ერთპიროვნული მმართველი ლიკინიუსი, და კონკრეტული დრო ე. წ. „დიოკლეტიანეს ერა“.

ისტორიოგრაფიიდან ისიც ცნობილია, რომ ლიკინიუსს ქრისტიანთა დევნა 319(322) წელს დაუწყია. აღნიშნულს, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ თავად ლიკინიუსი

კონსტანტინე იმპერატორმა 324(325) წელს მოკლა, მაშინ წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის დაწყების დრო: 319(322)-324(325) წლებს შორის უნდა ვეძიოთ.

ვ) სომხითში მისვლის თარიღი, ანუ ლტოლვილობის კონკრეტული წელი

წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის დაწყების სავარაუდო წლის საბოლოო დადგენისათვის, საჭიროა გამოვიკვლიოთ მათი სომხითში მოსვლისა და იქ „რიფსიმიანეთა წამების“ თარიღთან დაკავშირებული საკითხები.

1) ლტოლვილთა „საბოლოო“ ადგილსამყოფელი

ქართულ წყაროებში, ქ. ეფესოდან ლტოლვილი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების „საბოლოო“ ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, მცირეოდენი განსხვავებანი შეიმჩნევა. მოდით განგვიხილოთ თითოეული მათგანი.

- „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...და ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღუად, გაიანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელთა თრდატ მეფისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 12; აბულაძე 1963: 84);** თითქმის ანალოგიური ინფორმაციაა დაცული „მოქცევაი ქართლისაის“ მეორე ნაწილშიც - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძეჲ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით... და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115);**

- იგივე აზრი, ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი არსენ ბერისეულ რედაქციაში - „...იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და... მიჰმართა ადგილთა სომხითისათა მისთანა და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა...“ **(არსენ ბერი 1902: 15);**

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გვეუწყება, რომ სომხითში მისული რიფსიმე და წმ. ნინო გაჩერებულან - „...სამოთხესა თრდატ მეფისასა“, მაგრამ ამ ადგილის სახელი არ გვიკონკრეტდება. სამაგიეროდ, აღნიშნულ წყაროთა ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს ლეონტი მროველი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და მოვიდეს ლტოლ-ვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან ახალქალაქი, უალერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისასა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82).**

„ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერებში თრდატ მეფის ადგილსამყოფელის თაობაზე ასეთი ინფორმაციაა - „...9 ახალქალაქ Md. 9 უალერეს C, ვალარ (შაპატ) („ვალარშის ნაგები“) სომხ. აგათ., უაღრეს cet. 9 საყოფელი მყოფთა სომეხთა C (მყოფთა-მეფეთა)... “ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82).**

მოდით ახლა ვნახოთ, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს, აქ მოხსენიებულ - „ახალქალაქს”, „დვინსა” და „ვალარშის ნაგებს” შორის:

როგორც ვიცით, ვალარშაპატი, დღევანდელი ეჩმიაძინი, სომხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია **(იხ. ქ.ს.ე. ტ. 4: 327);**

თავად ეჩმიაძინის თაობაზე ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „...ახლანდელი ეჩმიაძინის ადგილზე ძვ. წ. II ს-ში დასახლება ვარდკესავანი, რომლის ტერიტორიაზე II ს. I ნახევარში გაშენდა ქალაქი ვალარშაპატი (II ს. II ნახევარში სომხეთის დედაქალა-ქი)...“ **(ქ.ს.ე. ტ. 4: 259);**

ლეონტი მროველის მიერ მითითებული დვინის თაობაზე ცნობილია, რომ - „დვინი, ვოსტან დვინი, ქალაქი(ა) სომხეთში IV-XIII ს.ს. მსოფლიო სავაჭრო ხელოსნობის ცენ-ტრი. ერევნის სამხრეთით 35 კმ-ზე IV ს. 30-იან წლებში არშაკუნიანებმა აქ ციხე ააგეს და სამეფო რეზიდენციაც გადაიტანეს...“ **(ქ.ს.ე. ტ. 3: 491).**

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქ. დვინის, როგორც სამეფო რეზიდენციის მშენებლობა ემთხვევა ლტოლვილების სომხითში ჩასვლის სავარაუდო დროს, მაშინ გასაგები ხდება, რომ ლეონტი მროველისეული ტერმინი „ახალქალაქი“, თავისი არსით ქ. დვინის, როგორც ახალი ქალაქის აშენებისეული დროის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

2) „მისვლიდან - „წამებამდე“

ქართულ წყაროებში, თრდატ მეფისაგან, ჩვენს მიერ საძიებელ წამებულ პირთა ოდენობის თაობაზე ასეთი ინფორმაციებია დაცული:

- „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძეჲ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით. და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115);**

- „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი - „...და ერთობით განზრახვითა ურთიერთას ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად ორმოცდაცამეტმან სულმან. და მოვიდეს

ლტოლვილნი არეთა სომხითისათა... არა ერჩდა წმიდა რიფსიმე, მაშინ იწამა იგი, დედამძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82-84);**

- არსენ ბერი აღნიშნულის თაობაზე ასეთ ინფორმაციას გვაწვდის - „...იქმნა სივლ-ტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და გაიანე აღმზრდელი მისი და სხუანი იგი ერგასისნი (აქ: ორმოცდაათი - ს.ს.) სულნი... ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა... წმიდაჲ რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისა ქრისტესისა თრდატის მიერ...“ **(არსენ ბერი 1902: 15);**

- რიფსიმესა და გაიანესთან ერთად წამებულებს, XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია ასე მოიხსენიებს - „...და ესე რაჲ განიზრახეს, მას ღამესა მეოტ იქმნნეს და მათ თანა იყვნეს სხუანიცა სახლეულნი დედანი... მაშინ თრდატ, ვითარცა ვერა აღასრულა ნებაჲ თჳსი, მისცა ტანჯვად და სიკუდილად წმიდანი იგი დედანი...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220).**

ჩვენთვის საძიებელი საკითხის განხილვისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია - „რიფსიმიანეთა“ წამების კონკრეტული თარიღის დადგენა. ამ საკითხთან მიმართებაში, დღეისათვის, ერთიანი აზრი არ არსებობს. ბერძნულიდან 1981 წელს ქართულად გადმოთარგმნილი ვერსიის თანახმად - „... იყო დღე იგი, რომელსა შინა იწამა წმიდაჲ რიფსიმე, **ოც და ექუსი თვისა სექტემბრისაჲ...“ (მელიქსეთ-ბეგი 1920: VI და 28).** თუმცა, თუ „... „რიფსიმიანთა წამების“ ძველ ქართულ თარგმანში ლტოლვილთა დასჯის დღედ 26 სექტემბერია მითითებული... არაბულ თარგმანში კი **26 ოქტომბერი...“ (გოილაძე 1986: 154**). ვახტანგ გოილაძე, იქვე, ასე აღნიშნავს - „...ლტოლვილი ქრისტიანები... 3 მაისს... უკვე ვაღარშაპატში მოსულან, სადაც თრდატ III -მ სომეხთა ლტოლვილები სიკვდილით დასაჯა“ **(გოილაძე 1986: 156).**

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები, გამოკვეთილად არაფერს ამბობენ, თუ დროის რა მონაკვეთია გასული, რიფსიმიანთა სომხითში ჩასვლიდან მათ წამებამდე. აღნიშნულის თაობაზე მინიშნება მხოლოდ არსენ ბერისეულ რედაქციაშია დაცული - „...იქმნა სივლტოლაჲ რიფსიმესი საბერძნეთით და გაიანე აღმზრდელი მისი და სხუანი იგი ერგასისნი სულნი.... ვითარ მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრეს მუნ **ჟამ რავდენმე...“ (არსენ ბერი 1902: 15).** თუმცა, როგორც ვხედავთ, მინიშნებული - „დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე“, კონკრეტული ინფორმაციის შემცველი არ არის.

ქართულ წყაროთა შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთადერთია, რომელშიც რიფსიმიანთა წამების კონკრეტული დროა მოცემული. ჩვენი შემდგომი თხრობაც, სწორედ მასზე დაყრდნობით იქნება აგებული.

3) ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყებისა და სომხითში „რიფსიმიანთა წამების“ კონკრეტული - რიცხვი, თვე და წელი

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძეჲ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით **თთუესა პირველსა ათხუთმეტსა** და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნენ მუნ **თთუესა პირველსა ოც და ათსა,** დღესა პარასკევსა..“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

ქართულ წყაროებში დასახელებული, ქ. ეფესოდან ლტოლვილობის დაწყების რიცხვისა და თვის თაობაზე ჩვენ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ, რის გამეორებასაც აქ აღარ ვაპირებთ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ზემოთგანხილული მსჯელობიდან, ჩვენის აზრით, ქართველი მემატიანის მიერ მინიშნებული - **„თთუესა პირველსა ათხუთმეტსა“-ში: მარტის თვის 15 რიცხვი უნდა იგულისხმებოდეს.**

ჩვენთვის საძიებელი ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წლის დადგენაში დაგვეხმარება ქართულ წყაროში მითითებული „რიფსიმიანთა“ წამების თაობაზე არსებული კონკრეტული თარიღისეული მინიშნება - „...იგინი მოიკლნეს მუნ თუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).** თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „პირველ თვეში“: მარტია ნაგულისხმევი, მაშინ გამოდის, რომ „რიფსიმიანთა წამების“ თარიღია 30 მარტი, რომელიც პარასკევი დღე ყოფილა. ჩვენთვის საძიებელი საკითხის გასაღებიც, სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაში უნდა ვეძიოთ. როგორც ჩვენს მიერ წინა თავებში ჩატარებული კვლევიდან ჩანს წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის სავარაუდო წელი: IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე მოდის.

ჩვენს მიერ გამოთვლილი თარიღებიდან, ერთ-ერთი: აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველის ლიკინიუსის სიცოცხლის ბოლო წლებთან დაკავშირებულ ცნობებს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც: 319/320 – 324/325 წლები გამოიკვეთა;

სადაც 319/320 წ. ლიკინიუსის მიერ ქრისტიანთა დევნის განახლების, ხოლო 324/325 წ. მისი გარდაცვალების თარიღებია.

იმაში გასარკვევად, თუ დასახელებულ დროით მონაკვეთში, რომელია ლტოლ-ვილობის დაწყების კონკრეტული წელი, სწორედ ქართულ წყაროში მოცემული - ლტოლვილთა წამების თარიღი დაგვეხმარება - „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა **ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

მოდით ეხლა ვნახოთ, წმ. ნინოს ცხოვრების სავარაუდო დროის მონაკვეთში, ანუ IV ს-ის 40-იან წლებამდე, კონკრეტულად რომელ წლებში იყო მარტის 30 რიცხვი პარასკევი დღე. ამისათვის გამოვიყენოთ ვ. კალანდაძის მიერ მომზადებული „კალენდარი მუდმივი და უნივერსალური“.

აღნიშნული კალენდრის მიხედვით **(კალანდაძე 1973: 2-3),** ვგებულობთ, რომ მარტის 30 რიცხვი პარასკევი დღე ყოფილა: 305, 311, 316, **322** და 333 წლებში. მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთვის საძიებელი ლტოლვილობის სავარაუდო წელი IV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისზე, უფრო ზუსტად კი, ლიკინიუსის მმართველობის ბოლო: 319/320 – 324/325 წლებზე უნდა მოდიოდეს, მაშინ ზემოთმოყვანილი წლებიდან, ამ დროით მიჯნაში, ერთადერთი **322 წელი** ხვდება.

მაშასადამე, ქართული წყაროებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, შესაძლებელი გახდა ზუსტად დაგვედგინა „რიფსიმიანეთა“ წამების კონკრეტული თარიღი, ესაა **322 წლის 30 მარტის პარასკევი დღე.**

შესაბამისად, რადგანაც, ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის თარიღია - „თთუესა პირველსა ათხუთ-მეტსა...“, მაშინ გამოდის, რომ მათი **ლტოლვილობა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს დაწყებულა.**

4) „საწნეხელის“ არსი, ანუ ლტოლვილთა სომხითში ჩასვლის თარიღის თაობაზე

როგორც ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მხოლოდ ლტოლვილობის დაწყებისა და მათი წამების კონკრეტულ თარიღებს გვითითებს, და არაფერს ამბობს, წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების, სომხითში ჩასვლის დროითი მიჯნის თაობაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის „მეფე“-„კეისარი“, ანუ ლიკინიუსი, ეფესოდან გამოქცეულებისა და მათი სავარაუდო მარშუტის თაობაზე, 15 მარტის ახლო დღეებშივე შეიტყობდა, და შესაბამის ღონისძიებასაც მიმართავდა. მის მიერ გატარებული ღონისძიების ერთგვარი ანარეკლი უნდა იკითხებოდეს ქართულ წყაროებში დაცულ იმ ინფორმაციაში, რომელიც კეისრის მიერ, თრდატ მეფისადმი, გაგზავნილ წერილს ეხება. აღნიშნული ცნობა, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებასა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებშია დაცული **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 82-83; ყუბანეიშვილი 1946**: **220).** (თავის მხრივ, ამდაგვარი წერილის თაობაზე მიგვენიშნება აგათანგელოსის თხზულებაშიც - იხ. **მელიქსეთ-ბეგი 1920**: **22**).

„წმ. ნინოს ცხოვრების“ გადმომცემ ამავე წყაროებში, დაცულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მინიშნებაც, რომლის მეშვეობითაც, ჩვენის აზრით, შესაძლებელი ხდება წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების სომხითში ჩასვლის კონკრეტული თარიღის დადგენა.

თხრობის გაგრძელებამდე შევნიშნავთ, რომ ისტორიულ წყაროებში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც წესი, კონკრეტული მინიშნების მატარებელია. ჩვენის აზრით, სწორედ აღნიშნული კუთხით უნდა იყოს საინტერესო, დასახელებულ ქართულ წყაროებში არსებული „საწნეხელთან“ დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ - „... და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა... და შევიდეს მუნ საწნეხელთა ვენახისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82);** და - „..ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმალნეს საწნეხელთა შინა...“ **(ყუბანეიშვილი 1946**: **220).**

აღნიშნულ მონაკვეთებში ტერმინ - „**საწნეხელის“** გამოყენების სიხშირე ასეთია: „საწნეხელთა ვენახისათა“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82),** „საწნეხელთა მათ შინა“ (**ყაუხ-ჩიშვილი 1955: 84),** „დაიმალნეს საწნეხელთა“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220)** და „საწნე-ხელთა შინა“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220).**

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ წყაროებში, ტერმინი - **„საწნეხელი“** ორ-ორჯერ გვხვდება, ანუ სწორედ იმდენჯერ, რამდენჯერაც იგი სახარებაშია დაცული **(იხ. იმნაიშვილი 1986: გვ.525):**

- მათეს სახარებაში ვკითხულობთ - „...იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგ **საწნახელი** ამოკვეთა...“ **(მათე 21, გვ.33);**

- იგივე აზრი, ოდნავ განსხვავებულად, მარკოზის სახარებაში ასეა გადმოცემული - „...ერთმა კაცმა ჩაყარა ვაზი, შემოღობა, ამოკვეთა **საწნახელი**...“ **(მარკ.12,1).**

მეორეს მხრივ, სახარებაში მაცხოვრის ასეთი სიტყვებია დაცული - „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მევენახეა“ **(იოანე 15,1).** ამ კუთხით, ვაზის ნაყოფის დაწურვისათვის განკუთვნილი **საწნახელი, ერთ-ერთი ფორმით, მისტერიულად, ღმერთის არსის, ანუ სიტყვის (აქ - „მე ვარ ვაზის“) მიღებასთან კავშირდება.**

აღნიშნული, ყველაზე უკეთ, ქრისტიანულ საეკლესიო დღესასწაულ ხარებასთან, ერთგვარი პარალელის გავლების საშუალებას გვაძლევს, სადაც, მისტერიული კუთხით, მარიამი „საწნახელთან“, ხოლო მის ძე „ვაზთან“ ასოცირდება.

როგორც ცნობილია - „ხარება ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაული(ა) (უძრავი), აღინიშნება 25 მარტს ძვ. სტილით (7 აპრ. ახ. სტილით). სახარების (ლუკა 1,28-35) მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზს უხარებია მარიამ ღვთისმშობლისათვის, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა. ქრისტოლოგიაში ხარება მიჩნეულია კაცობრიობის ხსნის დასაბამად, საუკუნეებით დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად და სხვა...“ **(ლომინაძე 1987**: **437).**

(აგათანგელოსის მინიშნება აღნიშნულ ტერმინთან მიმართებაში ასეთია - „...წარმოვიდეს მიერ და მოიწინეს ქალაქსა არარატისასა და იყვნეს სადგურად მათდა **საწნეხელნი** ქალაქისანი...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 21).** აქვე გავეცნოთ ამ ტერმინის გამოყენების სიხშირესაც: „საწნეხელნი ქალაქისანი“ - **მელიქსეთ-ბეგი 1920: 21;** „ვითარმედ საწნეხელთა“ - **მელიქსეთ-ბეგი 1920: 22**; „საწნეხელთა მათგან“ - **მელიქსეთ-ბეგი 1920: 25**; „იგინი საწნეხელთა“ - **მელიქსეთ-ბეგი 1920: 31**; „ზედა საწნეხელთასა“ - **მელიქსეთ-ბეგი 1920: 36**).

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართული წყაროებისეული მინიშნება, იმის თაობაზე, რომ სომხითში მისული ქრისტიანი ლტოლვილები, თურმე „დაიმალნეს საწნეხელთა შინა“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220),** შეფარულად უნდა გვითითებდეს კონკრეტულ თარიღზე **25 მარტზე,** რომელიც, ერთის მხრივ ხარების დღესასწაულის, ხოლო მეორეს მხრივ ლტოლვილთა სომხითში მისვლის დროითი მიჯნის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული წყაროებისეული „საწნეხელი“, ხარების დღესასწაულის გამართვის დროზე დაყრდნობით, სწორედაც, რომ ლტოლ-ვილთა სომხითში მისვლის თარიღზე 25 მარტზე უნდა მიგვანიშნებდეს.

5) დასკვნა

წინა თავისეულ მსჯელობათა შეჯერებამდე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ საძიებელი საკითხის მთლიანი სურათის აღდგენა, მხოლოდ - „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთანალიზის წყალობით ხდება შესაძლებელი. კერძოდ:

- უპირველეს ყოვლისა მოხერხდა წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის წლის დადგენა, ესაა ახ. წ. 322 წელი;

- მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲსეული“ ცნობა - „...წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115),** გვაუწყებს, რომ ლტოლვილები, დადგენილი წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს გამოქცეულან;

- მხოლოდ: „ქართლის ცხოვრებისა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებში დაცული ცნობის - „...და ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმალნეს საწნეხელთა შინა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220),** თანახმად, მოხერხდა განგვესაზღვრა, რომ ლტოლვილები, სომხითში ჩასულან: დადგენილი წლის ხარება დღეს 25 მარტის კვირა დღეს;

- მხოლოდ: არსენ ბერისეულ თხზულებაში დაცული ინფორმაციის მეშვეობით ვგებულობთ, რომ თურმე ლტოლვილები, სომხითში მისვლის (25 მარტის) შემდეგ, იქ გარკვეული დროის მანძილზე იმალებოდნენ - „...ვითარცა მოიწივნეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრნეს მუნ ჟამ რავდენმე...“ **(არსენ ბერი 1902: 15);**

- და ბოლოს, მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ვგებულობთ, რომ თრდატ მეფის მიერ, სომხითში მისულ ლტოლვილთა წამება, დადგენილი წლის 30 მარტს, პარასკევ დღეს მომხდარა - „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).** მაშასადამე, ზემოთქმული „ჟამ რავდენმე“, თურმე მარტის თვის 25-დან 30-მდე არსებულ დროით მიჯნას მოიცავს.

თავად წამებულთა თაობაზე კი არსენ ბერისეული რედაქცია ასე გვაუწყებს - „...წმიდაჲ რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა თრდატის მიერ და გჳრგჳნ შემკობილნი ღირს იქმნნეს სასუფეველსა...“ **(არსენ ბერი 1902: 15);** ხოლო „ქართლის ცხოვრება“ კი აზუსტებს, რომ - „...რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმალნეს და ივლტოდეს...“-ო **(ყაუხჩიშვილი 1955: 84).**

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით, საძიებელ დროში მომხდარის მთლიანი სურათი ასეთია: ლტოლვილობის დაწყების წელია ახ. წ. 322 წელი; ქ. ეფესოდან მათი გამოქცევა მომხდარა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს; ლტოლვილები სომხითში მისულან ამავე წლის 25 მარტს, კვირა დღეს; ხოლო სომხითში ჩასული ლტოლვილები, თრდატ მეფეს იმავე წლის 30 მარტის პარასკევ დღეს უწამებია.

თავი III. წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მის შემდგომად განვითარებული მოვლენების დროითი და არსისმიერი ასპექტები

წინა თავში, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, განსაზღვრული იქნა წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის კონკრეტული წელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, არა მარტო წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მის შემდგომად განვითარებული პროცესების, არამედ ლტოლვილთა სომხითში შემოსვლამდე მომხდარი მოვლენების დროითი მიჯნები.

1) წმ. ნინოს შობიდან - ლტოლვილობამდე გასული დროითი მონაკვეთები

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ ქართულ წყაროებში, დეტალურადაა მოცემული წმ. ნინოს შობიდან, ვიდრე ლტოლვილობამდე მომხდარ მოვლენათა დროითი მიჯნები. სამწუხაროდ, აღნიშნულ წყაროებში არ არის მოცემული, არც შობის, და არც ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული წლები. ამ ორი თარიღიდან ერთ-ერთის განსაზღვრა, ავტომატურად გვაძლევს მეორე თარიღის დადგენის შესაძლებლობასაც. საუბრის გაგრძელებამდე, მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენს მიერ ზემოთ-განსაზღვრული, კერძოდ:

როგორც უკვე ითქვა, ქართული წყარების მიხედვით წმ. ნინოს მშობლების ზაბილონისა და სოსანას შეუღლება, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველის მაქსიმიანეს საიმპერატორო კარიდან ზაბილონის წამოსვლის შემდგომა-დაა მომხდარი; რაც, ჩვენს აზრით, ორი ფაქტორით შეიძლება ყოფილი გამოწვეული:

1) დიოკლეტიანეს მმართველობის ბოლოს, 302-303 წლებიდან, მთელს იმპერიაში ქრისტიანთა დევნის დაწყების გამო, ან

2) 305 წელს საიმპერატორო კარზე მომხდარი გადატრიალების შედეგად.

სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ზაბილონი ჩადის იერუსალიმში და ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად ბრუნდება კაბადოკიაში - „...ზაბილონ... შერავიდა

იერუსალიმად... და იხილა, რამეთუ მეცნიერი იგი მისი ყრმაჲ, რომელი დითურთ თვისით წარმოვიდა ქუეყანით მისით კაპბადუკიით იჷრუსალიმად, რამეთუ პატრიარქ ქმნილიყო და დიდი სიყუარული აჩუჷნა ზაბილოს და მეგობარ მისსა იქმნა... ისმინა პატრიარქმან და მისცა სიხარულით დაჲ თვისი ცოლად ზაბილოსს. და წარიყვანა ქუჷყანად თჳსად კაპბადოკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინოჲ...“ **(არსენ ბერი 1902: 9).**

როგორც ვნახეთ, ზემოთ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წმ. ნინო და მისი თანმხლები პირები ქ. ეფესოდან ახ. წ. 322 წლის 15 მარტს გამოქცეულან. ლტოლვილობის კონკრეტული წლის დადგენის შემდეგ, უკუათვლით, შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ წმ. ნინოს შობის სავარაუდო თარიღი. ამაში „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კონკრეტული დროითი მიჯნები დაგვეხმარება. მოდით მივყვეთ თანამიმდევრობას:

- ქართულ წყაროებში, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებამდე უკუათვლით, პირველი დროითი მინიშნება შეეხება წმ. ნინოს მიერ ქ. ეფესოში რიფსიმესთან გატარებულ კონკრეტულ წელს.

XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციისაგან განსხვავებით, ამ მონაკვეთის აღმწერი, ყველა დანარჩენი წყარო გვითითებს, რომ წმ. ნინოს რიფსიმესთან **ორი წელი** გაუტარებია - „...მაშინ მიმცა მე დედაკაცმან მან ხელთა რიფსიმესთა, და მივეც მას ნათელი ჴელითა მღდელისაჲთა ჴელსა ქუეშე ჩემსა და ორმეოცსა და ათსა სულსა სხუასა მის თანა სახლსა მისისათა. და წარვიდეთ სახლად მისსა და ვიყვენით **ორ წელ...“ (სალუაშვილი 2010ა: 59-60; აბულაძე 1963: 114). (იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 81; არსენ ბერი 1902: 15).**

მაშასადამე, ლტოლვილობის დაწყების 322 წლიდან უკუათვლით, წმ. ნინოს მიერ, რიფსიმესთან გატარებული ორი წელი: **320-322 წლებზე** მოდის;

- ჩვენთვის სასურველი მომდევნო დროითი მინიშნება დაცულია წმ. ნინოს მიერ სარა ბეთლემელთან გატარებულ კონკრეტულ წლებთან მიმართებაში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, წმ. ნინოს სარა ნიაფორთან ასევე **ორი წელი** გაუტარებია - „...და წმინდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა სომეხსა დვინელსა **ორ წელ...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 77). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 53-54; აბულაძე 1963: 110).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით წმ. ნინოს მიერ სარა ნიაფორთან გატარებული ორწლიანი მიჯნა: **318-320 წლებით** განისაზღვრება;

- წმ. ნინოს შობის თარიღის განსაზღვრისათვის საჭიროა, ქართულ წყაროებში დაცული, ბოლო დროითი მიჯნაც გავიხსენოთ. ქართულ წყაროებში, აღნიშნულთან მიმართებაში, ორი სახის ინფორმაციაა დაცული. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

არსენ ბერისეული რედაქციის თანახმად, წმ. ნინო **14 წლის** ყოფილა, როცა მის მშობლებს ქონება გაუყიდიათ და იერუსალიმში წასულან. ზაბილონმა თავისი ცოლი სოსანა - „...წარიყვანა ქუჱყანად თჳსად კაპბადოკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინოჲ, ხეთა კეთილთაგან ნაყოფი კეთილი, სათნოჲ ღუთისაჲ. და ვითარცა იქმნა **ათოთხმეტისა წლისა,** შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი და წარვიდეს იჱრუსალიმად მხოლოდ ასულისა ერთისა თანა, ნეტარისა ნინოსა...“ **(არსენ ბერი 1902: 9-10).**

მაშასადამე, სარა ნიაფორთან გატარებული დროის ქვედა მიჯნიდან (318 წ.) და კაბადოკიაში წმ. ნინოსა და მისი მშობლების ყოფნის 14 წლიანი დროითი მინიშნების გათვალისწინებით (318 წ. - 14 წ.) **წმ. ნინო 304 წელსაა დაბადებული.**

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წმ. ნინოს მამა ზაბილონი, საიმპერატორო კარზე სამხედრო სამსახურიდან 302-303 წელს დაწყებული ქრისტიანთა დევნის გამოა წამოსული.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა დანარჩენი რედაქცია, წმ. ნინოსა და მისი მშობლების კაბადოკიაში ყოფნის დროდ, არა 14, არამედ **12 წელს** უთითებს: „...ვითარ იქმნა ნინო **თორმეტისა წლისა,** მაშინ განყიდეს მშობელთა მისთა ყოველივე, რაც აქუნდა, და წარვიდეს იერუსალიმად...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 76). (იხ. სალუაშვილი 2010ა: 52; აბულაძე 1963: 109; ყუბანეიშვილი 1946: 218).**

ზემოთქმულის ანალოგიურად, წმ. ნინოს მიერ სარა ნიაფორთან გატარებული დროის ქვედა მიჯნისა (318 წ.) და წმ. ნინოსა და მისი მშობლების კაბადოკიაში გატარებული 12 წლიანი დროითი მონაკვეთის გათვალისწინებით (318 წ. - 12 წ.) გამოდის, რომ **წმ. ნინო 306 წელსაა დაბადებული.**

მაშასადამე, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამ ათვლით ზაბილონი სამხედრო სამსახურიდან, საიმპერატორო კარზე 305 წელს მომხდარი გადატრიალების შედეგადაა წამოსული.

წინამდებარე თხრობის დასასრულს, მოდით ერთგვარად შევაჯამოთ წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე მიღებული დროითი მონაცემები:

- წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს: ახ.წ. 304, ან 306 წელს;

- წმ. ნინოსა და მისი მშობლების კაბადოკიაში გატარებული 12 და 14 წლიანი მონაცემების გათვალისწინებით, მათი კაბადოკიაში ყოფნის დროითი მიჯნა 304-318 ან 306-318 წლებზე მოდის;

- ქართულ წყაროებში არსებული ცნობის თანახმად, იერუსალიმში ჩასული წმ. ნინო მიუბარებიათ სარა ნიაფორთან, რომელთანაც მას 2 წელი გაუტარებია. შესაბამისად, სარა ნიაფორთან გატარებული დროითი მიჯნა 318-320 წლებზე მოდის;

- როგორც წყაროებიდან ჩანს წმ. ნინო ქ. ეფესოში ჩასულა, და იქ, რიფსიმესა და მის დედამძუძე გაიანესთან გაჩერებულა; სადაც მას 2 წელი გაუტარებია. მაშასადამე წმ. ნინოს რიფსიმესთან გატარებული კონკრეტული თარიღი: 320-322 წლებზე მოდის;

- და ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წმ. ნინო დაბადებულა 304-306 წლებში, მაშინ გამოდის რომ ლტოლვილობის დაწყების მომენტში, ანუ 322 წელს, წმ. ნინო 16-18 წლისაა.

2) „რიფსიმიანეთა“ წამებიდან - წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლამდე

თხრობის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ - „....რომ წმ. ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი გადმოცემა, თქმულება თუ ლეგენდა შემოუნახავს სომხურ, ბერძნულ, არაბულ, სირიულ, კოპტურ, რუსულ თუ სხვა მრავალი ქრისტიანული ქვეყნის ისტორიას. ისინი ძირითადად ქართულ წყაროებს ეყრდნობოდნენ და სწორედ ასახავდნენ სინამდვილეს, თუმცა გადახვევებიც ხშირად იყო. ამა თუ იმ ფაქტს საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემდნენ, რაც იწვევდა ზოგიერთ ფაქტობრივ უზუსტობას, ცნობის ნაწილობრივ გაზვიადებას ან შეკვეცას. წმ. ნინოს ცხოვრებით განსაკუთრებით დაინტერესებულან რუსი ისტორიკოს-თეოლოგები. ეს იქიდან ჩანს, რომ რუსულ ენაზე არსებობს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მრავალი რედაქცია. მათ შორის შედარებით ძველია „წმინდა ნინოს ცხოვრების“ 1512 წლის მატიანისეული რედაქცია, 1641 წლის პროლოგ სვინაქსარის 27 ოქტომბრის საკითხავი

და სტეფან აფინსკის „აზრთა სავანეში“ (1659) დაცული ცნობა. დანარჩენი რედაქციები XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება...“ **(თორაძე ... 2007: 48).**

„რიფსიმიანელთა“ წამებიდან მოყოლებული, წმ. ნინოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ჩვენ ძირითადად ქართული წყაროებით ვისარგებლებთ, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო მრავალ ინფორმაციას შეიცავს. როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ შორის არსებული ნიუანსური განსხვავების ურთიერთშეჯერება წმ. ნინოს ცხოვრების მთლიანი სურათის აღდგენის საშუალებას იძლეოდა. ასეთივე მდგომარეობაა ამჯერადაც. მოდით მივყვეთ თანამიმდევრობას.

ა) დროითი ნიშანი - „ვარდის ყვავილობა“

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან, მხოლოდ ორი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ უთითებს, „რიფსიმიანეთა“ წამების შემდეგ წმ. ნინოს დამალვის ახალ ადგილს.

თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ამ ორ წყაროს შორის არსებული, ერთის შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები სინამდვილეში მთლიანი სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

როგორც უკვე ვნახეთ, სომხითში მოსული ლტოლვილების თავდაპირველი დამალვის ადგილის თაობაზე, მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია იძლევა ცნობებს - „...და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქჳნ ახალქალაქი, უალერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა. და შევიდეს მუნ საწნეხელთა ვენაჯისათა, რომელი შენებულ არს ჩრდილოთ კერძ და აღმოსავალით...” **(ყაუხჩიშვილი 1955: 82). (იხ. ყუბანეიშვილი 1946: 220).** (სომეხი მემატიანის აგათანგელოსის თანახმად კი - „... მოიწიეს ქალაქსა არარატისასა და იყვნეს სადგურად მათდა საწნეხელნი ქალაქისანი...“ - **იხ. მელიქსეთ-ბეგი 1920: 21**).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სომხითში მისული ლტოლვილების თავდაპირველი განთავსების ადგილზე არაფერს უთითებს, და მხოლოდ რიფსიმიანთა წამების შემდეგ ნინოს დამალვის ადგილმდებარეობის მინიშნებით კმაყოფილდება - „...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძჱ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას

თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა. ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

ამდენად, სომხითში ჩასული ლტოლვილები სომეხთა მეფის სამყოფელში მისვლის შემდეგ - „შევიდეს მუნ საწნეხელთა ვენახისათა“. რიფსიმიანთა წამების შემდეგ კი, წმ. ნინო უკვე სხვა ადგილას იმალება.

ამ ადგილის მინიშნებისეულ თხრობაში, ჩვენი აზრით, ორი დროითი მონაკვეთია გაერთიანებული. ესაა, ამ ადგილას წმ. ნინოს მისვლისა - „მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა“, და ამ ადგილიდან მისი წამოსვლის კონკრეტული დროითი მინიშნება „რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა“.

მაშასადამე, 30 მარტის წამების დღის შემდეგ, წმ. ნინოს თავი შეუფარებია - „ეკალთა შინა ვარდისათა“, და იქიდან წამოსულა მხოლოდ ამ ვარდის აყვავების შემდეგ - „რა-მეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა“.

ზემოთქმულის დასტურად, ჯერ „ქართლის ცხოვრებისეული“ მინიშნება გავიხსენოთ - „...იწამა იგი, დედამძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი.... ხოლო რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმალნეს და ივლტოდეს (აქ მინიშნებაა თავდაპირველი დამალვის ადგილიდან - „საწნახელთა ვენახისათა“ - მათ სილვტოლ-ვაზე - ს.ს.). მაშინ ესე წმ. ნინო („საწნახელთა ვენახისათა“-დან წამოსული - ს.ს.) დაიმალა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი - „იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა...“ **(ყაუხ-ჩიშვილი 1955: 84).** ამდენად, დამალვის ახალ ადგილას - „ეკალთა შორის ვარდისათა“ - მისვლისას, თურმე ვარდი - **„ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა“.**

„ეკალთა შორის ვარდისათა“ დამალვის ადგილიდან წმ. ნინოს წამოსვლის დროითი მინიშნება უკვე მოცემულია იმ თხრობაში, რომელშიც წმ. ნინოს ხილვაა გადმოცემული.

ჯერ კიდევ არ აყვავებული ვარდის ეკლებში დამალული წმ. ნინო, ხილვაში ხედავს „რიფსიმიანეთა“ ნაწამებ სულებს - „...ხედვიდა სიმრავლეს ანგელოსთასა წმიდათა მოწამეთა ზედა მოსრულად, ზეცად დიდებით აღმყვანებლად“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ იქვე გვაუწყებენ ხილვაში მომხდა-რის თაობაზეც. ოღონდ ერთის განსხვავებით, „ქართლის ცხოვრებაში“, წმ. ნინოს წინაშე გამოცხადებული დიაკონის „სახელიცაა“ მოცემული - „...იხილა წმიდამან ნინო სტეფა-

ნეს მსგავსი დიაკონი, ჩამომავალი ოლარითა ნათლისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 84). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115).**

ორივე ზემოთდასახელებული წყარო, გამოცხადებული „სტეფანეს მსგავსი დიაკონის“ მიერ ნათქვამს ერთნაირად გადმოგვცემს, რომელშიც, წმ. ნინოს მიერ ამ ახალი დამალვის ადგილიდან წასვლის კონკრეტული დროა მითითებული - „...მაშინ ჴმა ესმა ზეგარდმო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 84-85). (იხ. იგივე: სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115).**

მაშასადამე, 30 მარტს მომხდარი რიფსიმიანელთა წამების შემდეგ, წმ. ნინო იმალება ჯერ კიდევ არ აყვავებული ვარდის ბუჩქებში - „დაიმალა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი - იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა“ **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 84),** და ხილვაში მითითებულის თანახმად, იგი, ამ ადგილიდან, მხოლოდ: ვარდის აყვავების შემდეგ მიდის - „...რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

როგორც ვიცით, ძველ ქართულად მაისის თვეს: „ვარდობისა“ ეწოდება. მაშასადამე, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქართულ წყაროებში დაცული ცნობა, სწორედაც რომ დროით მინიშნებას უნდა შეიცავდეს. კერძოდ: 30 მარტს რიფსიმიანეთა წამების შემდეგ დამალვის ახალ ადგილზე გადასული წმინდა ნინო, მეორე თავის ლტოლვილობას ვარდის აყვავების შემდეგ, ანუ „ვარდობის“ თვეში, ე.ი. მაისში იწყებს. და ამას, იგი, ხილვაში მოწვდილი ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს - „...ესრჱთვე იყოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეგე ეკალი რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ, ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115).**

აღნიშნული მონაკეთის დასასრულს, შეგვიძლია დიდის ალბათობით დავასკვნათ, რომ რიფსიმიანელთა წამების შემდეგ, წმ. ნინო მთელი ორი თვე: აპრილი და მაისი იმალება, და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის ე. წ.მეორე ლტოლვილობაში.

ბ) „პირველი“ თვიდან - „მეოთხე“ თვემდე

ქართულ წყაროებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი წმ. ნინოს ლტოლვილობითი დროის სამ პერიოდად დაყოფის შესახებ, რომელთაგან პირველზეც, წმ. ნინოს ქ. ეფესოდან გამოქცევისა და სომხითში „საწნეხელთა ვენახისათა“-შისა, და მეორეზე, „საწნეხელთა ვენახისათა“-დან წმ. ნინოს მიერ „ეკალთა შინა ვარდისათა“-ში დამალვის შესახებ, ზემოთ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ. მოდით ეხლა ვნახოთ, რა ინფორმაციებია დაცული ქართულ წყაროებში ლტოლვილობის პირობით მესამე პერიოდზე. აღნიშნულ დროით მონაკვეთს, „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია ეხება. ზემოთქმულის მსგავსად, მათ შორის ამ საკითხთან მიმართებაშიც შეიმჩნევა მცირეოდენი განსხვავებანი. ამიტომ, შემდგომი ჩვენი თხრობაც სწორედ მათი განხილვით განვაგრძოთ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, თრდატ მეფის მიერ რიფსიმიანელთა წამების შემდეგ „ეკალთა შინა ვარდისათა“-ში დამალული წმ. ნინო, ამ ადგილს სასწაულებრივ ხილვაში მოცემული მითითების თანახმად - „...ესრწ̈დვე იყოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ. ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115)** ანუ, ვარდის აყვავების შემდეგ ტოვებს, ამ, ლტოლვილობის ე. წ. მეორე პერიოდის ადგილსამყოფელს - „...მაშინ შეძრწუნვებული წამოველ და მოველ ულეპორეთა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115).**

წმ. ნინოს დამალვის ახალი ადგილის თაობაზე, ასეთსავე ცნობებს შეიცავს არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები - „...ხოლო წმიდაჲ ნინო განეშორა განგებითა ღმრთისაჲთა, განერა ხელთა მათგან და ივლტოდა, და მივიდა ულო-პოროს...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 200).** არსენ ბერისეულ თხზულებაში, ამ ადგილის სახელი ოდნავ განსხვავებულადაა მოცემული - „...მოვიდა ოლოპოროთა...“ **(არსენ ბერი 1902: 15).**

ამდენად, სამივე განხილული რედაქცია წმ. ნინოს დამალვის ახალი ადგილის სახელს ოდნავი განსხვავებებით მოიხსენიებს: „ულოპორეთა“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115 - შატბერდული რედაქცია)**, „ულეპორეთა“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115 - ჭელიშური რედაქცია),** „ოლოპოროთა“ **(არსენ ბერი 1902: 15)** და „ულოპოროს“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220).**

„ქართლის ცხოვრება“ ზემოთქმულისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის - „...და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო და მოვიდა ორბანთად საზღვართა სომხითისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).** „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერში, ამ ადგილის სახელი ოდნავ განსხვავებულადაა მოცემული - „...ორბანთა, ორბანად...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

აღნიშნული თხრობა წმ. ნინოს მიერ სომხითის საზღვართან გატარებული დროის დაფიქსირებით გრძელდება, რომლის თაობაზეც „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია ერთნაირ ცნობებს გვაწვდის. ამასთანავე, არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია მხოლოდ ორიოდე ფრაზით შემოიფარგლება - „...მუნ დაიზამთრა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220). (იხ. არსენ ბერი 1902: 15).**

ამათგან განსხვავებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს - „...და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85). (იხ. სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115).**

ჩვენის აზრით სწორედ ამ „ჭირთა შინა მრავალთა“-სეული ინფორმაციიდან იკვეთება ლტოლვილობის, ზემოთქმული, ე. წ. მესამე ეტაპის არსი. კერძოდ, ამ ფრაზით გვეთითება იმ „მრავალთა“ ჭირზე, რასაც სავარაუდოდ სომხითში მყოფი, ქრისტეს სჯულის მაღიარებელი, წმ. ნინო განიცდიდა.

ზემოთმითითებული თხრობის გაგრძელებაში, წყაროების მიხედვით, გვიკონკრეტდება წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დრო. არსენ ბერისეული და XIII საუკუნის მეტაფრასული რედაქციები აღნიშნულის თაობაზე ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან - „...და ვითარცა მოიწია ზაფხული, აღმოვიდა მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220). (იხ. არსენ ბერი 1902: 15).**

ამასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...მოვედ ულოპორეთა, და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა. და **თთუესა მეოთხესა** წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61-62; აბულაძე 1963: 115).** მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულით გვეუწყება, რომ **წმ. ნინო ქართლში შემოსულა „ზაფხულში“, „თთუესა მეოთხესა“.**

აქ მითითებული „ზაფხულის“ განმარტებაში, სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ - „ზაფხული, ზაფხული არს თვე სამი: მარიალისა, თიბისა და ქველთობისა...“ **(სულხან-საბა 1991: 277).** სულხან-საბას მიხედვით იქვე გვეუწყება, რომ მითითებულ

თვეთა: „მარიალისა“, „თიბისა“ და „ქველთობისას“-ს ქართულ სახელდებებს, ლათინურად ივნისი, ივლისი და აგვისტო შეესაბამებაო **(იხ. სულხან-საბა 1993: 650).**

ლეონტი მროველისეული მითითება, ერთგვარად განმარტავს ყოველივე ზემოთქმულს - „...და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა. და **თთუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი,** წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“**(ყაუხჩიშვილი 1955: 85).** მაშასადამე, გვიკონკრეტდება, რომ საძიებელი „ზაფხულის“ შესატყვისი „თთუესა მეოთხესა“, ყოფილა ივნისის თვე. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ხელნაწერში, ამ „მეოთხე თვის“ ათვლაც არის მოცემული - „...მეოთხესა + მარტითგან“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

ჩვენის აზრით სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ წმ. ნინო, ქართლის სამეფოში, მაისის მომდევნო ივნისის თვეში შემოდის. აქ, წმ. ნინოს „ეკალთა შინა ვარდისათაში“ ყოფნის დროს, სასწაულებრივი გამოცხადებისას მითითებულის ანარეკლი უნდა იკითხებოდეს. შეგვიძლია გამოვთქათ ვარაუდი, რომ ისევე როგორც „ეკალთა შინაში“ ყოფნის ადგილიდან, აქაც, ანუ ულოპოროს, ანდა ორბანთად ყოფნის ადგილიდანაც, წმ. ნინო, ვარდის აყვავების დროითი მიჯნის შესაბამისი „ვარდობის“, ანუ მაისის თვის გასრულების შემდეგ მოდის.

გ) დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებზე დაკვირვების შედეგად **გამოიკვეთა წმ. ნინოს ლტოლვილობის სამი პირობითი ეტაპი,** და მასთან დაკავშირებული კონკრეტული დროითი მიჯნები. კერძოდ:

- ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი მოიცავს: ქ. ეფესოდან სომხითში მოსვლისა და „საწნეხელთა ვაზისა“-თაში ყოფნის დროით მონაკვეთს, რომელიც ლტოლვილების ქ. ეფესოდან წამოსვლის, ანუ 322 წლის 15 მარტიდან იწყება („თთუესა პირველსა ათხუთმეტსა“ - **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115),** სომხითში მათი მოსლვით, იმავე წლის 25 მარტიდან, მათი „საწნეხელთა ვაზისა“-თაში ყოფნით გრძელდება („დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე“ - **არსენ ბერი 1902: 15**), და იმავე წლის 30 მარტს რიფსიმიანელთა წამებით მთავრდება („იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ - **სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115**).

მაშასადამე, **ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი: 322 წლის 15-30 მარტამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს;**

- წმ. ნინოს ლტოლვილობის ე.წ. მეორე პერიოდი, რიფსიმიანეთა წამებიდან ათვლით, „ეკალთა შორის ვარდისათას“ ადგილზე დამალვის პერიოდს მოიცავს: რომელიც იწყება როდესაც ვარდი - „...იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 84),** და მთავრდება მაშინ, როდესაც: „ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115)**. ეს კი, როგორც ითქვა „ვარდობის“ თვეზე, ანუ მაისზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მაშასადამე, **ლტოლვილობის ე. წ. მეორე პერიოდი: 322 წლის მარტის თვიდან, ვიდრე ამავე წლის მაისის მიწურულამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს;**

- და ბოლოს, წმ. ნინოს ლტოლვილობის ე.წ. მესამე პერიოდის დაწყება-დამთავრება განსაზღვრულია წმ. ნინოს მიერ „ეკალთა შინა ვარდისათა“-ში ყოფნისას მიღებული გამოცხადებით - „...ესრწთვე იყოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ აღდეგ და ვიდოდე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

ლტოლვილობის ე. წ. მესამე პერიოდი იწყება: „ვარდი და ნუში ყუაოდეს მას ჟამსა“-დან, ანუ 322 წლის მაისის თვიდან, და მთავრდება ერთი წლის თავზე („...და მუნ დაიზამთრა...“ - **ყუბანეიშვილი 1946**: **220**), ანუ 323 წლის მაისის თვეში („...ვარდი და ნუში ყუაოდეს მას ჟამსა...“ - **სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115**).

მაშასადამე, წმ. ნინოს ლტოლვილობა დაწყებულა ქ. ეფესოდან გამოქცევის, ანუ 322 წლის 15 მარტიდან, და დამთავრებულა 323 წლის მაისის თვეში, რომლის შემდეგაც წმ. ნინო - „...თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

3) კოდი „ზაფხული“, ანუ წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული საკითხები

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები, სამწუხაროდ, არ გვიკონკრეტებენ წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის ზუსტ თარიღს. მათში, ერთის მხრივ, მითითებულია წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის ზოგადი დროითი მიჯნა - „...და ვითარცა მოიწია ზაფხული, აღმოვიდა მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყუბანეიშვილი 1946**: **220),** და მეორეს

მხრივ კი, მოცემულია ამ „ზაფხულის“ კონკრეტული თვის სახელი - „...თთუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

„წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში მეტ-ნაკლები სიზუსტითაა ასახული ქართლის სამეფოში შემოსული წმ. ნინოს საქმიანობის დროითი მიჯნები; თუმცა მათ შორის, კონკრეტულად გამოკვეთილი თარიღი პირველად, მხოლოდ წმ. ნინოს მიერ კერპების მსხვრევის აღმწერ მონაკვეთში გვიფიქსირდება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...იყო თთუე მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი და დღე მეექუსე“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).**

მაშასადამე, წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის კონკრეტული თარიღის დასადგენად გამოკვეთილია ორი დროითი მიჯნა; რომელთაგან პირველი, ესაა წელიწადის დრო: ზაფხული, და ამ ზაფხულის კონკრეტული თვე; ხოლო მეორე პირობით ზედა მიჯნად კი, დასახელებულია მარტიდან მეექვსე თვის მეექვსე დღე, ანუ 6 აგვისტო. მოდით ეხლა განვიხილოთ ზემოთაღნიშნულ დროის მონაკვეთში მომხდარი მოვლენები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის კონკრეტული თარიღი.

ა) წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლა

საძიებელი საკითხის ირგვლივ საუბრის დაწყებამდე მოდით ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული რამოდენიმე კონკრეტული მინიშნება გავიხსენოთ.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები წმ. ნინოსა და მისი დედის „აღმზრდელ“ ქალს სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებენ. კერძოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...მიაფორსა სარას ბეთლემელსა...“; „...სარა მიაფორმან...“; „...მიაფორსა სომეხსა, დვინელსა...“ (შატბერდული); „...დედაბერსა სომეხსა, დვინელსა...“ (ჭელიშური); „..მიაფორი დედაკაცსა...“; „...ვარქუ მიაფორსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 48; 51-54; 58; აბულაძე 1963: 107; 109-110; 113);**

- „ქართლის ცხოვრებისეული“ მინიშნებები ასეთია - „...ნიაფორსა სარა ბეთლემელსა...“; „...სარა ნიაფორმან...“; „...სარა ნიაფორისა...“; „...ნიაფორსა სომეხსა დვინელსა“; „...სარა ნიაფორისაგან...“; „...სარა ნიაფორმან...“; „...სარა ნიაფორი...“; „...ნიაფორსა...“; „...ნიაფორმან...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 72; 75-76; 78-79);**

- არსენ ბერისეულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...სარას ბეთლემელსა...“ **(არსენ ბერი 1902: 7)**; „...სარა ბეთლემელმან...“ **(არსენ ბერი 1902: 9);**

- და ბოლოს, XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციიდან ვგებულობთ - „...სარა ბეთლემელსა...“, „...სარა ბეთლემელმან“, „...ისმინა სარაისი...“, „...ნეტარი ნინო, შეჰვედრა ღმრთის მოშიშსა დედაკაცსა სარას...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 216-217).**

როგორც ვხედავთ, სარა ნიაფორი (ან - მიაფორი) ორგვარი სახელდებითაა მოხსენიებული **„ბეთლემელი“** და **„დვინელი“**, რომლებიც აშკარად ადგილმდებარეობის მიმანიშნებელი ტერმინებია. ამიტომ, მოდით მათ შესახებ არსებული ინფორმაციები გავიხსენოთ:

- **„ბეთლემი** სხვანაირად მას ეფრათასაც ეძახიან. ქალაქი მდებარეობს იუდეას ზეგანზე, იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით...“ **(ალექსანდერი 1998: 255);**

- **„დვინი** ვოსტან დვინი, ქალაქი(ა) სომხეთში; IV-XIII ს.ს. მსხვილი სავაჭრო-ხელოსნობის ცენტრი ერევნის სამხრეთით 35 კმ-ზე. IV ს-ის 30-იან წლებში არშაკუნიანებმა აქ ციხე ააგეს და სამეფო რეზიდენციაც გადმოიტანეს. სამხრეთის სამეფოს დაცემის შემდეგ (428 წ.) სომხეთის სპარსელ მმართველთა რეზიდენცია გახდა, 640 წ-დან არაბთა საამიროს არმინოს ცენტრი. 1236 წელს მონღოლებმა დაანგრიეს...“ **(ქ.ს.ე. ტ. 3: 491).**

მაშასადამე, სარა ნიაფორის ერთდროულად „ბეთლემელისა“ და „დვინელის“ ტერმინებით მოხსენიება უდავოდ მის წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. როგორც ვნახეთ, მასთან მიმართებაში ტერმინი **„სომეხი“** რამდენჯერმე მოიხსენიება, კერძოდ: „მიაფორს სომეხსა, დვინელსა“, „დედაბერსა სომეხსა დვინელსა“ **(იხ. სალუაშვილი 2010ა: 52-53; აბულაძე 1963: 110)**, და „ნიაფორსა სომეხსა დვინელსა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 77).**

ამდენად, სარა ნიაფორის ტერმინებით „სომეხსა დვინელსა“, მოხსენიება შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოშობით სომხეთიდან, კერძოდ დვინიდანაა.

რაც შეეხება მეორე ტერმინს „ბეთლემელი“, ამ შემთხვევაში იგი, განსახილველი დროისთვის სარა ნიაფორის საცხოვრებელ ადგილზე უნდა უთითებდეს. ამ შემთხვევაში, დანამდვილებით იმის თქმა, თუ რამდენ ხანს ცხოვრობდა სარა ნიაფორი

იერუსალიმიდან 8 კმ-ის მანძილზე მოცილებულ ბეთლემში, და როდის გადმოდის იგი საცხოვრებლად იერუსალიმში ძნელია.

მაშასადამე, სარა ნიაფორთან დაკავშირებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ეროვნებით სომეხია, და რომ სომხეთიდან, კერძოდ დვინიდან წამოსვლის შემდეგ, იერუსალიმში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, მას გარკვეული ხანი ბეთლემში უცხოვრია.

როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, ქ. ეფესოდან ლტოლვილი წმ. ნინო და მისი თანმხლები პირები, სწორედ დვინში ჩადიან - „...და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ახალქალაქი, უალერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა... მაშინ იწამა იგინ (აქ: რიფსიმე - ს.ს.) დედა-მძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82; 84).**

ამდენად, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ აქ მისტერიული მინიშნების არსთან უნდა გვქონდეს საქმე. დვინელი სარას მიერ ქრისტიანობის არსში განსწავლული წმ. ნინოსთვის, ქ. დვინში რიფსიმიანთა წამებით, ერთგვარად დასრულდა კიდეც მისი ცხოვრების ის ეტაპი, რომელსაც პირობითად „სარა დვინელიდან - დვინამდე“ არსებული დროის მონაკვეთი მოიცავს.

რიფსიმიანთა წამების შემდეგ - „ეკალთა შორის ვარდისათა“-ში **(ყაუხჩიშვილი 1955: 84)** დამალულ წმ. ნინოს, ხილვაში გამოცხადებული დიაკონი აუწყებს - „...ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავალით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115). (იხ. აგრეთვე არსენ ბერი 1902: 15).** აღნიშნულზე „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).** (ზოგან ეს ადგილი „ულოპორეთად“ არის მოხსენიებული - **იხ. სალუაშვილი 2010ა: 61; აბულაძე 1963: 115; არსენ ბერი 1902: 15; ყუბანეიშვილი 1946: 220**).

და აი, ამ ადგილას დაზამთრების შემდეგ, წმ. ნინო გამოემართება ქართლის სამეფოში - „...და მოიწია მთათა ჯავახეთისათა სადა-იგი მიემთხვა ტბასა დიდსა გარდამ-დინარესა, რომელსა ჰქჳან ფარავნა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).**

ქართული ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ - „**ფარავანი,** ფარავნა, ფანავრა, ფანავარი ტერიტორიული ერთეული(ა) შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში, თრიალეთისა და ჯავახეთის საზღვარზე; ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. სახელწოდება „ფარავანი“ წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება, მაგრამ ტერმინი უფრო ძველი

უნდა იყოს. ფარავანი მოიცავდა ისტორიულ სოფლებს: გასადინს, მახარონს, მაორს; ახლანდ. სოფლებს: „ფოკას (ძვ.ფოკანი), ასფარას. ფარავნის რეგიონის მიწები და დასახლებები სამეფო და საკათალიკოსო საკუთრებას წარმოადგენდა. აქ გადიოდა ბიზანტიისკენ, სომხეთისა და დას.საქართველოსკენ მიმავალი გზები. ქართული წყაროების ცნობით IV ს-ში ... ქართლს (მცხეთას) მიმავალმა ნინომ (შემდგომ ქართველთა განმანათლებელმა) ფარავანი გაიარა, იყო სოფელ ფოკაში...“ **(ბერძენიშვილი 1986: გვ.221).**

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია უთითებს, რომ წმ. ნინო შემოსულა - „...მთათა ზედა ჯავახეთისათა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 62; აბულაძე 1963: 115). (იხ. არსენ ბერი 1902: 15; ყუბანეიშვილი 1946: 220; ნიკოლოზ I კათალიკოსი: 43).** როგორც ცნობილია - „ჯავახეთი, მხარეა სამხრეთ საქართველოში, ზემო ქართლში (ძირითადად მოიცავს ახლანდელ ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის (ახლანდ. ნინოწმინდის - ს.ს.) რ-ნების ტერიტორიას). ...წყაროებში ჯავახეთი (ზაბახა) პირველად ძვ.წ. 785 წ. იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე... უძველესი დროიდანვე ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო (ცენტრ. წუნდა)...“ **(სიხარულიძე 1987: 524-525).**

მაშასადამე, განხილულ წყაროებში დაცული ინფორმაციების ურთიერთშეჯერების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხითის საზღვართან „ორბანთაში“ (ზოგან „ულოპორეთში“) დაზამთრების შემდეგ, 323 წელს, წმ. ნინო მოდის „მთათა ზედა ჯავახეთისათა“, რომელიც ოდიდგანვე ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო; უფრო კერძოდ კი - „ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელს ჰქჯან ფარავნა“, რომელიც ჯავახეთსა და თრიალეთის საზღვარზე მდებარე ფარავნის ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა.

აღნიშნული თხრობის დასასრულს, ერთი მინიშნების თაობაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. როგორც ცნობილია, ორმოცნიშნიან ქართულ ანბანში ასო-ნიშან „ფარ“-ს, რიგით: 23-ე ადგილი უკავია. ჩვენის აზრით, შესაძლებელია მემატიანის მითითება წმ. ნინოს მიერ პირველად ფარავნის ტბასთან გაჩერების თაობაზე, მისტერიული კუთხით, ჩვენს მიერ უკვე გამოთვლილ წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის IV ს-ის 23-ე წელზე უთითებდეს.

ბ) ფარავნის ტბასთან გატარებული - ორი დღე

ქართული წყაროებიდან გვეუწყება, რომ წმ. ნინო „მთათა ზედა ჯავახეთისათა“, უფრო კონკრეტულად კი „ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ჰქჯან ფარავნა“-ში მოსვლის შემდეგ, ამ ადგილზე **ორი დღე** გაჩერებულა - „...წარმოვემართე მთათა ზედა ჯავახეთისათა... და დავდეგ მუნ **ორ დღე...“ (სალუაშვილი 2010ა: 62; აბულაძე 1963: 115-116). (იხ. აგრეთვე ყაუხჩიშვილი 1955: 85; არსენ ბერი 1902: 15).**

ჩვენთვის საძიებელ საკითხთან მიმართებაში აღნიშნული ცნობა, წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლიდან მოყოლებული, პირველ კონკრეტულ დროით მინიშნებას წარმოადგენს. საუბრის დასასრულამდე კიდევ ერთი მისტერიული მინიშნება გვინდა განვიხილოთ.

მოდით ჯერ ფარავნის ტბასთან დაკავშირებული ინფორმაციები გავიხსენოთ - **„ფარავანი,** ტბა ჯავახეთის ზეგანზე, ბოგდანოვკის (დღევანდელი ნინოწმინდის - ს.ს.) რაიონში, აზელ-სამსარისა და ჯავახეთის ქედებს შორის ქვაბული, ზ. დ. 2073 მთაზე... საზრდოობს მიწისქვეშა, თოვლისა და წვიმის წყლით. ტბას ერთვის პატარა მდ-ები: შაორი (შაშკა), საბადოსწყალი, როდიონოვკის წყალი და რამდენიმე პერიოდული ნაკადი. სამხრეთის ნაპირიდან გაედინება მდ. ფარავანი (მტკვრის მარჯვენა შენაკადი...“ **(ბერძენიშვილი 1986: 221).**

ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია უთითებს, რომ საქართველოში შემოსულ წმ. ნინოს პირველი საუბარი ფარავნის ტბასთან მყოფ მეთევზეებთან აქვს - „...დავდეგ მუნ **ორ დღე.** ვითხოვე საზრდელი მეთევზურთაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდელისაჲთა, და მადლი შევსწირე ღმერთსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 62; აბულაძე 1963: 116). (იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 85; არსენ ბერი 1902: 15; ყუბანეიშვილი 1946: 220).**

ქრისტიანული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობა I საუკუნეშივე უქადაგიათ ქრისტეს უშუალო მოციქულებს ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელსა და მატათას.

როგორც ცნობილია თევზი ქრისტიანობის სიმბოლოა. ქართულ წყაროებში, იმ ინფორმაციის დაფიქსირებით, რომ საქართველოში შემოსულ წმ. ნინოს, თითქოსდა, პირველი საუბარი მეთევზეებთან ჰქონია, ჩვენის აზრით, მემატიანეს სურს მიგვანიშნოს, რომ საქართველოში ქრისტიანობას ნიადაგი უკვე შემზადებული აქვს, და რომ წმ. ნინოს

მისია, არა ქრისტიანობის პირველად ქადაგებაა, არამედ, მან, ღმერთის ხელშეწყობით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში უნდა ითამაშოს მთავარი როლი.

გ) ურბნისში გატარებული ერთი თვე

ქართულ წყაროებში იქვეა მინიშნება იმის თაობაზე, რომ წმ. ნინოს, მცხეთისაკენ მისასვლელი გზა ფარავნის ტბასთან მყოფი მწყემსებისგან გაუგია - „...და მწყემსნიცა იყვნეს მასვე ადგილსა... და ჰკითხა თუ „სადათ არს მცხეთა?“ ხოლო მწყემსმან მან ესრეთ ოდენ აუწყა, რომელ მდინარე გასდის ტბასა ამას მცხეთას მისვლად...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85-86).**

ფარავნის ტბასთან ყოფნის მეორე დღის საღამოს წმ. ნინო ნახულობს ხილვას - „...და გულისხმაყო, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენება იგი. და აღიხილნა თუალნი ზეცად და ხვალისაგან (ე.ი. მე-3 დღის დილისთვის - ს.ს.) ითხოვა შეწევნა მისი. და შემდგომად ამისა (ე.ი. მე-3 დღეს - ს.ს.) წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი დასავლეთით - კერძო... მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 87).**

ქართულ ისტორიულ წყაროებში ქ. ურბნისი პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲშია“ დასახელებული. კერძოდ, იგი მცხეთის პარალელურად მოხსენიებულია იმ ოთხ დიდ ქალაქს შორის, რომელიც საქართველოში შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს დახვედ-რია - „...დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრხე...“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 10; აბულაძე 1963: 81; ყაუხჩიშვილი 1955: 17).**

წმ. ნინოს ურბნისში ყოფნის თაობაზე, ქართულ წყაროებში ასეთი მინიშნებაა დაცული - „..მივიდა ბაგინსა ჰურიათასა, ენისათჳს ებრაულისა, რამეთუ ებრაული და ბერძნული წიგნი და ენა კეთილად ესწავა, და დაყუნა მუნ **თვისა ერთისა ჟამნი** და განიცდიდა ძალასა მის ქუეყანისასა...“ **(არსენ ბერი 1902: 18). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 65; აბულაძე 1963: 118; ყაუხჩიშვილი 1955: 88).** მაშასადამე, წმ. ნინოს ქ. ურბნისში - **ერთი თვე** გაუტარებია. აღნიშნული ცნობა, ჩვენთვის საძიებელ საკითხთან მიმართებაში, მომდევნო კონკრეტული დროით მინიშნებას წარმოადგენს.

დ) საძიებელი დროის მონაკვეთის ზედა მიჯნა 6 აგვისტო

ჩვენთვის საძიებელი დროითი მიჯნის განსაზღვრისათვის, მოდით წმ. ნინოს ქ. ურბნისში ყოფნის შემდგომად განვითარებული მოვლენები განვიხილოთ.

ურბნისიდან წასვლის თაობაზე „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...მაშინ დღეს ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად მივაჭრებად საჴმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა. და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიაღ მოგუთასა ჴიდსა ზედა, და დადგეს მუნ... და აჰა ესერა, ხვალისა დღე იყო ჴმა ოხრისა და საყმრისა; გამოვიდა ერი ურიცხჳ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 88).**

როგორც ვხედავთ, წყაროში ზუსტად არ ჩანს, თუ რამდენი ხანი მოუნდნენ ისინი ურბნისიდან მცხეთაში ჩასვლას. მცხეთაში ჩასვლის მეორე დღეს იმართება სწორედ კერპ არმაზისადმი მიძღვნილი რიტუალი. და აი, ყოველივე ამის შემყურე წმ. ნინოს ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვის პასუხად მცხეთაში მდგარი კერპები იმსხვრევა - „...და ვითარცა დაასრულა ლოცვა ესე წმიდამან ნინო, და წამისყოფა იყო ოდენ თუალისა - აღდგეს დასავლით ქარნი და ჰაერნი... და მოიღო სეტყუა ლიტრისა სწორი ადგილსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთასა. და დააწულილნა კერპნი იგი და დამუსრნა... ხოლო წმიდა ნინო დარჩა მშჳდობით ადგილსა მას, სადა პირველ შესრულ იყო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 91). (იხ. აგრეთვე: სალუაშვილი 2010ა: 66-71; აბულაძე 1963: 118-121; არსენ ბერი 1902: 9; ყუბანეიშვილი 1946: 221-222; ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 44-45).**

კერპების მსხვრევის დამთავრების შემდეგ, მომხდარის კონკრეტული მინიშნება, მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული - „...მასვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წმ. ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა და პოვა თუალი იგი **ბივრილი,** აღიღო და წარმოვიდა წინაკერძო დასასრულსა მის კლდისა ცხჳრისასა. და მუნ დგა ხე ერთი... მივიდა ხესა მას ქუეშე, გამონიშნა ნიში ქრისტეს ჯუარისა და ილოცვიდა მუნ ექუს დღე... ხოლო ოდეს იქმნა ესე, **იყო თუე მარტითგან მეექუსე აგვისტოსი, და დღე მეექუსე,** რომელსა შინა ფერი იცვალა ქრისტემან წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყველთა და მოწაფეთა თჳსთასა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122).**

ზოგიერთ ხელნაწერში, ამ დღეს მომხდარი მოვლენა კიდევ უფრო დაკონკრეტებულია - „ხოლო ოდეს იქმნა კერპთა შემუსრვაი, **იყო თუე მარტითგან მეექუსე: აგვისტოსი, და დღე მეექუსე...“ (მეტრეველი 2008: 105).** მაშასადამე, გამოიკვეთა ჩვენთვის საძიებელი დროის გამოსათვლელი ზედა მიჯნა მარტიდან ათვლით მეექვსე თვის მეექვსე დღე, ანუ კერპების მსხვრევის დღე 6 აგვისტო. ჩვენი შემდგომი თხრობაც სწორედ ამ თარიღიდან უკუათვლაზე იქნება დაყრდნობილი:

- საძიებელი დროის ზედა მიჯნაა: **323 წლის 6 აგვისტო** - „...რამეთუ თუე იყო მეექუსე და დღე იყო მეექუსე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122);**

- როგორც ვნახეთ, ურბნისიდან წამოსული წმ. ნინო მცხეთაში, კერპების მსხვრევის წინა დღეს ჩადის **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 88).** ამდენად, წმ. ნინო მცხეთაში **323 წლის 5 აგვისტოს** ჩასულა. სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რამდენ ხანს მოუნდა ურბნისიდან წამოსული წმ. ნინო მცხეთაში ჩამოსვლას. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი ათვლით, ურბნისიდან მცხეთამდე 60-65 კმ-ია, მაშინ გამოდის, რომ სავარაუდოდ წმ. ნინო მცხეთაში, ურბნისიდან წამოსვლის **(4 აგვისტო),** მაქსიმუმ მეორე დღეს, ანუ 5 აგვისტოს ჩასულა;

- განხილული ქართული წყაროების მიხედვით, როგორც ვნახეთ, წმ. ნინოს ქ. ურბნისში ერთი თვე გაუტარებია: - „და დაყო მუნ თუე ერთი“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 88)**. **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 65; აბულაძე 1963: 118; არსენ ბერი 1902: 18).** ურბნისიდან მცხეთაში წასვლის თარიღიდან, ანუ 323 წლის 4 აგვისტოდან უკუათვლით, ურბნისში ყოფნის ერთი თვე 323 წლის 4 ივლისიდან იწყება. ამდენად, **წმ. ნინო ქ. ურბნისში ჩასულა 323 წლის 4 ივლისს;**

- ქართულ წყაროებში ასევე არაა მითითებული, თუ რამდენ დღეში ჩავიდა ფარავნის ტბიდან წამოსული წმ. ნინო ქ. ურბნისში. აღნიშნული მოგზაურობა „ქართლის ცხოვრებაში“ ასეა აღწერილი - „...და შემდგომად ამისსა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი დასავლეთით-კერძო. და მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიში დიდი მჴეცთაგან, ვიდრეღა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო დინება. და მიერითგან იქმნა ლხინება მისი, რამეთუ პოვნა მუნ მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქთა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 87).**

თუ გავითვალიწინებთ იმას, რომ დღევანდელი ათვლით ფარავნიდან ურბნისამდე 250-260 კმ-ია, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული მანძილის გავლას წმ. ნინო, სავარაუდოდ **5 დღე** მაინც მოუნდებოდა. მაშასადამე, ურბნისში ჩასვლიდან, ანუ 323 წლის 4 ივლისიდან უკუათვლით, **წმ. ნინო ფარავნის ტბიდან 323 წლის 30 ივნისს წამოსულა;**

- ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო სომხითიდან - „...თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მიემთხმა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ჰქმან ფარავნა... და დაყო მუნ ორ დღე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 62; აბულაძე 1963: 116; არსენ ბერი 1902: 15).**

ამდენად, ფარავნის ტბიდან წამოსვლის 323 წლის 30 ივნისიდან უკუათვლით, ფარავნის ტბასთან წმ. ნინოს ყოფნის ორი დღე **323 წლის 28-29 ივნისზე** მოდის.

მაშასადამე, **წმ. ნინო საქართველოში 323 წლის 28 ივნისს შემოსულა, რომელსაც უნივერსალური კალენდრის მიხედვით პარასკევი დღე შეესაბამება (კალანდაძე 1973: 2-3).**

ყოველივე თქმულის შეჯერებამდე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით მითითებული „თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი“, ზემოთწარმოებული კვლევის შედეგად კიდევ უფრო დაზუსტდა და დადგინდა, რომ **წმ. ნინო საქართველოში შემოსულა 323 წლის 28 ივნისს, პარასკევ დღეს,** საიდანაც ათვლით, კერპების მსხვრევის თარიღი 6 აგვისტო, არის ზუსტად მე-40 დღე.

ე) „მზე და მთვარე“, ანუ კოდი - „ზაფხული“

საქართველოში წმ. ნინოს შემოსვლის კონკრეტული თარიღის დასადგენად წარმოებული კვლევა, როგორც ვნახეთ, ქართულ წყაროებში დაცულ ორ დროით მინიშნებას ემყარება. ერთის მხრივ ესაა წელიწადის კონკრეტული დროის აღნიშვნა - „...და ვითარცა მოიწია ზაფხული...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 220);** ხოლო მეორეს მხრივ გამოკვეთილია მითითებული ზაფხულის პირველი და ბოლო თვეები - „...თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85),** და აგვისტო - „...თუე იყო მეექუსე და დღე იყო მეექუსე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122),** ანუ კერპების მსხვრევის დღე.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, როგორც ვნახეთ, სხვა თარიღებთან ერთად, იკვეთება წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მის მიერ მცხეთაში კერპების მსხვრევის კონკრეტული თარიღები **323 წლის 28 ივნისი** და **6 აგვისტო.**

ამდენად, დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციათა ერთი ჯგუფის მიერ მითითებული **„ზაფხული“,** ჩვენთვის საძიებელი საკითხის არსის თაობაზე მისტერიული მინიშნების მატარებელია, და ჩატარებული კვლევით მიღებულ ივნისსა და აგვისტოს თვეთა შორის მომხდარზე თავისებური კუთხით გვიდასტურებს. წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის გამო, ქართულ წყაროთა ერთი ნაწილი, კეისრის მიერ სომხეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში, შემდეგ საინტერესო მინიშნებას აფიქსირებს - „...მეფეთაც აგინებენ, ღმერთთა შეურაცხ ჰყოფენ, და ძალსაცა ნათლისა **მზისა** და მთოვარისასა და ვარსკულავთასა არად შერაცხენ, არამედ შექმნულად იტყჲან მათ ჯვარცმულისა მის მიერ...“-ო **(ყაუხჩიშვილი 1955: 83).**

აქ მოცემული **„მთვარე“** და „**მზე“,** ყოველივე ზემოთქმულთან შეჯერებით, მნიშვნელოვანი მისტერიული არსის მტარებელი უნდა იყოს.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად დადგენილი, **წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის თარიღი 28 ივნისი კირჩხიბის ზოდიაქოზე მოდის (იხ. სულხან-საბა 1991: 284)**, რომლის მფარველი პლანეტაც **მთვარეა;** მეორეს მხრივ, საძიებელი თარიღის დასადგენად ჩვენს მიერ უკვე გამოყენებული ქართველი მემატიანეების მიერ **კერპების მსხვრევის თარიღად მინიშნებული: 6 აგვისტო ლომის ზოდიაქოშია**; თავის მხრივ, ლომის ზოდიაქოს მფარველი პლანეტა **მზეა.** ყოველივე თქმული კიდევ ერთი სავარაუდო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ზემოთქმულის ანალოგიურად, აქაც, დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ წარმოდგენილი ხედვის კუთხის გათვალისწინებით: ივნის-აგვისტოს თვეთა მომცველი კირჩხიბისა და ლომის ზოდიაქოთა მფარველი პლანეტების მთვარისა და მზის, ზემოთგანხილულ კონტექსტში მოხსენიება, თავის მხრივ, მისტერიულად გვიდასტურებს ჩვენს მიერ წარმოებული გათვლების სისწორეს.

ამდენად, ქართულ წყაროებში დაცული მინიშნებანი: „ვითარცა მოიწია ზაფხული“, „მეოთხესა თვესა, რომელ არს ივნისი“, „იყო მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი, და დღე მეექუსე“, „ძალსაცა ნათლისა მზისა და მთოვარისასა და ვარსკულავისასა არად

შერაცხენ“ ღია, თუ ფარული (მისტერიული) ფორმით ჩვენს მიერ ზემოთ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ თარიღთა სისწორეს გვიდასტურებენ.

3) „ფერისცვალებიდან“ – „მარიამობამდე“,ანუ - დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის შეჯერებამდე, მოდით ქართულ წყაროებში არსებული ორიოდე დროითი მინიშნების მისტერიული არსი გავიხსენოთ:

კერპების მსხვრევის დღესთან მიმართებაში „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...იყო თუე მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი (აგჳსტოსი), და დღე მეექუსე, რომელსა შინა **ფერი იცუალა ქრისტემან** წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყუელთა და მოწაფეთა თჳსთასა...” **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).** ანუ, კერპების მსხვრევა 323 წლის 6 აგვისტოს, ანუ ფერისცვალება დღეს მომხდარა.

ქართული წყაროები, უკვე მითითებული 6 აგვისტოს შემდეგ მომხდარის თაობაზე, ასეთ ინფორმაციას გვაწვდიან - „...და ილოცვიდა მუნ **ექუს დღე** (ე.ი. 6 აგვისტოდან ათვლით **12 აგვისტომდე** - ს.ს.)... მაშინ მოვიდა სეფექალი ერთი, სახელით შროშანა და იხილა იგი ხესა მას ქუეშე... შემდგომად ამისსა **მესამესა დღესა** (რაც უკვე 12 აგვისტოდან ათვლით მესამე დღეზე, ანუ **15 აგვისტოზე** გვითითებს - ს.ს.)... გამოვლო მტკუარი და მიმართა სამოთხესა მას მეფისასა, სადა-იგი აწ არს სუეტი იგი ღმრთივ აღმართული და ეკლესია საკათალიკოზო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 93).**

აქ კი უკვე გამოიკვეთა მარიამობის აღსანიშნი დღე **„მარიამობა,** ქრისტიანული დღესასწაული წმ. მარიამის მიძინების (გარდაცვალების) აღსანიშნავად. იმართება **15 (28) აგვისტოს...**“ **(სურგულაძე 1983: 440).**

ამდენად, წმ. ნინო **323 წ. 15 აგვისტოს,** ანუ სწორედ მარიამობა დღეს მიეახლება ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი მაცხოვრის კვართის დაფლვისა და მასთან ერთად დამარხული სიდონიას საფლავზე ამოსულ ხესა და მის ირგვლივ გაშენებულ - „...სამოთხესა (აქ-ბაღს-ს.ს) მას მეფისასა, სადა-იგი აწ არს სუეტი-იგი ღმრთივ აღმართე-ბული და ეკლესია საკათალიკოზო (აქ-სვეტიცოხველი-ს.ს.)...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 93).**

ნიკოლოზ I კათალიკოსის გარდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია შეიცავს ცნობებს აღნიშნული სამი დღის თაობაზე **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122 - შატბერდული რედაქცია, არსენ ბერი 1902: 21; ყუბანეიშვილი 1946: 222).**

ერთადერთი გამონაკლისია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური რედაქცია, სადაც სამის ნაცვლად **ორი დღეა** მითითებული - „...და მეორესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივმართე სამოთხესა მას მეფისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122).**

ამდენად, წარმოდგენილი წყაროების მიხედვით, 6 აგვისტოდან, ანუ ფერისცვალების დღიდან მოყოლებული გამოიკვეთა 323 წლის 15 აგვისტო, ანუ მარიამობა დღე, როდესაც წმ. ნინო - „შევიდა ქალაქად და მიჰმართა წალკოტსა მეფისასა და პოა მუნ მცირე სახლი, რომელსა შინა იყოფებოდა დედაკაცი, სახელით ანასტოს...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 222).**

და აი, აქვე მოცემულია ერთი მნიშვნელოვანი მინიშნება. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია უთითებს წმ. ნინოს მიერ ანასტოსთან გატარებულ დროს:

- „...ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივმართე სამოთხესა მას მეფისასა. და მი-რაჲ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა, იყო სახლაკი მცირჱ სამოთხის მცველისაჲ, და შე-რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიტკბო მე ვითარცა მეცნიერმან და მეგობარმან. და დამბანნა ფერჯნი ჩემნი და მცხო ზეთი და დამიგო ტრაპეზი და ღჳინოჲ და მაიძულა მე ჭამად და სუმად. და დავყავ მისთანა **ცხრა თთუე...“ (სალუაშვილი 2010ა: 72-73; აბულაძე 1963: 122-123). (იხ. ალექსიძე 2007: 39);**

- „...დაყო მის თანა წმიდამან ნინო **ცხრა თუე...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 92);**

- „... შთაჴდა ქალაქად და მიჰმართა სამოთხესა მეფისასა და პოვა მუნ სახლი მცირე მცველისა მის სამოთხისა, რომელსა შინა იყო დედაკაცი ერთი სახელით ანასტოს. იხილა რაჲ ღირსი იგი, აღდგა მსწრაფლ და შეიტკბო, ვითარცა მეცნიერი და დაჰბანნა ფერხნი და სცხო ზეთი და მოართუა საზრდელი, რომლისა თანა დაადგნა **ცხრა თუჱ...“ (არსენ ბერი 1902: 21). (იხ. ყუბანეიშვილი 1946: 222; ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 46);**

- „... წამოვიდა მუნით და შევიდა სამოთხისა მცველისა დედაკაცისა ანასტოს და დაყო მისთანა **ცხრა თუე.** ხოლო იყო სამოთხესა მას შინა კუართი უფლისა იესუ ქრისტესი დამარხული და აღმოცენებულნი მას ზედა ნაძუნი მაღალნი...“ **(აბულაძე 1968: 345).**

ჩვენის აზრით, **მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე გატარებული „ცხრა თვე“, წმ. ნინოს „სულიერი შობის“ მისტერიულ არსზე უნდა გვითითებდეს.** ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ამ ბაღის მცველის მეუღლის სახელი - **„ანასტოს“**, რომლის განმარტე-ბაშიც ვკითხულობთ - **„ანასტასია** (ბერძ.) „მკვდრეთით აღმდგარი“, „სიცოცხლეს

დაბრუნებული“... ბერძნულში კაცისა და ქალის სახელებად გვაქვს პარალელური ფორმები: ანასტას და ანასტასია... კაცის სახელი ანასტასი შეთვისებული აქვს ზოგ სხვა ხალხსაც, ზოგს კი იგი უთარგმნია, ასეთი თარგმნის ნიმუშია ქართული აღდგომელ“ ...” **(ჭუმბურიძე 1992: 154).**

ამდენად, 15 აგვისტოს, ანუ მარიამობა დღეს წმ. ნინომ - „...გამოვლო მტკვარი (აქ-თითქოსდა ერთგვარ განბანვაზე, ანუ სხეულის განწმენდაზეა მინიშნება - ს.ს.) და მიმართა სამოთხესა (აქ - მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილას გაშენებული ბაღი - ს.ს.) მას მეფისასა, სადა-იგი აწ არს სუეტი იგი ღმრთივ აღმართული და ეკლესია საკათალიკოზო, და მი-რა-ვიდა კარსა მას სამოთხისასა, იხილა სახლი მცირე სამოთხისა მცველისა. შევიდა წმიდა ნინო, და ჯდა მას შინა დედაკაცი, რომლისა სახელი ანასტოს. და ვითარცა იხილა დედაკაცმან მან, აღდგა, მოეხმა და შეიტკბო ვითარცა მეცნიერმან, დაჰბანნა ჴელნი და სცხო ზეთი, მოართუა პური და ღჳნო, და დაყო მის თანა წმიდამან ნინომ ცხრა თუე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 93).**

მაშასადამე, 15 აგვისტოს მარიამობა დღეს, წმ. ნინომ „გამოვლო მტკვარი“, ანუ მოხდა მისი სხეულებრივი განწმენდა, და ასე „მიმართა სამოთხესა... სადა-იგი აწ არს სუეტი იგი“, მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე მისულს იქ ხვდება „დედაკაცი რომლისა სახელი ანასტო“, რაც „მკვდრეთით აღმდგარს“, „სიცოცხლეს დაბრუნებულს“ ნიშნავს, და „დაყო მის თანა წმიდამან ნინომ ცხრა თვე“.

ანასტომ, წმ. ნინოს - „დაჰბანნა ჴელნი და სცხო ზეთი, მოართუა პური და ღჳნო“, ანუ მისტერიული კუთხით შეამზადა „მკვდრეთით აღდგომისა“ და „სიცოცხლეში დაბრუ-ნებისათვის“, რაც „აღესრულება“ კიდეც, იქ გატარებული „ცხრა თვის“ შემდეგ. წმ. ნინო ახალი მისიის შესრულებას, ანუ ქართველთა განმანათლებლობას, „განახლების“ ანუ „სულიერად ხელახლა დაბადებისათვის“ საჭირო „ცხრა თვის“ შემდეგ იწყებს.

ზემოთმიღებული ათვლით, მითითებული 9 თვე **324 წლის 15 მაისზე** მოდის.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმული შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ:

- წმ. ნინო ქართლის სამეფოში: 323 წლის 28 ივნისს, პარასკევ დღეს შემოსულა;

- ფარავნის ტბასთან გატარებული ორი დღე: 323 წლის 28-29 ივნისზე, პარასკევ-შაბათ დღეებზე მოდის;

- ფარავნის ტბიდან 30 ივნისის კვირა დღეს წამოსული წმ. ნინო, სავარაუდოდ, ხუთდღიანი მოგზაურობის შემდეგ: 323 წლის 4 ივლისის ხუთშაბათ დღეს ჩასულა ქ. ურბნისში;

- წმ. ნინოს ქ. ურბნისში ერთი თვე გაუტარებია, რაც 323 წლის 4 ივლისიდან, ვიდრე 4 აგვისტომდე დროის მონაკვეთს მოიცავს;

- ქ. ურბნისიდან 4 აგვისტოს წამოსული წმ. ნინო მაქსიმუმ მეორე დღეს ჩადის მცხეთაში, რაც: 323 წლის 5 აგვისტოს ორშაბათ დღეზე მოდის;

- ქ. მცხეთაში არსებული კერპების მსხვრევა მომხდარა წმ. ნინოს მცხეთაში ჩასვლის მეორე დღეს, ანუ: 323 წლის 6 აგვისტოს სამშაბათ დღეს, რომელიც, წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლიდან, ანუ 28 ივნისიდან ათვლით (28,29...5,6) არის ზუსტად მე-40 დღე;

- კერპების მსხვრევიდან ათვლით წმ. ნინოს ექვსდღიანი ლოცვა: 323 წლის 12 აგვისტოს ორშაბათ დღეს დამთავრებულა;

- მეფის ბაღში, სიდონიას დაკრძალვის, ანუ მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილას ამოსულ ხესთან წმ. ნინო მისულა: 323 წლის 15 აგვისტოს, ხუთშაბათ დღეს;

- აღნიშნულ ხესთან და ბაღის მომვლელ ანასტოსთან წმ. ნინოს 9 თვე გაუტარებია, რაც: 324 წლის 15 მაისის პარასკევ დღეზე მოდის.

თავი IV. სომხეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული რამოდენიმე საკითხი

განსახილველი თემატიკის არსიდან გამომდინარე, ზემოთქმულში, ჩვენ, ნაწილობრივ უკვე შევეხეთ სომხეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წმ. ნინოს ლტოლვილობისა და მისი საქართველოში შემოსვლის კონკრეტული თარიღების დადგენის შემდეგ, საუბრის გაგრძელებამდე, მოდით, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, შედარებით ვრცლად შევეხოთ სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების სავარაუდო თარიღის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ჩვენი თემის მიზანს არ შეადგენს იმის გამორკვევა, თუ სომხეთის ტერიტორიის რომელ ნაწილზე გავრცელდა გრიგოლ განმანათლებლის მიერ ნაქადაგები ქრისტიანობა. ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს - „...გრიგოლი ნამდვილად მთელი სომხეთის მქადაგებელ-გამაქრისტიანებელი არ იყო და მხოლოდ შემდეგში გააზვიადეს მისი მნიშვნელობა...“-ო **(ჯავახიშვილი 1998: 349).**

1) მირიანისა და თრდატის დამოყვრება

ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში, კერძოდ IV ს-ის I მეოთხედში, ქართლის მეფის მირიანისა და სომხეთის მეფის თრდატის ურთიერთობის თაობაზე, მოდით „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ინფორმაციები გავიხსენოთ.

მირიან მეფემ - „...ძალი მოირთო სპარსეთით და უწყო ბრძოლად თრდატს. ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალედვის წინააღდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი. და ესრეთ დაუცხრომელად იყჳს შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 69).**

მირიანისა და თრდატ მეფის დაზავებას ლეონტი მროველი კონსტანტინე იმპერატორს უკავშირებს - „...და დაამოყურნა თრდატ და მირიან, და ამზახნა ურთიერთას. რამეთუ მოსცა თრდატ ასული თჳსი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისსა ცოლად, რომელსა ერქუა რევ... და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე; და მისცა ძესა მისსა

რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნებოდეს იგინი უჯარმას...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 70-71).**

ღმერთის შეწევნით, წმ. ნინოს ძალისხმევას სასურველი შედეგი მოჰყვა: ჯერ ნანა დედოფალი, ხოლო ერთი წლის შემდგე მირიან მეფე ქრისტეს რჯულზე მოიქცევიან, რასაც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოჰყვა. სამეფო კარისა და ერის განათვლისეული ამბების შემდეგ, „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში, დღევანდელი ჯვრის ეკლესიის ადგილზე მდგარი ხის მოჭრისა, და მისგან ჯვრების გაკეთების თაობაზე გვეუწყება.

ნაწილი წყაროებისა ამ ხის მოჭრას, მირიანის ძესთან, რევისთან აკავშირებს - „...ამისა შემდგომად აღვიდა ნეტარი ნინო მთასა მას, რომელი არს პირის-პირ მცხეთასა, წიაღ კერძო არაგუსა... და მუნ ღამეთა ათევდა ლოცვითა ღუთისა მიმართ და ძირსა მის კლდისასა, რომელ არს მუნ ლოცვითა წყალი აღმოაცენა... ამისა შემდგომად ძიება ყო მთავარეპისკოპოსმა ხე, რათა შექმნეს ჯუარნი და წარგზავნა რევ, ძე მეფისაჲ, და მთავარდიაკონი თჳსი და წარაყვანნა ხურონი და მოჰკუჱთეს ხე იმიერ კერძო არაგჳსა, სადა იგი აღმოეცენა წყაროჲ ცრემლითა ნინოჲსათა...“ **(არსენ ბერი 1902: 38). (იხ. აგრეთვე: ყაუხჩიშვილი 1955: 119; ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 92).**

მოგვიანებით გვეუწყება, რომ ამ ხისაგან გაკეთებული სამი ჯვრიდან ერთ-ერთი სწორედ იმ ადგილას აღიმართება, სადაც შემდგომში ჯვრის ეკლესია აშენდა. ქართულ წყაროებში დაცულია ცნობები ამ ჯვართან დაკავშირებული სასწაულების შესახებ. მათ შორის აღწერილია რევის მცირეწლოვანი ძის სასწაულებრივი განკურნება - „...და იყო ძეი რევისი სნეული და მიწევნული სიკუდიდ, რამეთუ იგი მხოლო მარტოჲ ესუა. მოიღო იგი და დააგდო წინაშე პატიოსნისა ჯუარისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 120; აბულაძე 1963: 155).**

ზემოთქმულში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ განსახილველი დროის მონაკვეთისათვის რევსა და სალომეს ერთადერთი ძე ჰყავთ - „...რევს ძესა მეფისასა ესუა ყრმა წული მცირე და იყო იგი შეპყრობილი სენითა სასიკუდინოთა და ამის მიზეზისათჳს ფრიადსა გლოვასა და მწუხარებასა შინა იყუნეს: რამეთუ იგი ოდენ მხოლოჲ ესუა მათ...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 96).**

ჯვრის წინაშე დასვენებული რევის მომაკვდავი ძის გადასარჩენად აღვლენილ ლოცვაში წმ. ნინო ასე მიმართავს ღმერთს - „...მეუფეო თავად მიეც მხოლოდ შობილი ყრმა ესე მცირე ცოცხალი მშობელსა მას მისსა: შეწევნითა და ძალითა წმიდისა ამის პატიოსნისა ჯუარისათა: და ვითარცა ესე ილოცა მყის განცოცხლდა ყრმაი იგი და ყოველნივე ერთობით ადიდებდეს ღმერთსა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 96-97).**

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთაღნიშნული მირიან მეფის ქრისტეს რჯულზე მოქცევის შემდგომ დროში ხდება, და რევისა და სალომეს (ამ დროისათვის) მხოლოდშობილი ძის მცირე ასაკს, მაშინ, დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ რევისა და სალომეს შეუღლების დროისათვის, არც მირიანი, და არც თრდატი, ჯერ კიდევ არ არიან ქრისტიანები, თუმცა ორივენი „ერთიდაიგივე აღმსარებლობის“, კერძოდ კი კერპთაყვანისმცემლები არიან.

2) კერპთაყვანისმცემლობიდან - გაქრისტიანებამდე

თრდატ მეფესთან მიმართებაში ქართულ წყაროებში დაფიქსირებულია, მისი როგორც კერპთაყვანისმცემლობის, ასევე ქრისტიანად მოქცევასთან დაკავშირებული დროითი ინფორმაციები.

ქართულ წყაროებში თრდატ მეფის კერპთაყვანისმცემლობაზე მიმანიშნებელი პირველი ინფორმაცია დაცულია, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველის, „მეფე-კეისრის“ მიერ თრდატ მეფისადმი გამოგზავნილ წერილში, სადაც ის „რიფსიმიანეთა“ მიერ მათი ერთიანი ღმერთის შეურაცხყოფაზე საუბრობს - „... თვითმპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა თრდატს გიკითხავ. უწყებულ იყავნ ძმობა შენი და თანაშემწეობა, რომლისათჳს-იგი ყოვლადვე გუევნების შეცდომილისა მისგან ქრისტეანეთა ნათესავისა. რამეთუ ყოვლადვე შეურაცხ იქმნების ჩუენი უფლება მათისაგან კრებულისა.. მეფეთაც აგინებენ, ღმერთთა შეურაცხჰყოფენ, და ძალსაცა ნათლისა მზისა და მთოვარისასა და ვარსკულავთასა არად შერაცხენ, არამედ შექმნილად იტყჳან მათ ჯუარცმულისა მის მიერ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 82-83).**

აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ „თვითმპყრობელი კეისარი“, და მისი მეგობარი და „თანამოსაყდრე“ თრდატი, ქრისტეანთა მოწინააღმდეგენი არიან.

სომხითში ჩასული იმპერიიდან დევნილები წმ. ნინო, და რიფსიმე და მისი თანმხლებნი მალევე უპოვნია თრდატ მეფეს - „...და ვითარცა მოიწივნეს მახლობელად

სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე. ხოლო წმიდაჲ რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა თრდატის მიერ...“ **(არსენ ბერი 1902: 15).** აქაც, გამოკვეთილად ჩანს, რომ ამ დროისათვის თრდატი ქრისტიანთა მოწინააღმდეგეა.

ზემოთ გადმოცემული კვლევის შედეგად, როგორც ვნახეთ, წმ. ნინოსა და მის თანმხლებ რიფსიმიანეთა ქ. ეფესოდან წამოსვლა, სომხითში მოსვლა და შემდგომ მათი წამება 322 წლის 15-30 მარტსაა მომხდარი. ამდენად, როგორც მინიმუმ, ჩვენს მიერ დადგენილი ლტოლვილობის დაწყების, ანუ 322 წლისათვის, თრდატ მეფე ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემელი და ქრისტიანთა მოწინააღმდეგეა.

ქართულ წყაროებში თრდატ მეფის მომდევნო მოხსენიება კერპების მსხვრევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემისას გვხვდება. როგორც ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, ქართლის სამეფოში 323 წლის 28 ივნისს შემოსული წმ. ნინოს მიერ მოგვიანებით აღვლენილი ლოცვის შედეგად, მცხეთაში მდგარი კერპები 323 წლის 6 აგვისტოს დაიმსხვრა.

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის თაობაზე, „ქართლის ცხოვრებაში“ ვკით-ხულობთ - „...ხოლო დღესა მეორესა (ანუ: 323 წლის 7 აგვისტოს - ს.ს.) გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოვებდეს... ხოლო რომელნიმე იტყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ესევითარისა ქმნად“. ესევითარსა ამას იტყოდა, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილი იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეული იყო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 91-92).**

ამდენად, ზემოთქმულით გამოიკვეთა ჩვენთვის საძიებელი საკითხის პირველი პირობითი დროითი მიჯნა. ქართული წყაროების მიხედვით **თრდატ მეფე, ქრისტეს სჯულზე 322 წლის 15-30 მარტიდან, 323 წლის 6-7 აგვისტომდე არსებულ დროით მონაკვეთში მოქცეულა.**

სომხეთის გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებული აღნიშნული პერიოდი, ქართულ წყაროებში დაცული მინიშნების მიხედვით კიდევ უფრო შეგვიძლია დავაზუსტოდ. „ქართლის ცხოვრებაში“ „რიფსიმიანთა“ წამების შემდგომი დროის თაობაზე ასეთი მინიშნებაა მოცემული - „...და წარემართა მუნით წმიდა ნინო და

მოვიდა ორბანთად, საზღვართა სომხითისათა, და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85).** მაშასადამე, 322-323 წლის ზამთრისათვის სომხეთში ქრისტიანობა ჯერ კიდევ იდევნება.

განხილულ წყაროდან გამომდინარე ზემოთგამოკვეთილი საძიებელი ზოგადი მიჯნა, კიდევ უფრო დაკონკრეტდა და ის უკვე 322-323 წლის ზამთრიდან 323 წლის 6-7 აგვისტომდე არსებულ დროით მონაკვეთზე მოდის.

მოდით ვნახოთ, შესაძლებელია თუ არა ჩვენთვის საძიებელი დროის მონაკვეთის კიდევ უფრო დაკონკრეტება.

გრიგოლ განმანათლებლის ქადაგების სამოქმედო არიალის გამოკვლევისას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს - „...ნ. მარრი დარწმუნებულია, რომ გრიგოლი ნამდვილად მთელი სომხეთის განმანათლებელი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სომხეთის მხოლოდ ერთი, ბიზანტიის (აქ-აღმოსავლეთ რომის იმპერიის - ს.ს.) უშუალო გავლენის სფეროში მყოფი, თემის (მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის მქონებელი) მქადაგე-ბელი... ამგვარად, თუმცა ნ. მარრს არსად მკაფიოდ აღნიშნული არა აქვს, მაგრამ მისი თხზულებითგან საფიქრებელი ხდება, რომ სომეხთა მოქცევის ამბავის პირველ ტენდენციურ ცვლილებად მას ის მიაჩნია, რომ სომხეთის ბიზანტიის (აქ-აღმოსავლეთ რომის იმპერიის - ს.ს.) გავლენის ქვეშ მყოფი ერთი თემის მქადაგებელი, რომელიც კესარიითგან იყო მოსული, განზრახ მთელი სომხეთის გამაქრისტიანებლად გამოიყვანეს და აქციეს...“ **(ჯავახიშვილი 1998: 348-349).**

ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ 313 წლიდან მოყოლებული რომის იმპერიას ორი თანამმართველი ჰყავს. ამათგან, დასავლეთს კონსტანტინე, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიას ლიკინიუსი განაგებს. 313 წელსვე, მათი ერთობლივი ხელმოწერით, მიღებულ იქნა ე. წ. „მილანის ედიქტი“ – „...ამ დოკუმენტით ყველა რელიგიის მიმდევრებს (მათ შორის ქრისტიანებს) მიენიჭათ უფლება შეესრულებინათ ის ღვთისმსახურება, რომელიც მათ სურდათ...“ **(ქ.ს.ე. ტ.6: 695).**

კონსტანტინესაგან განსხვავებით ლიკინიუსმა, მომდევნო წლებში, არაერთხელ განახორციელა ქრისტიანთა შევიწროება. საეკლესიო ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ქრისტეანთა დევნის ბოლო ეტაპი ლიკინიუსის მიერ 319 (320) წლიდან იღებს სათავეს **(იხ. Тальберг 1991: 110 და გოილაძე 1986: 160).**

დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა გახდა მათ შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი, თუმცა თუ ევსები კესარიელს დავეყრ-დნობით, მაშინ ცხადი ხდება, რომ კონსტანტინესა და ლიკინიუსს შორის დაპირის-პირების საფუძვლად ქრისტიანული რელიგიისადმი ლიკინიუსის დამოკიდებულება გამხდარა - „...იგი (ლიკინიუსი - მთარგ.)... მასზე აღმატებული პიროვნების წინააღმდეგ ყოველ დღე ხლართავდა სხვადასხვა მზაკვრობებს... პირველად ცდილობდა, დაეფარა სამზადისი, მეგობრად აჩვენებდა თავს... მან დაინახა, რომ ფარული სამზადისი მისი განზრახვებისამებრ არ მიდიოდა (ღმერთმა ყველა მზაკვრობა და სულმდაბლობა მისთვის სათნო იმპერატორისთვის დაამხო), მეტად აღარ შეეძლო დამალვა და ღია ომი წამოიწყო. როდესაც გადაწყვიტა კონსტანტინესთან ომის გაჩაღება, მას უკვე აღძრული ჰქონდა ბრძოლა ყოფიერების ღმერთის (აქ: ქრისტეს - ს.ს.) წინააღმდეგ, რომელსაც იცოდა რომ იგი (კონსტანტინე - მთარგმ.) თაყვანს სცემდა... სწორედაც რომ ჭკუიდან გადასულმა, გადაწყვიტა, ომი გაემართა თვით ღმერთისათვის, რომელიც კონსტანტინეს მფარველი იყო...“ **(კესარიელი 2007: 435-436).**

როგორც ვიცით მათ შორის ბრძოლა, სწორედ ჩვენს მიერ გამოკვეთილ 323 წლის ზაფხულში გაიმართა. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ - „...იმ დროისათვის რომის იმპერია იყოფოდა 4 პრეფექტურად, 12 დიოცეზად და 100 (შემდგომში მეტ) პროვინციად...“ **(ეკალაძე 2001: 11).**

ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველის დამოკიდებულება ქრისტეანებისადმი, მის დაქვემდებარებაში მყოფ მთელს ტერიტო-რიაზე იქნებოდა გავრცელებული. კერძოდ სომხეთთან მიმართებაში, აქ გამოთქმული მოსაზრების სისწორეს ადასტურებს, ჩვენს მიერ უკვე მოხმობილი, ქართულ წყაროებში დაცული კეისრის წერილი თრდატ მეფისადმი. მაშასადამე, როგორც მინიმუმ: 322-323 წლის ზამთრის დროისათვის თრდატ მეფის მიერ ქრისტიანობისადმი დამოკიდებუ-ლება იდენტურია აღმოსავლეთ რომის იმპერიაში არსებული მდგომარეობისა.

კონსტანტინესა და ლიკინიუსს შორის დაპირისპირების პიკმა, როგორც ვნახეთ 323 წლის ზაფხული გამოკვეთა. ამ დროისათვის თრდატ მეფის პოზიცია, სომხური წყაროების მიხედვით, ასეთი ჩანს. მოსე ხორენელი, აღწერს რა ლიკინიუსის საქმიანობას, იქვე აღნიშნავს - „...ლიცინიუსი, ჯერ იყო რწმენას განუდგა, ხოლო შემდგომ კეთილის მყოფელს აუჯანყდა. მან დაიწყო ეკლესიის დევნა და საიდუმლო

ქსელებს ხლართავდა კონსტანტინეს წინააღმდეგ... როდესაც გამომჟღავნდა ლიცინიუსის ხრიკები და მან იცოდა ისიც, რომ კონსტანტინე არ აპატიებდა, მაშინ შეჰყარა ჯარი და ომისათვის მოემზადა. მას გული გაუცივდა თრდატზეც, დაუძინებელ მტრად მიაჩნდა იგი, რამეთუ უწყოდა, რომ სძაგთ მართალთ ყველა მკრეხელი...“ **(ხორენაცი 1984: 174).**

ზემოთქმულიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინესა და ლიცინიუსს შორის ომის დაწყებამდე თრდატი ღიად გადასულა კონსტანტინეს მხარეზე. სწორეთ ამით უნდა აიხსნას ისტორიკოსის სიტყვები, რომ თურმე ლიცინიუსს „გული გაუცივდა ჩვენს მეფე თრდატზეც, დაუძინებელ მტრად მიაჩნდა იგი“ **(ხორენაცი 1984: 174).**

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გადამწყვეტი ბრძოლა - „...323 წელს გაიმართა... ბრძოლა კონსტანტინე დიდმა მოიგო...“ **(კოპლატაძე 2007: 191).** ამასთანავე, ისტორიულმა წყაროებმა ამ ბრძოლის კონკრეტული თარიღიც შემოგვინახა - „...ლიკინიუსი პირველად დამარცხდა ანდრიანოპოლში, **3 ივლისს** და მეორედ, როდესაც გაიქცა ბიზანტიონში... 18 ან 20 სექტემბერს 324 წ. მალევე მოკლა კონსტანტინემ...“ **(კესარიელი 2007: 520).**

მაშასადამე, დიდის ალბათობით შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ თრდატ მეფე, კონსტანტინეს მიერ ლიცინიუსის დამარცხების შემდეგ უკვე ღიად აღიარებს ქრისტიანულ რჯულზე გადასვლას. ეს კი, როგორც ვნახეთ, მხოლოდ **323 წლის 3 ივლისს** გამართული ბრძოლის ახლო ხანებში შეიძლება მომხდარიყო.

მეორეს მხრივ, მიღებული თარიღი, თრდატ მეფის მიერ რიფსიმიანთა წამებიდან, ანუ 322 წლის 30 მარტიდან ათვლით ერთი წლის შემდგომ დროით მონაკვეთზე მოდის. ამ მხრივ, ჩვენთვის მეტად საინტერესო მინიშნებაა დაცული აგათანგელოსის ქართულ თარგმანში.

ა) სომხურ წყაროთა მინიშნებანი

როგორც ვიცით, აღნიშნული ხელნაწერის თანახმად - „...იყო დღე იგი, რომელსა შინა იწამა წმიდაი რიფსიმე, **ოც და ექუს თვისა სეკტემბერისაჲ.** და მასვე დღესა მოსწყდეს სიმრავლენი იგი ქალწულთანი, რომელნი მისრულ იყვნეს წარპარვად გუამსა მისსა (მათი რიცხვი: 32-33-ს აღწევს - **იხ. მელიქსეთ-ბეგი 1920: 26 და 32** - ს.ს.). და შემდგომად

დღითა ერთითა ნეტარმან გაიანე წარვლო სტადიონი მარტვილობისაჲ მისთანათა მათ თანა ორთა ქალწულთა.

ხოლო ამისსა შემდგომად წარ-რაი-ხდეს ექუსნი დღენი და დაჭნებოდა თრდატ ცეხცლითა გულის-თქუმისაითა. განიზრახა განსლვაჲ ნადირობად და განემზადა რაჲ და აღმხედრდა, მყის განვიდა ქალაქით. ხოლო სასჯელმან არ დაიყოვნა, არამედ მყის ბრძოლა უყო მას სიბორგილით. და ვითარცა ეშმაკეული ბორგდა და სრულიად უფლებულ იყო სენისაგან ბოროტისა და კბილითა მოიჭამდა ხორცთა თვისთა და შეცვალებულ იქმნა სახისაგან კაცთაისა სახედ ღორისა...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 28).**

მაშასადამე, რიფსიმიანთა წამება: 26-27 სექტემბერს, ხოლო თრდატის სანადიროდ წასვლა და მის თავს დამტყდარი სასწაული - „შეცვალებულ იქმნა სახისაგან კაცთასა სახედ ღორისა“ ექვსი დღის შემდეგ, ანუ **3 ოქტომბერს** მომხდარა.

აღნიშნულისაგან განსხვავებით არაბულ ხელნაწერში - „...იქ, სადაც აგათანგელოსს თრდატ მეფის ღორებრივი სახის შესახებ აქვს საუბარი, მას გარეული ღორის, ანუ ტახის აღმნიშვნელ სიტყვად - გოჭი აქვს ნახმარი...“ **(ჯავახიშვილი 1998: 345)**

თრდატის დის კუსაროდუხტის ჩვენების აღსრულების მიზნით, მეფის სამყოფელში ჩამოიყვანენ ქ. არარატის ერთ-ერთ ჯურღმულში თოთხმეტი წლის მანძილზე მყოფ გრიგოლს - „...თრდატ... ბრძანა შეკრვაჲ წმიდისა გრიგოლისა ხელით და ფერხით და ქედით და შთაგდებად იგი ჯურღმულსა მას ბნელსა არარატისასა... და დაყვნეს ჯურღმულსა მას შინა წელიწადნი რიცხვით ათოთხმეტნი...

ესრეთ უკვე აღმოყვანებულ რაჲ იქმნა მიერ ნეტარი გრიგოლი... წარიყვანეს იგი ქალაქსა ვალეროშენსა, რამეთუ მუნ იყო მეფე მათი თრდატ შეცვალებული სახედ ღორისა...

ხოლო წმიდამან მან უპირატეს ყოვლისა იძინა ნაწილნი წმიდანი, რათა უჩუენნეს მას. და იხილნა რაჲ შეკრიბნა ერთად, რამეთუ შეურაცხებით სხმულ იყვნეს იგინი ცხრასა დღესა და ეგოდენსავე ღამესა...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 19; 30).**

მაშასადამე, აქ მიგვენიშნება წამებიდან, ანუ: 26-27 სექტემბრიდან ათვლილი ცხრა დღე-ღამე, ეს კი უკვე **6 ოქტომბერია.** წმ. გრიგოლი, ორი დღის შემდეგ, ანუ **8 ოქტომბერს,** მოუწოდებს ერს - „...რათა იმარხვიდნენ **სამოცთა დღეთა“ (მელიქსეთ-ბეგი 1920: 31-32).** მისივე რჩევით, იწყება „რიფსიმიანთა“ დასამარხ ადგილზე აღსამართი ეკლესიის შენება.

ხელნაწერის მიხედვით გვეუწყება, რომ თრდატს, არა მარტო სახე, არამედ ხელ-ფეხიც ღორისა აქვს. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი თრდატი, მიმართავს გრიგოლს, შეთხოვოს ღმერთს, რომ ხელ-ფეხი ისევ ადამიანური დაუბრუნოს, რათა მან შეიძლოს ეკლესიის საძირკვლის ამოღებაში მონაწილეობა - „...მაშინ უკვე თრდატ იწყო ვედრებად წმიდისა, რამეთუ ჯერეთ ღორებრივე სახე ზედა ედვა, რათა გამოაჩინო კერძოი მისი სახედ კაცისა. და ესრეთ ეტყოდა და ჰრქუა, ვითარმედ - „უწყი რამეთუ არა ღირს ვარ, რათა განვიმარტო სრულიად სირცხვილისაგან პირისა ჩემისა, და რათამცა ვიხილე თავი ჩემი კუალად, ვითარ იგი პირველ ვიყავ თრდატ. გარნა ხელნიღა თუ ჩემნი გინა ფერხნი შემიცვალენ ნუგეშინის-საცემად განსაცდელისა, რათა მეცა თანამოქმედ ვიყო საქმესა შენებისასა". ესე რაჲ ესმა წმიდასა გრიგოლის, შეეწყალა იგი და იწყო ვედრებად ღმრთისა და მვედრებელად მისა მოავლინა ოხაჲ მოწამეთაჲ, და მყის ხელნი და ფერხნი თრდატისნი იქმნეს ვითარცა კაცისანი..." **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 37).**

წყაროს თანახმად, გრიგოლის მოწოდებითა და თრდატის ხელშეწყობით - „...ეკლესიანი არა თუ სამნი ესეოდენ აღაშენეს, არამედ სხუაცა იგი..." **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 37).**

სამწუხაროდ, უკვე აღარ გვიკონკრეტდება, თუ რა დროის შემდეგ დაუბრუნდა თრდატს ადამიანური სახე. თუმცა მიგვენიშნება რომ ეს ყოველივე გრიგოლის ლოცვის შემდეგ ხდება - „...ლოცვანი თვისნი უფალსა მისცნის და გულს-მოდგინებით აღესრულებოდა ყოველთა მიერ, რათა კუალად თვისისავე მიმართ სახისა აღვიდეს თრდატ მეფე იგი სომეხთა. ხოლო ღმერთი, რომელი იგი მოშიშთა მისთა სწყალობს, ვითარცა მამაჲ, აქაცა განამრავლა ყოფაჲ წყალობისაჲ და უჩინო ყო გარეშემოსილი იგი თრდატისდა სახე ღორებრივი..." **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 38).** ადამიანური სახე უბრუნდებათ სხვებსაც.

ღმერთის ძალაში სასწაულებრივად დარწმუნებული თრდატი, გრიგოლის მოწოდებით, საკერპო ტაძრების ნგრევას მიყოფს ხელს - „...ამისსა შემდგომად აღაშენნეს ეკლესიანი ღმრთისანი და ტაძარნი მოწამეთანი გარეშეზღუდნეს იგინი და სიმდიდრე იგი კერპთა ტაძრებისაი..." **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 39).**

თრდატ მეფე სთხოვს გრიგოლს სათავეში ჩაუდგეს ახლადდაარსებულ ქრისტესმიერ ეკლესიას - „...განიზრახეს ნეტარისა გრიგოლისი, რათა განაჩინონ წინამძღვრად და მთავრად ეკლესიისა მათისა..." **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 40).** უარზე მყოფი გრიგოლი,

შემოთავაზებულს, მხოლოდ მასთან და თრდატ მეფესთან ხილვით მისული ანგელოზის მიერ გაცხადებული ნების გაგების შემდეგ თანხმდება. და აი, თრდატ მეფემ - „...გამოარჩინა მთავართა თჳსთა-გან კაცნი რიცხვით ათექუსმეტნი და თანაწარაყვანნა ნეტარსა გრიგოლის და წარავლინნა კესარიად კაბადუკიისა, რათა ლეონტის მიერ, რომელი იგი იყო მაშინ მთავარეპისკოპოსი კესარიისაჲ (ესაა 315/16-325 წ.წ. - ს.ს.), ხელთ-დასხმულ იქმნეს ნეტარი გრიგოლი პატივითა ეპისკოპოსობისაითა, და მიწერა მისსა ეპისტოლე...

...რაჲ ეპისტოლე მიიღო მთავარეპისკოპოსმან ლეონტი, პატივითა და სიყუარულით შეიწყნარა დიდი გრიგოლი და მოციქულნი იგი მის თანა და მყის შეკრებულთა მათ თანა მისთანათა ეპისკოპოსთა ხელნი დაასხნა და პატიოსნად და დიდებულად წარმოგზავნა იგი...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 40-41).**

მემატიანეს ცნობით, სომხითის საზღვარს მომდგარი გრიგოლი, ლოცვით დაამსხვრევს საკერპო ტაძარში მდგომ კერპებს, ძირიანად დაარღვევს ტაძარს და ახალ ეკლესიას ააშენებს - „...საფუძვლითურთ აღმოთხარა იგი და სხუაჲ აღუშენა მის წილ ეკლესიაჲ საუფლო და დასხნა მას შინა ნაწილნი, რომელ მის თანა აქუნდეს, იოვანე წინამორბედისა და ნათლისმცემლისაჲ და მღდელმოწამისა ათინოგენისი... ამისსა შემდგომად დაადგრა მუნ ოც დღე და სრულ ყვნა ნათლისღებათა ერნი უმრავლესი ათერთმეტისა ბევრისა და განაწინა მუნ დღესასწაული შვიდსა ოკტომბერისა, სადა იგი პირველად აღუმართა საკურთხეველი უფლისა..“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 42).**

აღნიშნულით ვგებულობთ, რომ რიფსიმიანთა წამებიდან (26-27 სექტემბერი) რამოდენიმე თვის შემდეგ ლეონტი კესარიელთან წასული გრიგოლი, მომდევნო წლის ოქტომბერში დაბრუნებულა სომხეთში.

თრდატი და სამეფო კარი პატივით შეეგებება დაბრუნებულ გრიგოლს, რომელმაც - „...ამცნო მათ წმიდამან, რათა იმარხვოდენ ოც და ათი დღე და ილოცვიდენ, და ამისსა შემდგომად იწყო თვით მეფისაჲთ და დედოფალსა და სამეფოსასა და ყოველთა მთავართა ნათელსცა...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 42).**

სამწუხაროდ, სომეხი მემატიანე აღარ აკონკრეტებს თრდატისა და სამეფო კარის მონათვლის დროით მიჯნას, თუმცა ფაქტია, რომ ეს ყოველივე რიფსიმიანთა წამებიდან წელიწადნახევრის განმავლობაში მომხდარა.

ყოველივე ზემოთქმული, ჩვენც, სწორედ ამ დროითი მიჯნის გამოსაკვეთად გავიხსენეთ. სომხური წყაროსაგან განსხვავებით, ქართული წყაროებისეული მინიშნებით, როგორც ითქვა, რიფსიმიანთა წამება 30 მარტს მომხდარა **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115),** საიდანაც ათვლით, აღნიშნული „წელიწადნახევარი“, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად მიღებულ 323 წლის 3 ივლისის დროით მიჯნას ფარავს. ყოველივე ზემოთქმული კი, თავისებური დასტურია კვლევის შედეგების მართებულობისა.

ბ) ქართულ წყაროთა მინიშნებანი

სომხური წყაროს გახსენების შემდეგ, მოდით ჩვენს მიერ დაწყეულ თხრობას დავუბრუნდეთ.

საუბრის გაგრძელებამდე, ერთიც უნდა აღვნიშნოთ. როგორც უკვე ითქვა, ქართული წყაროების მიხედვით, ქრისტიანი ზაბილონისა და სოსანას ოჯახში დაბადებული წმ. ნინო 12(14) წლის ასაკიდან, ასევე ქრისტიანი სარა ნიაფორის ოჯახში იზრდებოდა. მას განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელთან მიმართებაში - „...ჰკითხა მას, თუ „სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადათ-იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილ ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი?”. მიუგო და რქუა სარა ნიაფორმან, ვითარმედ: „არს აღმოსავლეთით ქალაქი სახელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა - მთეულეთი საწარმართო...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 79).**

ამ ქვეყანაში შემოსვლამდე, როგორც ვნახეთ, წმ. ნინო სარა ნიაფორთან გატარებული ორი წლის შემდეგ, ჯერ ეფესოში, რიფსიმეს სახლში ცხოვრობს ასევე ორი წელიწადი, რომლის შემდეგაც, მიზეზთა გამო, ისინი ლტოლვილობაში მიდიან. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეფესოდან გამოქცეულები სომხითის სამეფოში 322 წლის მარტის თვეში (კერძოდ კი - 25 მარტს) ჩადიან, სადაც, იმავე წლის 30 მარტს, კერპთაყვანისმცემელი თრდატ მეფე რიფსიმიანელთ მოაკვდინებს; 322-323 წლის ზამთარში „ჭირთა შინა მრავალთა“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85)** გადატანის შემდეგ, წმ. ნინო - „თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 85)**. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ წმ. ნინო ქართლის სამეფოში შემოსულა **323 წლის 28 ივნისს.**

დღევანდელი გადმოსახედიდან რთული გასარკვევია აღნიშნული დროისათვის, ცნობილია თუ არა თრდატ მეფის ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება სომხითში თავშეფარებული წმ. ნინოსათვის. თუმცა, ფაქტი ერთია, რომ 323 წლის ივნისის ბოლოსთვის წმ. ნინო ტოვებს სომხითს, და მისთვის ასე სასურველი მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილისკენ იღებს გეზს.

323 წლის 3 ივლისს, ჭეშმარიტი ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლი ლიკინიუსის დამარცხება ამ ღმერთის სახელით მებრძოლ კონსტანტინესთან, ქართველი მემატიანის მიერ ერთგვარად გაიგივებულია ჭეშმარიტი ღმერთისადმი წმ. ნინოს მიერ აღვლენილი ლოცვის შედეგად მცხეთაში მდგარი კერპების დამსხვრევასთან. ჩვენის აზრით, სწორედ ამ ორი მოვლენის, დროში, თითქმის, პარალელურად მოხდენის ანარეკლია „ქართლის ცხოვრებაში“, კერპების მსხვრევის მეორე დღეს ნათქვამი - „...რომელნიმე იტყოდეს: რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად (აქ: „ღორად“ - ს.ს.) იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ესევითარისა ქმნად...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 92).**

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, დიდის ალბათობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თრდატ სომხითის მეფის გაქრისტიიანება მომხდარა 323 წლის 3 ივლისს გამართული ბრძოლის სიახლოვიდან, ვიდრე წმ. ნინოს ლოცვის ძალით ქართლში კერპების მსხვრევამდე, ანუ 323 წლის 6 აგვისტომდე დროის მონაკვეთში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა სომხეთის გამაქრისტიანებლად მიჩნეული გრიგოლის ხელდასხმა მომხდარა ლეონტი კესარიელის მიერ **(იხ. მელიქსეთ-ბეგი 1920: 40-41; Тальберг 1991: 119).** თავის მხრივ - „...ლეონტი კესარიელი საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა 314 (ზოგი ცნობით 315-316 - ს.ს.) - 325 წლებში (325 ნიკეის კრებაზე იგი გადააყენეს თანამდებობიდან - ს.ს.) გრიგოლის ხელდასხმა კი მომხდარა 324-325 წლებში...“ **(თორაძე ... 2007: 19).**

თუ ქართული ანალოგიით ვიმსჯელებთ, რომლის მიხედვითაც კონსტანტინე იმპერატორის მიერ მირიანის თხოვნის პასუხად მღვდელთმსახურების გამოგზავნა, მირიან მეფის მიერ ქრისტეს სჯულის აღიარების შემდეგ ხდება, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის 324-325 წლებში ეპისკოპოსად ხელდასხმას წინ უსწრებდა თრდატ სომეხთა მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარება.

და მართლაც, როგორც ვნახეთ გრიგოლის მიერ აღვლენილი ლოცვის შემდეგ, ღმერთის ძალით თრდატ სომეხთა მეფეს ღორის სახე კვლავ ადამიანურით ეცვლება. ქრისტეს ძალაში სასწაულებრივად დარწმუნებული თრდატი (მირიან მეფის მსგავსად) გადაწყვეტს ლეონტი კესარიელთან გააგზავნოს გრიგოლი და მასთან მყოფნი, რათა მათ კესარიის ეპისკოპოსისაგან მიიღონ ხელდასხმა **(იხ. მელიქსეთ-ბეგი 1920: 38-41).**

აღნიშნულიდან, თავისთავად იკვეთება ისიც, რომ განსახილველი დროისათვის, გრიგოლს არანაირი სამღვდელო ხარისხი (წოდება) არ გააჩნია. სწორედ ამიტომაც არის, რომ თრდატ მეფისა და სამეფო კარის ქრისტიანად განათვლას გრიგოლი, მხოლოდ ლეონტი კესარიელისაგან მიღებული ხელდასხმის შემდეგ აღასრულებს.

და კიდევ. თუ დავეყრდნობით ქართულ-სომხურ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ ღორის სახის მიღების შემდეგ გადაწყვეტს თრდატ მეფე, მის მიერვე 14 წლის წინ ჯურღმულში ჩაგდებული გრიგოლის ამოყვანას; და თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყოველივე, ჩვენი კვლევის თანახმად 323 წელში ხდება, მაშინ გამოდის, რომ ქრისტეს რჯულის მაღიარებელი გრიგოლის ჯურღმულში ჩაგდება: 308-309 წლების გასაყარზე მომხდარა, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარე ქრისტიანთა სასტიკი დევნის დამთავრებამდე (311 წ. 30 აპრილი) **(იხ. კესარიელი 2007: 319).**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართული წყაროებისეული ინფორმაციისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად **სომხითის მეფის თრდატის მიერ ქრისტიანობის აღიარება, სავარაუდოდ 323 წლის ივნისის ბოლოდან, ვიდრე 323 წლის 6 აგვისტომდე დროში მომხდარა.**

თავი V. წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გასული დროითი მიჯნები

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციები არაერთ, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ თარიღზე მინიშნებებს იძლევა. თითოეული ეს თარიღი, თავის მხრივ, სხვადასხვა ათვლის კუთხით გამოკვეთავს ჩვენთვის საძიებელ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს. ჩვენის აზრით, საძიებელ საკითხში გარკვევა სწორედ ამ ათვლის წერტილთა ზუსტად გამოკვეთის შემთხვევაშია შესაძლებელი. მოდით მივყვეთ თანამიმდევრობას.

1) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ე. წ. „ქრონიკებისეული“ მინიშნება

ქართული ისტორიოგრაფიის ამ უძველეს წყაროში ვკითხულობთ - „...ხოლო ნინო... იყო **სამ წელს** ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ღმრთისა მიერ ადგილსა ერთსა მაყულითა შებურვილსა... და **მეოთხესა წელსა** იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ... და **მეექუსესა წელსა** არწმუნა ნანა დედოფალსა, ცოლსა მეფისასა, სენსა შინა მისსა. და **მეშვიდესა წელსა** არწმუნა მირიან მეფესა სასწაულითა ქრისტესმიერითა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).**

ჩვენის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემული თხრობის საწყისი წერტილი - ლტოლვილობის დაწყების 322 წელია. და აი რატომ.

როგორც ითქვა, ბიბლიის თანახმად, ებრაელების მიერ ეგვიპტეში 430 წლიანი ტყვეობის პერიოდი პირველი თვის, ანუ მარტის 14 რიცხვში დასრულდა, ხოლო მეორე დღიდან დაიწყო მათი სვლა აღთქმული მიწისაკენ, რომელიც უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის შემდეგ დასრულდა.

თქმულის ანალოგიურად ქართველი მემატიანის მიერ წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ეფესოდან გამოქცევის თარიღად პირველი თვის მე-15 დღის დასახელება - „...წარმოვემართენით თუესა პირველსა ათხუთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60;**

აბულაძე 1963: 115), როგორც ითქვა, პირობითად შეგვიძლია სულიერი „აღქმული ქვეყნისკენ“, ანუ ქრისტიანობისკენ სვლის ათვლის წერტილად მივიღოთ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, ქართველები წარმართობის (პირობითად - „ეგვიპტელთა“) ტყვეობაში იმყოფებოდნენ. წმ. ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქრისტიანობის ქადაგების დაწყების შემდეგ, ქართველები საბოლოოდ დაადგნენ ჭეშმარიტ ღმერთთან მისაახლოვებელ გზას, რომელიც ებრაელების აღთქმულ მიწაზე დამკვიდრების მსგავსად, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით დასრულდა.

ამდენად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „წარმართობის ტყვეობაში“ მყოფი ქართველი ერი, სულისმიერი „აღთქმული მიწისკენ“ სავალ გზას წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების, ანუ 322 წლის 15 მარტიდან დაადგა. სწორედ ამიტომაც, ჩვენის აზრით, ზემოთმოყვანილი თარიღების ამოსავალ (საწყის) წერტილად თამამად შეგვიძლია ავიღოთ წმ. ნინოს მიერ ლტოლვილობის დაწყების ზემოთმითითებული 322 წელი.

საუბრის გაგრძელებამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრონოლოგიურ თარიღთა გამოთვლებში, ჩვენს მიერ წარმოებული კვლევა სამ ათვლის წერტილზე იქნება დამყარებული. ესენია:

1) წმ. ნინოს ლტოლვილობის, ანუ სულიერი „აღთქმული ქვეყნისაკენ“ წასვლის თარიღი **322 წ. 15 მარტი;**

2) წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლის დღე **323 წ. 28 ივნისი** და

3) წმ. ნინოს მიერ მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე ყოფნის „ცხრა თვე“ ანუ ქართველთა განმანათლებლის მისიის აღსრულებისაკენ სვლაგეზის დაწყებამდე ე.წ. „სულიერი შობისთვის“ საჭირო დროითი მიჯნა **324 წ. 15 მაისი.**

ჩვენის აზრით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში დაფიქსირებული ესა თუ ის თარიღი, სწორედ აქ გამოკვეთილი სამი მიჯნიდან ერთ-ერთზე აგებულ ათვლაზეა დამყარებული. მოდით, ზემოთ მოხმობილი ციტატა ცალ-ცალკე აბზაცებად განვიხილოთ:

- „იყო სამ წელ ეგრეთ ილოცვიდა ფარულად“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).** აღნიშნული 322 წლიდან ათვლით, აქ მოცემული „სამი წელი“, უკვე კონკრეტულ - **323, 324, 325 წლებს** გამოკვეთავს;

- „და მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84),** ერთის მხრივ ისევ და ისევ, ათვლის წერტილად მიღებულ 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325 წ.წ.), მითითებული „მეოთხესა წელსა“, ზოგადად **325 წელზე** მიგვანიშნებს;

მეორეს მხრივ, აღნიშნულით 322 წლის 15 მარტიდან ათვლით, 325 წლის 15 მარტს დამთავრებული სამწლიანი დროითი მიჯნიდან დაწყებული „მეოთხესა წელსა“ მიგვე-ნიშნება;

- „და მეექუსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფალსა ცოლსა მეფისასა“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).** და მართლაც, ათვლის 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325, 326, 327 წ.წ.) მემატიანეს მიერ აღნიშნული „მეექუსესა წელსა“, **327 წელზე** მოდის;

- „და მეშვიდესა წელსა არწმუნა მირიან მეფესა სასწაულითა ქრისტესმიერითა“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).** აქაც, ათვლის 322 წლიდან მოყოლებული (322, 323, 324, 325, 326, 327, 328 წ.წ.). მითითებული „მეშვიდესა წელსა“, **328 წელზე** მიგვანიშნებს.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ათვლის წერტილად წმ. ნინოს მიერ ლტოლვილობის დაწყების **322 წლის 15 მარტის** აღების შემთხვევაში, ზემოთწარმოდგენილი ტექსტის დროითი მინიშნებები შემდეგ კონკრე-ტულ წლებს გამოკვეთენ:

1) ფარულად ლოცვად ყოფნის სამი წელი: 323, 324 და 325 წლის 15 მარტამდე დროს მოიცავს; 2) 325 წლის 15 მარტიდან ათვლას იწყებს წმ. ნინოს მიერ ქრისტეს სჯულის ღიად ქადაგების დაწყების მეოთხე წელი; 3) ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარების მეექვსე წელი 327 წელზე მოდის; ხოლო 4) მირიან მეფის გაქრისტიანების, მითითებული მეშვიდე წლით, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კონკრეტულ **328 წელზე** მინიშნებაა დაფიქსირებული.

2) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“

ე.წ. მეორე ნაწილისეული მინიშნებანი

აღნიშნულ ქართულ წყაროში ვკითხულობთ - „...რომელი-იგი ვიცით სმენით და წიგნთაგან ევანგილეთგან საღმრთოთა. გარდაჴდეს ქრისტეს მოსლვამდე წელნი ხუთი-

ათას ხუთასი, და ქრისტეს ჯუარცუმითგან ვიდრე კოსტანტინეს მეფობამდის და ბერძენთა მონათლვამდე სამას და ათერთმეტი წელიწადი; და ათოთხმეტისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ამას ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტი ნინო დედოფალი...” **(სალუაშვილი 2010ა: 76; აბულაძე 1963: 125 - ჭელიშური რედაქცია).**

აღნიშნული მონაკვეთის განხილვას უკვე თავისი ათვლის წერტილები გააჩნია, რომელთა გათვალისწინების გარეშე, ერთი შეხედვით აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, აღნიშნულის პარალელური შატბერდული რედაქცია გვაუწყებს _ „...გარდაჴდეს ქრისტწს მოსლვამდე წელნი :ჭფ: (აქ: ჭ=5000, ხოლო ფ=500, ანუ 5500 წ. - ს.ს.), შობითგან ქრისტწსით ვიდრე ჯუარცუმამდე :ლგ: (აქ: ლ-30, ხოლო გ=3, ანუ 33 წ. - ს.ს.), და ჯუარცუმითგან ქრისტწსით ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფისა მონათლვადმდე :ტია: (აქ: ტ=300, ი=10, ხოლო ა=1, ანუ 311 წ. - ს.ს.)...“ **(სალუაშვილი 2010ა: 76; აბულაძე 1963: 125).**

აქ მოცემული თარიღების პირდაპირ გაგების შემთხვევაში, თითქოსდა გვეუწყება, რომ ქრისტეს დაბადებიდან ჯვარცმამდე გასული 33 წლიდან ათვლით 311 წლის შემდეგ მომხდარიყოს კონსტანტინეს მონათვლა. აღნიშნული: 311 + 33-ით კი, გვიფიქსირდება - 344 წელი; არადა, ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ კონსტანტინე მეფე 337 წელსაა გარდაცვლილი. მაშ, რაში უნდა იყოს საქმე?

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ზოგადად, დაფიქსირებულ ათვლაში: „ქრისტეს ჯუარცმითგან“, ანდა: „ქრისტეს აღმაღლებითგან“, სინამდვილეში ქრისტეს დაბადებითგან მოყოლებული დროა ნაგულისხმევი **(იხ. ლომოური 1979: 71).** მეორეს მხრივ, როგორც უკვე განვიხილეთ 311 წლის 30 აპრილს, რომის იმპერიის თანამმართველების გალერიუსის, ლიკინიუსის, მაქსიმინესა და კონსტანტინეს ხელმოწერით გამოქვეყნდა ერთობლივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ქრისტიანთა დევნა, ხოლო ქრისტიანებს მიეცათ მათი რჯულის აშკარა ქადაგების უფლება **(იხ. კესარიელი 2007: 370-372; 519).**

ჩვენის აზრით, სწორედ ეს მომხდარი მოვლენაა დაფიქსირებული ქართული წყაროს მიერ მითითებულ ინფორმაციაში (იხ. ჩვენს მიერ ზემოთთქმული - „სამას მეათე“ და „სამას მეათერთმეტე“ წლებთან დაკავშირებული საკითხები).

როგორც შატბერდული, ასევე ჭელიშური რედაქციები გვაუწყებენ, რომ მითითებულ 311 წლიდან ათვლით - „... ათოთხმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა

ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისა ნინო, დედოფალი ჩუენი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 76; აბულაძე 1963: 125).** მითითებული 311 წ. + 14 წ. გამოკვეთავს ზემოთ უკვე აღნიშნულ 325 წელს; რომელთან მიმართებაშიც, როგორც ვნახეთ, ასეთი მითითებაა მოცემული - „და მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებაჲ და ხარებაჲ ქრისტეს ღმრთისა სჯულისაჲ“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).**

როგორც ითქვა, აღნიშნული „მეოთხესა წელსა“, ლტოლვილობის დაწყების 322 წლის 15 მარტიდან მოყოლებული 325 წლის 15 მარტიდან იღებს თავის ათვლას, რაც სრულ შესაბამისობაშია 311 წლის 30 აპრილს მომხდარი მოვლენიდან 14 წლის შემდეგ, ანუ 325 წელს მომხდარ იმ ფაქტთან, რასაც მემატიანე წმ. ნინოს მიერ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სჯულის ქადაგების დაწყებას უკავშირებს.

და მართლაც, სამი წელი ფარულად ყოფნის შემდეგ, მეოთხე წელს, ანუ **325 წლის 15 მარტიდან**, წმ. ნინოს მიერ დაწყებული ღია ქადაგება, დიახაც რომ შეიძლება შეფასდეს, როგორც 311 წლიდან „ათოთხმეტისა წლისა შემდგომად“ წმ. ნინოს მიერ ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტების ქადაგების დაწყებასთან.

შატბერდულისა და ჭელიშურისაგან განსხვავებული თარიღია დაფიქსირებული, 1990 წელს სინას მთაზე აღმოჩენილ ე. წ. SIN - 50 რედაქციაში, რომელიც - „... პალეოგრაფიის მიხედვით ... IX - X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს...“ **(ალექსიძე 2007: 8).** მასში კერძოდ ვკითხულობთ - „...ბერძენთა მონათლვამდე სამას და ათერთმეტი და ათხუთმეტისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტი ნინო დედოფალი...“ **(ალექსიძე 2007: 40).**

IX-X ს.ს. ხელნაწერის ავტორისეული „ათხუთმეტისა“, იგივე 325 წელზე უთითებს, ოღონდ ათვლისათვის საწყის წერტილად უშუალოდ 311 წელს იღებს. და მართლაც, თუ შატბერდულისა და ჭელიშური რედაქციების „ათოთხმეტისა“, მითითებულ 311 წლიდან ათვლას (312,313 ... 324,325) ემყარება; ე.წ. SIN - 50 -ისეული“ „ათხუთმეტისა“, უკვე 311 წელს იღებს პირველ წლად: 311(1) - 312(2) ... 323(13) - 324(14) და 325 წელი უკვე მე-15 წლად აქვს მითითებული.

3) „მეექუსესა წელსა“ და „ექუსი წლის“ ურთიერთკავშირი

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებში, მომდევნო დროითი მინიშნება შეეხება, წმ. ნინოს მიერ მაყვლოვანში გატარებული ექვსი წლის შემდგომად მომხდარს.

ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაციები ორ პირობით ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ. პირველ ჯგუფში მოაზრებულ წყაროებში წმ. ნინოს მოღვაწეობა ორ სამწლიან მონაკვეთებადაა დაყოფილი, რომელთაგან პირველი სამი წელი, წმ. ნინოს მიერ ფარულად გატარებულ, ხოლო მეორე სამი წელი კი მის მიერ ღიად დაწყებულ ქადაგების დროებზე მიგვანიშნებს.

აქ მითითებული პირველი სამი წლის თაობაზე, „ქართლის ცხოვრება“ ასეთი მოკლე მინიშნებით შემოიფარგლება - „...და ესრეთ იქცეოდა მცხეთას ქალაქსა შინა სამ წელ ოდენ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 95).** აღნიშნულ დროით მონაკვეთზე, შედარებით ვრცლად საუბრობს ნიკოლოზ I კათალიკოზი - „...ხოლო წმიდაჲ ნინო ჰყოფდა კურნებათა და ძალთა დიდ დიდთა სახელითა იესო ქრისტესითა: გარნა ჯერეთცა არა ვიდრემე ცხად-ჰყოფდა ვინაჲთგან, ვერ შემძლებელ იყუნეს საზრდელისა მტკიცისა მიღებასა, ვერცა თუ სძისა შემწყნარებელნი: არამედ რეცა მიზეზითა წამალთაჲთა ჰკურნებდა და ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამ წელ...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 47).**

დაფარულად ყოფნის სამი წლის შემდეგ ღიად დაწყებული ქადაგების დროის თაობაზე, ზემოთდასახელებულ წყაროებში, ასე მიგვენიშნება - „...ხოლო წმიდაჲ ნინო იყოფვოდა და განკრძალული იყო ლოცუასა და მარხვასა შინა ფრიადსა: და დაჰყო ესრეთ მაყუალთა შინა ვითარ სამი ოდენ წელიწადი...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 54);** და - „...იყო ესრეთ სამ წელ, ვინაცა განაცხადა ქადაგება ქრისტესი და დაიმოწაფნა მრავალნი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 103).**

რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთნახსენებ მეორე პირობით ჯგუფს, მასში შეგვიძლია გავაერთიანოთ ის რედაქციები, რომლებშიც ეს ეტაპები არ არის გამოყოფილი და პირდაპირ ექვს წელზე მიგვენიშნება.

არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციები თითქმის ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან - „...ესე ვითარითა მოღვაწებითა დაადგრა იგი ადგილსა მას შორის მაყუალთა ექუს წელ...“ **(არსენ ბერი 1902: 22). (იხ. ყუბანეიშვილი 1946: 223).**

რაც შეეხება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, მასში შედარებით ვრცელი ინფორმაციაა დაცული - „...სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ-იგი თვით იტყჳს ყოფასა შინა მისსა. და ოდესმე შჳდნი დედანი დაგჳმოწაფნა შჯულსა მისსა, რამეთუ ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის ნებსით იწყო კურნებაჲ განგებითა. ღმრთისაჲთა, დედოფლისა ნანაჲს ზედა აჩუენა ღმერთმან პირველად ძალი

მისი მის მიერ მაყვლოვანსა მას შინა, განკურნა ლოცვითა მისითა სენისა მისგან მძიმისა, რომლისა ჴელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 85; აბულაძე 1963: 131).**

მაშასადამე, აღნიშნულით გვეუწყება, რომ მას შემდეგ, რაც „სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი“, ამის შემდეგ, თურმე „იწყო კურნებაჲ განგებითა ღმრთისაჲთა დედოფლისა ნანაჲს“. ამდაგვარივე ინფორმაციაა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში, ანუ ნანა დედოფლის განკურნება ხდება სწორედ მითითებული ექვსწლიანი მონაკვეთის გასვლის შემდგომ დროში, თუმცა, კონკრეტული დრო ნანა დედოფლის მოქცევისა ღიად დაფიქსირებული არ არის.

ამდენად, ქართულ წყაროებში ნანა დედოფლის მოქცევასთან დაკავშირებით ორი ინფორმაციაა დაცული. ერთის მხრივ, როგორც ვნახეთ, ნანა დედოფლის განკურნება ექვსწლიანი მონაკვეთის ამოწურვის შემდეგ ხდება, ხოლო მეორეს მხრივ კი გვეუწყება - „...და მეექუსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფალსა ცოლსა მეფისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).**

აღნიშნული მონაკვეთის არსში გარკვევა, მხოლოდ, ჩვენს მიერ მიღებული ლტოლვილობის დაწყების კონკრეტული თარიღის გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ 322 წლის 15 მარტიდან ათვლით - „მეექუსე წელი“ (322, 323, 324, 325, 326, 327 წ.წ.), ზოგადად 327 წელია; მეორეს მხრივ, სრული ექვსი წელი, მითითებული დროიდან ათვლით 327 წლის 15 მარტს სრულდება.

მაშასადამე, მინიშნება რომ ნანა დედოფალი „ექუსი წლის“ შემდეგ განკურნებულა, გულისხმობს 327 წლის 15 მარტს ექვსწლიანი მიჯნის შესრულებიდან ათვლილ დროში მომხდარს, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადად მეექვსე წელიცაა.

როგორც უკვე ვთქვით, ქართულ წყაროებში ნანა დედოფლის მოქცევის კონკრეტული თარიღი - ღიად არ ჩანს. ამ საკითხის გარკვევამდე მოდით, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული რამოდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავიხსენოთ.

ა) წმ. ნინოს „ანდერძი“

ქართული ისტორიოგრაფიის უძველეს ძეგლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 10-131; აბულაძე 1963: 81-163),** ზოგადად 15 პირობითი მონაკვეთია (თავია) დაფიქსირებული. აქედან, 11 მონაკვეთის (თავი) დასათაურებაში

ჩანს მისი აღმწერი კონკრეტული პირის სახელი. საიდანაც ვგებულობთ, რომ ორი მონაკვეთის ავტორია **სალომე უჯარმელი (გვ.111, გვ.118),** ხუთის **სიდონია,** აბიათარ მღვდლის ასული **(გვ.127, 130, 134, 137, 142),** თითო-თითო მონაკვეთის ავტორებია **აბიათარ მღვდელი (გვ.144)** და **იაკობ მღვდელი (გვ.147),** ხოლო ორი მონაკვეთის ავტორობა უშუალოდ **მირიან მეფეს** ეკუთვნის **(გვ.157, 162).**

აბიათარ მღვდლის ასულის სიდონიას ავტორობით შესრულებულ იმ მონაკვეთში, რომელშიც წმ. ნინოს ექვსწლიანი დროითი მიჯნა და მის შემდგომად მომხდარი მოვლენებია აღწერილი **(გვ.130),** იქვე ვკითხულობთ:

- შატბერდული რედაქცია - „...ოდეს ვიხილე ასულმან აბიათარისმან სიდონია წმიდაჲ ნინოჲ თავსა ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მაღალსა, ბრინჯთა მათ ქუეშე, ბრატმან მეფისა საგრილთა, და სასუენებელთა ჯდა, ოდეს იგი შემუსრნა უფალმან არმაზ და სხუანი იგი კერპნი საზარელითა რისხვითა პირისა მისისაჲთა (რომელი-იგი წინა წერილ არს ანდერძსა მას მისსა შინა), ხოლო ვიდრე რწმუნებადმდე დედოფლისა ნანაჲსა ქრისტე ღმერთი ძედ ღმრთისად. სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ იგი თჳთ იტყჳს ყოფასა შინა მისსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 84-85; აბულაძე 1963: 130-131).**

წარმოდგენილ მონაკვეთში უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაფიქსირებული, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ აბიათარ მღვდლის ასული სიდონია, თავის თხრობაში იმოწმებს ჩვენთვის დღემდე უცნობ წიგნს, და თავის მსჯელობას სწორედ ამ წიგნში დაფიქსირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აგებს.

- შატბერდულ რედაქციაში დაცული ამ წიგნზე მინიშნება - „რომელი-იგი წინა წერილ არს ანდერძსა მას მისსა შინა“, სამწუხაროდ, ჭელიშურ რედაქციაში არ არის დაფიქსირებული;

- სამაგიეროდ, აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია 1990 წელს სინას მთის წმიდა ეკატარინეს მონასტერში გამოვლენილ ხელნაწერში, რომელსაც პირობითი დასახელება SIN-50 აქვს მინიჭებული **(იხ. ალექსიძე 2007: 8).** მასში კერძოდ ვკითხულობთ - „...რომელნი-იგი სწერიან წიგნსა მას ანდერძისა მისსა...“ **(ალექსიძე 2007: 44).**

წმ. ნინოს ანდერძად სახელდებულ ამ წიგნის შინაარსზე სამივე რედაქციაში თითქმის ერთნაირი მინიშნებაა დაფიქსირებული - „ვითარ-იგი თჳთ იტყჳს ყოფასა შინა მისსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 85; აბულაძე 1963: 131 - შატბერდული რედაქცია);** „ვითარ-იგი თჳთ

იტყჳს“ **(სალუაშვილი 2010ა: 85; აბულაძე 1963: 131 - ჭელიშური რედაქცია),** და - „ვითარ-იგი თჳით იტყჳს ყოფასა შინა მისსა“ **(ალექსიძე 2007: 44)**

მიუხედავად იმისა, რომ წმ. ნინოს სავარაუდო **„ანდერძის წიგნთან“** დაკავშირებით, წმ. ნინოს ცხოვრების არცერთ რედაქციაში მეტი მინიშნება აღარ გვხვდება, ვფიქრობთ რომ, თავად ასეთი წიგნის არსებობის თაობაზე ზემოთ მოყვანილი მინიშნება სავსებით საკმარისია იმისათვის, რათა დავასკვნათ **არსებულა წმ. ნინოს მიერ შესრულებული „ანდერძის“ წიგნი (წერილი), რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ დროის ქარტეხილებს ვერ გადაურჩა,** ან, უკეთეს შემთხვევაში, დღეისათვის ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი.

ბ) ნანა დედოფლის ქრისტიანად მოქცევის მიზეზები

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებში ნანა დედოფლის მოქცევასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ინფორმაციებია დაცული, და მხოლოდ მათი ურთიერთშეჯერების გზით ხდება შესაძლებელი ნანა დედოფლის მოქცევის მიზეზთან დაკავშირებით საერთო სურათის დადგენა. მოდით მივყვეთ მათ თანამიმ-დევრულ განხილვას.

წყაროთა ერთი ნაწილის მიხედვით ნანა დედოფლის ქრისტიანად მოქცევის მიზეზად, წმ. ნინოს ლოცვის ძალით, მისი უკურნებელი სენისგან გამოჯანმრთელებაა დასახელებული **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 85; აბულაძე 1963: 131).**

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დასნეულებული ნანა დედოფალი წმ. ნინოს ადგილსამყოფელში მაყვლოვანში მიყავს მის ძეს რევის - „...მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო... მაშინ წარიყვა-ნეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მის თანა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 104). (იხ. აგრეთვე: ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 55-56).**

იქვე დაფიქსირებულია, წმ. ნინოს ლოცვის ძალით განკურნებული, ნანა დედოფლის სიტყვები - „...და აღდგა განცოცხლებული. და ჰრწმენა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი...“ და იქნა დედო-ფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 105). (იხ. აგრეთვე: ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 56).**

წყაროთა მეორე ნაწილი ოდნავ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. ზემოთ-დამოწმებული წყაროებისაგან განსხვავებით, მათში დაფიქსირებულია განკურნებული

ნანა დედოფლის მიერ, წმ. ნინოსთვის, გამოჯანმრთელების საფასურის შეთავაზება - „...ხოლო დედოფალმან იხილა რაჲ მსწრაფლი იგი კურნებაჲ მისი, ფრიადი სასყიდელი მიართუა ნაცვლად კურნებისა..“ **(ყუბანეიშვილი 1946: 223). (იხ. აგრეთვე: არსენ ბერი 1902: 23).**

მათში, წმ. ნინოს მიერ აღნიშნულის საპასუხოდ გამოთქმული მოსაზრება სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. კერძოდ, არსენ ბერისეულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...ხოლო ღირსმან მან ამათი მიღება ყოვლად არა თავს იდვა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ ჩემდა დიდად მისათვალველ არს უკეთუ იცნათ ღვთისმსახურებაჲ და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი... და ევედრებოდა, რათა ჰრწმენეს იგი ყოვლითა გულითა და რათა აღაშენოს ეკლესია სახელსა ზედა უფლისა ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა...“ **(არსენ ბერი 1902: 23-24).** სამწუხაროდ, ნანა დედოფლის სასწაულებრივი განკურნება მირიან მეფისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ქრისტეს ძალაში საბოლოოდ დასარწმუნებლად - „...და უკვირდა ფრიად, ხოლო ტაძრისა აღშენებაჲ არა ინება...“ **(არსენ ბერი 1902: 24).**

აღნიშნულისაგან განსხვავებით, XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაში ნანა დედოფლის მიერ შეთავაზებულის სანაცვლოდ, წმ. ნინოს მიერ გაცემული პასუხი ასეთია - „...ხოლო ღირსმან ნინო ჰრქუა: „ესე ჩემდა არად სახმარ არს აწ, რამეთუ ზეცისა ნიჭთა და პატივთა მოველი და თუ გნებავს შენ სრული კურნებაჲ, თაყუანიეც ღმერთსა შემოქმედსა შენსა და დამბადებელსა ყოველთასა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 223).**

არსენ ბერისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციებიდან გვეუწყება, რომ ნანა დედოფლისათვის მხოლოდ მისი უკურნებელი სენისაგან განკურნება საკმარისი საფუძველი არ გამხდარა ქრისტეს სჯულის საბოლოოდ აღიარებისათვის - „...იმა ჟამსა მცირე ძე მეფისაჲ შეპყრობილ იქმნა ფიცხელად სენითა, ჯურვებისაჲთა, რომლისაჲ უბრძანა დედოფალმან, რათა მიჰგუარონ იგი ღირსსა ნინოს, და ევედრებოდა განკურნებად მისსა. ხოლო წმიდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი და ვედრებანი შეწირნა უფლისა და ყოვლითურთ განკურნებული მისცა იგი დედასა თჳსსა, ამისსა შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხუათა თანა წარჩინებულთა მხევალთა მისთა და მარადის ისმენდა სწავლათა მოძღურებათა მისთა...“ **(არსენ ბერი 1902: 24). (იხ. აგრეთვე ყუბანეიშვილი 1946: 224).**

მაშასადამე, აღნიშნული ციტატიდან ჩანს, რომ ნანა დედოფალი ქრისტეს სჯულზე, საბოლოოდ, მხოლოდ და მხოლოდ წმ. ნინოს მიერ მისი დასნეულებული მცირეწლოვანი ძის განკურნების შემდეგ მოქცეულა.

გ) მირიან მეფისა და ნანა დედოფლის შვილებთან დაკავშირებული ინფორმაციები

ქართული ისტორიოგრაფიიდან ვიცით, რომ მირიან მეფისა და ნანა დედოფლის შვილების თაობაზე, ყველაზე ვრცელ ინფორმაციას „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...რომელი ესე სთნდა კონსტანტინეს... დაეზავა მირიანს. და აღიყვანა შვილი მირიანისა მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარ და დაამოყურნა თრდატ და მირიან, ამზახნა ურთიერთას. რამეთუ მოსცა თრდატ ასული თჳსი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისსა ცოლად, რომელსა ერქუა რევ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 70).**

გარდა ამისა იქვე გვეუწყება, რომ - „...მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართასა, და მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 68-69).**

ამდენად, „ქართლის ცხოვრებაში“ გამოკვეთილადაა მითითებული, რომ მირიან მეფესა და ნანა დედოფალს: ორი ვაჟი - ბაქარი და რევი, და ერთი ასული ჰყავთ.

და აი, არსენ ბერისეულისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციების თანახმად გვეუწყება ისიც, რომ თურმე, მათ ჰყოლიათ მესამე ვაჟიშვილიც. აი, სწორედ იგი განკურნებულა წმ. ნინოს მიერ ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის შედეგად. სამწუხაროდ, წყაროებში ამ „მცირე ძე მეფისა“-ს სახელი დაფიქსირებული არ არის.

აქვე გვინდა ერთი ვარაუდიც გამოვთქვათ. „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი დანარჩენი რედაქციები სვეტიცხოვლის მიერ აღსრულებულ სასწაულთა გადმოცემის დროს, ერთ საინტერესო მინიშნებას იძლევიან. თხრობის გაგრძელებამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სასწაული მომხდარა მირიან მეფის მიერ ნადირობიდან დაბრუნებისა და მის მიერ, ქრისტეს რჯულის აღიარების შემდეგ, კონსტანტინე იმპერატორთან გაგზავნილი მოციქულების ჩამოსვლამდე.

უფლის კვართის დაფლვის ადგილზე ამოსული ხის მოჭრისა და მისგან გამოთლილი ერთ-ერთი სვეტის მოჭრილი ხის ძირზე, ანგელოზთა მიერ სასწაულებრივად დამაგ-რების შემდეგ, აღნიშნულ სვეტს სასწაულებრივი განკურნების ძალა გამოუვლენია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...მას ჟამსა შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთაჲ ქალაქი, და მდინარენი ცრემლთანი სდიოდეს თვალთაგან მეფესა და მთავართა და ყოველსა ერსა. და ჰნატრიდეს წმიდასა ნინოს. და იქმნნეს მას დღესა სასწაულნი მრავალნი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 102; აბულაძე 1963: 142).** აღნიშნულ სასწაულთა შორის ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია ასეთია. იქვე ვკითხულობთ - „...ყრმაჲ იგი დედამან მისმან სარწმუნოვებით, დადვა იგი ცხედარსა ზედა წინაშე სუეტისა მის ნათლისაჲსა და ნანდვილვე ნათლით შემოსილსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 102-103; აბულაძე 1963: 143).** ღმერთის ნებით წმ. ნინოს ლოცვისა და ცხოველმყოფელი სვეტის ძალით განკურნებულა რვა წლის სეფეწული - „...და მსწრაფლ აღდგა ყრმაჲ იგი ვითარცა უტკინველი. და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა სიმრავლესა ერისასა... და იწყო მეფემან აღშენებად სამოთხესა მას შინა ეკლესიასა გულსმოდგინებითა და სიხარულითა დიდითა. მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღდელთ მოძღუარი, მღდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლისცემად, ვითარცა ზემოწერილ არს, ყოვლისა ერისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 102-104; აბულაძე 1963: 143-144).**

„ქართლის ცხოვრება“ და ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქცია ამ სეფეწულის სახელსაც გვაუწყებს - „...სეფეწული მოვიდა ყრმა, **ამაზასპანი;** იდვა რვისა წლისა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 115). (იხ. ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 79).**

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ცალსახად იმის თქმა, რომ დასახელებული სეფეწული **ამაზასპი,** სწორედ ის „მცირე ძე მეფისა“-ა, რომელიც წმ. ნინომ ნანა დედოფლის ქრისტიანად მოქცევის წელს განკურნა ძნელია.

თავის მხრივ, **ამაზასპის** - „...სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდე-ნიმე ისტორიული პიროვნება: 1. ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის მეფე მეორე საუკუნის I ნახევარში, მეფობდა „ორმეფობის“ დროს დეროკთან ერთად... 2. იბერიის მეფის მითრიდატე III-ის ძმა... პართიის წინააღმდეგ იმპერატორ ტრაიანეს ლაშქრობის დროს (115-116 წ.წ.) ამაზასპი მეთაურობდა იმპერატორის დასახმარებლად მოსულ იბერიელთა რაზმს... 3. ქართლის მეფე III ს-ის შუა ხანებში...“ **(მელიქიშვილი 1975: 347).**

მეფის შვილის განკურნებაზე სოკრატეს „ისტორიაში“-ცაა მითითებული, ოღონდ ეს სასწაული ნანასა და მირიანის მოქცევამდე მომხდარადაა დაფიქსირებული - „... მოხდა ისე, რომ მეფის შვილი, მცირეწლოვანი, ავად გახდა. და, ადგილობრივი ჩვეულებისდა თანახმად, მეფის ცოლმა სხვა ქალებთან გაატანა ბავშვი სამკურნალოდ, იქნებ ვინმემ გამოცდილებით რაიმე საშუალება იცოდეს ამ სენის წინააღმდეგო, ასე ჩამოატარა ბავშვი ძიძამ, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ვერ აღმოუჩინა სამკურნალო დახმარება; ბოლოს, ბავშვი მიიყვანეს იმ ტყვე-ქალთან. ამან, მრავალი ქალის თანადასწრებით, ნივთიერი რამ საშუალება კი არ იხმარა, არც იცოდა ასეთი, არამედ აიყვანა ბავშვი, მიაწვინა თავის, მატყლისაგან მოქელილ ქეჩაზე და შემდეგი მარტივი სიტყვა წარმოსთქვა: „ქრისტე, რომელმაც მრავალი განკურნა, მოარჩენს ამ ბავშვსაც“. ამ სიტყვების შემდეგ რომ ილოცა და ღმერთს შეეედრა, ბავშვი მაშინვე გამომთელდა და ამის შემდეგ კარგად გრძნობდა თავს. მას აქეთ ხმა გავარდა ბარბაროსთა ქალებში, თვით მეფის ცოლამდისაც მიაღწია ხმამ და ტყვე-ქალი ცნობილი შეიქმნა. დიდი ხანი არ გასულა მის შემდეგ, და მეფის ცოლი გახდა ავად, და მან ის ტყვე-ქალი დაიბარა. ხოლო ტყვე-ქალმა უარი განაცხადა, რადგან თავმდაბალი ხასიათისა იყო, და ამიტომ თვითონ [დედოფალი] მიიტანეს მასთან. ტყვე-ქალმა იგივე მოიმოქმედა, რაც წინათ იმ ბავშვზე...

მეორე დღეს მეფე სანადიროდ გავიდა და მოხდა შემდეგი: იმ მთის თხემებზე და ნაპრალებზე, სადაც [მეფე] ნადირობდა, ჩამოწვა სქელი ნისლი და ბურუსი, ისე რომ ნადირობაც შეუძლებელი იყო და გზაც გაუვალი. ასეთ გაჭირებაში რომ იყო, ბევრს ემუდარა იმ ღმერთებს, რომელთაც თაყვანს სცემდა. მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა და, ბოლოს, მოაგონდა იმ ტყვე-ქალის ღმერთი და მას მოუხმო დასახმარებლად. როგორც კი ილოცა, ნისლით გამოწვეული ბურუსი გაიფანტა. მეფეს გაუკვირდა ეს და გახარებული დაბრუნდა შინ, და თავის მეუღლეს უამბო რაც მოხდა. [მეფემ] მაშინვე დაიბარა ტყვე-ქალი და ეკითხებოდა მას: ვინ არის ღმერთი, რომელსაც შენ თაყვანსა სცემო.

როდესაც ტყვე-ქალი მოვიდა, ქრისტეს მქადაგებლად აქცია იბერთა მეფე, ვინაიდან ამან ირწმუნა ქრისტე იმ კეთილმორწმუნე ტყვე-ქალის წყალობით, შეკრიბა ყველა თავისი ხელქვეითი იბერიელი, უამბო მათ ყველაფერი, რაც მოხდა მისი ცოლისა და ბავშვის განკურნების გარშემო, ისიც [უამბო], რაც მას ნადირობის დროს შეემთხვა, და მოუწოდებდა მათ ერწმუნათ ტყვე-ქალის ღმერთი. ორივენი ქრისტეს [სარწმუნოების]

მქადაგებლები გახდნენ: მეფე მამაკაცებს უქადაგებდა, ხოლო მეუღლე - დედაკაცებს...“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 230-232).**

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მირიან მეფესა და ნანა დედოფალს, ერთი ასულისა და ორი ძის - ბაქარისა და რევის გარდა, ასევე ჰყოლიათ მესამე ვაჟიშვილიც, სავარაუდოდ, სახელით ამაზასპი, რომელიც მცირეწლოვნობის დროს, წმ. ნინოს ლოცვით, მინიმუმ ორჯერ განკურნებულა.** უკანასკნელად იგი 8 წლის ასაკში სვეტიცხოვლის სასწაულებრივი ძალით გამოჯან-მრთელებულა. ამის მეტს, მის შესახებ, წყაროები არაფერს იტყობინება.

დ) ნანა დედოფლის გაქრისტიანების ქვედა მიჯნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, როგორც ვნახეთ, ნანა დედოფლის მოქცევის წლად, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან 322 წლის 15 მარტიდან ათვლით მეექვსე (322, 323, 324, 325, 326, 327 წ.წ.), ანუ **327 წელი** გამოიკვეთა. მეორეს მხრივ, ნანა დედოფლის მოქცევა მომხდარა ექვსწლიანი მონაკვეთის გასვლის შემდეგ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 85; აბულაძე 1963: 131; არსენ ბერი 1902: 22; ყუბანეიშვილი 1946: 223**). თავის მხრივ, აღნიშნული ექვსწლიანი მონაკვეთი, ლტოლვილობის დაწყების 322 წლის 15 მარტიდან ათვლით 327 წლის 15 მარტიდან იწყება.

ამდენად, მიღებული 327 წლის 15 მარტი, არის კიდეც ნანა დედოფლის ქრისტეს რჯულზედ მოქცევის პირველი ქვედა მიჯნა. აღნიშნულის პარალელურად ქართულ წყაროებში დაფიქსირებულია ქვედა მიჯნად მოაზრებელი კიდევ ერთი თარიღი.

როგორც ზემოთ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში დაცული ცნობა წმ. ნინოს მიერ ანასტოსთან გატარებული 9 თვის თაობაზე, 324 წლის 15 მაისზე მოდის.

ჩვენის აზრით, ქართულ წყაროებში დაფიქსირებული წმ. ნინოსთან დაკავშირებული პირველი სამწლიანი მონაკვეთის ათვლის წერტილი, ამ თვალთახედვით, სწორედ ჩვენს მიერ დადგენილი 324 წლის 15 მაისია;

- „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და ესრეთ იქცეოდა მცხეთას ქალაქსა შინა სამ წელ ოდენ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 95);**

- ნიკოლოზ I კათალიკოზის რედაქცია გვაუწყებს - „...და ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამ წელ...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 47);**

- „წმ. ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარულ რედაქციაში ვკითხულობთ - „და მერმე ქალაქისა გარეგან ზღუდეთა პოვა ქოჩო ბრწამლისა სახედ ტალავრისა მცირისა მაყუალ-თა მიერ შემბადებელი - შევიდა მას შინა და იყო სამ წელ...“ **(აბულაძე 1968: 355).**

ზემოთმითითებულ 324 წლის 15 მაისიდან ათვლით, ქართულ წყაროებში დაფიქსირებული, წარმოდგენილი სამი წელი, ჩვენს მიერ უკვე გამოკვეთილ 327 წლის 15 მაისზე მოდის.

ამდენად, **ერთის მხრივ 327 წლის 15 მარტი, და მეორეს მხრივ 327 წლის 15 მაისი, უბდა იყოს კიდეც ის სავარაუდო ქვედა მიჯა, რომლის შემდეგაც მომხდარა ნანა დედოფლის მიერ ქრისტეს სჯულის საბოლოო აღიარება.**

როგორც ზემოთაც ითქვა, სამწუხაროდ, ქართული წყაროები ნანა დედოფლის ქრისტეს რჯულზე მოქცევის კონკრეტულ თარიღზე მინიშნებას არ იძლევიან. მიუხედავად ამისა, ჩვენის აზრით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები საძიებელი თარიღის ფარულ მინიშნებას მაინც შეიცავენ. ამიტომ, მოდით შევეცადოთ შემდგომი თხრობაც მათზე დაყრდნობით ავაგოთ.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფარული მინიშნება, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებასა“ და ნიკოლოზ I კათალიკოზის რედაქციებშია დაცული.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და იყო მეფე დედოფლისა მოქცევითგან წელიწადსა ერთსა ორგულებასა შინა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 106)**;

ნიკოლოზ I კათალიკოზის რედაქციიდან გვეუწყება - „...და დაჰყო მეფემან დედოფ-ლისა მოქცევისაგან წელიწადი ერთი ორგულებასა შინა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 57).**

ამდენად, აღნიშნული ინფორმაციის თანახმად ნანა დედოფალი, მირიან მეფის მიერ ქრისტეს რჯულის აღიარებამდე, ერთი წლით ადრე გამხდარა ქრისტიანი. ამიტომ, ჩვენთვის საძიებელი კითხვის პასუხად უკვე საჭიროა დავადგინოთ თავად მირიან მეფის მოქცევის თარიღი.

4) „მეშვიდესა წელსა“, ანუ - მირიან მეფის მოქცევის თარიღი

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, როგორც ვნახეთ, მირიანის მოქცევასთან დაკავშირებით ასეთი მინიშნებაა დაფიქსირებული - „...და მეშვიდე წელსა არწმუნა მირიან მეფესა სასწაულითა ქრისტესმიერითა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84).**

როგორც ზემოთაც აღინიშნა წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების 322 წლის 15 მარტიდან ათვლით, აქ მინიშნებული „მეშვიდე წელი“ 328 წლის 15 მარტიდან იღებს სათავეს. მეორეს მხრივ, ნანა დედოფლის მოქცევის ქვედა მიჯნიდან გამომდინარე, ანუ 327 წლის 15 მარტისა და 15 მაისის გათვალისწინებით, მირიან მეფე, როგორც მინიმუმ მომდვნო, ანუ 328 წლის 15 მარტისა და 15 მაისის შემდეგ უნდა იყოს მოქცეული.

როგორც ცნობილია, ქართული და უცხოური წყაროები , მირიან მეფის მოქცევას, მის მიმართ ნადირობის დროს მომხდარ მოვლენას უკავშირებენ.

არსენ ბერისა და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციების გარდა, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა სხვა რედაქცია, აღნიშნული ნადირობის კონკრეტულ თარიღსაც უთითებს - „...და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, **თუესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა,** განვიდა მეფე ნადირობად... შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე, ბნელი, უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი... და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მთათა და მაღნართა შეშინებული და შეძრწუნებული... და განიზრახვიდა ესრეთ გულსა თჳსსა: “აჰა ესერა, ვხადე ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ ზედა ლხინება. აწ, რომელსა-იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა არამცა ძალ ედვა ჴსნა ჩემი ამის ჭირისაგან? ... ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემნი; და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-ვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა“. ესე ყოველი რა წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე... იხილეს ნათელი და მოერთო ერი გაბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა: მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 108-110).**

ამდენად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აღნიშნული მოვლენა **20 ივლისის შაბათ დღეს** მომხდარა **(იხ. აგრეთვე სალუაშვილი 2010ა: 90; აბულაძე 1963: 134; ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 63; ალექსიძე 2007: 46).**

მითითებული თარიღი, ასევე ეთანადება ჩვენს მიერ მირიან მეფის მოქცევის ე.წ. ქვედა მიჯნებად გამოკვეთილ 328 წლის 15 მარტსა და 15 მაისს. მაშინ, თუ ზემოთქმული გამოთვლების შედეგები სწორია **328 წლის 20 ივლისი სწორედაც, რომ შაბათი დღე უნდა იყოს.** და მართლაც, მუდმივი და უნივერსალური კალენდრის მეშვეობით ვგებულობთ, რომ 328 წლის 20 ივლისი, დიახაც რომ შაბათ დღეზე მოდის **(კალანდაძე 1973: 2-3).**

ამდენად, წარმოდგენილი კვლევის შედეგად, რომელიც ქართულ წყაროებში დაცულ სხვადასხვა ინფორმაციათა ურთიერთშეჯერებით იქნა ჩატარებული, დადგინდა, რომ **მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევის, ანდა, მეორეს მხრივ, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღია, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების 322 წლის 15 მარტიდან ათვლით მეშვიდე, ანუ 328 წლის 20 ივლისის შაბათი დღე.**

აღნიშნული თარიღიდან ერთი წლის უკუათვლით გამოდის, რომ ნანა დედოფალი გაქრისტიანებულა, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან, ანუ 322 წლის 15 მარტიდან ათვლით მეექვსე წელს, რაც 327 წლის 20 ივლისის ხუთშაბათ დღეზე მოდის.

5) „პირველ ათისას წლისას“ საკითხის გარკვევისათვის

წინამდებარე საკითხის განხილვის დროს, ჩვენ დავეყრდნობით XIII ს-ის მეტაფრასულ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციებს.

ქართული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ XII ს-ში, არსენ ბერის მიერ შესრულებული „წმ. ნინოს ცხოვრების“ – „...თხზულების შემოკლებული და გამარტივებული (პერიფრაზირებული) ვარიანტი ეკუთვნის დაახლოებით XIII ს-ის უცნობ რედაქტორ გადამწერს...“ **(ლოლაშვილი 1984: გვ.439).**

რაც შეეხება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იგი - „...ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულება(ა). ცნობილია შატბერდული და ჭელიშური რედაქციები. შატბერდული კრებული, რომლიც აღმოაჩინა (1888 წ.) და გამოაქვეყნა (1890 წ.) ე. თაყაიშვილმა გადაწერილია X ს-ის 70-იან წლებში შატბერდის მონასტერში იოანე ბერას ხელმძღვანელობით. ჭელიშის კრებული (მიაკვლიეს 1903 წ. ჭელიშის მონასტერში) შედგება ორი ნაწილისაგან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოთავსებულია კრებულის იმ ნაწილში, რომელიც XIV-XV ს.ს.-ში უნდა იყოს გადაწერილი. ენობრივი

თვალსაზრისით ეს რედაქცია დაახლოებით შატბერდულის ხანისაა, თუმცა ძეგლის ორთოგრაფია და ფონეტიკა გადამწერის მიერ ძლიერ არის დამახინჯებული...“ **(ალექსიძე 1984: 149).**

სწორედ დასახელებული მიზეზის გამოა, რომ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებს შორის შეიმჩნევა განსხვავებანი. ერთ-ერთი ასეთი განსხვავება შეინიშნება თხზულების იმ ნაწილშიც, რომლის თაობაზეც ეხლა გვინდა ვისაუბროთ. საუბრის გაგრძელებამდე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ, ამჟამად განსახილველი მონაკვეთის შატბერდული რედაქციის ვარიანტში დაცული მინიშნების თაობაზე, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთგანხილულ ქვეთავში **„სამას მეათე“** და **„სამას მეათერთმეტე“** წლებთან დაკავშირებული საკითხები. ამჟამად კი, ამ მონაკვეთის სავარაუდოდ XIV-XV-საუკუნეებში გადაწერილ ჭელიშური რედაქციის ინფორმაციას განვიხილავთ.

და კიდევ. ხსენებულ ჭელიშურ რედაქციაზე უფრო ადრე შესრულებულ XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაში დაცული ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, XII ს-ში შექმნილ არსენ ბერისეული რედაქციისაგან განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს. რაც გვაფიქრებინებს ვივარაუდოთ, რომ XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციის უცნობ ავტორს, იმ დროისათვის მისთვის ხელთ არსებული, დღეისთვის ჩვენთვის უცნობი წყაროს მეშვეობით უსარგებლია.

აღნიშნულისავე მსგავსად, შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ XIV-XV ს.ს-ში გადაწერილი ჭელიშური რედაქციის ავტორს (აქ - ბასილს), ან XIII ს-ის მეტაფრასული ვარიანტით, ან იმავე დღეისთვის ჩვენთვის უცნობი წყაროს მეშვეობით უსარგებლია. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას მასში, შატბერდული რედაქციისაგან განსხვავებული ინფორმაციის არსებობა.

მოდით, თხრობა ზემოთგანხილული ქრონოლოგიის დაცვით წარვმართოთ. XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...ხოლო **პირველ ათისა წლისა** მირიან მეფისა ყოველთა უფალმან წყალობა ყო ჰრომთა ზედა და ბერძენთა და ზეგარდმო წოდებითა გამოაჩინა მეფე მორწმუნე კოსტანტინე და დედაჲ მისი ელენე დედოფალი და ნათელ იღეს სახელსა ზედა ქრისტჱსსა. ყოველნივე ერმან და პალატმან მისმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა სამას მეათურამეტესა წელსა. და ამაღლდა რქაჲ ქრისტეანეთაჲ...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 227).**

რომის იმპერიაში, 318 წელს მომხდარზე უთითებს აგრეთვე ჭელიშური რედაქციაც - „...მაშინ მოხედნა ღმერთმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ელენეს, დედასა მისსა, და ქრისტე ღმერთი სიხარულით აღიარეს ყოველმან ერმან... დასაბამითგანთა წელთა ხუთი ათას რვაას ორმეოც და ერთსა და ქრისტეს ამაღლებითგან სამას და ათვრამეტსა წელსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 114).**

ერთის მხრივ, აღნიშნულ მონაკვეთში ისტორიული ფაქტების აშკარა შეუსაბამობაა. წყაროს მიხედვით გამოდის, რომ თითქოს - „...318 წელს მომხდარიყო კონსტანტინე იმპერატორისა და მთელი საბერძნეთის განათვლა, რაც ისტორიული ფაქტებით არ დასტურდება...“ **(თორაძე ... 2007: 15),** და ეს მართლაც ასეა.

ჩვენის აზრით, განსახილველი კუთხით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმის გარკვევა, თუ 318 წელს რომის იმპერიაში მომხდარ რა მნიშვნელოვან მოვლენაზეა აქ მინიშნება, არამედ მთავარია ქართველი მემატიანის ის სურვილი მიგვანიშნოს იმაზე, თუ რა მოხდა ამ 318 წლიდან ათი წლის შემდეგ.

ზემოთდამოწმებული მონაკვეთი უშუალოდ მოსდევს იმ ინფორმაციას, რომლითაც გვეუწყება მირიან მეფის სანადიროდ წასვლა, მის თავზე დამტყდარი მზის დაბნელება, მირიანის მოქცევა, უფლის კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული კვიპაროსის ხის მოკვეთა და მისგან სასწაულებრივი სვეტის აღმართვა-დამაგრების ამბავი.

ყოველივე ამის შემდეგ, ზემოთ დამოწმებულ მონაკვეთის ტექსტში აშკარად ჩანს, რომ მემატიანესთვის მთავარი სწორედაც, რომ ის წელია, რომელ წელშიც ზემოთქმული უმნიშვნელოვანესი მოვლენები მომხდარა.

ამასთანავე, უცნობი ქართველი მემატიანე, ამ მოვლენათა მოხდენის წელზე, არა პირდაპირ, არამედ ირიბად მიგვანიშნებს. მის მიერ აღნიშნულ - „ხოლო პირველ ათისა წლისას“, ოდნავ ქვემოთ მითითებულ - „სამას მეათურამეტესა წელსა“-სთან ურთიერთკავშირში, აშკარად იკვეთება, რომ მინიშნებაა 328 წელზე, რომლიდანაც უკუათვლით - „პირველ ათისა წლისა“ სწორედაც რომ „სამას მეათურამეტესა წელსას“ გვაძლევს.

და მართლაც, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან ჩანს, მემატიანეს მიერ აღწერილი და აქ დამოწმებული მოვლენები, სწორედაც, რომ წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან, ანუ 322 წლის 15 მარტიდან ათვლით „მეშვიდე წელს“, ანუ 328 წელს

მომხდარა. წარმოდგენილი ქართული წყაროები, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების სისწორეს.

6) ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი მე-16 საუკუნის სამი უნიკალური დოკუმენტი

ქართლის სამეფოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ, არც თუ მრავალრიცხოვან წერილობით წყაროთა შორის, ჩვენის აზრით, თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს მე-16 საუკუნეში კახეთის მეფის **ალექსანდრე II**-ის მიერ დოკუმენტურად დაფისირებულ პოზიციას.

საქმე ეხება **ს. ბელოკუროვის** მიერ თავმოყრილ დოკუმენტურ მასალათა კრებულს - **„Сношения Рассии с Кавказом“** (1889 წ.), რომელშიც ქართველთა გაქრისტიანების თარიღზე მიმანიშნებელი უნიკალური ინფორმაციაა დაცული.

XVI ს. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი რთული მონაკვეთია. ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ დაყოფილი საქართველოს დასაპყრობად და კავკასიაში საბოლოო გაბატონებისათვის ერთმანეთს ეცილება ორი **ოსმალეთისა** და **სეფიანთა ირანის** უძლიერესი იმპერია.

ირან-ოსმალეთის პირველი ომი (1514-1555 წ.წ.), 1555 წლის 29 მაისს, ქ. ამასიაში (მცირე აზია) დადებული ე.წ. **ამასიის ზავით** დასრულდა, რომლის ძალითაც - „...დამპყრობლებმა ამიერკავკასია გაინაწილეს. თურქეთს „ერგო“ იმერეთის სამეფო სამეგრელო-გურიის სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი - ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), ირანს - ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი (მტკვრის აუზი)...“ **(გუჩუა 1973ა: 113).**

XVI ს-ის II ნახევრიდან კავკასიაში თავისი ინტერესების განხორციელებისათვის ბრძოლას იწყებს **რუსეთი,** კერძოდ - „... 1552 წელს ივანე IV-ემ ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის სახანოები დაიპყრო. ამრიგად რუსეთი ვოლგისპირეთს დაეუფლა... 1557 წელს ყაბარდო რუსეთს შეუერთდა...“ **(გუჩუა ... 1973: 120-121).**

რუსეთის კავკასიაში გამოჩენას, ლოგიკურად მოჰყვა ქართული სამეფოების რუსეთთან დაახლოების ტენდენცია, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო იმ იმედით, რომ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით მოხერხდებოდა ქართულ სამეფოთა განთა-

ვისუფლება ოსმალეთისა და ირანის ბატონობისაგან. ამის ნათელი დასტურია 1563 წელს, დახმარების თხოვნით, კახეთის მეფე **ლევანის** მხრიდან ელჩების გაგზავნა მოსკოვში, რასაც რუსების მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც მოჰყოლია - „... ქართველ ელჩებს რუსეთის მთავრობა დახმარებას შეჰპირდა და მართლაც მალე გამოგზავნეს რუსთა რაზმი, რომელიც **ლევანმა** კახეთის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა. 1567 წ. კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით **ივანე IV**-ემ მდ. სუნჯის თერგთან შესართავის ახლოს ციხე-სიმაგრე ააგებინა...“ **(გუჩუა ... 1973: 121).** ამას პროტესტით შეხვდა ოსმალეთ-ყირიმი. ამ უკანასკნელთა აქტიური ღონისძიებების შედეგად, რუსეთი იძულებული შეიქმნა დროებით უარი ეთქვა კავკასიაში თავისი ინტერესების პრაქტიკულ განხორციელებაზე, რის შედეგადაც - „...შექმნილ რთულ ვითარებაში კახეთის მეფე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი. მალე ამის შემდეგ რუსეთმა თერგის ციხე-სიმაგრეც დაანგრია. ამრიგად, კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც XVI საუკუნის 50-60-იან წლებში განახლდა, ისევ შეწყდა...“ **(გუჩუა ... 1973: 121)**. აღნიშნული ციხის დანგრევის ფაქტი 1571 წლით თარიღდება **(იხ. გუჩუა ... 1973: 121; ბერძენიშვილი 1967: 27; Белокуров 1889: LXXV).**

რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა XVI ს-ის 80-იანი წლებიდან კვლავ განახლდა და **ალექსანდრე II** (1574-1605 წ.წ.) კახთა მეფის დროს უფრო აქტიური სახე მიიღო. წინამდებარე ნაშრომშიც, ჩვენი ყურადღების საგანს, სწორედაც რომ აღნიშნული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა წარმოადგენს.

აქვე უნდა ითქვას, რომ XVI ს-ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს არა ერთი მკვლევარი შეხებია, მათ შორის: **ს. ბელოკუროვი, ზ. ავალიშვილი, მ. ბროსე, ზ. ედელი, მ. პოლიექტოვი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ი. ცინცაძე, ვ. მაჭარაძე, ო. ჟუჟუნაძე, ლ. ალექსიძე, თ. ტივაძე, გ. ჟუჟუნაშვილი, გ. პაიჭაძე, გ. საითიძე** და სხვა **(იხ. ბერძენიშვილი 1967: 8; ჟუჟუნაშვილი 2006: 25).**

როგორც ცნობილია **ივ. ჯავახიშვილმა,** XVI ს-ის საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ დაასრულა, თუმცა - „...ზოგიერთი საკითხი „ქართველი ერის ისტორიის“ ამ ნაწილში ისეთივე სისრულით არის განხილული ავტორის მიერ, როგორც ეს მას სჩვევია სხვა წიგნებშიც...“ **(ჯავახიშვილი 1948: VII).**

სრულად გამოკვლეულ საკითხთა შორისაა, „კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის“ ამსახველი **(იხ. ჯავახიშვილი 1948: 299-332),** ჩვენთვის საინტერესო: 1586-1590 წლებს შორის არსებულ დროით მონაკვეთში მომხდარი მოვლენები, რომლებიც, თავის მხრივ, ს. ბელოკუროვის **„Сношения Рассии с Кавказом“** გამოცემაშია წარმოდგენილი.

თავის მხრივ **ს. ბელოკუროვი** 1584-1613 წლების მოვლენების მიმოხილვისას 170-ე შენიშვნაში აღნიშნავს - „... 1584-1613 წ.წ. დროის მიმოხილვა შემოკლებითაა გაკეთებული, რამეთუ ამ დროის ურთიერთობათა შესახებ თავად დოკუმენტები შესანიშნავად მეტყველებენ...“ **(Белокуров 1889:1889: CXXVIII).**

ს. ბელოკუროვის მიერ შედგენილ რუსეთ-კავკასიის ურთიერთობათა ამსახველ დოკუმენტთა კრებულში, ჩვენთვის საინტერესო 1586-1590 წლების მომცველი მასალები: 10-238 გვერდებზეა გადმოცემული.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა XVI ს-ის 80-იან წლებში განახლებულა. არსებობს მოსაზრება, რომ ალექსანდრე მეფის მიერ 1583 წელს, რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილზე **(იხ. ტივაძე 1983; ჟუჟუნაშვილი 2009: 6; 50-52),** საპასუხო ელჩობა 1585 წელს შემდგარა - „... **1585 წელს** რუსეთის მთავრობის დავალებით ასტრახანის მეთოფეთა ასისთავმა **დანილოვმა** საშამხლოში, შირვანსა და კახეთში იმოგზაურა. დანილოვის მოგზაურობის მიზანი იყო კავკასიის ხალხებთან ასტრახანის მეშვეობით სავაჭრო ურთიერთობის გაბმა. რუსეთის მთავრობა მას ავალებდა აგრეთვე შეესწავლა საქართველო და მისკენ მიმავალი გზები. **დანილოვმა ალექსანდრე კახეთის მეფეს რუსეთის მეფის თეოდორე ივანეს ძის სიგელი** ჩამოუტანა, რომლითაც რუსეთის მეფე მას მფარველობას და პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა...“ **(გუჩუა 1973ბ: 144).**

ამ ფაქტს კახეთის მეფე სიხარულით შეხვდა, რადგანაც გაჩნდა იმედი, რომ რუსეთის მფარველობით შესაძლებელი იქნებოდა, ერთის მხრივ ოსმალეთის, ყირიმისა და შამხლის, და მეორეს მხრივ სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ზეგავლენის შესუსტება-განთავიუფლება - „... ამ იმედით გამხნევებულმა კახეთის მეფემ დანილოვს თავისი ელჩები: ოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა გააყოლა თეოდორე მეფესთან...“ **(გუჩუა 1973ბ: 144).**

კახეთის მეფის ელჩები **1586 წ. 9 ოქტომბერს** წარუდგნენ თეოდორე მეფეს - „... კახთა მეფის „აჯა“ მოახსენეს. კახთა მეფე „თავს უდებდა“ მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან

„მფარველობას“ ითხოვდა. ეს მფარველობა შემდეგში უნდა გამოხატულიყო: კახეთი რუსეთს ყველა მტრისაგან უნდა დაეცვა; ამჯერად კი რუსეთის მეფეს თერგზე უნდა ციხე აეგო, აქ დიდი ჯარი მოეთავსებინა და გზა თერგიდან კახეთამდის, საშამხლოზე რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა...“ **(ბერძენიშვილი 1967: 18).**

„...**1587 წლის აპრილში** ქართველმა ელჩებმა დადებითი პასუხი მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან და რუსი ელჩების - ბირკინის, პივოვისა და პოლუხანოვის თანხლებით ისინი სამშობლოში გაბრუნდნენ. თავისი მთავრობისაგან რუს ელჩებს დავალებული ჰქონდათ კახეთის მთავრობასთან მფარველობითი კავშირის პირობებზე შეთახმებულიყვნენ და **ალექსანდრე მეფისათვის ფიცი მიეღებინებინათ.** ელჩებს თან ჰქონდათ მოსკოვში შედგენილი **ფიცის წიგნი,** რომელიც უნდა მიეღო კახეთის მეფეს...“ **(გუჩუა 1973ბ: 145).**

1587 წლის აპრილში კახეთში წამოსული რუსეთის ელჩები **1587 წლის 16 აგვისტოსათვის** უკვე კახეთში ყოფილან **(იხ. ჯავახიშვილი 1948: 292)**, ხოლო **29 აგვისტოს** მომხდარა კიდეც რუსი ელჩების პირველი აუდიენცია ალექსანდრე მეფესთან. **1587 წლის 28 სექტემბერს** კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა რუსეთის ხელმწიფის მიერ გამოგზავნილ ფიცის წიგნს **(იხ. გუჩუა 1973ბ: 145; ბერძენიშვილი 1967: 151-153; ჟუჟუნაშვილი 2006: 10).**

საპასუხო ელჩობა რუსეთში, ალექსანდრე II-ის მიერ, 1588 წელს ყოფილა გაგზავნილი. ელჩობას თავადი ყაფლან ვაჩნაძე მეთაურობდა **(იხ. გუჩუა 1973ბ: 145; ჯავახიშვილი 1948: 29)**, რომელსაც, უკვე ხელმოწერილი 8 მუხლიანი ფიცის წიგნის გარდა **(იხ. ბერძენიშვილი 1967: 151-153),** თან ჰქონია ალექსანდრე მეფის მიერ რუსთა მეფისადმი მიწერილი **ეპისტოლეც.** ქართველი ელჩები **1588 წ. ოქტომბერში** მოსკოვში ჩასულან. ელჩებს რუსეთის მეფისათვის ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილი **ფიცის წიგნი** და პირადი **ეპისტოლე** გადაუციათ **(იხ. გუჩუა 1973ბ: 145**; **ჯავახიშვილი 1948: 301-302).**

ყოველივე ზემოთქმულის გახსენება დაგვჭირდა იმისათვის, რათა გამოგვეკვეთა ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის მეფისათვის მიწერილი **ეპისტოლეს შედგენის თარიღი.**

არსებულ წყაროების ბაზაზე ირკვევა, რომ - „... **1588 წ. ოქტომბერში** საქართველოთგან კახთა მეფის დესპანები კიდევ ჩამოვიდნენ, რუსთა მეფე თევდორე იოანეს ძე

წინანდელზე გაცილებით უფრო მეტი პატივისცემით დაუხვდა. მათი მოსკოვში შემოსვლის დღეს, **17 ოქტომბერს,** რუსთ ხელმწიფემ თავისი წარმომადგენლები წინ დაახვედრა...“ **(ჯავახიშვილი 1948: 310).**

ს. ბელოკუროვის მიერ თავმოყრილი (გამოცემული) დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ელჩები მგზავრობას საშუალოდ 3-დან 4-თვემდე უნდებოდნენ. აქედან გამომდინარე - **1588 წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩასული ელჩები კახეთიდან, სავარაუდოდ, ამავე წლის ივლისის თვეში უნდა წამოსულიყვნენ. სწორედ ამავე დროს უნდა იყოს შედგენილი, ჩვენთვის საინტერესო, ალექსანდრე II-ის მიერ დაწერილი ეპისტოლე.**

ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის მთავრობისადმი მიწერილ ეპისტოლეში **(იხ. Белокуров 1889: 56)**, იქ, სადაც ის რუსეთის მეფეს შამხალზე გალაშქრებასა და საშამხლოს დაკავებას სთხოვს, ჩვენთვის საინტერესო ქართლის სამეფოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებული ერთი ასეთი მინიშნებაც ფიქსირდება.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნული მონაკვეთის კომენტარებისას ბრძანებს - „... **ათასი (ორას სამოცი) წელიწადიაო,** ამბობს ალექსანდრე მეფე თავის ზემოაღნიშნულს წერილში, რაც ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ამ ქვეყანას ვმფლობელობთ და ვმეფობთ და ყოველთვის შამხალი ჩვენ გვემორჩილებოდა და ხელთ ქვეშე იყო“-ო. ქვეყანაც მშვიდობიანად და მყუდროდ ცხოვრობდა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ოსმალეთის სულტანი ქრისტიანთა მიწა-წყლის განადგურებას შეუდგა, მაშინ შამხალიც გადაგვიდგა და მტრობა დაგვიწყოო...“ **(ჯავახიშვილი 1948: 302). (იხ. აგრეთვე Белокуров 1889: 56).**

მაშასადამე, როგორც ითქვა, **ეს ეპისტოლე არაუგვიანეს 1588 წლის ივლისის თვეში უნდა იყოს დაწერილი. აღნიშნული დროიდან 1260 წლის უკუათვლით, ალექსანდრე II-ის მინიშნებით, ქართლის სამეფოს გაქრისტიანება: 1588 - 1260 = 328 წელს მომხდარი ფაქტია.**

ეპისტოლეს ხასიათიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ იქ არსად ფიქსირდება, თუ რას ეყრდნობა ალექსანდრე II ქართველთა გაქრისტიანების თარიღის მითითებისას. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის ამ თარიღის უტყუარობა კახეთის სამეფო კარისათვის ნათელი იყო, რაც უდაოდ გარკვეული დოკუმენტური წყაროებიდან გამომდინარე იქნებოდა გამყარებული.

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, დღეისათვის შემორჩენილ არც სხვა მასალებიდან ირკვევა, თუ უშუალოდ, რომელ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა ალექსანდრე II თავისი პოზიციის დაფიქსირებისას.

დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელია ცალსახად იმის თქმა, თუ დღეს ცნობილი ისტორიული წყაროების გარდა დამატებით რა საბუთები შეიძლება ჰქონოდათ იმ დროისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ **ეპისტოლის დაწერის დროისათვის ალექსანდრე II-ის მიერ ქართველთა გაქრისტიანებიდან 1260 წლიანი დროითი მონაკვეთის მითითებით, ცალსახად იკვეთება, რომ ეს ყველაფერი 328 წელს მომხდარა.**

ყოველივე ზემოთქმულის პარალელურად, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად მირიან მეფის მიერ ქრისტეს რჯულის აღიარება 328 წლის 20 ივლისს უკავშირდება**, მაშინ, აღნიშნული მომენტიდან ათვლით, ალექსანდრე II-ის მიერ 1260 წლიანი დროითი მონაკვეთი, სწორედაც რომ 1588 წლის ივლისის თვეზე, ანუ განსახილველი ეპისტოლეს სავარაუდო შედგენის დროზე მოდის.

1588 წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩასული ქართველი ელჩებისათვის, ალექსანდრე II-ის მიერ ხელმოწერილ ფიცის წიგნის თაობაზე, რუსეთის მეფე თევდორეს თავისი თანხმობა **1589 წლის 25 თებერვალს** მიუცია. **ს. ბელაკუროვის** კრებულში ვკითხულობთ - „... თებერვლის 25-ე დღეს მთელი რუსეთის ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა თავადმა თევდორე ივანეს ძემ ბრძანა: ივერიის ელჩი ყაფლანი თანმხლებ პირებთან ერთად ყოფილიყვნენ სამეფო კარზე...რათა ეცნობებიათ მათთვის გადაწყვეტილება, რომ მთელი რუსეთის ხელმწიფე, მეფე და დიდი თავადი თევდორე ივანეს ძე თავის სამეფო მფარველობის ქვეშ იღებს და აგზავნის ალექსანდრე მეფესთან მათთან ერთად თავიანთ ელჩებს...“ **(Белокуров 1889: 56)**.

გარკვეული ხნის შემდეგ, მოსკოვიდან წამოსული ელჩები, **1589 წლის ოქტომბერში** კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს გადასცემენ 12 პუნქტისაგან შემდგარ „თევდორე მეფის წყალობის წიგნს“ (ტექსტშია - „გრამოტუ ჟალოვალნუიუ ზ ზოლოტოიუ პეჩატიუ“, ე.ი. „წყალობის წიგნი ოქრო ბეჭდით“, ანდა - „სიგელი შეწყალებისა ოქრობეჭდოვანი“) **(იხ. Белокуров 1889:15; 87-89; ბერძენიშვილი 1967: 20; 155-157; ჟუჟუნაშვილი 2006: 18, 76).**

ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო **მეორე მინიშნება** ფიქსირდება ალექსანდრე მეფის მიერ რუსეთის ელჩობასთან გამართული საუბრის ჩანაწერებში **(იხ. Белокуров 1889:125).**

საუბრის გაგრძელებამდე უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბელაკუროვის ნაშრომი „Сношения Рассии с Кавказом“ სხვადასხვა ხასიათის უზუსტობებს შეიცავს. **ნ. ბერძენიშვილი,** აღნიშნულთან მიმართებაში, ბრძანებს - „... დიდი ჩხრეკა არაა საჭირო, რომ... ბელოკუროვის გამოცემის ნაკლი შეამჩნიოს მკვლევარმა... ამ ნაშრომის წყაროების ენა უმთავრესად ძველი რუსულია. საკუთარი სახელები (პირთა თუ გეოგრაფიული) არარუსული სინამდვილიდან იქ მეტისმეტად გადასხვავებულად არის წარმოდგენილი...“ **(ბერძენიშვილი 1967: 9).**

ს. ბელაკუროვის ნაშრომში გაპარული ერთ-ერთი შეცდომა შეეხება 1588 წელს ალექსანდრე II-ის მიერ შედგენილ ეპისტოლეში დაფიქსირებულსაც. კერძოდ: ს. ბელაკუროვის ნაშრომში ვკითხულობთ - „... **ათასი წელიწადია,** რაც ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ამ მიწას ვფლობთ და ვმეფობთ...“ **(Белокуров 1889: 56)**.

ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით ირკვევა, რომ აქ გადამწერის (ან გამომცემლის, ან კორექტურულ) შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. შემდგომი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ აქ მოცემული თარიღი - **„ათასი წელიწადია“** შეცდომითაა მითითებული. სავარაუდოდ, ბეჭდვისას დაშვებული კორექტურის გამო, გამოცემაში წარმოდგენილ ტექსტში **„ორას სამოცი“** ამოვარდნილია, და დედანში არსებული „... ტისიაჩა **დვესტე შეზდესიატ** ლეტ...“-ის ნაცვლად, ს. ბელოკუროვის გამოცემაში მხოლოდ - „... ტისიაჩა ლეტ...“ არის დაბეჭდილი. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, **ივ. ჯავახიშვილი** ბრძანებს - „... **ათასი (ორას სამოცი) წელიწადია...“** ... ასე სწორედ არის აღრიცხული ალექსანდრეს მიერ... აქ გადამწერის შეცდომით უნდა ეწეროს 1000 წ. ...“ **(ჯავახიშვილი 1948: 302).**

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების მართებულობა მტკიცდება **ს. ბელოკუროვის** მიერ თავმოყრილ დოკუმენტთა იმ მონაკვეთში, სადაც კახეთის მეფე ალექსანდრე II-ესა და რუსეთის ელჩებს შორის **1589 წელს** გამართული საუბრის შინაარსია გადმოცემული.

ალექსანდრე მეფე, ადასტურებს რა 1588 წელს რუსეთის მეფის თევდორისადმი მიწერილ ეპისტოლეში გადმოცემულს, რუსთა ელჩებს ს. ზვენიგოროდსკსა და ტ. ანტონოვს, განუცხადებს - „... **ათას ორას სამოცი წელიწადია** („... ტისიაჩა **დვესტე შეზდესიატ** ლეტ...“), **რაც ჩვენი სახელმწიფო გაქრისტიანდა** და მას შემდეგ უსჯულოთა აოხრების წყალობით ბევრი მონასტერი და ეკლესია დაიქცა; ეხლა ჩემს სიცოცხლეშივე

ყველა ამის განახლება მწადია, მინდა იმნაირადვე მოვაწყო, როგორც წინათ იყო...“ **(Белокуров 1889: 125). (იხ. აგრეთვე ჯავახიშვილი 1948: 307).**

ამდენად, **ქართველთა გაქრისტიანების თარიღის მიმანიშნებელი, კახთა მეფე ალექსანდრესა და რუსეთის ელჩებს შორის გამართული საუბრის აღმწერი ისტორიული წყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველთა 328 წლისათვის მოქცევის თარიღს.**

1589 წლის ოქტომბერში კახეთში ჩამოსულ რუსთა ელჩებს, რომლებმაც ალექსანდრეს რუსეთის მეფის წყალობის სიგელი („წყალობის წიგნი ოქრო ბეჭდით“) მიართვეს, თან რუსი სასულიერო პირებიც ხლებიათ.

რუსი სამღვდელო პირთა საქციელი, როგორც ეს დოკუმენტებიდან ირკვევა, ყველგან უკმაყოფილების მიზეზი გამხდარა - „...ქართველები, სადაც-კი რუსი მოძღვრები მივიდოდნენ, სიხარულით უხვდებოდნენ ვითარცა თანამორწმუნეებს, რომელთაც მათი დახმარება სურთ „უსჯულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთ ტაძრებში შეჰყავდათ და სთხოვდნენ რომ ეწირათ. მაგრამ რუსი სამღვდელო პირები, როგორც კარგი გამომძიებელნი და მეძებარნი, იმ წამსვე ეკლესიების ჩხრეკას შეუდგებოდნენ ხოლმე **(ს.ზვენიგოროდსკისა და ტ. ანტონოვის მიერ თევდორე მეფისადმი წარდგენილ მოხსენებაში დაფიქსირებულია - „ისპრავლენიე... ვერი კრესტიანსკიე“ (იხ. Белокуров 1889: 123) - ს.ს.).** და წირვაზე უარს ამბობდნენ, საკურთხეველს სხვანაირი სამოსელი უნდა ჰქონდესო, სახარების ყდას და ბარძიმს ესა და ეს სახე აკლია და გამოყვანილი არ არის, უნდა ეკლესიები ხელახლად ვაკურთხოთო. იმ დროს კახეთში ერთი ბერძენი ბერი ყოფილა ათონის ქართველთა პორტაიტის მონასტრითგან, არქიმანდრიტი ათანასე, და იმას თავმობეზრებულს თურმე რუს მოძღვრებისათვის განუცხადებია: ამაზე მეტი საეკლესიო სამკაული არც ჩვენ ვიცით წმიდა ათონის მთაზეო. თქვენ-კი როგორც გენებოთ, გინდ სწირეთ წირვა, გინდ ნუო, - მეფე ალექსანდრე კი ეკლესიის ხელახლად კურთხევის ნებას არ მოგცემთო...“ **(ჯავახიშვილი 1948: 325). (იხ. აგრეთვე Белокуров 1889: 123-124).**

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე II-თვის ნათელი გახდა, რომ - „...ჩქარი დახმარების იმედი რუსეთითგან ტყუილი იყო, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი, საშინელ განსაცდელის წინაშე მდგომი, თურმე უკმაყოფილებისაგან ბრაზით თავს ვეღარ იკავებდა და საყვედურებით ავსებდა რუს დესპანებს ყველა იმ დამცირებისა, თუ

შეურაცხყოფისათვის, რომელიც მის დესპანებს მოსკოვში მიაყენეს...“ **(ჯავახიშვილი 1948: 329). (იხ. აგრეთვე Белокуров 1889: 123-124).**

ამას დამატებია რუს სამღვდელოთა შეუფერებელი საქციელი. ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებს ალექსანდრე II-ის მიერ **1590 წ.** მოსკოვში მორიგი ელჩობის გაგზავნისას, ქართველი ელჩების თავადი სოლომონისა და ხურშიტასთვის **(იხ. ჯავახიშვილი 1948: 330; Белокуров 1889: 233)** გატანებულ რუსეთის მეფისა და რუსეთის პატრიარქისადმი მიწერილ ეპისტოლეებში.

ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის პატრიარქ **იობისადმი (იხ. ჟუჟუნაშვილი 2006: 30)** მიწერილ ეპისტოლეში **(იხ. Белокуров 1889: 232-233)**, კახთა მეფე ღიად საუბრობს იმ უკმაყოფილებაზე, რაც რუს სამღვდელო პირთა საქციელს მოჰყოლია - „... ჩვენ ისინი ანგელოზებივით მივიღეთ და ყოველნაირად პატივი ვეცით. მაგრამ მათ ჩვენს ეკლესიებში წირვის წირვა არ მოისურვეს...“ **(ჯავახიშვილი 1948: 330). (იხ. აგრეთვე Белокуров 1889: 233)**.

და აი, სწორედ - მოსკოვისა და სრულიად რუსეთის **პატრიარქ იობისადმი** მიძღვნილ ეპისტოლეში **(იხ. Белокуров 1889: 232-233)**, გვიფიქსირდება, ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული, ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანი, რიგით **მესამე** მინიშნება. ალექსანდრე II-ის ეპისტოლეში ვკითხულობთ - „... ჩვენ ესენი, ღმერთის ანგელოზებივით მივიღეთ და ყოველნაირად პატივი ვეცით. მაგრამ მათ ჩვენს ეკლესიებში რატომღაც წირვის წირვაც არ მოისურვეს. **ჩვენ კი ქრისტეზე ვართ მინდობილი, რომ რაც ქრისტიანად მოვნათლულვართ,** [ანუ] **ბერძენთაგან რწმენა და რჯული მიგვიღია 1262-ე წელი** [**სრულდება**] („ვ ლეტე 1262-მ გოდუ...“). აქ ჩვენთან პატრიარქებიცა და მიტროპოლიტებიც ყოფილან მთაწმინდელნიც, სინელნიც და იერუსალიმელნიც. ყველას ჩვენთან წირვაც უწირიათ და როგორც ერთმორწმუნეთ შეეფერებათ ჩვენთან ისე ეჭირათ თავი...“ **(Белокуров 1889: 233).**

დოკუმენტებში მითითებული, ჩვენთვის საძიებელ-დამოწმებული თარიღების ორგანული ურთიერთკავშირი აშკარაა: **ალექსანდრე II-ე, 1588 წელს მიწერილ ეპისტოლეში 1260 წლიანი დროითი მიჯნის დაფიქსირების პარალელურად, ორი წლის შემდეგ, ანუ 1590 წელს, მოსკოვის პატრიარქ იობისადმი მიწერილ ეპისტოლეში, ითვალისწინებს რა პირველი ეპისტოლის დაწერიდან გასულ ორ წელს, ქართველთა ქრისტიანად ყოფნის დროს, უკვე 1262 წლით განსაზღვრავს** - „... ჩვენ კი ქრისტეზე ვართ

მინდობილი, რომ რაც ქრისტიანად მოვნათლულვართ, [ანუ] ბერძენთაგან რწმენა და რჯული მიგვიღია **1262-ე წელი [სრულდება]...“ (Белокуров 1889: 233).**

1590 წლის 30 ნოემბერს მოსკოვში ჩასული ქართველი ელჩები კახეთიდან, სავარაუდოდ, 3-4 თვით ადრე, ანუ **1590 წლის ივლისს-აგვისტოს** თვეში წასულან. აღნიშნული დროიდან 1262 წლის უკუათვლა: 1590 – 1262, ისევ და ისევ, ზემოთ უკვე ნახსენებ, მირიან მეფის მიერ, ქრისტეს რჯულის აღიარების თარიღს **328 წელს განსაზღვრავს.**

1590 წელს შედგენილ ეპისტოლეში 1262 წლიანი მონაკვეთის დაფიქსირებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით **ივ. ჯავახიშვილის** მიერ გაკეთებულ შენიშვნის მართებულობაში, რომელიც ბელაკუროვის შრომაში დაფიქსირებულ უზუსტობასთან დაკავშირებითაა გამოთქმული (იხილე ზემოთქმული).

6.1 დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი და განხილულ იქნა ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი, **მე-16 საუკუნის სამი უნიკალური დოკუმენტი,** რომელიც დაცულია **ს. ბელოკუროვის** მიერ გამოცემულ შრომაში - **„Сношения Рассии с Кавказом“** (I გამოშვება, მოსკოვი, 1889 წ., „1578-1613 წ.წ.“).

ეს დოკუმენტები, ძირითადად, მოგვითხრობენ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ესა და რუსეთის სახელმწიფოს შორის არსებული დიპლომატიური მიმოწერის თაობაზე. სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებშია დაცული, ქართლის სამეფოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია.

პირველი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულ საკითხზეა მინიშნება, შესრულებულია 1588 წელს ალექსანდრე II-ის მიერ, და განკუთვნილია რუსეთის მეფის თედორესადმი. აღნიშნულ ეპისტოლეში, ქართველთა გაქრისტიანებიდან დასახელებული ელჩობის დროისათვის, როგორც ამას ალექსანდრე II აღნიშნავს, გასულია **1260 წელი.**

მეორე დოკუმენტი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციაზეა საუბარი 1589 წლით თარიღდება და ასახავს ალექსანდრე II-ესა და რუს ელჩებს შორის შემდგარ იმ საუბარს, სადაც ალექსანდრე II ადასტურებს თევდორე მეფისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში დაფიქსირებულ ქართველთა გაქრისტიანებიდან გასულ დროს, და მას კვლავ **1260 წლით** განსაზღვრავს.

და ბოლოს **მესამე დოკუმენტია:** ალექსანდრე II-ის მიერ 1590 წ. რუსეთის პატრიარქ იობენალის მიმართ გაგზავნილი ეპისტოლე. მასში, ალექსანდრე II, საუბრობს რა რუს მღვდელთა შეუფერებელ საქციელზე, აღნიშნავს, რომ საქართველოს გაქრისტიანებიდან დღემდე 1262 წელიაო გასული - „...ჩვენ კი ქრისტეზე ვართ მინდობილი, რომ რაც ქრისტიანად მოვნათლულვართ, [ანუ] ბერძენთაგან რწმენა და რჯული მიგვიღია **1262-ე წელი [სრულდება]...**“ **(Белокуров 1889: 233).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ **ალექსანდრე II**, დღეისათვის ჩვენთვის უცნობ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რუსეთის მეფისა და რუსთა პატრიარქისადმი მიძღვნილ ეპისტოლეებში, ქართველთა გაქრისტიანების თარიღად 328 წელს გამოკვეთავს (1. 1588 – 1260 = 328, და 2. 1590 – 1262 = 328); რაც, თავის მხრივ, ჩვენს მიერ, დღეისათვის არსებულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის შედეგად ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღად მიღებული **328 წლის** მართებულებას ადასტურებს.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებულ, დღეისათვის არსებულ, წერილობით წყაროებს შორის თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს XVI საუკუნის 80-90 წლებში კახეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობის ამსახველ, ზემოთ უკვე განხილულ, სამ ისტორიულ წერილობით წყაროს.

7) ირიბ მინიშნებათა რამოდენიმე საკითხისათვის

ჩვენთვის საკვლევ საკითხთან მიმართებაში არაერთი წყარო და ამ წყაროზე აგებული, ამა თუ იმ მეცნიერის მიერ ჩატარებული ანალიზი, ამა თუ იმ ფორმით, ირიბად გვიდასტურებენ ქართლის სამეფოში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, ჩვენს მიერ მიღებული 328 წლის თარიღის სისწორეს. ასე მაგალითად:

- V ს-ის ისტორიკოსი სოზომენე - „...სხვადასხვა ხალხების, მათ შორის ქართველებისა და სომხების მიერ ქრისტეს რწმენის მიღებას, ნიკეის კრების დამთავრების შემდეგ მოგვითხრობს...“ **(გოილაძე 1986: 160).** თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს შედგა, მაშინ სოზომენესეული დამოწმებული მინიშნება, დიახაც, რომ თანხვედრაშია ჩვენს მიერ დადგენილ ქართველთა გაქრისტიანების 328 წელთან;

- **ნოდარ ლომოური,** თავის 1975 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ასკვნის, რომ - „...არსებული რეალობის ურთიერთ შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ შესაძ-ლებლად მიგვაჩნია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რე-ლიგიად გამოცხადება 325-330 წლებს შორის უნდა მომხდარიყო...“ **(ლომოური 1975: 83);**

- ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის რუსი მკლევარი **ნ. ტალბერგი** მიიჩნევს, რომ იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV ს-ის 20-იან წლებში გამოცხადე-ბულა **(იხ.Тальберг 1991: 119);**

ჩვენი შემდგომი თხრობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცული ინფორმაციით გვინდა განვაგრძოთ - „...და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან. და დასუა მუნ პეტრე კათალიკოზი. და ეს იყო **ქართლის მოქცევითგან ას სამეოც და მეათესა წელსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 26; აბულაძე 1963: 93).**

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი შეხედულება იმაზე, თუ ზუსტად რომელ წლებში მეფობდა ვახტანგ გორგასალი არ არსებობს - „...ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღება(ა): ვახუშტი 439-499 წ.; ს. გორგაძე 443-503 წ.; ივ. ჯავახიშვილი 442-502 წ.; კ. თუმანოვი 435-522 წ.; ვ. გოილაძე 438-491 წ...“ (49, გვ.42). ყვე-ლაზე უფრო მეტად დამკვიდრებული შეხედულებით **ვახტანგ გორგასალი 502-503 წლებში უნდა იყოს გარდაცვლილი.**

ამ საკითხის შეჯერებამდე, ერთიც გავიხსენოთ - „... „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მოწმობით, ვახტანგ გორგასალმა ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე ჩამოიყვანა მოქცევიდან 170 წლის შემდეგ. თუ ქართლის მოქცევის თარიღად მივიჩნევთ 333-337 წლებს, გამოდის, რომ მეფე ვახტანგს კათოლიკოსი ჩამოუყვანია 503-507 წლებში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მეფე ვახტანგი გარდაიცვალა 499 წელს, უკი-დურეს შემთხვევაში 502-503 წლებში; კათალიკოსის ჩამოყვანის შემდეგ, ასკვნის მემა-ტიანე, ვახტანგს კარგა ხანს უცოცხლია და კიდევ ბევრი რამ გაუკეთებია; თუ 499 წელს გამოვაკლებთ 170 წელს და კიდევ 4-5 წელს (რაც ვახტანგმა კათალიკოსის შემდეგ დაახლოებით იცოცხლა), გამოდის 325-326 წელი. ამ ვერსიის მიხედვით ქართველები გაქრისტიანებულან 325-326 წლებში...“ **(თორაძე ... 2007: 15).**

თუ ჩვენ ამდაგვარ მსჯელობას მივყვებით, და ჩვენს მიერ ქართლის გაქრისტიანების თარიღად დადგენილ 328 წელს, დავუმატებთ ზემოთხსენებულ 170 წელს, მივიღებთ 498 წელს; და თუ, იმ: 4-5 წელსაც გავითვალისწინებთ რომელიც ვახტანგ გორგასალს

კათალიკოსის ჩამოყვანის შემდეგ უცოცხლია, მაშინ ვღებულობთ ვახტანგ მეფის გარდაცვალების: 502-503 წლებს, რაც თავის მხრივ, ჩვენი მსჯელობის სისწორის ერთგვარი დასტურია.

ჩვენი წინამდებარე თხრობის დასასრულს კიდევ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს - „...იმ ისტორიულ ფაქტად, რომელიც პროფ. კორ. კეკელიძის აზრით: „გაგვირკვევს არამცთუ ეპოქას, არამედ წელიწადსაც იბერიის მოქ-ცევისას“, უნდა ეთიოპიელთა ანუ ჰაბაშთა გაქრისტიანება იქმნეს მიჩნეული. შემდეგ მას, პროფ. ვ. ბოლოტოვის ლექციების თანახმად, აღნიშნული აქვს, რომ ეთიოპიელები 355-356 წ. გაქრისტიანდნენ, და ამის შემდგომ ასეთი დასკვნა მოეპოება: „ამნაირად, თუ ეთიოპია და იბერია ერთსა და იმავე დროს მოიქცნენ, ეთიოპიის მოქცევას კი ადგილი ჰქონდა 355-356 წლებში, ამავე წლებში უნდა მოქცეულიყო იბერიაც“-ო.

გელასი კესარიელს ნათქვამი აქვს მხოლოდ „ამავე დროის“ ხანებშიო. რუფინუსიც ასევე სთარგმნის ლათინურად - „ამავე დროს“. ასეთი ზოგადი გამონათქვამიდან მკვლევარი, თუ სიფრთხილეს დაიცავს, ვერას გზით მოქცევის წელიწადს ვერ გამოარ-კვევს. გელასი კესარიელს, როგორც ეტყობა, ქართველთა მოქცევის თარიღი ზედმიწევ-ნით თითონაც არ სცოდნია და სწორედ ამიტომ აქვს ასეთი ზოგადი გამონათქვამი ქართველთა გაქრისტიანების დროის ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის ნახმარი. ამის გამო ამ განუსაზღვრელი ცნობის გამოყენება მხოლოდ ხანის დაახლოებით გათვალისწინებისათვის შეიძლება...“ **(ჯავახიშვილი 1979: 266).**

აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული ნოდარ ლომოურს **(ლომოური 1975**: **72-77)**, რომლის გახსენებამდეც, მოდით თეოდორიტე კვირელის მიერ მოწვდილ ასეთ ინფორმაციას შევეხოთ - „...ფრუმენტიოსი... ჩავიდა ქალაქ ალექსანდრი-აში, აუწყა ეკლესიის მეთაურს, რომ ინდოელები (აქ: ეთიოპიელები - ს.ს.) მეტად ესწრაფოდნენ გონისმიერი ნათელის მიღებას. მაშინ ათანასეს ეპყრა ეკლესიის მმართველობა და როდესაც მან ეს ამბები მოისმინა, თქვა: „შენზე უკეთესი ვინ გაფანტავს წარმართების უმეცრების ნისლს და ვინ მოუტანს მათ საღვთო ქადაგების ბრწყინვალებას?“ ეს უთხრა და მას გადასცა მღვდელმთავრობის მადლი, და გაგზავნა წარმართთა აღსაზრდელად... ამრიგად, ფრუმენტიოსი გახდა ინდოელთა ღვთისმცოდ-ნეობის მიმართ წარმმართველი. იბერიელებს კი ამ დროს ტყვე ქალი მიუძღოდა ჭეშმარიტებისაკენ...“ **(კვირელი 2008: 69).**

აღნიშნული საკითხის კვლევაში ნოდარ ლომოური აღნიშნავს - „...ვითარება ასეთია: გელასი კვიზიკელიც, რუფინუსიც და თეოდორიტე კვირელიც, ისევე როგორც მათზე დამოკიდებული სოკრატე სქოლასტიკოსი და სოზომენე, ფრუმენტიოსის შესახებ თხრობას საკმაოდ შორიდან იწყებენ... აღნიშნულია, რომ ეს მოხდა „ნეტარი კონსტანტინეს დროს...“

ფრუმენტიოსის ეპისკოპოსად ხელდასხმა რეალურად იმპერატორ კონსტანცის დროს მოხდა... მაგრამ ყოველი ზემოაღნიშნული ავტორი როგორც ჩანს, თავის საერთო წყაროზე გელასი კესარიელზე დაყრდნობით, ამ ამბებს კონსტანტინე დიდის ღვაწლის აღწერისას მოგვითხრობს. როგორც სამართლიანად აღნიშნა ი. მარკვარტმა, აქ ჩვენ შეცდომასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სრულიად გარკვეულ ტენდენციასთან - გაზარდონ კონსტანტინე დიდის დამსახურება და დაამცირონ არიანობის მიმდევარი იმპერატორის კონსტანცის ღვაწლი...

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ფრუმენტიოსის მოგზაურობა ეთიოპიაში დაიწყო კონსტანტინე პირველის დროს, საეკლესიო ისტორიის ავტორმა გამოიყენა საბაბად, რათა ფრუმენტიოსის მოღვაწეობის აღწერა შეეტანა სწორედ კონსტანტინეს ცხოვრების მოთხრობაში... ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვები - „ამავე ხანებში“, რომლითაც იწყება თხრობა იბერთა მოქცევის შესახებ, უნდა დაუ-კავშირდეს არა ფრუმენტიოსის მოღვაწეობის ბოლო სტადიას - მის ეპისკოპოსად კურ-თხევას, არამედ მისი თავგადასავლის აღწერის დასაწყისს. ამდენად, ჩვენ არ უნდა ვე-ძიოთ კავშირი იბერიის მოქცევასა და ფრუმენტიოსის ხელდასხმის რეალურ თარიღს შორის...“ **(ლომოური 1975: 73-76).**

და ბოლოს, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მე-18 საუკუნის სვინაქსარულ რედაქციაში ასეთი ინფორმაციაა დაცული - „...და წმიდა ჰმსახურებდა ორ წელ მიროფორსა ვისმე. და გამოიკითხა მან ზედ-მიწევნით ვნებათათვის ქრისტესთა და ხალენისა ელიასისა, და ცნა წილთ-გდებით კუართისა მის უკერველის ხდომა ჩრდილოეთისა და ზამთარი იგი ურწმუნოებისა, და წარმოემართა დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას რვაას ორმოცდა-მეათესა და ამაღლებისა ქრისტესისა სამას ოცდამერვე წელს...“ **(აბულაძე 1968: 353).**

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სომეხთა მოქცევა ზოგადად ნიკეის კრებამდე ანუ 325 წლამდე მომხდარი ისტორიული ფაქტია და იმასაც, რომ წმ. ნინო საქარ-თველოში შემოსვლამდე ჯერ სომხეთის სამეფოში ხვდება, სადაც წარმართი თრდატ

სომეხთა მეფე წამებით კლავს წმ. ნინოს თანხმლებ „რიფსიმიანებს", მაშინ ფაქტია, რომ სვინაქსარული რედაქციის მინიშნებაში წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების წლად 328 წლის დაფიქსირება ისტორიულ მოვლენებთან წინააღმდეგობაში მოდის. აღნიშნული საკითხის გარკვევა, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი. სვინაქსარის შემდგენელი უცნობი ავტორის ფრაზაში „წარმოემართა", და ამ კონტექსტში 328 წლის დაფიქსირება, ჩვენის აზრით, მინიშნებაა წმ. ნინოს მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგის ქართლის გაქრისტიანების 328 წელზე.

ჩვენს მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება, ერთგვარ კავშირში უნდა იყოს ე. თაყაიშვილისა და კ. ცინცაძის მიერ დაფიქსირებულ შეხედულებასთან, რომლის თანახმადაც ქართულ წყაროებში - „...ყველგან, სადაც წელთაღრიცხვას „ქრისტეს ამაღლებიდან" იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ „ქრისტეს დაბადებიდან"..." **(ლომოური 1975: 71).**

როგორც ვნახეთ, ზემოთგანხილული ესა თუ ის ისტორიული წყარო, თუ მათ ბაზაზე გამოთქმული შეხედულებები, თავის მხრივ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების სისწორის ირიბ დადასტურებას წარმოადგენენ.

8) მზის დაბნელების საკითხის თაობაზე

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მინიშნებათაგანია მზის დაბნელებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან მიმართებაში, უდავოდ ანგარიშგასაწევია აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება - „...მზის დაბნელების თარიღები ეხლა ისეთი ზედმიწევნილობითაა გამოანგარიშებული, რომ მათი დახმარებით უთარიღო ცნობები კარგად შეიძლება დათარიღდეს. მაგრამ სისწორისა და შეუმცდარობის მთავარი პირობა, რასაკვირველია, თვით ასეთი ფაქტის არსებობის აუცილებელი დადასტურებაა..." **(ჯავახიშვილი 1979: 265).**

ჩვენი წინამდებარე თხრობაც სწორედ ამ საკითხში გარკვევას ისახავს მიზნად. ამიტომ, მოდით ჯერ იმაში გავერკვეთ, თუ ჩვენთვის საძიებელი დროის მანძილზე როდისაა მომხდარი მზის დაბნელებები. ასტრონომ - „...თ. ოპოლცერის „დაბნელებათა კანონის" მიხედვით, ჩვენთვის საძიებელ ახ. წ. 313-337 წლებში ივლისის თვეში მომხდარ მზის დაბნელებათა ჩამონათვალი ასეთია: **ახ. წ. 315 წ. მზე დაბნელდა - 18**

ივლისს; 316 წ. - 6 ივლისს, 334 წ. - 17 ივლისს, ხოლო 335 წ. - 6 ივლისს. ამათგან, მითითებულ „ერთ შაბათ დღეს ივლისის შუაში“ მომხდარს მხოლოდ - ახ. წ. 315 (18/07) - 334 წ. (17/07) აკმაყოფილებს. სამწუხაროდ არცერთი ეს დღე არ არის „შაბათი“: 315 წლის 18 ივლისი - ორშაბათი დღეა, ხოლო 334 წ. 17 ივლისი კი ოთხშაბათი...“ **(სალუაშვილი 2006: 4),** მაშ, რაშია საქმე? რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ქართულ წყაროებში დაცული მზის დაბნელების ფაქტი? მოდით შევეცადოთ აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მოძიებას. უპირველეს ყოვლისა დავიწყოთ ქართული წყაროების ანალიზი:

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია ერთხმად უთითებს მზის დაბნელების მომხდარ ფაქტს. თუმცა, მათ შორის, ორი პირობითი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ, რომლებიც განსხვავებისდა მიუხედავად მთლიანობაში მაინც ერთი და იგივეზე უნდა გვანიშნებდეს.

აღნიშნულზე საუბრის დაწყებამდე, მოდით ახალ აღთქმაში მოცემული ერთი ასეთი მინიშნება გავიხსენოთ. მოციქულთა საქმიდან ვგებულობთ, რომ იუდეველი სავლე საშინელი მოწინააღმდეგე და მდევნელი გახლდათ ქრისტეს რჯულის მიმდევრებისა. ერთხელაც - „...სავლე, რომელიც კვლავ მძვინვარებდა და სიკვდილს უქადდა უფლის მოწაფეთ, მივიდა მღვდელმთავართან და გამოსთხოვა ეპისტოლენი დამასკოს სინაგოგების მიმართ, რათა თუ ვინმეს ჰპოვებდა ამ მოძღვრების მიმდევარს კაცსა თუ ქალს შეკრული მიეყვანა იერუსალიმში.

და როცა გზად მიმავალი მიუახლოვდა დამასკოს, ანაზდეულად მოიცვა იგი ნათელმა. და დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: საულ, საულ, რად მდევნი მე? და თქვა: ვინა ხან შენ, უფალო? ხოლო უფალმა თქვა: მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. გაგიჭირდება წიხლვა დეზისა“ **(საქ. 9,1-5).** იქვე გვეთითება, თუ რა ემართება სავლეს - „წამოდგა სავლე მიწიდან, **თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერას ხედავდა...“ (საქ. 9,8).** მოგვიანებით, უფლის ნებით, სავლეს კვლავ დაუბრუნდა თვალის ჩინი. რის შემდეგაც სავლე - პავლე მოციქულად „იქცა“.

ჩვენის აზრით სწორედ სავლე-პავლეს მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმემირიანთან მიმართებაშიც, რამეთუ **მირიანი, საქართველოს ისტორიაში, ერთდროულად იყო ბოლო წარმართი, და პირველი ქრისტიანი მეფე**. ქართულ წყაროებში დაფიქსირებული მზის დაბნელებაც, თუ კარგად გავაანალიზებთ, სულაც არ არის ასტრონომიული მოვლენის

მიმანიშნებელი. ქართულ წყაროთა ზემოთ ნახსენები ორი პირობითი ჯგუფიდან ერთ-ერთი სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.

მითითებულ რედაქციებში თხრობა იწყება იმაზე მინიშნებით, თუ როგორ გადა-წყვეტს მირიან მეფე, ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ ქრისტიანების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარებას. ყველაზე მოკლედ ამის თაობაზე **XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშია** მოცემული. მირიანი - „...განრისხდა და ბორგდა ფრიად ნინოჲსთჳს და ნანა დედოფლისა. და აღდგა და განვიდა ნადირობად. და იტყოდა: „შემო-რაჲ-ვიქცე შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათჳს ღმერთთა ჩემთაჲსაჲ“-და ვითარცა განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისასა, ჟამსა სამხრისასა **დაუბნელდა მას განგებულებითა ღმრთისაჲთა, ვითარცა იგი პირველ პავლეს.** და ვითარცა ვერ შემძლებელ იყო იგი სვლად, ჴმობდა იგი მონათა მიმართ და მთავართა, ვითარმედ: „დაბნელდეს თუალნი ჩემნი, ხოლო თქუენ ხედავთა ნათელსა?“ ხოლო იგინი იტყოდეს: „ბრწყინვალედ ვხედავთ ჩუენ ნათელსა მზისასა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 224-225).**

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წყაროს მიხედვით საქმე გვაქვს არა მზის დაბნე-ლების ასტრონომიულ მოვლენასთან, არამედ სახარებისეულ სავლე-პავლესთან დაკავ-შირებულთან. და მართლაც **„ვითარცა იგი პირველ პავლეს“, მირიანსაც სწორედ ამდაგვარად უბნელდება თვალთ.**

ამდაგვარ მოვლენაზევე მიგვანიშნებს **არსენ ბერისეული** რედაქციაც - „...თჳთ თავადი მეფე განვიდა ნადირობად... მაშინ განგებითა ზეგარდმოჲთა კაცთმოყუარისა მეუფისა-გან **პავლესებრ მოინადირა, და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქმნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სვლად,** რამეთუ თანამონადირენი იგი მისნი მცხინვარესა მას ნათელსა ხედვიდეს ჩუწულებისაებრ და ვიდოდეს...“ **(არსენ ბერი 1902: 26).** როგორც ვხედავთ, არც აქ გვაქვს საქმე ასტრონომიულ ფაქტთან თვალისჩინი მხოლოდ მირიან მეფეს უბნელდება.

ნიკოლოზ I კათალიკოსი ბრძანებს - „...იყო უკუწ დღესა ერთსა ზაფხულისასა; თუწ სა ივლისსსა ოცსა (კ) დღესა შაბათსა: განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუხრანით კერძო... და შუა სამხრის ოდენ მყის ანაზდაჲთ დაბნელდა მზე... აჰა ესერა მოხედნა ღმერთმან წყალობითა ვითარცა პირუელ პავლეს..“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 63-64).**

ქართული წყაროების მსგავსად, მირიანთან დაკავშირებულ მოვლენას, ანალოგიურად აშუქებს IV-V ს-ის ისტორიკოსი **თეოდორიტე კვირელი** - „...გამოხდა მცირე ხანი. იგი წავიდა სანადიროდ. კაცმოყვარე მეუფემ იგი **პავლეს მსგავსად მოინადირა რადგან ანაზდად წყვდიადმა მოიცვა** და არ უშვებდა, რომ წინ წასულიყო, ხოლო მონადირეები მზის სხივით ჩვეულებრივ ტკბებოდნენ...“ **(კვირელი 2008: 70-71).**

ქართული წყაროები, ჩვენის აზრით, ერთ მეტად მნიშვნელოვან მინიშნებასაც შეიცავენ. „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა ერთი ნაწილი მირიანის იმ გადაწყვეტილების გაშუქებისას შური იძიოს ქრისტეს სჯულის მაღიარებლებზე, იქვე გვაუწყებს, რომ მეფის ამ გადაწყვეტილებას ირგვლივ მყოფებიც იწონებენ - „...და რქუა მეფემან ოთხთა თანამზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტისყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებასა მათსა და მიუშჯთ ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკჯრველებათა მათ. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსავნი ჯუარცმულისანი და უმეტეს შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა; ვამხილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანება და დატეობა სჯულსა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყვარული მისი და სხვათავე თანა წარვწყმიდო იგიცა“. და დაუმტკიცნეს განზრახვა მისი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მჯურვალედ იყვნეს იგინი საქმესა ამას, და ნებვიდა პირველითგან და ვერ იკადრებდეს განცხადებად... შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი და განიბნივნეს ურთიერთსა ჭირისასა და ურვისა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 108-109).**

მეფესთან ერთად, მის მუქარას დათანხმებული თანმხლები პირებისათვის „მზის დაბნელებაზე“ უთითებს აგრეთვე ნიკოლოზ I კათალიკოზისეული რედაქცია **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 63-65).**

მოდით აქვე გავიხსენოთ თრდატ სომეხთა მეფესთან დაკავშირებული ამბავი. აგათანგელოსის თანახმად, ღორის სახეს იღებს არა მარტო სანადიროდ წასული თრდატ მეფე, არამედ ისინიც, ვინც სიხარულით აღასრულებდნენ მეფის ბრძანებას რიფსიმიანთა წამების თაობაზე - „...და არა ხოლო თრდატს შეემთხვა სიბოროტე ესე საქმისაჲ არამედ მის თანა მხედართაცა მისთა და რაოდენნიცა იყვნეს მთავართაგან და

მოქალაქეთა თანაზიარ კადნიერებისა მისისასა. იგინიცა აღსავსე იქმნნეს ეშმაკე-ულებითა...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 29).**

მოგვიანებით, გრიგოლ განმანათლებლის ლოცვითა და ღმერთის ძალით, კვლავ ადამიანის სახე უბრუნდება როგორც თრდატს, ასევე დანარჩენებსაც - „...განამრავლა ყოფაჲ წყალობისაჲ და უჩინო ყო გარეშემოსილი იგი თრდატის და სახე ღორებრივი და შიგანა მასსა დამკვიდრებული იგი განდევნა ბოროტი ეშმაკი და არა ამისსა მიმართ ხოლო განჰფინა მოწყალებაჲ, არამედ მსახურთაცა და მთავართა და მხედართა მისთა დაიხსნა იგინი მძლავრებისაგან ბოროტთა ეშმაკთაჲსა და მშვიდობაი და წყნარებაჲ შეჰმოსა სულთა მათთა...“ **(მელიქსეთ-ბეგი 1920: 38).**

თხრობის გაგრძელებამდე გავიხსენოთ, თუ სად მდებარეობს ის ადგილი, სადაც ე.წ. მზის დაბნელება ფიქსირდება - **„...მთა თხოთი** ანუ თოხავი, მუხრანის სოფლიდამ დასავლეთით არს, ვიდრე ათი რუსულ ვერსტი აქვსა სიშორე („ვერსი სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში... 1 ვ = 500 საჟენს = 1,9668კმ.“ **(ჯაფარიძე 1979: 376)** - ს.ს.) - აქამომდე თხემსა ზედა თხოთისასა ჰსდგეს მცირე ეკლესია წმ. ნინოსი აღშენებული მეფე მირიანისაგან ადგილსა მას რომელსა ზედა დაუბნელდა სინათლე (დაბრმავდა) მეფესა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 64).**

აღნიშნული კი, აი რატომ გავიხსენეთ, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია უთითებს ერთ ასეთ საინტერესო ფაქტზე.

მირიანისა და მის თანმხლებ პირებზე თავსდატეხილი ამბის გაგების შემდეგ მთელი ქალაქი გამოეგებება მცხეთაში დაბრუნებულებს - „...ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ქალაქი განვიდეს მოგებებად მეფისა, **რამეთუ ესმა** პირველად წარწყმედა და კუალად მოსვლაჲ მშვიდობით...“ **(სალუაშვილი 2010ა: 93; აბულაძე 1963: 136). (იხ. ალექსიძე 2007: გვ.47).** აქ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ასეთი ფრაზა **„რამეთუ ესმა“,** რომლის მიხედვითაც გვეუწყება, რომ ე. წ. მზის დაბნელების ადგილიდან ოციოდე კილომეტრით მოცილებულ მცხეთაში მყოფებს მზის დაბნელება თურმე არ შეუმჩნევიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მემატიანე დაწერდა ამის თაობაზე. ტერმინი „ესმა“, ხაზს უსვამს, რომ მცხეთაში მყოფთ, მირიან მეფესთან დაკავშირებით მომხდარის თაობაზე, ვიღაცის მონათხრობით გაუგიათ.

აღნიშნული ტერმინი სხვა რედაქციებში ასეა დაფიქსირებული: „რამეთუ ესმა“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 110);** „რამეთუ ესმინა“ **(არსენ ბერი 1902: 27);** „რამეთუ ყოველთა ასმიოდა“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 67).**

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით **მირიანთან ერთად მზე უბნელდებათ მხოლოდ მათ, რომლებიც მირიანის მიერ ქრისტეანთა მიმართ გამოთქმულ მუქარას უერთდებიან.** მირიანის მიერ „ნინოს ღმერთისადმი“ აღვლენილი ლოცვის შემდეგ, მირიანთან ერთად უკვე ისინიც ხედავენ ნათელს - „რამეთუ მათცა გამოუბრწყინდა ნათელი ჭეშმარიტი და შეიერთნეს მეფენი და ყოველი იგი ერი გაბნეულნი...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 66-67).**

წყაროთა იმ ნაწილში კი, სადაც მირიანის მუქარაზე დათანხმებული პირების თაობაზე არაფერია ნათქვამი, მითითებულია, რომ მხოლოდ მირიანი კარგავს თვალის ჩინს **(იხ. არსენ ბერი 1902: 26; ყუბანეიშვილი 1946: 224-225).**

ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, უცხოურ წყაროებში მზის დაბნელების მაგივრად ბურუსზე მითითებაა მოცემული:

- **გელასი კესარიელი** აღნიშნავს: „...ერთხელ როდესაც ის ნადირობდა მრავალჭალიან უღრან ტყეში, მას დღისითვე ჩამოუღამდა მოულოდნელად. უცბად შუა დღეს ღრმა ბურუსმა მოიცვა მთელი ტყე, სადაც მეფე იყო...“ **(ყაუხჩიშვილი 1926: 58);**

- **მოსე ხორენელი** აღნიშნულზე ასე მიგვანიშნებს: „...იმავე ხანებში სანადიროდ წასულ მირიანს, ძნელსავალ მთებში გზა დაებნა; მას თვალთ კი არ დაუბნელდა, არამედ ნისლი ჩამოწვა...“ **(ხორენაცი 1984: 171);**

- თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ავტორებთანაც - „...გელასი კესარიელის ლათინურად მთარგმნელს, **რუფინუსსაც** ასევე აქვს ეს ადგილი გაგებული... **სოკრეტესაც** მხოლოდ ბურუსზე აქვს საუბარი, ისევე როგორც **სოზომენს,** რომლის სიტყვითაც ამ ბურუსს დიდი სიხშირის გამო მზის სხივები და დღის სინათლე მთლად დაუფარავს...“ **(ჯავახიშვილი 1979: 265); (იხ. ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 203-204; 232; 238);**

- ამ მონაკვეთზე საუბარს კი, ზემოთდამოწმებული **თეოდორიტე კვირელის** მინიშნებით დავასრულებთ - „...გამოხდა მცირე ხანი, იგი წავიდა სანადიროდ. კაცთმოყვარე მეუფემ იგი პავლეს მსგავსად მოინადირა. რადგან ანაზდად იგი წყვდიადმა მოიცვა და არ უშვებდა, რომ წინ წასულიყო. ხოლო მონადირეები მზის სხივით ჩვეულებრივ ტკბებოდნენ...“ **(კვირელი 2008: 70-71).**

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ქართული და უცხოური წყაროები, თითქმის ცალსახად მიგვანიშნებენ, რომ საქმე გვაქვს, არა მზის დაბნელების ასტრონომიულ მოვლენასთან, არამედ სახეზეა ღვთაებრივი ძალით მირიანის თავზე მოვლენილი სასწაული.

ჩვენის აზრით, არც თავად ამ მოვლენის მოხდენის დრო, ანუ - „... თუßსა ივლისსსა ოცსა (კ) დღესა შაბათსა: ... და შუა სამხრის ოდენ მყის ანაზდაჲთ დაბნელდა მზე...” **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 63-64)** უნდა იყოს შემთხვევითი. ბიბლიაში ივლისის, ანუ მეშვიდე თვის ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთი - **„...საუფლო დღეებადაა“** წოდებული - „...მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღიდან კარვობის დღესასწაულია - შვიდი საუფლო დღე“ **(ლევ. 23,34). (იხ. სალუაშვილი 2006: გვ.4).**

როგორც ვხედავთ „საუფლო დღეები“, ივლისის: 15-21 რიცხვებს მოიცავს, ხოლო ქართული წყაროების მიხედვით მირიანის ე.წ. მზის დაბნელება, სწორედ ამ დროის მონაკვეთში მდებარე 20 ივლისის შაბათ დღეს ხდება. დაფიქსირებული **„შაბათი“,** კიდევ უფრო მეტ ბიბლიურ დატვირთვას აძლევს აღნიშნული „მზის დაბნელების“ მოხდენის თარიღს.

პავლე მოციქული ბრძანებს - „**...შუადღისას** ანაზდეულად მომიცვა დიადმა ნათელმა ზეცით“ **(საქ. 22,6),** ანდა - **„შუადღისას** ვიხილე გზაზე, მეფეო, ნათელი ზეცით, რომელიც აღემატებოდა მზის ბრწყინვალებას, და რომელმაც მომიცვა მეცა და ჩემი მხლებლებიც“ **(საქ. 26,13).** მირიან მეფესთან მიმართებაში დაფიქსირებული **„შუა სამხის ოდენ“**, სახარებისეული **„შუადღისას“** უდაო ანარეკლი უნდა იყოს.

ღვთის განგებულებით, სანადიროდ წასული წარმართი მირიანი, ნადირობიდან უკვე ქრისტეს რჯულის მაღიარებელ პირველ ქართველ მეფედ დაბრუნდა. წინამდებარე მონაკვეთი კი, სწორედ მირიანის მიერ ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ - „...მაშინ გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან და დავარდა პირდაქცევით ქუეყანასა ზედა სულთქუმით და ტირილით. და აღდგა და განიპყრნა ჴელნი აღმოსავლეთით და თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო ქადაგებს, და საქებელ სახელი შენი ყოვლისაგან დაბადებულისა ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა...

და მეფე ღაღადებდა და ეტყოდა ყოველსა მას ერსა მისსა, ვითარმედ: მიეცით დიდებაჲ ღმერთსა ნინოჲსსა ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნოჲ და

მას მხოლოსა შუენის ქებაჲ უკუნისამდე, ამენ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 92-93; აბულაძე 1963: 135-136).**

9) დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მოდით ერთგვარად შევაჯამოთ ამ დროისათვის გამოკვეთილი მთავარი სათქმელი:

- წმ. ნინოს ლტოლვილობა დაწყებულა: 322 წლის 15 მარტის ხუთშაბათ დღეს;

- წმ. ნინო და მისი თანხლები პირები სომხეთის სამეფოში ჩასულან: 322 წლის 25 მარტის კვირა დღეს;

- თრდატ სომეხთა მეფის მიერ „რიფსიმიანეთა“ წამება: 322 წლის 30 მარტის პარასკევ დღეს მომხდარა;

- წმ. ნინო ქართლის სამეფოში შემოდის: 323 წლის 28 ივნისს, პარასკევ დღეს;

- წმ. ნინოს ლოცვითა და ღვთის განგებულებით მცხეთაში მდგარი კერპები დამსხვრეულა: 323 წლის 6 აგვისტოს, სამშაბათ დღეს;

- უფლის კვართის დაფვლის ადგილზე ამოსულ ხესთან, ანუ სამეფო ბაღის მცველის ანასტოსა და მისი ქმრის ოჯახში გატარებული 9 თვე - 324 წლის 15 მაისის პარასკევ დღეზე მოდის;

- ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანობის აღიარება, წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებიდან 322 წლის 15 მარტიდან ათვლით მეექვსე წლის, ანუ 327 წლის 20 ივლისის ხუთშაბათ დღეს მომხდარა;

- და ბოლოს, მირიან მეფის გაქრისტიანება, ანუ ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 322 წლის 15 მარტიდან ათვლით მეშვიდე წელს, ანუ 328 წლის 20 ივლისის შაბათ დღეს მომხდარა.

დასასრულს, ერთ მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ჩვენთვის საძიებელ საკითხთან მიმართებაში ორი ასეთი კონკრეტული თარიღია მოცემული:

- ამათგან, პირველი ეხება წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყებასა და თრდატ მეფის მიერ რიფსიმიანეთა წამებას - „...წამოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს

მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115).**

მაშასადამე აქ გამოკვეთილია ლტოლვილობის დაწყების წლის პირველი თვის 30 მარტის პარასკევი დღე; თუმცა, წელი მითითებული არ არის;

- მეორე, ჩვენთვის საინტერესო მინიშნება, მირიან მეფის ნადირობის კონკრეტულ თარიღს ეხება - „და იყო დღესა ერთსა, ჟამსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა :კ: (აქ: კ=20 - ს.ს.) დღესა შაბათსა, აღხდა მეფე და განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო...“ **(სალუაშვილი 2010ა: 90-91; აბულაძე 1963: 134-135).** მაშასადამე, აქ გამოკვეთილია ნადირობის დღე 20 ივლისის შაბათი; თუმცა, არც აქ არის კონკრეტული წელი მითითებული.

და აი, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით იქნა წარმართული, დადგინდა, რომ **წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობა დაწყებულა 322 წელს, რომლის პირველი თვის, ანუ მარტის 30-ე დღე, დიახაც, რომ პარასკევია.**

ამ ათვლის წერტილიდან ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევა მომხდარა ლტოლვილობის დაწყების, ანუ 322 წლის მარტიდან ათვლით „მეშვიდე“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 13; აბულაძე 1963: 84)**, ანუ - 328 წელს, რომელი წლის 20 ივლისი, დიახაც რომ შაბათი დღეა.

მაშასადამე, ქართულ წყაროებში მითითებულისა, და ჩვენს მიერ სხვადასხვა კუთხიდან ათვლით ჩატარებული კვლევის შედეგების ურთიერთთანხვედრამ, დაადასტურა წარმოებული ანალიზის საბოლოო სისწორე წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობა დაწყებულა **322 წლის 15 მარტის ხუთშაბათ დღეს, ხოლო მირიან მეფის მოქცევა, ანუ - ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მომხდარა 328 წლის 20 ივლისის შაბათ დღეს.**

თავი VI. წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებული საკითხები

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კონკრეტული თარიღის დადგენის შემდეგ, ჩვენთვის საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, საჭიროა წმ. ნინოს გარდაცვალების კონკრეტული თარიღის გარკვევა, რომელსაც, როგორც თითქმის ყველა სხვა უკვე განხილულ საკითხს, ქართულ წყაროებში დაცული ინფორ-მაციების ურთიერთ შეჯერების გზით განვიხილავთ.

ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ მირიანის მოქცევის, ანუ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო ქრისტიანობას ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში ქადაგებს - „...ხოლო დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთა ქალაქი და წარვიდა მთიულთა ხარებად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 117; აბულაძე 1963: 152).** კერძოდ, მას მოუვლია: წობენი, ჭართალი, ფხვენისი, წალკანი, ერწო, ჟალეთი კანარეთი, კუხნი და სხვა **(იხ. არსენ ბერი 1902: 40-41; სალუაშვილი 2010ა: 19-20; აბულაძე 1963: 89; ყუბანეიშვილი 1946: 229; ყაუხჩიშვილი 1955: 125).** რის შემდეგაც, წმ. ნინო ჩადის ბოდბეში, სადაც ხდება კიდეც მისი გარდაცვალება. მოდით, ჩვენი წინამდებარე თემაც წმ. ნინოს ბოდბეში ჩასვლასთან დაკავშირებული ინფორმაციების გახსენებით დავიწყოთ.

1) „რომელსა ეწოდების ბოდისი“

ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა, ამ საკითხთან დაკავშირებით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვაწვდის ცნობებს.

წმ. ნინოს უკანასკნელ განსასვენებელ ადგილას ჩასვლის თაობაზე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ რამოდენიმეგზის იუწყება. კერძოდ - „...და წარემართა და მოიწია კოხეთად, დაბას რომელსა ეწოდების ბოდისი, და ვერღარად უძლო სლვად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 20; აბულაძე 1963: 89).** მეფისადმი მიწერილ წერილში წმ. ნინო ასე აღნიშნავს - „...აჰა ესერა მე მოვლე სანახები ქართლისაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართაჲ, და აღვასრულე სახარებაჲ ჩემი... ხოლო მე ესერა მოვიწიე ქუეყანასა კუხეთისასა და დაბას ბოდისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 38-39; აბულაძე 1963: 100-101).**

მემატიანეს მიერ მოცემული კიდევ ერთი მინიშნება ასეთია - „...და ვითარცა მოვლო წმიდამან და სანატრელმან ნინო სანახები ესე ქართლისაჲ და მიიწია ქუეყანასა კუხეთისასა დაბასა, რომელსა ჰქვიან ბოდისი, დასნეულდა სნეულებითა დიდითა, რომლითაცა შეისუენა (შატბერდულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...მო-ცა-კუდა“ - ს.ს)...“ **(სალუაშვილი 2010ა: 44; აბულაძე 1963: 104).**

„ქართლის ცხოვრება“ აღნიშნულზე ასე გვაუწყებს - „...წმიდა ნინო წარემართა წარსლვად რანს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყვნა მუნ დღენი რაოდენნიმე...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 126).**

არსენ ბერისეული რედაქცია გვაუწყებს - „...მუნით მივიდა კუხეთს დაბასა, რომელსა ეწოდების ბოდისი...“ **(არსენ ბერი 1902: 41);** ხოლო XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...ხოლო ნეტარმან ნინომ იწყო ქადაგებად და თანა წარიტანა იაკობ მღდელი და დიაკონი... და მუნით მივიდა ბუდეს...“ **(ყუბანეიშვილი 1946: გვ. 209).**

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვაწვდის ცნობებს, დღევანდელი ჯვრის ეკლესიის ადგილიდან მოჭრილი ხისგან გაკეთებული სამი ჯვრის აღმართვის თაობაზე. ქართულ წყაროთა მიხედვით, ჯვრის აღმართვის ადგილები, მეფესა და ერს, სასწაულებრივად მიენიშნა - „...იხილა ყოველმან ერმან ქალაქისამან ყოველთა მათ დღეთა: აჰა, ჩამოვიდეს ჯუარი ცეცხლისა ზეცით და მისა გარემოს, მსგავსად გჳრგჳნისა ვარსკულავისათა, და დაადგრის ეკლესიასა ზედა ვიდრე განთიადმდე. და რიჟუ-რაჟუ ოდენ გამოვიდიან მისგან ორნი ვარსკვლავნი: ერთი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით; და იგი თავადი ეგრეთ ბრწყინვალედ, ნელიად-ნელიად, განვიდის მიერ კერძო არაგუსა, და დადგის ბორცუსა მას ზედა კლდისასა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 120).**

წმ. ნინოს რჩევით ვარსკვლავთა გაჩერების ადგილებში ამ მოჭრილი ხისაგან გაკეთებული თითო ჯვარი დაუმაგრებიათ. მოგვიანებით - „...აღაშენა მეფემან ერთი ეკლესიაჲ თავსა მის მთისასა, სადა ჯუარი იგი დადგის, და ერთისაჲ თხოთს, და დაასუენნეს ჯუარნი იგი: ერთი ჯუარს და ერთი თხოთს და ერთი ბოდეს...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 229).**

წმ. ნინო თხოთსა და ბოდბეში ვარსკვლავების სასწაულებრივი გაჩერების ადგილის თაობაზე ასე ბრძანებს - „...წარიხუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა იგი გაამხილა ღმერთმან ძალი მისი, და ერთი მიეც სალომეს, მხევალსა ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა, რამეთუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა წინააღუდგეს

ქალაქთა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა. ბოდის კულა დაბა თვით იხილოს სათნო იგი ადგილი ღმრთისა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 121).**

ამდენად, ზეციდან მინიშნებულის თანახმად, გამოკვეთილა თხოთის მთა, ანუ ადგილი, სადაც მირიან მეფე ქრისტეს რჯულზე მოქცეულა; თავად ამ ხის მოჭრის ადგილი, სადაც მოგვიანებით აშენებული ჯვრის ეკლესია, თითქოს მცველივით დაჰყურებს უფლის კვართის დაფვლის ადგილსა და იქვე აშენებულ სვეტიცხოველს; და მესამე დაბა ბოდბე, ანუ ადგილი, სადაც აღსრულებულა და სამუდამო განსასვენებელი დაუმკვიდრებია წმ. ნინოს.

2) წმ. ნინოს მიერ გაგზავნილი წერილი
და „დედოფალი სუჯი“

ქართულ წყაროთა მიხედვით გვეუწყება, რომ წმ. ნინო ბოდბეში ჩასვლის შემდეგ დასნეულებულა - „...ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსლვად რანს, მოქცევად ფეროზისა, და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყვნა მუნ დღენი რაოდენიმე. და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა მუნ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 126).**

დასნეულებული წმ. ნინო, იგრძნობს რა მისი ამ სოფლიდან გასვლის ჟამის მოახლოებას, წერილს წერს მცხეთაში მყოფ მეფეს - „...და ვითარცა ესრეთ სრულ ყო ქადაგებაჲ მისი ნეტარმან ნინო, და სრულ ყო ღვაწლი თჳსი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსვლაჲ მისი ჴორცთაგან და მიწერა წიგნი მეფესა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: გვ.229-230). (იხ. აგრეთვე: არსენ ბერი 1902: 41-42; სალუაშვილი 2010ა: 38; აბულაძე 1963: 100).**

აღნიშნულ წერილში წმ. ნინო ატყობინებს მეფეს თავისი დასნეულების შესახებ და სთხოვს - „...აწ ამასვე ჟამსა მოაშურევით ჩემდა წმიდაჲ ეგე მამადმთავარი და მწყემსი კეთილი სამწყსოთა სულიერთა, რათა წარმგზავნოს და მომცეს საგზალი სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მოვიდა და მოიწია ჟამი დღისა დალევნისა და მზისა ჩემისა დავსებისაჲ, რამეთუ არა თუ დღე და მზე შეიცვალებიან წესთა ზედა მათთა, არამედ მე დღესა დაუღამდები და იგი ჰგია უკუნისამდე, არამედ ყოველსა ზედა დიდებულ და კურთხეულ სახელი წმიდისა სამებისა, ამენ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 40; აბულაძე 1963: 102). (იხ. აგრეთვე ყუბანეიშვილი 1946: 230; არსენ ბერი 1902: 42)**. ქართულ წყაროთა

ერთი ნაწილის მიხედვით გვეუწყება, რომ წმ. ნინოს აღნიშნული წერილი მცხეთაში, წმ. ნინოს მიერ ქრისტიანად მოქცეულ კახეთის დედოფალს სუჯის ჩაუტანია - „...მცირედ დასნეულდა ბუნებითა ხორცთაჲთა მასვე დაბასა შინა ბოდისს, მიწერა წიგნი მეფესა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის...“ **(არსენ ბერი 1902: 41-42).**

წმ. ნინო თავის წერილში დაწვრილებით აღწერს მის მიერ დედოფალ სოჯის (სუჯი) მოქცევის ამბავს - „...და აწ ჴსენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურითა საღმრთოჲთა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთავოჲსა. და წარავლინნა მსწრაფლ სივნიეთად ძმისა და ასულისა და გუასპურაგნად სტერეონისსა. და მოიყვანნა იგინი და ნათელსიღეს ყოველთა ბოდს შინა და იცნეს ღმერთი, და ძალი მის გულისჴმაყვეს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 39; აბულაძე 1963: 101). (იხ. აგრეთვე: არსენ ბერი 1902: 43; ყუბანეიშვილი 1946: 230).**

დედოფალი სუჯი [სოჯი] გასაოცარი რწმენით ყოფილა გამორჩეული. მემატიანეს სიტყვებით წმ. ნინოს წერილით მცხეთისკენ მიმავალი სოჯი (სუჯი) დედოფალი - „...არღარა აღხდა ეტლსა ზედა არამედ ტერფნი მისნი შიშუელნი მიწასა და ქვათა ზედა მოვიდოდეს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 37; აბულაძე 1963: 99).**

სოჯი (სუჯი) დედოფლის დიდ რწმენაზე მეტყველებს ქართულ წყაროებში დაცული ასეთი ცნობა. წმ. ნინოს წერილით ფეხით მომავალი დედოფალი, ადიდებულ არაგვზე სასწაულებრივად გადასულა - „...და მოიწია მდინარესა ზედა არაგუსა და მდიდროოდა მდინარე იყო ფრიად. და უკუნ იქცეოდეს მსახურნი იგი მისნი ყოველნი მართლუკუნ... ხოლო მან, სარწმუნომან დედოფალმან ილოცა ღმრთისა მიმართ და აღხდა ერთსა სახედარსა და შევიდა წყალსა მას, და გაზღუდნა იმიერ და ამიერ ვითარცა ზღუდე, და განვიდა უვნებელად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 37; აბულაძე 1963: 99-100). (იხ. აგრევე: არსენ ბერი 1902: 43; ყუბანეიშვილი 1946: 230; ნიკოლოზნ I კათალიკოსი 1908: 105-106).**

3) წმ. ნინოს დასნეულების წლის თაობაზე

ქართული წყაროების თანახმად ბოდბეში მყოფ წმ. ნინოს სხვა მრავალთა შორის, გუასპურაგანის (ასპურაგანის) მთავარიც მოუქცევია. მის შესახებ ოდნავ სახეცვლილი ტერმინებით გვეუწყება: „...გუასპურაგნად სტერეონისსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 39; აბულაძე 1963: 101);** „ასპურაგანად ასტერეონ მთავრისა“ **(არსენ ბერი 1902: 43);**

„ასტერეონ მთავარსა“ **(ყუბანეიშვილი 1946: 230).** „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იმასაც გვაუწყებს, თუ რა საუბარი შედგა მასსა და აბიათარ მღვდელს შორის.

საუბრის გაგრძელებამდე, თავად აბიათარ მღვდელზე გავიხსენოთ ზოგიერთი ინფორმაცია. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და პოვა ჰურია ერთი მღდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი... და ფარულად იყვნეს მოწაფე მისი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 95);**

მირიან მეფესთან საუბრისას აბიათარ მღვდელი ამბობს - „...აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუეყანასა ამას წმიდაჲ ესე და საკვირველი დედაკაცი ნინო და განვიცადენ მოღუაწებანი მისნი მრავალჟამეულნი მაყუალთა მათ შორის... იქმნა მოწაფე მისსა პირველად ასული ჩემი და შემდგომად მე და ყოველი ნათესავი ჩემნი სწავლითა მისთა შედგომილ ვართ...“ **(არსენ ბერი 1902: 37).**

წმ. ნინოს წერილის მცხეთაში წამღებ სუჯი დედოფალს, თან ახლავს ნინოს მიერ მოქცეული გუასპურაგანის მთავარი, რომელიც გადაწყვეტს გაესაუბროს ქრისტიანად მოქცეულ ებრაელ აბიათარს - „...მაშინ მოუწოდა აბიათარს ასტირონ მთავარმან გუასპუ-რაგნელმან ფარულად და ჰრქუა: „მაუწყე, საყუარელო, შენ არა ჰურიათა მღდელი იყავ წილით ხუედრებული მკჳდრი... ხოლო აწ ესერა შენ გხედავ, შენ და ასულსა შენსა, რამეთუ ყოველივე დაგიტევებიეს... და უფროჲს ყოველთასა ხარ შენ მოსწრაფე, ქრისტეს მსახურებისა ქადაგ აწუევ, ასწავებ და მნებავს სმენად ძალი სიტყუათა შენთაჲ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 41-42; აბულაძე 1963: 102-103).** და აი, ასტირიონის პასუხად აბიათარ მღდელის მიერ ნათქვამ სიტყვებში ჩვენთვის უაღრესად საინტერესო მინიშნებაა მოცემული.

აბიათარ მღვდელი პირდაპირ აფიქსირებს აღნიშნული საუბრის გამართვის წელს - „...დღესითგან ქრისტესამდე არიან წელნი **სამას ოცდათოთხმეტ...“ (სალუაშვილი 2010ა: 43; აბულაძე 1963: 103-104).** მაშასადამე, უცნობი ქართველი მემატიანე აბიათარ მღვდელის პირით გვაუწყებს, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მოხდენის დროს.

ქართული წყაროების მიხედვით არსად ჩანს, თუ როდის ჩავიდა წმინდა ნინო ბოდბეში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციაში დაცული ზემოთდამოწმებუ-ლი ინფორმაციის თანახმად, ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმ. ნინო, როგორც მინიმუმ, მირიან მეფესთან წერილის გამოგზავნის დროისათვის ანუ სუჯი დედოფლის მიერ მცხეთაში ჩასვლისას, ანუ ასტერეონ მთავარსა და აბიათარ მღვდელს

შორის შემდგარი საუბრისას, ანუ **„სამას ოცდათოთხმეტ წლისათვის“,** უკვე დასნეულებულია.

მაშასადამე, ყოველი ზემოთქმულის თანახმად, ბოდბეში მყოფი წმ. ნინო თავისი ცხოვრების 30-ე, ანუ 334 წელს უკვე დასნეულებული ჩანს.

4) მცხეთიდან ბოდბეში ჩასულთა თაობაზე

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან ვგებულობთ, რომ ქართლის სამეფოს გამაქრისტიანებლის ავადმყოფობას დიდად შეუწუხებია სამეფო კარი. **„ქართლის ცხოვრებაში“** ვკითხულობთ - „...ხოლო წმიდა ნინო... მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყვნა მუნ დღენი რაოდენნიმე... მაშინ დასნეულდა მუნ; და ვითარცა ცნა რევ, ძემან მეფისამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხორებდეს უჯარმას, მოვიდეს ნინოსა და აცნობეს მეფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიავლინეს ეპისკოპოსი იოვანე წარმოყვანებად წმიდისა ნინოსსა, ხოლო წმიდა ნინო არა ერჩდა. მაშინ წარვიდა თჳთ მეფე და სიმრავლე ერისაჲ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 128). (იხ. სალუაშვილი 2010ა: 20-22; აბულაძე 1963: 89-91).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წყაროები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან.

არსენ ბერისეულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...მაშინ გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოჲსა და წარიკითხა მეფემან და ფრიადითა ცრემლთა დაალტო იგი. და აღდგა და წარემართა და მის თანა მთავარეპისკოპოსი იოანე და დედოფალი ნანა და ყოველნი მთავარნი მათნი და სიმრავლე ერისაჲ..“ **(არსენ ბერი 1902: 44).**

XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია, მხოლოდ შემდეგი მინიშნებით შემოიფარგლება - „...გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოჲსი და მისცა მეფესა. და წარიკითხა რაჲ იგი მეფემან აღივსო ცრემლითა და აღდგა და თანაწარიტანა მთავარეპისკოპოსი და დედოფალიცა ნანა...“ **(ყუბანეიშვილი 1946: 230).**

ქართულ წყაროთა ერთი ნაწილი გვაუწყებს, რომ მცხეთიდან ბოდბეში ჩასულები, დასნეულებულ ნინოს კრძალვით შესთხოვენ მოუყვეს მათ თავისი თავგადასავალი - „...ეტყოდეს დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჯავრი სივნიელი; და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: ვინაჲ ანუ ვითარ მოხუედ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო?

მაუწყე ჩუენ საქმჱ შენი, რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჳსნელო, სანატრელო...“ **(სალუაშვილი 2010ა: 45; აბულაძე 1963: 105).**

ქართულ წყაროებში არსად ჩანს, თუ რა დრო დასჭირვებია წმ. ნინოს მონათხრობის გადმოცემა-ჩაწერას. ლეონტი მროველი ასე ბრძანებს - „...მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჟარმელმან და პეროჟავრი სივნიელმან: იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს. და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება მის წმიდისა და ნეტარისა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 127).**

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ვნახეთ წმ. ნინოს დასნეულების სავარაუდო წელი, აბიათარ მღვდელის მიერ ნაუწყების მიხედვით **334 წელია.** სწორედ ამავე წელს ჩადიან მცხეთიდან წასული სამეფო ოჯახის წევრები ბოდბეში, სადაც სთხოვენ კიდეც მას განვლილი ცხოვრების გზის აღწერას.

ბუნებრივია, დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელია იმის განსაზღვრა ამ თხოვ-ნიდან მოყოლებული დროის რა მონაკვეთი დასჭირდა წმ. ნინოს მონათხრობის და-ფიქსირებას; ან რა დროა გასული ამ ჩანაწერის დასრულებიდან წმ. ნინოს გარდა-ცვალებამდე. თუმცა, ფაქტი ერთია - 334 წელს დასნეულებული წმინდა ნინო, ქართული წყაროების თანახმად 338 წელს გარდაცვლილა. მაშასადამე, თავისი თავგადასავალის თაობაზე თხრობის დაწყებიდან მთელი ოთხი წლის შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოდით, წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაზე გადავიდეთ.

5) წმ. ნინოს გარდაცვალების წლის თაობაზე

ნიკოლოზ I კათალიკოზის გარდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა დანარჩენი რედაქცია იუწყება წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაციები არა თუ განსხვავდება ერთმანეთისგან, არამედ, ერთი შეხედვით, აშკარად ურთიერთ-საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხით დაინტერესებული ისტორიკოსებისთვის დღემდე გადაულახავად მიჩნეული წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი თარიღების საკითხი წარმატებითაა გადაჭრილი. მოდით მივყვეთ თანამიმდევრულად.

ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაციები, რამოდენიმე პირობით ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ; რომელთა განხილვამდეც, მოდით, ჯერ თავად მათ მიერ მოწვდილი ინფორმაციები გავიხსენოთ:

- ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული, ჭელიშური და სინური რედაქციები, აღნიშნულ საკითხს ერთმანეთისგან „ოდნავ“ განსხვავებული სახით გადმოგვცემენ:

1) „...და შეჰვედრა სული თჳსი ხელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან **მეათხუთმეტესა წელსა** და ქრისტეს აღმაღლებითგან ტლΘ (აქ: ტ=300, ლ=30, Θ=8, ანუ 338 წ. - ს.ს.)...“ **(სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90 - შატბერდული რედაქცია);**

2) „და მიიძინა ძილი იგი სანატრელი (და აწ მეოხ არს ჩუენთვის წინაშე ღმრთისა) ქართლის მოსლვითგან მისით **ოც და მეათხუთმეტესა წელსა** და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოც და ათურამეტსა წელსა, დასაბამითგან ხუთი ათას რვაას ოცდა მეათურამეტსა წელსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90 -ჭელიშური რედაქცია). (იხ. აგრეთვე: ალექსიძე 2007: 16, SIN-48 რედაქცია);**

- „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და შევედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით **მეთოთხმეტესა წელსა,** ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ოცდათურამეტსა..“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 127);**

- არსენ ბერისეული რედაქცია გვაუწყებს - „...და ფრიადთა შრომათა და ღუაწლთა მიერ განკაფული, სოფლისა ამისგან სუფევად საუკუნოდ აღვიდა **ოც-და-მეათხუთმეტსა წელსა** ქართლსა შემოსვლისა მისისასა, ხოლო დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას რვაას ორმოც-და-მეათხუთმეტესა (5855 წ)...“ **(არსენ ბერი 1902: 44-45).** ანალოგიური ინფორმაციაა დაცული XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციაშიც (იხ. 90, გვ.231);

- XVIII ს-ის სვინაქსარულ რედაქციაში ვკითხულობთ - „...ხოლო მოსვლითგან სიკვდილამდე დაყო წელი **ი-დ**...“ **(აბულაძე 1968: 355).** (აქ: ი=10, დ=4, ანუ - **14 წ.).**

როგორც ვხედავთ თარიღების თვალსაზრისით აშკარად მრავალფეროვნებაა, თუმცა მათი ერთგვარი დაჯგუფება მაინც ხერხდება. თავიდანვე ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში „დასაბამითგანის“ წელთაღრიცხვისეულ მონაცემებს ჩვენს წინამდებარე განხილვაში არ შევეხებით. თუმცა ფაქტია, რომ ქართულ წყაროთა ერთი ნაწილი, როგორც ვნახეთ „დააბამითგან“ – 5838 **(სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90; ყაუხჩიშვილი 1955:**

127; ალექსიძე 2007: 160) , ან - 5855 (**არსენ ბერი 1902: 44; ყუბანეიშვილი 1946: 231**) წლებს უთითებენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოებული მსჯელობა, ქართულ წყაროებში დაცული წმ. ნინოს გარდაცვალების წლით გვინდა დავიწყოთ.

როგორც ვნახეთ წყაროთა ერთი ნაწილი წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღთან მიმართებაში გვაუწყებს - „...შევედრა სული თჳსი... ქრისტეს ამაღლებითგან **სამას ოცდათურამეტსა წელსა...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 127). (იხ.სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90; ალექსიძე 2007: 16).**

როგორც არაერთგზის ითქვა - „...ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა და კ. ცინცაძემ... აღნიშნეს, რომ... ყველგან სადაც წელთაღრიცხვას „ქრისტეს ამაღლებიდან“ იწყებენ, უნდა ვიგულისხმოთ, „ქრისტეს დაბადებიდან“...“ **(ლომოური 1975: 71).** აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად მიჩნეულია, რომ **წმ. ნინო ჩვ.წ. 338 წელსაა გარდაცვლილი.**

ქართულ წყაროთა ერთი ნაწილი წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ათვლის წერტილად: მისი ქართლში შემოსვლიდან გარდაცვალებამდე გასულ დროით მონაკვეთს იღებს. ამ კუთხით, წყაროებში დაცული ინფორმაციები სამ პირობით ჯგუფს ქმნიან. განვიხილოთ სამივე მათგანი.

ა) „მეთოთხმეტესა წელსა“

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და შევედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა ქართლად მოსლვითგან მისით **მეთოთხმეტესა წელსა...” (ყაუხჩიშვილი 1955: 227).** დროის ამავე მონაკვეთს უთითებს XVIII ს-ის სვინაქსარული „ცხოვრება“ – „...ხოლო მოსვლითგან სიკუდილამდე დაყო წელი **ი-დ...“ (აბულაძე 1968: 355).** აქ მითითებულში: ი=10, ხოლო დ=4 ე. ი. **14 წელზეა** მინიშნება.

როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წმ. ნინო ქართლის სამეფოში შემოსულა **323 წლის 28 ივნისს,** მის მიერ კერპების მსხვრევა მომხდარა 323 წლის 6 აგვისტოს. საიდანაც მოყოლებული 12 აგვისტომდე გასული ექვსი დღე მას ლოცვაში გაუტარებია. აქედან ათვლით მესამე დღეს წმ. ნინო

მოდის მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილზე ამოსულ ხესთან და ამ ბაღის მცველის ანასტოსის ოჯახში 9 თვეს რჩება, რაც **324 წლის 15 მაისზე** მოდის.

ზემოთმითითებულ წყაროებში დაფიქსირებული 14 წლიანი მონაკვეთის ათვლა, ჩვენის აზრით, სწორედ 324 წლის 15 მაისიდან გასულ დროით მონაკვეთზე უნდა გვანიშნებდეს: 325(1) – 326(2) - 327(3) - 328(4) - 329(5) - 330(6) - 331(7) - 332(8) - 333(9) - 334(10) - 335(11) - 336(12) - 337(13) -338(14).

მაშასადამე, 324 წლის 15 მაისიდან ათვლით, 13 წელი შესრულდა 337 წლის 15 მაისს, საიდანაც ათვლა დაიწყო მე-14 წელმა.

ამდენად, თუ ჩავთვლით, რომ მემატიანეთა მიერ მინიშნებული წმ. ნინოს „ქართ-ლად მოსლვითგან“ დროითი ათვლა, მის მიერ უფლის კვართის დაფვლის ადგილას 9 თვიანი მონაკვეთის გასვლის, ანუ 324 წლის 15 მაისიდან იწყება, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ წყაროებში მითითებული მე-14 წელზე მინიშნებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კელევის შედეგების თანახმად წმ. ნინო გარდაცვლილა 337 წლის 15 მაისიდან დაწყებულ: მე-14 წელს; და რადგანაც, მისი გარდაცვალების თარიღად ქართულ წყაროებში 338 წელია მინიშნებული, მაშასადამე, წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წლის 15 მაისამდე, ანუ ვიდრე მე-14 წელი ამოიწურებოდეს.

ბ) „მეათხუთმეტესა წელსა“

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქცია გვაუწყებს - „...და შეჰვედრა სული თჳსი ხელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან **მეათხუთმეტესა წელსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90).**

როგორც აღინიშნა, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, წმ. ნინო ქართლის სამეფოში **323 წლის 28 ივნისს** შემოდის. შატბერდული რედაქციის **„მეათხუთმეტსა წელსა“-ს ათვლა, ჩვენის აზრით, სწორედ 323 წლის 28 ივნისიდან ათვლილ დროს უნდა გულისხმობდეს:** 324(1) - 325(2) - 326(3) - 327(4) - 328(5) - 329(6) - 330(7) - 331(8) -332(9) - 333(10) - 334(11) - 335(12) - 336(13) - 337(14) - 338(15).

მაშასადამე 323 წლის 28 ივნისიდან ათვლით, 14 წელი შესრულდა 337 წლის 28 ივნისს, საიდანაც ათვლა დაიწყო მე-15 წელმა, რომელიც 338 წლის 28 ივნისს მთავრდება.

ამდენად, შატბერდული რედაქციისეული მინიშნებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, წმ. ნინო გარდაცვლილა 337 წლის 28 ივნისიდან ათვლით აღებულ მე-15 წელს, და რადგანაც, მისი გარდაცვალების თარიღად ქართულ წყაროებში 338 წ. მინიშნებული, მაშასადამე, წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წლის 28 ივნისამდე, ანუ ვიდრე მე-15 წლის გასრულებამდე.

გ) „ოც და მეათხუთმეტესა წელს“

ქართულ წყაროთა ერთი ჯგუფის თანახმად, წმ. ნინომ - „...მიიძინა ძილი იგი სანატრელი... ქართლს მოსლვითგან მისით **ოც და მეათხუთმეტესა წელსა...“ (სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90 - ჭელიშური რედაქცია).** ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდიან: არსენ ბერისეული **(არსენ ბერი 1902: 44-45),** XIII ს-ის მეტაფრასული **(ყუბანეიშვილი 1946: 231)** და ე. წ. SIN-48-ის **(ალექსიძე 2007: 16)** რედაქციები.

როგორც ვნახეთ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ **წმ. ნინო ერთ-ერთი ვერსიით 304 წელს უნდა იყოს დაბადებული** (იხილე ზემოთ განხილული). სამწუხაროდ, წყაროებში დაცული ინფორმაციები არაფერს გვაუწყებენ წმ. ნინოს დაბადების თვისა და რიცხვის თაობაზე.

შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ **ჩვენს მიერ მიღებული, წმ. ნინოს დაბადების 304 წლიდან ათვლით (304, 305... 337, 338) 338 წელი წმ. ნინოსათვის ერთდროულად არის დაბადებიდან 34 წლის შესრულებისა და მისი ცხოვრების 35-ე წლის დაწყების დროითი მონაკვეთი.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდის ალბათობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ წყაროებში მითითებული: 35-ე წელი, არა წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან გასულ დროს, არამედ მისი ცხოვრების 35-ე წელზე უნდა გვანიშნებდეს. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წელს, ანუ მისი 304 წლის დაბადების თარიღიდან ათვლით, თავისი ცხოვრების 35-ე წელს.

6) წმ. ნინოს გარდაცვალების
კონკრეტული თარიღის თაობაზე

წმ. ნინოს გარდაცვალების წელზე საუბრის შემდეგ, მოდით შევეცადოთ, განვსაზღვროთ წმ. ნინოს გარდაცვალების თვე და რიცხვი. უპირველეს ყოვლისა, მოდით გავიხსენოთ ქართულ წყაროებში დაცული ის ინფორმაციები, რომლებიც წმ. ნინოს გარდაცვალების აღწერას ეხება.

არსენ ბერისეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქციებიდან გვეუწყება, რომ მირიან მეფე თავდაპირველად გადაწყვეტს მცხეთაში გადაასვენოს წმ. ნინოს ცხედარი, თუმცა, მიზეზთა გამო, მას თავისი განზრახვა შეუცვლია და წმ. ნინო ბოდბეშივე დაუკრძალია - „...მაშინ შეკრბეს მეფენი და ყოველნი მთავარნი მათნი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი, და ურიცხჳ სიმრავლე ერისაჲ... და განიზრახა მეფემან მთავარეპისკოპოსისა და მთავართა მისთა თანა, რათა წმიდაჲ გუამი მისი აღმოიყვანოს მის მიერ აღშენებულსა წმიდასა მას ტაძარსა და მახლობელად სუეტისა ცხოველისა დაჰკრძალოს. და ეჰა სასწაული დიდებული, რამეთუ ყოველთა ჴელნი უქმ იქმნებოდეს და ყოვლადვე ვერ უძლეს შეძვრად სიმრავლემან მან ერისამან, ვიდრემდის მასვე ადგილსა დაბასა ბოდისს, სადა იგი აღესრულა, მუნ დაჰკრძალეს ფრიადითა პატივითა და დიდებითა. და აღაშენა ლუსკუმასა მისსა მეფემან ტაძარი დიდი შუენიერი და განაჩინა საებისკოპოსოდ...“ **(არსენ ბერი 1902: 45). (იხ. აგრეთვე: ყუბანეიშვილი 1946: 231).**

ჩვენთვის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მოდით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რამოდენიმე მინიშნება განვიხილოთ. როგორც ვიცით, შატბერდული და ჭელიშური რედაქციები წმ. ნინოს გარდაცვალების წლად 338 წელს ასახელებენ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90).** მათ შორის არსებული განსხვავებები მხოლოდ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან მის გარდაცვალებამდე გასულ დროსთან მიმართებაში ფიქსირდება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩვენს მიერ დადგენილი წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის, ანუ 323 წლის 28 ივნისიდან ათვლით, 14 წელი 337 წლის 28 ივნისს გადის, საიდანაც ათვლას იწყებს შატბერდულ კრებულში მითითებული დროითი მიჯნა - „ქართლად მოსვლითგან მეათხუთმეტესა წელსა“ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 21; აბულაძე 1963: 90).**

მაშასადამე, **წმ. ნინო გარდაცვალებული უნდა იყოს 337 წლის 28 ივნისიდან ათვლით, ვიდრე 338 წლის 28 ივნისამდე მიმდინარე: მე-15 წლის რომელიღაც კონკრეტულ თვესა და რიცხვში.**

ჩვენის აზრით, ამ მხრივ, მეტად საინტერესო მინიშნებას ვხვდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცულ ე. წ. „მირიანის წიგნში“, სათაურით - „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ჟამსა სიკუდილისასა მისისასა“ **(სალუაშვილი 2010ა: 122-129; აბულაძე 1963: 157-162).**

წმ. ნინოს გარდაცვალების თაობაზე საუბრისას, „მირიანის წიგნში“, ასეთი მინიშ-ნებაა მოცემული - „...აჰა ესერა მოიწია მსწრაფლი მწუხარებაჲ და გლოვაჲ ფრიადი ჩუენ ზედა და ყოველსა ერსა ქართლისასა, რამეთუ ობოლ ვიქმნენით დედისა განმანათლე-ბელისა ჩუენისაგან... და შევძრწუნდი მე და ყოველი ქუეყანაჲ ჩრდილოჲ განშორებისა მისისათჳს, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მზე და მოფენილი იყო ნათელი. აჰა დაფარა ღრუბელმან **ზამთრისამან** ჩუენგან...“ **(სალუაშვილი 2010ა: 127; აბულაძე 1963: 160-161, ჭელიშური რედაქცია)**.

მაშასადამე, თამამად შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მირიან მეფის მიერ მზესთან შედარებული წმ. ნინოს გარდაცვალებაზე ნათქვამით - „აჰა დაფარა ღრუ-ბელმან **ზამთრისამან** ჩუენგან“-ო, უნდა მიგვენიშნებოდეს წელიწადის ის კონკრეტული დრო, როდესაც გარდაცვლილა წმ. ნინო, ანუ **„ღრუბელმან ზამთრისამან“, ჩვენის აზრით, გამოკვეთავს მინიშნებულ: 337-338 წლის ზამთარს.**

„მირიანის წიგნში“ იქვე, ასეთი ინფორმაციაა დაცული - „...ხოლო მე განვიზრახე წმიდაჲ იგი გუამი მისი რაჲთამცა წარმოვიღე გულს-მოდგინებითა დიდითა აქა, წინაშე სუეტსა ნათლით შემოსილსა, და არა ვპოვე ღონე ყოლადვე, რამეთუ ვერ განძრეს **ორასთა** კაცთა მცირე იგი ცხედარი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 127-128; აბულაძე 1963: 161).**

ჩვენის აზრით, აქ დაფიქსირებული **„ორასთა“,** კონკრეტული დროითი მიჯნის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

როგორც ითქვა, ჩვენი კვლევის თანახმად, წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან, ანუ 323 წლის 28 ივნისიდან ათვლით, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაფიქსირებული მე-15 წელი, თავის ათვლას **337 წლის 28 ივნისიდან** იღებს.

337 წლის 28 ივნისიდან მოყოლებული (29, 30...) ზემოთმითითებული „მეორასე“ დღე, უწევს 338 წლის 14 იანვრის შაბათ დღეზე (კალანდაძე 1973: 2-3).

ამდენად, ჩვენის აზრით, სრული უფლება გვაქვს, დავასკვნათ, რომ ზემოთწარმოდ-გენილი კვლევის თანახმად, **წმ. ნინო დიახაც, რომ გარდაცვლილა მისი ქართლში შემოსვლიდან, ანუ 323 წლის 28 ივნისიდან ათვლით მე-15 წლის, ანუ 337-338 წლის ზამთარში, კონკრეტულად კი 337 წლის 28 ივნისიდან ათვლით მეორასე დღეს 338 წლის 14 იანვრის შაბათ დღეს.**

- და ბოლოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 304 წელს დაბადებული წმ. ნინოს ცხოვრების 35-ე წელი 338 წლის 1 იანვრიდან იწყება, ხოლო მისი გარდაცვალება კი ამავე წლის 14 იანვარს მომხდარა, მაშინ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **წმ.ნინოს დაბადების დღე 1-13 იანვარს შორის დროის მონაკვეთშია.**

მაშასადამე, წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს: 304 წლის 1-13 იანვარს შორის არსებულ რომელიღაც კონკრეტულ დღეს, საიდანაც ათვლით 34 წელი შესრულებია 338 წლის 1-13 იანვარს შორის არსებულ დროით მიჯნაში, ხოლო აღსრულებულა მისი ცხოვრების 35-ე წელს, ანუ 338 წლის 14 იანვარს.

„მირიანის წიგნში“ იქვე ვკითხულობთ - „...მაშინ მესამესა დღესა ძლით სამე დავმარხეთ ყოვლადვე ღუაწლით შემოსილი გუამი მისი დიდითა პატივითა და დიდებითა ბოდს შინა, დაბასა კოხეთისასა. და ვიგლოვე საფლავსა ზედა წმიდასა მისსა :ზ: (აქ: ზ=7 - ს.ს.) დღე (შატბერდულ კრებულში კი ვკითხულობთ - „ოც და ათ დღე“-ს.ს.) სამეფოჲთა ჩემითურთ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 128; აბულაძე 1963: 161).**

მაშასადამე, წმ. ნინო დაუკრძალიათ, გარდაცვალებიდან მესამე დღეს, რაც ზემოთმიღებული ათვლის თანახმად 338 წლის 17 იანვრის სამშაბათ დღეზე მოდის; იგი უგლოვიათ: ჭელიშური რედაქციის თანახმად 7 დღე, ანუ 338 წლის 23 იანვრის ორშაბათ დღემდე; ხოლო შატბერდული რედაქციის თანახმად - 30 დღე, ანუ 338 წლის 15 თებერვლის ოთხშაბათ დღემდე **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 128; აბულაძე 1963: 161).**

ჩვენი წინამდებარე თხრობა კი „ქართლის ცხოვრების“ ასეთი მინიშნებით გვინდა დავასრულოთ - „...მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსსა. მუნ მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფლვა მეფისაგან, შეხედვებითა ღმრთისათა. სიმდაბლისათჳს ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ

დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძის მისისა აღსრულებისათჳს დაფლეს მუნ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 128).**

7) დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ წერილის აღნიშნულ მონაკვეთში ნათქვამი:

- წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს 304 წლის 1-13 იანვარს შორის არსებულ რომელიღაც კოკნრეტულ დღეს;

- ქართული წყაროების მიხედვით გვეუწყება, რომ ბოდბეში მყოფი წმ. ნინო დასნეულებულა: თავისი ცხოვრების 30-ე, ანუ 334 წელს;

- ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღად 338 წელია მიჩნეული;

- ქართულ წყაროთა ერთ ნაწილის თანახმად, წმ. ნინო აღსრულებულა „ქართლად მოსვლითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა“. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აღნიშნული დროითი მინიშნების ათვლის წერტილად 324 წლის 15 მაისი გამოიკვეთა. შესაბამისად, რადგანაც მისი გარდაცვალების თარიღად ქართულ წყაროებში 338 წელია მინიშნებული, მაშასადამე, წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წელს, ოღონდ 15 მაისამდე, ანუ ვიდრე მე-14 წელი ამოიწურებოდეს;

- ქართულ წყაროთა მეორე ნაწილის თანახმად წმ. ნინო გარდაიცვალა: „ქართლად მოსვლითგან მეთხუთმეტესა წელსა“. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აღნიშნული დროითი მინიშნების ათვლის წერტილად, წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის 323 წლის 28 ივნისი უნდა მივიჩნიოთ; რადგანაც მისი გარდაცვალების თარიღად ქართულ წყაროებში 338 წელია მინიშნებული, მაშასადამე, წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წლის 28 ივნისამდე, ანუ ვიდრე მე-15 წლის შესრულებამდე;

- „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა ერთი ჯგუფის თანახმად წმ. ნინო გარდაცვლილა - „ქართლს მოსლვითგან მისით ოც და მეათხუთმეტესა წელსა“. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად. წმ. ნინო დაბადებულა 304 წლის 1-13 იანვარს შორის არსებულ რომელიღაც კონკრეტულ დღეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მითითებული: 35-ე წელი, არა წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან გასულ დროს, არამედ მისი ცხოვრების 35-ე წელზე უნდა გვანიშნებდეს. ამდენად, აღნიშნულის გათვალის-

წინებით წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წელს, ანუ 304 წლის დაბადების თარიღიდან ათვლით, თავისი ცხოვრების 35-ე წელს;

- „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ. წმ. ნინო გარდაცვლილა 338 წლის 14 იანვრის შაბათ დღეს; იგი დაუკრძალიათ მე-3 დღეს, ანუ 338 წლის 17 იანვრის სამშაბათ დღეს; ჭელიშური რედაქციის თანახმად წმ. ნინო უგლოვიათ შვიდი დღის მანძილზე, ანუ 338 წლის 23 იანვრის ორშაბათ დღემდე, ხოლო შატბერდულ რედაქციაში დაცული გლოვის 30-ე დღე - 338 წლის 15 თებერვლის ოთხშაბათ დღეზე მოდის.

თავი VII. ზოგიერთი ისტორიული მოვლენის დათარიღების საკითხები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, როგორც ვნახეთ, გამოიკვეთა წმ. ნინოს ლტოლვილობის დაწყების, მისი საქართველოში შემოსვლისა და ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კონკრეტული წლები; რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, ამ წლებთან დაკავშირებული, საქართველოში მომხდარი ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის კონკრეტული თარიღის დადგენისა. მოდით მივყვეთ მათ თანამიმდევრულ განხილვას.

1) რევისა და მირიანის გარდაცვალების თარიღის თაობაზე

წინამდებარე საკითხში გარკვევისათვის ძირითადად „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ინფორმაციებს დავეყრდნობით.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდა-ხუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომელისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა... და მასვე წელიწადსა დასნეულთა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 129).**

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გვეუწყება, რომ რევი და მირიანი ერთსა-დაიმავე წელს გარდაცვლილან, და რომ, ეს - „მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდა-ხუთესა წელსა“ მომხდარა.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა მირიანის მოქცევა 328 წლის 20 ივლისის შაბათ დღეს მომხდარა. აქედან ათვლით საძიებელი „მეოცდა-ხუთესა წელსა“, 352 წლის 20 ივლისიდან იღებს სათავეს და 353 წლის 20 ივლისს სრულდება.

ამდენად, ჯერ რევის, ხოლო შემდეგ მირიან მეფის გარდაცვალება, 328 წლის 20 ივლისიდან ათვლით 352 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 353 წლის 20 ივლისამდე მიმდინარე 25-ე წელს მომხდარა.

„ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ხელნაწერში: 25-ე წლის ნაცვლად - „მეოცდაექუსესა“ წელია მითითებული **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 129).**

როგორც ვნახეთ „მეოცდახუთესა“ წელი 353 წლის 20 ივლისს მთავრდება. თავის მხრივ 328 წლიდან ათვლით (328, 329...351, 353), ზოგადად 353 წელი, რიგით - ოცდამეექვსეა. მაშასადამე, ჯერ რევი, ხოლო შემდეგ მირიანი გარდაცვლილან: 353, ანუ „მეოცდაექუსესა“ წელს, ოღონდაც 353 წლის 20 ივლისამდე მომდინარე „მეოცდა-ხუთესა“ წლამდე.

2) „ეკლესიასა ზემოსას“ აშენების თარიღი

მოდით ვნახოთ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რა ინფორმაციებს გვაწვდის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მასში ვკითხულობთ - „...და წარვიდა მეფე მირიან და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ეკლესიასა ზემოსა. და განასრულეს მეოცესა წელსა და მეოც-დაერთესა წელსა მოკუდა მირიან მეფე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91, ჭელიშური რედაქცია). (იხ. ალექსიძე 2007: 16)**.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ტერმინით „ეკლესიაჲ ქუემოჲ“ დღევანდელი სვეტიცხოველის ტაძარია ნაგულისხმევი, ხოლო ტერმინი „ეკლესია ზემოსა“, დღევანდელი სამთავროს ეკლესიას გულისხმობს. მეორეს მხრივ, ეს უკანასკნელი ქართულ წყაროებში „გარეუბნის ეკლესიადაც“ მოიხსენიება - „...და იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა..“ **(სალუაშვილი 2010ა: 16; აბულაძე 1963: 87).**

ზემოთდამოწმებული ცნობის თანახმად გვეუწყება, რომ „ზემო“ ანუ „გარეუბნის ეკლესიის“ მშენებლობა, დაწყებიდან „მეოცესა წელსა“ დამთავრებულა, ხოლო „მეოცდაერთესა წელსა“ მომხდარა მირიანის გარდაცვალება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთქმულის თანახმად, მირიან მეფე გარდაცვლილა მისი მოქცევიდან „მეოცდახუთესა“ წელსა, რომელიც 352 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 353 წლის 20 ივლისამდე დროის მონაკვეთზე მოდის, მაშინ ამ თარიღიდან 21 წლის უკუათვლით შესაძლებლობა გვეძლევა ზემორე ეკლესიის მშენებლობის დაწყების კონკრეტული თარიღი განვსაზღვროთ.

ამდენად, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით (352-353 წ.წ. გამოკლებული 21 წელი), **ზემორე, იგივე გარეუბნის, ანუ დღევანდელი სამთავროს ეკლესიის მშენებლობა**

331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე არსებულ დროის მონაკვეთშია დაწყებული.

განხილულ საკითხთან მიმართებაში, შატბერდული და ჭელიშური რედაქციები ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს გვაწვდიან. ჭელიშურ რედაქ-ციაში დაცული ცნობის განხილვის შემდეგ, მოდით შატბერდულ რედაქციაში არსებულ ინფორმაციას გავეცნოთ - „...და წარვიდა მირიან მეფეჲ და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა და განიშორეს მეოთხესა წელსა. და მოკუდა მირიან მეფეჲ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91, შატბერდული რედაქცია).**

ჩვენის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინფორმაციაა მოცემული. დიახ, ფრაზა „და მოკუდა მირიან მეფეჲ“, სულაც არ უკავშირდება მის წინ დაფიქსირებულ ინფორმაციას.

წარმოდგენილ წინადადებაში - „და წარვიდა მირიან მეფეჲ და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა და განიშორეს მეოთხესა წელსა“, ჩვენის აზრით, მითითებული ეკლესიის მშენებლობის დაწყების თარიღზე უნდა იყოს მინიშნება. ფრაზა - „და განიშორეს მეოთხესა წელსა“, უნდა მიგვითითებდეს რაღაც მოვლენიდან ათვლით მეოთხე წელზე. წარმოდგენილი დროის ათვლა, ჩვენის აზრით, მირიან მეფის მოქცევიდან, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან უნდა იღებდეს სათავეს. კერძოდ: მირიან მეფის მოქცევიდან პირველი წელი 329 წლის 20 ივლისზე, მეორე წელი 330 წლის 20 ივლისზე მოდის. 331 წლის 20 ივლისს დასრულებული მესამე წლიდან კი, იწყება კიდეც - მეოთხე, ანუ ჩვენთვის საძიებელი წლის ათვლა.

მაშასადამე, შატბერდული რედაქციის მინიშნების თანახმად, შეფარულად გვეუწყება, რომ „ზემოსა ეკლესიისა“ მშენებლობა დაწყებულა, მირიან მეფის მოქცევიდან, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან ათვლით: 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე მიმდინარე მეოთხე წლის დროის მონაკვეთში.

ამდენად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე რედაქციის თანახმად ვგებულობთ, რომ ჩვენთვის საძიებელი **ზემორე ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა, ერთის მხრივ მირიან მეფის მოქცევიდან მეოთხე წელს (შატბერდული), ხოლო მეორეს მხრივ მირიან მეფის გარდაცვალებამდე 21 წლით ადრე (ჭელიშური), რაც ორივე ათვლით, როგორც ვნახეთ 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე არსებულ დროის მონაკვეთზე მოდის.**

3) ჯვრის აღმართვისა და წმ. ნინოს მთიელთა გასანათლავად წასვლის თარიღი

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ რევთან მიმართებაში ასეთ ინფორმაციას გვაწვდის - „...და ოც და მესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბოჲ რევ. და შეიქმნა საფლავი ქვემოსა ეკლესიასა. და მოკუდა რევ და დაემარხა ცოლითურთ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 23; აბულაძე 1963: 91, შატბერდული რედაქცია).** მაშასადამე, აღნიშნული წყაროს თანახმად რევი გარდაცვლილა, ჯვრის აღმართვიდან - „ოც და მესამე წელსა“.

ჩვენს მიერ, წინა თავში, რევის სიკვდილის თარიღის დადგენის შემდეგ, მიღებული წლიდან უკუათვლით შესაძლებელი ხდება მცხეთაში ჯვრის აღმართვის კონკრეტული დროითი მიჯნის დადგენა. როგორც ვნახეთ, რევი გარდაცვლილი უნდა იყოს, მირიანის მოქცევიდან, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან ათვლით: 352 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე - 353 წლის 20 ივლისამდე მიმდინარე 25-ე წელს **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 129).**

ამ თარიღიდან „ოც და მესამესა“ წლის უკუათვლით, მცხეთაში „პატიოსნისა ჯუარისა“-ს აღმართვა მომხდარა 330 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 331 წლის 20 ივლისამდე დროის მონაკვეთში.

აღნიშნული ინფორმაციის შემცველი ჭელიშური რედაქცია ერთი შეხედვით თითქოსდა შატბერდულისაგან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის - „...და მესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შექმნა კუბოჲ რევ, მოკუდა და დაემარხა ცოლითურთ ქუემოსა ეკლესიასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 23; აბულაძე 1963: 91 -ჭელიშური რედაქცია). (იხ. ალექსიძე 2007: 16).**

მაშასადამე, მოყვანილი წყაროებიდან, ჩვენის აზრით, იკვეთება ორი მომენტი. ერთის მხრივ მითითებულია რევის გარდაცვალება, ხოლო მეორეს მხრივ გვეუწყება, რომ თურმე „პატიოსანი ჯუარის“ აღმართვა, რაღაც მოვლენიდან მესამე წელს მომხდარა. ზემოთ უკვე განხილულის მსგავსად, აქ მოცემული „მესამესა წელსა“, თავის ათვლას, ისევ და ისევ მირიანის მოქცევის, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან იღებს.

და მართლაც, 328 წლის 20 ივლისიდან: პირველი წელი - 329 წლის 20 ივლისს, ხოლო მეორე წელი კი 330 წლის 20 ივლისს სრულდება, საიდანაც ათვლილი მესამე წელი 331 წლის 20 ივლისს მთავრდება.

ამდენად, ჭელიშური რედაქციის თანახმად, **მცხეთაში „პატიოსანი ჯუარის“ აღმართვა მომხდარა მირიან მეფის მოქცევიდან, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან ათვლით „მესამე წელსა“, ანუ 330 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 331 წლის 20 ივლისამდე გასულ დროით მონაკვეთში;** რაც, სრულ თანხვედრაშია ზემოთ უკვე გამოთვლილ „პატიოსანი ჯუარის“ აღმართვის თარიღთან.

ქართულ წყაროებში, ჩვენს მიერ საძიებელი, ჯვრის აღმართვის კონკრეტული თარიღიცაა მოცემული. „მოცქევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...მაშინ თთუესა მაისსა ერთსა შექმნეს ჯუარნი სამნი და მეშვიდესა დღესა აღმართეს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 111; აბულაძე 1963: 148 - ჭელიშური რედაქცია).**

შატბერდული რედაქცია ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს - „...მაშინ თთუესა მაისსა ერთსა შეიქმნნეს ჯუარნი ესე (აქ ჯვრების რაოდენობა არ არის დაზუსტებული - ს.ს.) და შვიდსა მის თვისასა აღმართნეს..“ **(სალუაშვილი 2010ა: 111; აბულაძე 1963: 148)**. ამდენად, მცხეთის ჯვრის აღმართვა მომხდარა - 7 მაისს **(იხ. აგრეთვე: ყაუხჩიშვილი 1955: 120; ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 93).**

მცხეთაში ჯვრის აღმართვის დღეს მომხდარი სასწაული ქართულ წყაროებში ასეა გადმოცემული - „...და იყვნეს ეკლესიასა შინა ჯუარნი იგი. და იხილეს ყოველმან სიმრავლემან ქალაქისამან ყოველთა (აქ: 1-6 მაისის - ს.ს.) ღამეთა მიმწუხრი, აჰა ჩამოვიდეს ზეცით ჯუარი ცეცხლისაჲ გჯრგჯნოსანი ვარსკულავითა და ზედა დაადგრის ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე. და რიჟურაჟს ოდენ გამოვიდეს მისგან ორი ვარსკულავი; და წარვიდის ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით. და იგი თავადი, რომელ არს ჯუარი ქრისტეს ღმრთისაჲ ეგრეთვე ნელიად ადგებიან, და წარვიდის იმიერ კერძო არაგუსა, და დაადგრის ბორცუსა ზედა კლდისასა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 112; აბულაძე 1963: 148-149, ჭელიშური რედაქცია). (იხ. იგივე: ყაუხჩიშვილი 1955: 120; ნიკოლოზ I კათალიკოზი 1908: 93).**

გარკვეული თხრობის შემდეგ იქვე მიგვეთითება, რომ 7 მაისს მცხეთაში ჯვრის აღმართვის შემდეგ, მეორე დღის განთიადამდე განმეორებული ეს სასწაული, თუ რომელ დღესაა მომხდარი - „...ხოლო დღე ესე იყო პარასკევი, და შაბათი განთენდებოდა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 121);** ანდა - „...ესე იყო პარასკევსა, შაბათად-ღა განთენებოდა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 114; აბულაძე 1963: 150 - შატბერდული);** და -

„...დღჱ იგი იყო პარასკევი და შაბათი განთენდებოდა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 114; აბულაძე 1963: - ჭელიშური რედაქცია);** - „... ხოლო დღე იგი იყო პარასკევი: და შაბათად განთენდებოდა...“ **(ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 93).**

მუდმივი და უნივერსალური კალენდრის მიხედვით, ვგებულობთ, რომ 7-8 მაისის, ანუ პარასკევ-შაბათის გასაყარზე მომხდარის (ჩვენთვის საძიებელ დროის მონაკვეთში, ანუ 328-338 წლებში) სავარაუდო წლებია: 331 და 336 წლები. დიახ, მხოლოდ ამ ორ წლებშია 7 მაისი - პარასკევი, ხოლო 8 მაისი - შაბათი დღე **(კალანდაძე 1973: 2-3).** როგორც უკვე ითქვა, რევი გარდაცვლილა, ერთის მხრივ მირიანის მოქცევიდან „მეოცდახუთესა წელსა“ **(იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 129**), ხოლო მეორეს მხრივ - „...ოც და მესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 23; აბულაძე 1963: 91),** მაშინ მცხეთაში ჯვრის აღმართვის წელი 330 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 331 წლის 20 ივლისამდე დროით მონაკვეთზე მოდის. ამდენად, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით ზემოთმიღებული ორი 331 და 336 წლებიდან, ეს უკანასკნელი ავტომატურად გამოირიცხება.

მაშასადამე, ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საძიებელი **„პატიოსნისა ჯუარისა“ აღმართვა მომხდარა 331 წლის 7 მაისის პარასკევ დღეს.**

აღნიშნული თარიღის გამოკვეთის შემდეგ, შესაძლებლობა გვეძლევა კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ რევისა და მირიანის გარდაცვალების სავარაუდო დროითი მიჯნები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური რედაქციისეული მინიშნება, უკვე ასეთ, დროში დაკონკრეტებულ სახეს შეიძენს - „...და ოც და მესამესა წელსა აღმართებიდან (აქ: 331 წ. 7 მაისი - ს.ს.) პატიოსნისა (აქ: მცხეთის - ს.ს.) ჯუარისა შეუქმნა კუბაჲ (აქ: ჯვრის გარსაცმი, ბუდე - ს.ს.) რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა (აქ: სვეტიცხოვლის - ს.ს) ეკლესიასა და მოკუდა რევ და დაემარხა ცოლითურთ...“ **(სალუაშვილი 2010ა: 23; აბულაძე 1963: 91).**

მცხეთის ჯვრის, ანუ „პატიოსანისა ჯუარის“ აღმართვიდან, ანუ 331 წ. 7 მაისიდან სრული 22 წელი გასრულდა 353 წ. 7 მაისს, საიდანაც იწყებს კიდეც ათვლას, წყაროში მითითებული 23-ე წელი. მაშასადამე, ერთი მხრივ „პატიოსანი ჯუარის“ გარსაცმის („კუბაჲ“) დამზადება, და მეორეს მხრივ რევის გარდაცვალება მომხდარა 353 წ. 7 მაისიდან დაწყებულ ჯვრის აღმართვის (331 წ. 7 მაისი) 23-ე წელს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა - რევი და მირიანი ერთსა და იმავე წელს გარდაცვლილან, და რომ ეს მომხდარა, ერთის მხრივ - „მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 129),** ხოლო მეორეს მხრივ - „გარეუბნის ეკლესიის“ მშენებლობის დაწყებიდან „მეოცდაერთესა წელსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91),** ყოველი ეს კი 352 წ. 20 ივლისიდან, ვიდრე 353 წ. 20 ივლისამდე დროით მონაკვეთს გამოკვეთავს. მაშასადამე, ერთის მხრივ 25-ე, ხოლო მეორეს მხრივ 21-ე წელი მთავრდება 353 წ. 20 ივლისს, რომელიც არის კიდეც რევისა მირიანის გარდაცვალების „ზედა“ დროითი მიჯნა.

და აი, რადგანაც რევი გარდაცვლილა „პატიოსანი ჯუარის“ აღმართვიდან, ანუ 331 წ. 7 მაისიდან ათვლილ 23-ე წელს, მაშინ, როგორც რევის, ასევე მის შემდგომად გარდაცვლილი მირიანის აღსრულების „ქვედა“ დროით მიჯნას, სწორედაც რომ მიღებული 353 წ. 7 მაისი წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მინიშნებათა მიხედვით რევისა და მირიანის გარდაცვალების სავარაუდო თარიღის დადგენა სამი კონკრეტული მოვლენის მიხედვით ხდება შესაძლებელი. ესენია:

1) „მოქცევითგან მირიან მეფისა მეოცდახუთესა წელსა“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 129),** რაც 328 წ. 20 ივლისიდან ათვლით, მაქსიმალურ ზედა მიჯნად 353 წ. 20 ივლისს გამოკვეთავს;

2) „ზემორე ეკლესიის“ მშენებლობის დაწყებიდან „მეოცდაერთესა წელსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91 - ჭელიშური)**, რითაც ასევე 353 წ. 20 ივლისის მაქსიმალური დროითი მიჯნა გვიფიქსირდება; და

3) მცხეთის ჯვრის აღმართვიდან, ანუ 331 წ. 7 მაისიდან „ოცდამესამესა წელსა“ **(სალუაშვილი 2010ა: 23; აბულაძე 1963: 91 - შატბერდული),** რომლითაც გამოიკვეთა რევისა და მირიანის გარდაცვალების ე.წ. „ქვედა“ დროითი მიჯნა.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ჯერ რევის, ხოლო შემდგომად მირიან მეფის გარდაცვალება მომხდარა 353 წ. 7 მაისიდან ვიდრე 353 წ. 20 ივლისამდე დროით მიჯნაში.**

ეხლა კი, მოდით, კვლავ ჯვრის აღმართვის თემას დავუბრუნდეთ.

ქართული წყაროების თანახმად, ზემოთქმული კვლევის შედეგი, ერთის შეხედვით - წინააღმდეგობაში მოდის წყაროებში დაფიქსირებულ იმ ხის მოჭრის თარიღთან,

საიდანაც გამოთლილი ჯვრის აღმართვა 7 მაისს ხდება. ქართულ წყაროებში ვკით-ხულობთ - „...ესე მოჰკუეთეს მარტსა ოცდახუთსა დღესა პარასკევსა. და დაადგრა ხე იგი ეგრეთ დღესა ოცდაჩვიდმეტსა... მაშინ თუესსა მაისსა ერთსა შექმნნეს ჯუარნი ესე, და შვიდსა ამის თვისასა აღმართნეს...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 120). (იხ. აგრეთვე: სალუაშვილი 2010ა: 111; აბულაძე 1963: 148; ნიკოლოზ I კათლიკოსი 1908: 92-93).**

ათვლის წერტილად - 25 მარტის პარასკევი დღის აღების შემთხვევაში, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ნებისმიერი წლისთვის 7 მაისი, არა პარასკევი, არამედ შაბათ დღეზე მოდის. თავის მხრივ, ჩვენთვის საძიებელ 328-338 წლებში მითითებული 25 მარტის პარასკევი დღე მხოლოდ 337 წელსაა. შესაბამისად, ამავე წლის 7 მაისი შაბათი დღეა **(იხ. კალანდაძე 1973: 2-3).** აქ მიღებული 337 წელი, წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს მიერ ზემოთ ჩატარებულ კვლევის შედეგთან, რომლის თანახმადაც მცხეთაში „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვა 331 წლის 7 მაისის პარასკევ დღესაა მომხდარი. თუმცა მოდით ერთი ასეთი თარიღიც დავადგინოთ.

ჩვენს მიერ ჩატარებული გათვლების სისწორეს, თავის მხრივ, გვიდასტურებს წმ. ნინოს მცხეთიდან წასვლისა და მისი ბოდბეში ჩასვლასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად **(სალუაშვილი 2010ა: 12-17; აბულაძე 1963: 84-87),** ჩვენთვის საძიებელ მომხდარ მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ასეთია: მირიანის მოქცევის შემდეგ, იწყება „ქუემო ეკლესიის“ აშენება; რის შემდეგაც მოციქულებს აგზავნიან კონსტანტინე იმპერატორთან; რომის იმპერიიდან მღვდელმსა-ხურების ჩამოსვლის შემდეგ - „ნათელი მიიღო მირიან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან. ითხოვეს ხე რაითა შექმნან ჯუარი...“; ჯვრების აღმართვის შემდეგ - „...წარავლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთი ქვისა მთლელნი და კირით ხურონი..“; კონსტანტინე იმპერატორმა ქართლის სამეფოში გამოგზავნილთ თან გამოატანა „ფერხთა ფიცარნი მაცხოვრისანი“, და „სამსჭუალნი“; აი, მხოლოდ ამის მერე გვეუწყება, რომ - „...იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა...“.

მაშასადამე, მოვლენათა ქრონოლოგიური ჩამონათვალი ასეთია: მირიანის მოქცევა, „ქვემო ეკლესიის“ მშენებლობის დაწყება, მოციქულების გაგზავნა კონსტანტინე იმპერატორთან, იქიდან მღვდელმსახურების ჩამოსვლა, ჯვრებისთვის საჭირო ხის მოჭრა, ჯვრების აღმართვა, რომის იმპერიაში მოციქულების მეორე ჯგუფის გაგზავნა,

იქიდან „ფერხთა ფიცრისა“ და „სამსჭუალის“ ჩამოტანა და გარეუბნის, იგივე ზემორე ეკლესიის მშენებლობის დაწყება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გარეუბნის იგივე ზემორე ეკლესიის მშენებლობა - „განასრულეს მეოცესა წელსა. და მეოცდაერთესა წელსა მოკუდა მირიან მეფე“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91).** თავის მხრივ - „მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ... და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიც აღესრულა...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 129).** ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით მირიან მეფის მოქცევის, ანუ 328 წლის 20 ივლისის ათვლის წერტილიდან გამომდინარე, როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, საძიებელი ეკლესიის მშენებლობის დაწყება 331 წლის 20 ივლისიდან 332 წლის 20 ივლისამდე დროში მომხდარა.

ზემოთგანხილულ მოვლენათა ქრონოლოგია, ეკლესიის მშენებლობის დაწყებაზე მითითების შემდეგ, ასე გრძელდება - „...მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთა ქალაქი და წარვიდა მთეულთა ხარებად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 117; აბულაძე 1963: 152).**

მაშასადამე, წმ. ნინოს მცხეთიდან წასვლა მომხდარა ჯვრის აღმართვის შემდეგ დაწყებული „ზემორე ეკლესიის“ მშენებლობიდან ათვლილ დროით მონაკვეთში. გარკვეული ხნის შემდეგ, წმ. ნინო - „...დასნეულდა. წარმოემართა მცხეთად და ვითარცა მოიწია კოხეთად, დაბასა, რომელსა ჰრქმან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად...“ **(სალუაშვილი 2010ა: 20; აბულაძე 1963: 89).**

როგორც უკვე განვიხილეთ, ბოდბეში მყოფი დასნეულებული ნინო მირიან მეფისადმი მიწერილ წერილს კახეთის დედოფლის სუჯის ხელით აგზავნის მცხეთაში **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 36-41; აბულაძე 1963: 99-102).** მცხეთაში ჩასვლის შემდეგ - „მოუწოდა აბიათარს ასტირონ მთავარმან გუასპურაგნელმან“ **(სალუაშვილი 2010ა: 41; აბულაძე 1963: 102).** აბიათარ მღვდლის ნათქვამი სიტყვიდან გვიფიქსირდება, ამ საუბრის გამართვის კონკრეტული წელი - “დღესითგან ქრისტესამდე არიან **წელნი სამას ოცდათოთხმეტ...“ (სალუაშვილი 2010ა: 43; აბულაძე 1963: 103-104).**

როგორც უკვე ითქვა, ყოველივე ზემოთქმული, საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ წმ. ნინო, ერთის მხრივ, მცხეთიდან წასულა ზემორე ეკლესიის მშენებლობის დაწყების, ანუ 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე

დროის შემდეგ, ხოლო მეორეს მხრივ 334 წელს, იგი უკვე დასნეულებულია და ბოდბეში იმყოფება.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ყოველივე ზემოთქმული ხდება ჩვენთვის საძიებელი, პატიოსანი ჯვრის აღმართვის შემდეგ.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, მაშინ ჯვრებისთვის საჭირო ხის მოჭრის თარიღის 25 მარტის პარასკევი დღის მიხედვით მიღებული 337 წელი, წინააღმდეგობაში მოდის ისტორიულად მომხდარ მოვლენებთან. შესაბამისად, ალბათ უფრო მართებულია დავეყრდნოთ ქართულ წყაროებში დაცულ მცხეთის ჯვრის აღმართვის თარიღს, რომელიც როგორც ვნახეთ - 331 წლის 7 მაისის პარასკევ დღეზე მოდის, და თავის მხრივ ჯვრის აღმართვის კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიურ ჩამონათვალში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იკავებს ადგილს (აქვე უნდა ითქვას, რომ 331 წლის 25 მარტი, არა პარასკევი, არამედ ხუთშაბათი დღეა).

თუ შევაჯერებთ ზემოთქმულ მსჯელობას ჩვენთვის საძიებელ მოვლენათა ქრონოლოგიის ასეთ სურათს მივიღებთ:

- მირიანის მოქცევა მომხდარა 328 წლის 20 ივლისს, შაბათ დღეს;

- ჯვრის აღმართვის თარიღია 331 წლის 7 მაისის პარასკევი დღე;

- ზემორე, ანუ გარეუბნის ეკლესიის აშენება დაწყებულა 331 წლის 20 ივლისიდან - 332 წლის 20 ივლისამდე დროის მონაკვეთში, რომლის შემდეგაც წმ. ნინო მცხეთიდან მთიელთა გასანათლავად მიდის;

- დასნეულებული წმ. ნინო ბოდბეში 334 წელს ჩასულა.

4) ნანა დედოფლის გარდაცვალების წელი

ქართული წყაროებიდან ნანა დედოფლის გარდაცვალების წელს მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს. კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ - „...და მოქცევითგან მირიან მეფისა მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ... და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიც აღესრულა... და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 129-130).**

ამდენად, ნანა დედოფალი გარდაცვლილა რევისა და მირიანის სიკვდილიდან - მეორე წელს. აღნიშნულის თაობაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასე მიგვანიშნებს - „...და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი ნანა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91 -**

შატბერდული რედაქცია), ანდა - „...და მეორესა წელსა მოკუდა სანატრელი ნანა დედოფალი...“ **(სალუაშვილი 2010ა: 22; აბულაძე 1963: 91 - ჭელიშური რედაქცია).**

მაშასადამე, რევისა და მირიანის გარდაცვალების თარიღის მიხედვით, ნანა დედოფალი 353 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 354 წლის 20 ივლისამდე დროის მონაკვეთში აღსრულებულა, უფრო ზუსტად კი ეს მომხდარა: 354 წლის 7 მაისიდან ვიდრე 20 ივლისამდე დროით მიჯნაში.

5) დასკვნა

წინამდებარე თავთან მიმართებაში, ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- რევი და მირიანი გარდაცვლილან: 352 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 353 წლის 20 ივლისამდე დროით მონაკვეთში, უფრო ზუსტად: 353 წლის 7 მაისიდან, ვიდრე 20 ივლისამდე დროით მიჯნაში;

- „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვა მომხდარა: 331 წლის 7 მაისის პარასკევ დღეს;

- „ზემორე ეკლესიის“ აშენება დაწყებულა: 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე - 332 წლის 20 ივლისამდე დროით მიჯნაში;

- წმ. ნინო მცხეთიდან მთიელთა გასანათლავად წასულა: „ზემორე ეკლესიის“ მშენებლობის დაწყების, ანუ 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე დროითი მონაკვეთის შემდეგ;

- ნანა დედოფალი აღსრულებულა რევისა და მირიანის გარდაცვალების, ანუ 352 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 353 წლის 20 ივლისის მეორე წელს, ანუ 353 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 354 წლის 20 ივლისამდე უფრო ზუსტად კი: 354 წლის 7 მაისიდან, ვიდრე 20 ივლისამდე არსებულ დროით შუალედში.

დასკვნა

ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საისტორიო ძიებათა ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შეიძლება შემდეგი შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა:

1. ქართველთა განმანათლებლის სახელის თაობაზე ქართული და უცხოური წყაროები სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიან, რომელთა შეჯერების შედეგადაც ასეთი სურათი იხატება:

- ბერძნულ-რომაული წყაროებისთვის ქართველთა განმანათლებლის ზუსტი სახელი უცნობია, და მას - **„ტყვე-ქალად“** მოიხსენიებს;

- არაბულ-კოპტური წყაროები ქართველთა განმანათლებლად ასახელებენ - **„თეოგნოსტას“,** რომელიც განმანათლებლის არსთანაა დაკავშირებული, და ნიშნავს - „ღვთიური ცოდნის შემცნობელს“, ან - “ღვთის მიერ ცნობილს“;

- სომხური წყაროების მიხედვით ქართველთა განმანათლებლის სახელია - **ნუნე,** რომელიც თავისი ეტიმოლოგიით ეგვიპტის მთავარი ღვთაების **„ნუნ“** სახელს უნდა აღნიშნავდეს - და მასზე დაკისრებული ღვთაებრივი მისიის შესრულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს;

- და ბოლოს, ქართული წყაროების მიხედვით ქართველთა გამაქრისტიანებლად იხსენიება **ნინო,** რომელსაც მემატიანე მეორენაირად ტერმინ **„ტყვე ქალს“** უწოდებს, რაც:

ა) ერთის მხრივ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარს, ანუ **ქრისტეს ტყვეს** გულისხმობს;

ბ) მეორეს მხრივ კი უცხო, უთვისტომოს, ანუ მისი, როგორც **ქრისტიანის, წარმართთა შორის ყოფნას** აღნიშნავს.

თავად სახელი **ნინო**, ერთის მხრივ ასირიული ნაყოფიერების ღვთაების „ნინ“, და მეორეს მხრივ ქართულ წარმართულ პანთეონთა ქალღმერთების „აინინა“-სა და „დანანა“-ს სახელებს შეიძლება უკავშირდებოდეს.

2. ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენა. განსახილველი თემის კვლევაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი აქვს დათმობილი წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ლტოლვილობის

გამომწვევი მიზეზისა და თავად ლტოლვილობის დაწყების დროსთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს.

ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ წმ. ნინო ქ. იერუსალიმიდან, რომელიც აღმოსავლეთის დიოცეზიაშია, ჩადის ქ. ეფესოში, რომელიც თავის მხრივ აზიის დიოცეზიის მთავარი ქალაქია და იქ რჩება 2 წელი. ამის შემდეგ, გარკვეულ მიზეზთა გამო, წმ. ნინო და მასთან მყოფნი გაიქცევიან ზღვის გავლით, და შემდეგ უკვე სახმელეთო გზით ჩადიან, პონტოს დიოცეზიაში შემავალ სომხითში.

3. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული კალენდარული ათვლის საკითხთან მიმართებაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი წყაროები ერთდროულად ითვალისწინებენ ბიბლიურ და იულიუსის კალენდარულ სისტემებს. კერძოდ:

ქ. ეფესოდან წმ. ნინოს ლტოლვილობა მარტის თვეში დაწყებულა, რომელიც ბიბლიურის მიხედვით პირველი, ხოლო იულიუსის კალენდრის მიხედვით მესამე თვეა. ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი მემატიანე ლტოლვილობის დაწყების თვეს, ბიბლიური კალენდარული ათვლის თანახმად, პირველ თვედ მიიჩნევს; ხოლო ლტოლვილობის დაწყებისა და რიფსიმიანთა წამების კონკრეტულ თარიღებს იულიუსის კალენდარში თვეების დღეთა რაოდენობაზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს. ამდენად, ქართული წყაროებისეული მინიშნება - „... წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“ **(სალუაშვილი 2010ა: 60; აბულაძე 1963: 115)**, **მარტის 15 რიცხვს** გულისხმობს;

ანალოგიურად, ქართულ წყაროებში დაცული კერპების მსხვრევის თვე აგვისტო, ბიბლიური ათვლის თანახმად მეექვსე, ხოლო იულიუსის კალენდრის ათვლით მერვე თვეა. ქართველი მემატიანე ეყრდნობა რა ამ ორივე კალენდარული სისტემის ათვლას, ბრძანებს - „... თუე იყო მეექუსე, და დღე იყო მეექუსე...“ **(სალუაშვილი 2010ა: 72; აბულაძე 1963: 122),** ანუ კერპების მსხვრევა (ბიბლიური და იულიუსისეული კალენდარული სისტემის ურთიერთ შეჯერების შედეგად) **6 აგვისტოს** მომხდარი ფაქტია.

4. ლტოლვილობის დაწყების დროის დასადგენად, დეტალურად იქნა რა გამოკვლეული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები როგორიცაა:

ერთის მხრივ წმ. ნინოს შობის სავარაუდო დრო; წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე გასული დრო; წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღი; ალექსანდრე ბიზანტიელის, ევსტათი ანტიოქიელის, გრიგორის, თრდატ III-ის, ელენე დედოფლის ზეობისა და კონსტანტინეპოლთან დაკავშირებული მინიშნებანი და სხვა, და

მეორეს მხრივ ის, თუ ეკლესიების კურთხევასა და საეკლესიო წესების ჩამოყალიბებაში დასახმარებლად, მირიან მეფისა და წმ. ნინოს მიერ როდის იგზავნება დელეგაცია, ვისთან იგზავნებიან ისინი და ვის აგზავნიან იქიდან საქართველოში,

შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ: ლტოლვილობის დაწყების წელია ახ. წ. 322 წელი; ქ. ეფესოდან მათი გამოქცევა მომხდარა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს; ლტოლვილები სომხითში მისულან ამავე წლის 25 მარტს, კვირა დღეს; ხოლო სომხითში ჩასული ლტოლვილები, თრდატ მეფეს იმავე წლის 30 მარტის პარასკევ დღეს უწამებია.

5. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, წმ. ნინოს შობიდან ლტოლვილობამდე მიღებული დროითი მონაცემების საერთო სურათი ასეთია:

- წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს: ახ.წ. 304, ან 306 წელს;

- წმ. ნინოსა და მისი მშობლების კაბადოკიაში გატარებული 12 და 14 წლიანი მონაცემების გათვალისწინებით, მათი კაბადოკიაში ყოფნის დროითი მიჯნა 304-318 ან 306-318 წლებზე მოდის;

- ქართულ წყაროებში არსებული ცნობის თანახმად, იერუსალიმში ჩასული წმ. ნინო მიუბარებიათ სარა ნიაფორთან, რომელთანაც მას 2 წელი გაუტარებია. შესაბამისად, სარა ნიაფორთან გატარებული დროითი მიჯნა 318-320 წლებზე მოდის;

- როგორც წყაროებიდან ჩანს წმ. ნინო ქ. ეფესოში ჩასულა, და იქ, რიფსიმესა და მის დედამძუძე გაიანესთან გაჩერებულა; სადაც მას 2 წელი გაუტარებია. მაშასადამე წმ. ნინოს რიფსიმესთან გატარებული კონკრეტული თარიღი: 320-322 წლებზე მოდის;

- და ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წმ. ნინო დაბადებულა 304-306 წლებში, მაშინ გამოდის რომ ლტოლვილობის დაწყების მომენტში, ანუ 322 წელს, წმ. ნინო 16-18 წლისაა.

6. „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა წმ. ნინოს ლტოლვილობის სამი პირობითი ეტაპი, და მასთან დაკავშირებული კონკრეტული დროითი მიჯნები. კერძოდ:

ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი: 322 წლის 15-30 მარტამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს; ლტოლვილობის ე.წ. მეორე პერიოდი: 322 წლის მარტის თვიდან, ვიდრე ამავე წლის მაისის მიწურულამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს; ლტოლვილობის ე. წ. მესამე პერიოდი იწყება: 322 წლის მაისის თვიდან, და მთავრდება ერთი წლის თავზე ანუ 323 წლის მაისის თვეში.

7. ქართულ წყაროებში წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით მითითებული - „თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი“, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კიდევ უფრო დაზუსტდა და დადგინდა, რომ წმ. ნინო საქართველოში შემოსულა 323 წლის 28 ივნისს, პარასკევ დღეს, საიდანაც ათვლით, კერპების მსხვრევის თარიღი 6 აგვისტო, არის ზუსტად მე-40 დღე.

8. ნაშრომში, სომხეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის შედეგად, გამოთქმულია დასაბუთებული მოსაზრება, რომ სომხითის მეფის თრდატის მიერ ქრისტიანობის აღიარება, სავარაუდოდ 323 წლის ივნისის ბოლოდან, ვიდრე 323 წლის 6 აგვისტომდე დროში უნდა იყოს მომხდარა.

9. „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებში, ერთი შეხედვით, არაერთი ურთიერთგამომრიცხავი თარიღია დაცული, რომელიც, ჩვენის აზრით, სხვადასხვა ათვლის კუთხით გამოკვეთავს ჩვენთვის საძიებელ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს. კერძოდ, გაანალიზებულ იქნა რა „სამას მეათე” და „სამას მეათერთმეტე” წლების არსი; „მეათე წელი”; „მეშვიდე წლისა” და „მერვე წლის” დროით მინიშნება; „მეექუსესა წელსა” და „ექუსი წლის” ურთიერთკავშირი, დადგინდა, რომ მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევის, ანდა, მეორეს მხრივ, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღია 328 წლის 20 ივლისის შაბათი დღე.

10. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დადგენისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მინიშნებათაგანია მზის დაბნელებასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქ სახარებისეული ანარეკლი უნდა იყოს მოცემული, ანუ სწორედ სავლე-პავლეს მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე მირიანთან მიმართებაშიც, რამეთუ **მირიანი, საქართველოს ისტორიაში, ერთდროულად იყო ბოლო წარმართი, და პირველი ქრისტიანი მეფე**. ქართულ წყაროებში დაფიქსირებული მზის დაბნელებაც, თუ კარგად გავაანალიზებთ,

სულაც არ არის ასტრონომიული მოვლენის მიმანიშნებელი. ქართული და უცხოური წყაროები, თითქმის ცალსახად მიგვანიშნებენ, რომ საქმე გვაქვს, არა -ზის დაბნელების ასტრონომიულ მოვლენასთან, არამედ სახეზეა ღვთაებრივი ძალით მირიანის თავზე მოვლენილი სასწაული.

11. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი და განხილულ იქნა ს. ბელოკუროვის მიერ გამოცემულ ნაშრომში - „Сношения Рассии с Кавказом“ (I გამოშვება, მოსკ., 1889 წ., „1578-1613 წ.წ.“), დაცული ქართლის მოქცევის თარიღზე მიმანიშნებელი, მე-16 საუკუნის სამი უნიკალური დოკუმენტი, რომელიც ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღად მიღებული **328 წლის** მართებულებას ადასტურებს.

12. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეთქვა დასაბუთებული მოსაზრება, რომ მირიან მეფესა და ნანა დედოფალს, ერთი ასულისა და ორი ძის ბაქარისა და რევის გარდა, ასევე ჰყოლიათ მესამე ვაჟიშვილიც, სავარაუდოდ, სახელით ამაზასპი, რომელიც მცირეწლოვნობის დროს, წმ. ნინოს ლოცვით, მინიმუმ ორჯერ განკურნებულა. უკანასკნელად იგი 8 წლის ასაკში სვეტიცხოვლის სასწაულებრივი ძალით გამოჯან-მრთელებულა.

13. ქართულ წყაროთა შეჯერებისა და ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ჯერ რევის, ხოლო შემდგომად მირიან მეფის გარდაცვალება მომხდარა 353 წ. 7 მაისიდან ვიდრე 353 წ. 20 ივლისამდე დროით მიჯნაში.**

14 „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე რედაქციაზე დაყრდნობით წარმოებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „ზემორე ეკლესიის“ მშენებლობა დაწყებულა, ერთის მხრივ მირიან მეფის მოქცევიდან მეოთხე წელს (შატბერდული), ხოლო მეორეს მხრივ მირიან მეფის გარდაცვალებამდე 21 წლით ადრე (ჭელიშური), რაც ორივე ათვლით, როგორც ვნახეთ 331 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 332 წლის 20 ივლისამდე არსებულ დროის მონაკვეთზე მოდის.

15. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცხეთაში „პატიოსანი ჯუარის“ აღმართვა მომხდარა მირიან მეფის მოქცევიდან, ანუ 328 წლის 20 ივლისიდან ათვლით „მესამე წელსა“, ანუ 330 წლის 20 ივლისიდან, ვიდრე 331 წლის 20 ივლისამდე გასულ დროით მონაკვეთში; რაც, სრულ თანხვედრაშია ქართულ წყაროებში დაცულ

მინიშნებასთან - „...მაშინ თთუესა მაისსა ერთსა შექმნეს ჯუარნი სამნი და მეშვიდესა დღესა აღმართეს...“ **(სალუაშვილი 2010ა: 111; აბულაძე 1963: 148 - ჭელიშური რედაქცია).** შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯვრის აღმართვის თარიღია 331 წლის 7 მაისის პარასკევი დღე;

16. ნაშრომში წარმოებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ: წმ. ნინო დაბადებული უნდა იყოს 304 წლის 1-13 იანვარს შორის არსებულ რომელიღაც კოკნრეტულ დღეს; ბოდბეში მყოფი წმ. ნინო დასნეულებულა: თავისი ცხოვრების 30-ე, ანუ 334 წელს; წმ. ნინო გარდაცვლილა - 338 წლის 14 იანვრის შაბათ დღეს; იგი დაუკრძალიათ მე-3 დღეს, ანუ 338 წლის 17 იანვრის სამშაბათ დღეს; ჭელიშური რედაქციის თანახმად წმ. ნინო უგლოვიათ შვიდი დღის მანძილზე, ანუ 338 წლის 23 იანვრის ორშაბათ დღემდე, ხოლო შატბერდულ რედაქციაში დაცული გლოვის 30-ე დღე - 338 წლის 15 თებერვლის ოთხშაბათ დღეზე მოდის.

17. წარმოდგენილ ნაშრომში ჩატარებული კვლევისა და ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებული მოვლენების ქრონოლოგია ასეთი ზოგადი სურათის მატარებელია:

- წმ. ნინოს დაბადება კაბადოკიაში - 304 (306) წლის 1-13 იანვარი;
- კაბადოკიაში მშობლებთან გატარებული 12/14 წელი: 304-318 ან 306-318 წ.წ.;
- იერუსალიმში სარა ნიაფორთან (ბეთლემელთან) გატარებული 2 წელი: 318-320 წ.
- ქ. ეფესოში რიფსიმესთან გატარებული 2 წელი: 320-322 წ.წ.;
- ქ. ეფესოდან გამოქცევის თარიღი: 322 წლის 15 მარტი, ხუთშაბათი;
- ლტოლვილთა ჩასვლა სომხითში: 322 წლის 25 მარტი, კვირა;
- თრდატ III სომხეთის მეფის მიერ ქრისტიანობის გულისთვის „რიფსიმიანთა“ წამება-მოკვდინება: 322 წლის 30 მარტი, პარასკევი;
- წმ. ნინოს ლტოლვილობის პირველი პერიოდი: 322 წლის 15-30 მარტი;
- წმ. ნინოს ლტოლვილობის მეორე პერიოდი: 322 წლის აპრილი-მაისი;
- წმ. ნინოს ლტოლვილობის მესამე პერიოდი: 322 წლის ივნისი - 323 წლის ივნისი;
- წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლის თარიღი: 323 წლის 28 ივნისი, პარასკევი;
- წმ. ნინოს მიერ ფარავნის ტბასთან ყოფნის 2 დღე: 323 წლის 28-29 ივნისი, პარასკევ-შაბათი;

- წმ. ნინოს ქ. ურბნისში ჩასვლა: 323 წლის 30 ივნისი, კვირა - 323 წლის 4 ივლისი, ხუთშაბათი;

- წმ. ნინოს მიერ ქ. ურბნისში ყოფნის ერთი თვე: 323 წლის 4 ივლისი - 4 აგვისტო;

- წმ. ნინოს მიერ ქ. მცხეთაში ჩასვლა: 323 წლის 5 აგვისტო, ორშაბათი;

- წმ. ნინოს მიერ მცხეთაში მდგარი კერპების მსხვრევის დღე: 323 წლის 6 აგვისტო, სამშაბათი;

- თრდატ III სომხეთის მეფის გაქრისტიანების სავარაუდო დროითი მიჯნა: 323 წლის 3 ივლისი - 6 აგვისტო;

- წმ. ნინოს მიერ კერპების მსხვრევის ადგილას აღვლენილი ექვსდღიანი ლოცვის დასასრული: 323 წლის 12 აგვისტო, ორშაბათი;

- წმ. ნინოს მიერ მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილზე ამოსულ ხესთან მისვლა: 323 წლის 15 აგვისტო, ხუთშაბათი;

- წმ. ნინოს მიერ მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილას გაშენებული სამეფო ბაღის მცველის მეუღლესთან, ანასტოსთან, გატარებული 9 თვე: 323 წლის 15 აგვისტო, ხუთშაბათი - 324 წლის 15 მაისი, პარასკევი;

- ნანა დედოფლის გაქრისტიანება: 327 წლის 20 ივლისი, ხუთშაბათი;

- მირიან მეფის გაქრისტიანება: 328 წლის 20 ივლისი, შაბათი;

- „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვა: 331 წლის 7 მაისი, პარასკევი;

- „ზემორე“, იგივე - „გარეუბნის“ (დღევანდელი სამთავროს) ეკლესიის მშენებლობის დაწყების დროითი მონაკვეთი: 331 წლის 20 ივლისი - 332 წლის 20 ივლისი;

- წმ. ნინოს მიერ მცხეთიდან წასვლა: 331 წლის 20 ივლისი - 332 წლის 20 ივლისის დროითი მიჯნა;

- წმ. ნინოს მიერ დაბა ბოდბეში ჩასვლა: 334 წელი;

- წმ. ნინოს გარდაცვალება: 338 წლის 14 იანვარი, შაბათი;

- წმ. ნინოს დაკრძალვა ბოდბეში: 338 წლის 17 იანვარი, სამშაბათი;

- რევის გარდაცვალების დროითი მიჯნა: 352 წლის 20 ივლისი - 353 წლის 20 ივლისი;

- მირიან მეფის გარდაცვალების დროითი მიჯნა: 352 წლის 20 ივლისი - 353 წლის 20 ივლისი, უფრო ზუსტად კი: 353 წ. 7 მაისი - 20 ივლისი.

- ნანა დედოფლის გარდაცვალების დროითი მიჯნა: 353 წლის 20 ივლისი - 354 წლის 20 ივლისი, უფრო ზუსტად კი: 354 წ. 7 მაისი - 20 ივლისი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1) **ბიბლია**, საპატრიარქოს გამოშვება, თბ. 1989 წ.;

2) **აბულაძე 1963:** „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I (V-X ს.ს.), თბ. 1963 წ.;

3) **აბულაძე 1968:** „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, ავინაქსარული რედაქციები (XI-XVIII ს.ს.), გამოსაცემლად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი IV, თბ. 1968 წ.;

4) **ალექსანდერი 1998:** „ბიბლიის ენციკლოპედია“, მთავ. რედ. პატ ალექსანდერი, ერთტომეული, თბ. 1998 წ.;

5) **ალექსიძე 1977:** ალექსიძე ა., „ბიზანტია“, ქ.ს.ე. ტ. 2, თბ. 1977 წ.;

6) **ალექსიძე 1978**: ალექსიძე ზაზა, „გრიგოლ განმანათლებელი“, ქ.ს.ე. ტ. 3, თბ. 1978 წ;

7) **ალექსიძე 1984:** ალექსიძე ზაზა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქ.ს.ე. ტ. 7, თბ. 1984 წ.;

8) **ალექსიძე 2007:** ალექსიძე ზაზა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რედ.ზაზა ალექსიძე, თბ. 2007 წ;

9) **არაშვილი ... 1991:** „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, შემდგ. გ. არაშვილი, ზ. არაშვილი, გ. გაბაშვილი, წ. II, თბ. 1991 წ.;

10) **არსენ ბერი 1902:** „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოზის მიერ, X საუკუნეში, XI-XII-ს ხელნაწერიდგან. დაბეჭდილი მღ. პ. კარბელაშვილის რედაქციით და ბოლოთქმით, ტფილისის 1902 წ.;

11) **ასავალ-დასავალი 2009:** „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1979 წ., იხ. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 146(791), 16-22 ნოემბერი, 2009 წ.;

12) **ბერძენიშვილი 1967:** ბერძენიშვილი ნ., „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ფეოდალური ხანა. რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები, წ. IV, თბ.1967;

13) **ბერძენიშვილი 1986:** ბერძენიშვილი დ., “ფარავანი”, ქ.ს.ე. ტ. 10, თბ. 1986 წ.;

14) **გელოვანი 1983:** გელოვანი აკაკი, „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბ. 1983 წ.;

15) გიგინეიშვილი 1988: გიგინეიშვილი ბ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონოლოგია“, „მნათობი“, N 8, თბ. 1988 წ.

16) გოილაძე 1986: გოილაძე ვახტანგი, „წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის“, „მნათობი“, 12, თბ. 1986 წ.;

17) გოილაძე 1991: გოილაძე ვ., „ქართული ეკლესიის სათავეებთან“, თბ. 1991 წ.;

18) გოილაძე 1998: გოილაძე ვახტანგი, „ქართლის სამეფო III ს. 50-იანი წლებიდან VI ს. 30-იანი წლების დასასრულამდე (ურთიერთობა სასანიანთა ირანთან და რომ-ბიზანტიასთან)“, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 1998 წ., ეროვნული ბიბლიოთეკა: დ. 1400/4;

19) გრიგოლია 1975: გრიგოლია კ., არენ ბერი, ქ. ს. ე. ტ. 1., თბ. 1975 წ.;

20) გუჩუა 1973ა: გუჩუა ვ., „ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთან წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე, ტ. IV, თბ. 1973 წ.;

21) გუჩუა ... 1973: გუჩუა ვ., სვანიძე მ., „საქართველო XVI საუნის უკანასკნელ მეოთხედში. სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალთა მიერ“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე, ტ. IV, თბ. 1973 წ.;

22) გუჩუა 1973ბ: გუჩუა ვ., „სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე, ტ. IV, თბ. 1973 წ.;

23) დიდი სჯულისკანონი: „დიდი სჯულისკანონი“, თბ. 2004 წ;

24) ეკალაძე 2001: „მსოფლიო საეკლესიო კრებები“, რედ. ზ. ეკალაძე, თბ. 2001 წ.;

25) თორაძე ... 2007: თორაძე ვ., თორაძე ნ., „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“, თბ. 2007 წ.;

26) იმნაიშვილი 1986: იმნაიშვილი ივანე, „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“, თბ. 1986 წ.;

27) კალანდაძე 1973: კალანდაძე ვ. ა., „კალენდარი მუდმივი და უნივერსალური“, თბ. 1973 წ,.

28) კეკელიძე 1926: კეკელიძე კორნელი, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონიკების საკითხები“, იხ. „მიმომხილველი“, ტ. I, თბ. 1926 წ.;

29) კესარიელი 2007: კესარიელი ევსები, „საეკლესიო ისტორია“, საეკლესიო ბიბლიოთეკა VII, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავლი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ. 2007 წ.;

30) კვირელი 2008: კვირელი თეოდორიტე, „საეკლესიო ისტორია“, საეკლესიო ბიბლიოთეკა X, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავლი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, თბ. 2008 წ.;

31) კოპალეიშვილი 1991: კოპალეიშვილი ვ., „მითებიდან კალენდრებამდე“, თბ. 1991 წ.;

32) კოპლატაძე 2007: კოპლატაძე გვანცა, „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“, თბ. 2007 წ.;

33) ლოლაშვილი 1984: ლოლაშვილი ი., „ნინოს ცხოვრება“, ქ.ს.ე. , ტ. 7, თბ. 1984 წ.;

34) ლომინაძე 1984: ლომინაძე ბ., „ნინო“, ქ.ს.ე. ტ.7, თბ. 1984 წ.;

35) ლომინაძე 1987: ლომინაძე ბ., „ხარება“, ქ.ს.ე. ტ. 11, თბ. 1987 წ.;

36) ლომოური 1975: ლომოური ნოდარი, „ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან“, თბ. 1975 წ.;

37) ლომოური 1978: ლომოური ნოდარი, „დიოკლეტიანე“, ქ.ს.ე. ტ. 3, თბ. 1978 წ;

38) ლორთქიფანიძე 1984: ლორთქიფანიძე ოთარი, „საბერძნეთი“, ქ.ს.ე. ტ. 8, თბ. 1984 წ.;

39) მაისურაძე 1979: მაისურაძე გ., „თრდატ III“, ქ.ს.ე. ტ. 4, თბ. 1979 წ.;

40) მაისურაძე 1984: მაისურაძე გ., „მოვსეს ხორენაცი“, ქ.ს.ე. ტ. 7, თბ. 1984 წ.;

41) მელიქიშვილი 1975: მელიქიშვილი გ., „ამაზასპი“, ქ.ს.ე. ტ. 1, თბ. 1975 წ.;

42) მელიქსეთ-ბეგი 1920: „ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ“, შემდგენელი ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ქართული ძეგლები, I , საეკლესიო მწერლობა N 2, ტფილისი 1920 წ.;

43) მეტრეველი 1984: მეტრეველი როინი, „ნიკოლოზ I“, ქ.ს.ე. ტ. 7, თბ. 1984 წ.

44) მეტრეველი 2008: მეტრეველი როინი, მთავარი რედაქტორი, „ქართლის ცხოვრება“, თბ. 2008 წ.;

45) ნადარეიშვილი 1985: ნადარეიშვილი გ., „სჯულისკანონი“, ქ.ს.ე. ტ. 9, თბ. 1985 წ.;

46) ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: „საკითხავი სუეტის ცხოველისაჲ კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“, შედგენილი ნიკოლოზ I ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ, გამოცემული დ. ს. ს. პლატ. იოსელიანის ქვრივის ანნა ნიკოლ. იოსელიანის მიერ და მღ. ვასილ კარბელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1908 წ.;

47) ნიკოლოზიშვილი 2003: ნიკოლოზიშვილი ნიკოლოზი, „ზაბილონიდან მირიანამდე“, „კლიო 17“, საისტორიო ალმანახი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ. 2003 წ.;

48) ჟუჟუნაშვილი 2006: საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII ს.ს.), თბ. 2006;

49) ჟუჟუნაშვილი 2009: ჟუჟუნაშვილი გ., „საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები“, თბ. 2009 წ.;

50) სალუაშვილი 2005: სალუაშვილი მიხეილი (გელა), „ბოლო ჟამის ბიბლიური კალენდარი“, თბ. 2005 წ.;

51) სალუაშვილი 2006: სალუაშვილი მიხეილი (გელა), „შუა ივლისის შაბათ დღეს“, იხ. გაზ. „დედანი ენის სასწაული“, 156 (487), თბ. 2006 წ.;

52) სალუაშვილი 2010ა: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები“, სალუაშვილი მიხეილ (გელა), სალუაშვილი საბა, თბ. 2010 წ.;

53) სალუაშვილი 2010ბ: სალუაშვილი საბა, „კალენდარული ათვლის ზოგიერთი საკით-ხისათვის“, თბ., 2010 წ.;

54) სალუაშვილი 2010გ: სალუაშვილი საბა, „ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული საისტორიო ძიებები“, თბ., 2010 წ.;

55) სიხარულიძე 1987: სიხარულიძე ე., „ჰიჯრა“, ქ.ს.ე. ტ. 11, თბ. 1987 წ.;

56) სულხან-საბა 1991: სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, თბ. 1991წ.;

57) სულხან-საბა 1993: სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ.II, თბ.1993წ.;

58) სურგულაძე 1983: სურგულაძე ი., „მარიამობა“, ქ.ს.ე. ტ. 6, თბ. 1983 წ.;

59) სურგულაძე 1986: სურგულაძე ი.., „ფერისცვალება“, ქ.ს.ე. ტ. 10, თბ. 1986 წ.;

60) სურგულაძე 1987: სურგულაძე ი., „წარმართობა“, ქ.ს.ე. ტ. 11, თბ. 1987 წ.;

61) ტივაძე 1983: ტივაძე თ. „XVI საუკუნის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3, თბ. 1983 წ.;

62) ქ.ს.ე. ტ. 3: „დვინი“, ქ.ს.ე. ტ. 3, თბ. 1978 წ;

63) ქ.ს.ე. ტ. 4: „ეფესო“, ქ.ს.ე. ტ. 4, თბ. 1979 წ.;

64) ქ.ს.ე. ტ. 4: „ეჩმიაძინი“, ქ.ს.ე. ტ. 4, თბ. 1979 წ.;

65) ქ.ს.ე. ტ. 4: „ვაღარშაპატი“, ქ.ს.ე. ტ. 4, თბ. 1979 წ.;

66) ქ.ს.ე. ტ. 6: „ლიცინიუსი“, ქ.ს.ე. ტ. 6, თბ. 1983 წ.;

67) ქ.ს.ე. ტ. 6: „მილანის ედიქტი“, ქ.ს.ე. ტ. 6, თბ. 1983 წ.;

68) ქ.ს.ე. ტ. 9: „სოზომენე“, ქ.ს.ე. ტ. 9, თბ. 1985 წ.;

69) ყაუხჩიშვილი 1926: ყაუხჩიშვილი სიმონი, „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“, თბ. 1926 წ.;

70) ყაუხჩიშვილი 1955: ყაუხჩიშვილი სიმონი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ. 1955 წ.;

71) ყაუხჩიშვილი ... 1969: „გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ალ. გამყრელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ტ.I, თბ., 1969 წ.;

72) ყუბანეიშვილი 1946: ყუბანეიშვილი სოლომონი., „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი“, „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. I, თბ. 1946 წ.;

73) ჩხარტიშვილი 1982: ჩხარტიშვილი მარიამი, „აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 1982 წ., ეროვნული ბიბლიოთეკა: დ. 5634;

74) ჩხარტიშვილი 1996: ჩხარტიშვილი მარიამი, „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII ს.ს. ისტორიის ამსახველი ძეგლები)“, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 1996 წ., ეროვნული ბიბლიოთეკა: დ. 757/4.

75) ჭაბაშვილი 1989: ჭაბაშვილი მიხეილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, თბ. 1989 წ.;

76) ჭუმბურიძე 1992: ჭუმბურიძე ზურაბი, „რა გქვია შენ“, თბ. 1992 წ.;

77) ხორენაცი 1984: ხორენაცი მოვსესი, „სომხეთის ისტორია“, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. 1984 წ.;

78) ჯავახიშვილი 1948: ჯავახიშვილი ივ., „ქართველი ერის ისტორია“ (XV-XVI საუკუნეები), წ. IV, თბ. 1948 წ.

79) ჯავახიშვილი 1979: ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, უძველესი დროიდან ჩვ. წ. აღ. VII ს-მდე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.I, თბ. 1979 წ.;

80) ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI , თბ. 1998 წ.;

81) ჯანაშია 1973: ჯანაშია ლ., „ქართლი IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, საქართველო IV-X საუკუნეებში, რედ. შ. მესხია, ტ. II, თბ. 1973 წ.;

82) ჯანაშია 1975: ჯანაშია ლ., „აგათანგელოსი“, ქ.ს.ე. ტ. 1, თბ. 1975 წ.;

83) ჯაფარიძე 1979: ჯაფარიძე გ., „ვერსი“, ქ.ს.ე. ტ. 4, თბ. 1979 წ.;

84) ჯაფარიძე 1996: ჯაფარიძე ანანია, მთავარეპისკოპოსი, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ.I, თბ. 1996 წ.;

85) Белокуров 1889: Белокуровымъ С., Сношения Рассии с Кавказом, выпускь 1–й 1578-1613 г.г., Москва 1889;

86) Тальберг 1991: Н. Тальберг, история христианской церкви, москва 1991;

დანართი № 1

წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებულ პირთა საძიებელი

- **აბიათარი:** მცხეთელ ჰურიათა მღვდელთ-მოძღვარი, წმ. ნინოს მოწაფე;

- **ამაზასპი:** იგივე „მცირე ძე მეფისა“, იგივე სეფეწული. 8 წლის ასაკში უკურნებელი სენისაგან განკურნა წმ. ნინომ **(იხ.სალუაშვილი 2010ა: 102-103; აბულაძე 1963: 142; ყაუხჩიშვილი 1955: 115; ნიკოლოზ I კათალიკოსი 1908: 79);**

- **ანასტო:** მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილას გაშენებული ბაღის მცველის მეუღლე, რომელთანაც წმ. ნინომ 9 თვე გაატარა;

- **ასტირონ გუასპურაგანი (სალუაშვილი 2010ა: 39; აბულაძე 1963: 101),** იგივე, „ასპურაგანად ასტერეონ მთავრისა“ **(ყაუხჩიშვილი ... 1969: 43),** იგივე, „ასტრიონ მთავარი“ **(სალუაშვილი 2010ა: 41-42; აბულაძე 1963: 103),** ქრისტიანობაზე მოაქცია წმ. ნინომ;

- **გაიანე:** რიფსიმეს გამზრდელი - „დედამძუძე“, ქრისტიანობისთვის აწამა სომხეთის მეფე თრდატ III-მ;

- **ელენე დედლოფალი:** კონსტანტინე I-ის (306-337 წ.წ.) დედა. აღესრულა 80 წლის ასაკში 329/330 წ.წ.-ში;

- **ზაბილონი:** წმ. ნინოს მამა, კაბადოკიელი, რომის იმპერატორ მაქსიმიანეს (286-305 წ.წ.) ერთ-ერთი მხედართმთავარი;

- **იაკობ მღვდელი:** შემდეგში ქართლის სამეფოს მეორე მთავარეპისკოპოსი: 363-375 წლებში **(იხ. თორაძე ... 2007: 554);**

- **იობენალი:** წმ. ნინოს დედის ძმა კაბადოკიელი, იერუსალიმის პატრიარქი;

- **იოვანე ეპისკოპოსი:** ქართლის სამეფოს პირველი მთავარეპისკოპოსი;

- **კონსტანტინე I:** რომის იმპერატორი 306-337 წლებში;

- **მირიან მეფე:** პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე, IV ს-ის I ნახევარი;

- **ნანა დედოფალი:** პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მეუღლე;

- **პეროჟავრი სივნიელი:** ქართლის ერისთავის მეუღლე, წმ. ნინოს მოწაფე. წმ. ნინოს მონათხრობის ერთ-ერთი ჩამწერი;

- **რევი:** მირიან მეფის უფროსი ძე. მამამისმა გაამეფა მის სიცოცხლეშივე, აღესრულა მირიან მეფის გარდაცვალებამდე;

- **რიფსიმე:** ქ. ეფესოს მკვიდრი. დიდებული, „მეფეთა ნათესავი“. ქრისტიანობის გულისთვის მოიკლა თრდატ III სომეხთა მეფის მიერ;

- **სალომე უჟარმელი:** რევის მეუღლე, თრდატ III სომეხთა მეფის ქალიშვილი. წმ. ნინოს ერთ-ერთი მოწაფე, მისი ცხოვრების ერთ-ერთი ჩამწერი;

- **სარა ნიაფორი:** იგივე სარა ბეთლემელი, იგივე სარა დვინელი. ჯერ წმ. ნინოს დედის სუსანას (სოსანა), ხოლო შემდეგ - წმ. ნინოს აღმზრდელი;

- **სიდონია:** მცხეთელ ჰურიათა მღვდელთ-მოძღვრის აბიათარის ქალიშვილი, წმ. ნინოს მოწაფე;

- **სოსანა (სუსანა):** წმ. ნინოს დედა, კაბადოკიელი;

- **სოჯი (სუჯი):** კახეთის დედოფალი, ქრისტეს რჯულზე მოაქცია წმ. ნინომ;

- **ფეროზი:** მირიან მეფის ქალიშვილის ქმარი, რომელსაც მირიან მეფემ - „მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ...“ **(ყაუხჩიშვილი 1955: 68-69).**